



N50 (34) ... 60 თ.



1168
2006

**ეკა ხოფარიას
კომფორტი და
ინტიმი შეუქმნა**

**ვისი ინფორმაცორია
ყოფილი ტელეჟურნალისტი**



**ქველი პიჭი,
რომელის პოეზიის სტაფოს
საპირფარეოში მართავს**

**31 წლის მოქალაქი
ოჯახთან ერთად
საკუთარ
სახლში
ამოწვევს**



**დავის
ქალაქი**

**სად დედის
გინა გუმბერიძე
ორ ქალთან ერთად**



**სწოვილი პოეზიის და ზაფთიანი
გომონას სიყვარულის ამბავი...**

ეტლს მიჯაჭვული ხეივანი პარკიშობს და ჩაბაიონატისთვის ეგზადება

საუკეთესო ევროპული სათამაშოები

«პეპელა» გთავაზობთ ასოციმენტის ფაქტორს აჩრევანს*. ორი ათასზე მეტი დასახელების საქონელი შეესაბამება ევროპული სტანდარტებს და უსაფრთხოების უმჯაყეს წმინდებს.

მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო გეომანური, ფანჯერი, ინგლისური და იტალიური სათამაშოები.

ღრუანდელ სამყაროში, სადაც მოვლენები დიდი სიხშირით ვითარდება, უსაფრთხო სათამაშოები თქვენს ბავშვებს შეუქმნის სითბოს, სტაბილურობას და სიმყუდროვის შეგრძობას.

ქალაქური ტიპის სათამაშოების გახდა «პეპელა» გთავაზობთ ევროპაში დიდი ხნის დამკვიდრებულ «განვითარების» თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის სწავლას შემოქმედებით, ასევე წახმოსახვითი უნარის გალვივებას.

* დასავლეთ ევროპის უსაფრთხო საუკეთესო სათამაშოების 15 ფიჩხასთან დაკავშირებული ექსპლუატაციის ინსტრუქციის ხელშეწყობა

- ხის სათამაშოები
- ხბილი სათამაშოები
- მინიატურული პეისაჟები
- ქუჩური (შემოქმედებითი) საქმიანობა
- ექსპლუატაციის სათამაშოები
- «განვითარების» თამაშები
- საბავშვო აქსესუარები და ბიფუტეხია
- საკანცელაციო ნივთები
- იმიტაციის სათამაშოები
- წიგნები



ქუპონის მფლობელი 31 იანვრამდე მიიღებს ფასდაკლებას მაღაზია "პეპელა" - ში



**ფასდაკლება
10 %**

თბილისი, აბაშიძის ქ. 2 (მზგვალ ბაღთან)
ტელ/ფაქსი : (+995 32) 25 30 55
ელ.ფოსტა : contact@pepela.ge



ქსელში გახვეული ნეპილის სასიყვარულო ამბავი...



„ქალი, რომელიც გურას ახლდა, ძალიან ლამაზი იყო – დახვეწილი სახის ნაკეთები, მოხდენილი განი ჰქონდა და თითქმის, გურას სიმაღლის გახლდათ. ოთახში შევუძეხი.

– ეს ჩემი დაა, ნინო – თქვა გურამ. ხელი გავუწოდე. ნინო რაღაც უცნაურად მიყურებდა. უხერხულად შევიშეშე.“

17

„ჩემი პოპარალი იმის ხელშია, ვისაც ჯიბებში, საჭიროზე ვიტი ფული ამქვს“

„ნუთუ, არ შეიძლება, რომ ყოველწლიურად ჩაგარდეს ჩემპიონატი, რომელშიც ჩემნაირი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას? მერწმუნე, ეს თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებს...“



ჩაგარდეს ჩემპიონატი, რომელშიც ჩემნაირი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას? მერწმუნე, ეს თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებს...“

45

ნსობრება დღითი დღე კვირდება...



„100 ლარი ოთხ ადამიანს ჯიბის ფულად გვჭირდება, საბედნიეროდ, გრანსპორტი იაფია. გადასახადებშიც 100 ლარი იხარჯება 60 ლარს კი, მხოლოდ პურის შესაბენად გამოვყოფთ ხოლმე.“

20

„ჯიბების“ ინტერნეტფორუმი



„აუუ აქ რა ამბავი მომხდარა! სოროსი აფინანსებს ყველას, ვინც კოსტას წინააღმდეგია, განა, არ ვიცი! და ისა... ამერიკიდან იღებენ დირექტივებს, პირდაპირ ბუმის კაბინეტიდან...“

23



№50 (340)
14-20 დეკემბერი,
2006
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები

რას გვიშვრება ეს გლახობა? ანუ (და) XXI საუკუნის „სტუმარ-მასპინძელი“ 3

■ ინფორმაცია

4

■ უცხოური პრესა

✓ „ვახსენებთ საპარტიველოს, ვგაულისხმობთ სააკაშვილს“ 5

✓ რუსი ოლიგარქების ზოგადი შეფასება 6

■ კოსტა

რა ხდება ფინანსურ პოლიტიკაში 8

■ კოლეგა

„უხეობა“ ეკა ხოფარიას კომფორტი შეუქმნა 9

■ რეპორტაჟი

კულისაგიდან დანახული „ჯაოსტარალები“ და „ნითაღ მოთახვი“ გამომგვადელი პარსკვლავები 11

■ დეკორირება

რუსული მილიციისგან შევიწროებული ქართველები „სულხა“ სხვაობით შერაქანს 13

■ კრიმინალი

შეშვარპი ტრაგედია მკვლელის მოქალაქე 15

■ გულშემატკივარი

„ზარას და ნაბალის მალე შეილეს ეყოლება...“ 16

■ რეალური

ქსელში გახვეული ნეპილის სასიყვარულო ამბავი... 17

■ ანტიდეპრესანტი

20

■ თემა

სსოვრება დღითი დღე კვირდება... 20

■ შოუ

„ჯაობარის“ ინტერნეტფორუმი ანუ ვილა დაუნარს დიუხას კლუსებს 23

■ პირადი სსოვრება

ანა ჯაკი: „მსხის იმ მამაკაცის, ვისაც სხვა ქალისკენ გაუბრუნებთ თვალი“ 25

■ გზავნილები

სიძულვილი 26

■ აოჯის მუჯა

სსოვილი აოჯის და ბაუთიანი გომონას სიყვარულის ამბავი 30

თეთრი სიკვდილი



ჯიბო უკმაყოფილო სახით დაბრუნდა საკანში. „ნარმე“ ჩამოჯდა და როგორც კი შეაღებდა კარი დაკეცა, „პარამის“ მიმართულებით გაიქნია მარჯვენა. ხელის მოქნევას სუსტი წკარუნი მოჰყვა. მცირე მომის ქილა, რომელიც გომ აქამდე ვერ შეამჩნია, კედელს მიენარცხა, იატაკზე კი, ათამდე თეთრი აბი დავარდა.

50

საკითხავი ქალაგისთვის	
✓ რას მოითხოვს მამაკაცი ქალისგან	32
✓ მოდელის პატარა,	
მაგრამ მნიშვნელოვანი საიდუმლო	33
ჯანმრთელობა	
✓ ზამთარი წონის მატების	
თავიდან ახილებს 15 ხერხი	34
✓ საქირმა თუ არა 100%-იანი მხედველობა	35
ბავშვები	36
რომანი	
ზაზა პანაძე.	
ველური ნახლის ხეივანი (გაგრძელება)	38
ბავშვილი	
„მორღობის“ ფიზის ღალატი	
ქართულ-აფხაზურ რეალობაში	42
ასპერჯი	
ვასილ გიგინია: „შვილის დაბადების შემდეგ,	
ენერჯის მოზღვავეება ვიგრძენი“	44
აღმართი	
„ჩემი მომავალი იმის ხელშია, ვისაც ჯიბეში,	
მჭვრის გარდა, საქირმა მამი ფული აქვს“	45
ჟორ-მართალი	
დოღი – დანიანისთვის მხოლოდ	
სხვისთვის დაგებული ხაზანგი იყო	47
პარსკვლავები	
✓ ნიკოლ კიდმანი გაუფხვს ელოდება	47
✓ თინა კანდელაკი ქსენია სობრანის გზას დაადგა	48
✓ კატრინ ზაზა-ჯონსი ოფისინაბად მუშაობს	48
✓ დევი მარის „ასალი“ მუსიკები	49
ქართული დეკორატივი	
გორა მანუჩიძე.	
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება)	50
მინდაწი	
სპატივი სამოსით დაფარული სიმიველა,	
გამართლებული ხელი და...	
ლოზიანების დასმობის ტრადიციი	54
ავანტიურისტები	
სოლონი იმითა და შავწილი გამომგონებლობის	
უნარით შემკული... (დასასრული)	55
თინეიჯერული პონტები	
სანიტარული გამართული „კოზინის“	
საღამო და კვლევი ბიჭი	57
ქარნალისთვის როლი	
რამომ ვერ უძლავს ბიე გუმბერიძე ორ	
გამომგონებულ ქალს...	60
გომონდური მოზაიკა	64
პორსკოვი	
კვირის (14-20 დეკემბერი)	
ასტროლოგიური პროგნოზი	66
მსიჯრომანი	67
ავტო	69
ბისტი	70
სკანერული	71
...და გოლოს	72

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომცემის კვირავი მრთხელ, სუბსაბათობით
 გავით „კვირის პალიტრის“ ღამათმბა
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 მთ. რედაქტორის მთავარი: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია
 მენეჯერი: მათე კბილაძე
 მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

„მორღობის“ ფიზის ღალატი ქართულ-აფხაზურ რეალობაში



„ერთ ღამეს, ვიღაც წამოგარდა: თამარ მეფის გამგირი იწვისო... ეს ჩემი ქუჩა იყო. ჩემმა „მეზობელმა“, რომლის აფხაზური წარმომავლობა მთელმა პალატამ იცოდა და აგინებდა, მწარედ ამოიხსრა.“

42

დევი მარის „ასალი“ მუსიკები



მსახიობი არც იმას გამოიციხავს, რომ მუსიკების გაახალგაზრდავება მის ცხოვრებაში უკანასკნელი პლასტიკური ოპერაცია სულაც არ არის...

49

რას მოითხოვს მამაკაცი ქალისგან



იყავით მსახიობი, მაგრამ ითამაშეთ ნიჭიერად. სამწუხაროდ, მამაკაცების უმრავლესობა ბუნებრივსა და ყალბს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს.

მამაკაცს ხიბლავს და ატყვევებს იღუმალეობა.

32

veluri wablis xeivani



– ეჭვი კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოკლულია, ის არის დამკვეთი – ნუციკო კელაპერივილი. ასე რომ, მე კი არ უნდა ვიჯდე აქ ახლა, ის უნდა იჯდეს, ის! – თქვა ალღევებულმა ღალიმ.

– დარწმუნებული ხართ?

– მეორე კითხვა დასვა გამომძიებელმა.
 – ვაჰ, ნეტავ, მე ფული მომცა და ამ კაცს – ჭკუა!.. – განცვიფრდა ღალი. – რატომ კლავენ საყვარლები საყვარლებს, არ იცით?

38


რას გვიშვრებს ეს გლეხობა ანუ (და) XXI საუკუნის „სცუმარ-მასჰინძელი“



თუ სწორად მახსოვს, ნამდვილი მთავრობა სულ უნდა მუშაობდეს, ღვინოში უნდა ერკვეოდეს და ქალები უნდა უყვარდეს... რას ერჩით ახლა ჩვენს მთავრობას, რომელ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს?! მუშაობით, ესენი რომ მუშაობენ, ისე უნდა: დაურეკეთ ნებისმიერ მინისტრს. გეტყვიან, შინ არ გახლავთ, სამსახურშიაო; სამსახურში დარეკავთ — ევროსაბჭოშია მივილინებითო. ევროსაბჭოში გეტყვიან — გაეროშიაო, — და გაეროში ის ქალი გეტყვის — ხელახლა დარეკე,

გენაცვალე, ეს პარალელიაო, — და ა.შ. ხომ ხედავთ, ასეთი აუტანელი შრომა აქვთ საცოდავებს... რაც შეეხება ღვინოს, მართლა ისე უყვარს მთავრობას, რომ მესამე შემოდგომაა, ვერ ამოგვყავს სანაახელიდან. გარკვევითაც ისე ერკვევა ღვინოში, რომ ცუდ ღვინოს კი არ ევარება: ჩემი მეზობელი რომაა, გურამა, იმას ხომ სულ ცუდი ღვინო აქვს! ერთხელ არ მინახავს მასთან პრეზიდენტი ან რომელიმე მინისტრი... ერთადერთი, ეს ქალები ვერ შევავყვარეთ: თუ სადმე აბანო და საუნა ნახეს, მიადგნენ ექსკავატორით და ისე სწრაფად დაანგრეს, რომ საცოდავმა ქალებმა ხალათის მოცმაც ვერ მოასწრეს.

ასეთი მუყაითი მთავრობის ხელი ეტყობა კიდევ ქვეყანას, დღითი დღე ვიზიდავთ ინვესტორებს. რა არის ამისათვის საჭირო? რა თქმა უნდა, სასტუმრო. აბა, ინვესტორს სახლში ხომ არ წაიყვან და „ლეჟანკას“ ხომ არ გაუშლი! ამიტომ აშენებს მთავრობა ამდენ სასტუმროს. „იმელის“ შენობასაც დადგა თვალი და ახალ ოტელს წამოჭიმავენ თურმე, მალე. კარგია, რა სჯობია, ბევრი სასტუმრო რომ გაქვს ქალაქში — ე.ი. ქართული სტუმარმასპინძლობაც არ დაგიკარგავს. მართალია, ისე ძვირი ეღირება ნომერი, რომ ვერ მიეკარები, მაგრამ გარედან რომ შეხედავ, ხომ გესიამოვნება?! ნახვალ მერე სახლში და შეძვრები ოროთახიან „ბრუშჩოკვაში“. საერთოდ, რაღად გვინდა სახლები? დავანგრძობთ ყველა საცხოვრებელი სახლი და სასტუმროები ავუშენოთ უტხოვლებს. ჩვენ ქუჩაშიც გავათევთ ღამეს, ოღონდ სტუმარმა იგრძნოს თავი კომფორტულად. მერე, მთელი თბილისი ერთ დიდ სასტუმროდ გადაიქცევა, დავსვათ შემოსავლელში ადმინისტრატორი და ჩამოვუკიდოთ უკან გასაღებები... ერთი რამ მიკვირს მხოლოდ: შენ რომ კერძო სასტუმრო ააშენო, მეორე დღესვე დაგინგრევენ, იტყვიან — სექსისტვის ქირაობენ ნომრებს და ბორდელიაო... თვითონ რომ ააშენებენ, რას ამბობ, შესასვლელშივე ეწერება — „No Sex“ და ნომრებში სანოლებიც არ იქნება, ჩამოსულ დელეგაციას სურვილიც რომ



არ აღეძრას... რად უნდა მაგ საქმეს სანოლი?! ისე ვითარდება „სექსინდუსტრია“, რომ ბუზებიც-ით, „ლუსტრაზე“ ჩამოკიდებულებიც კარგად ახერხებენ...

ქვეყნის აღმავლობის მეორე უტყუარი მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, ფასების ზრდაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი მყიდველუნარიანია ანუ ბევრი ფული აქვს. ამ მხრივ, ჩვენს ქვეყანაში მართლაც, საოცარი „პროგრესი“ შეინიშნება, განსაკუთრებით — წინასაახალწლო დღეებში: მიდიხარ ბაზარში და როგორც წესი, შესასვლელშივე ორ პარკს ყიდულობ. აბა, ერთში როგორ ჩაეტევა საახალწლო ნაფარი?! მერე, ჩაუყვები დახლებს და თანდათან რწმუნდები, რომ უფრო ექსკურსიაზე ხარ წამოსული, ვიდრე — საყიდლებზე და ათვალე რეგამოფენილ „ექსპონატებს“, რომლებსაც ვერ იყიდი და მხოლოდ ვიზუალური ეფექტითა და ნერწყვის ყლაპვით „ტკბები“.

კარგი, ბატონო გოჭთან დაკავშირებით მოატყუებ ბავშვებს და მოიმიზეზებ, რომ ღორის წელიწადი დგება და არ შეიძლება. მაგალითად, შარშან ძაღლის წელიწადი რომ იყო, ხომ ისე გავიდა მთელი წელი, ერთხელ არ გიჭამიათ ძაღლის ხორცი!.. მაგრამ რას მოიმიზეზებ დანარჩენ პროდუქტზე, მაგალითად — ინდაურზე, რომელიც ტრადიციული საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია და 2007 არც ინდაურის წელია. თუმცა, შეგიძლია თქვა, რომ იყიდე ძალიან დიდი, ცოცხალი ინდაური და გზაში გაგიფრინდა; ქათამზეც არ ჩაიჭრება მოხერხებული კაცი, ფრინველის გრიპის საშიშროებას მოიშველიებს მიზეზად... არც ხორციპ პრობლემა, რადგან შენი მოსაწონი ნაჭრები უკვე „გაყიდული“ დაგხვდა და ცუდის ყიდვას სჯობდა, საერთოდ არ გეყიდა. ფული ბოსტნეულზე კი გყოფნის, მაგრამ ახალ წელს ბორშჩს ხომ არ გააკეთებ! ამიტომ ბრუნდები შინ, „ექსკურსიით“ კმაყოფილი და ეკოლოგიურად სუფთა და დასანახადაც ღამაში, ცულოფანის ორი პარკით ხელდამშვენებული. სამაგიეროდ იცი, რომ ფასების ზრდა ეკონომიკური „აღმავლობის“ ნიშანია და გიხარია!!!


- P.S. ორი მეზობლის დიალოგი:**
- რას იტყვი ამ მთავრობაზე?
 - ცუდი რა მეთქმის, გადასარევი მთავრობაა: გზები დაგვიგო, ეზოში ლამპიონები დაგვიდგა, საპატრულო პოლიცია შექმნა და კიდევ, ათასი რამ...
 - ფასებს რომ ცეცხლი უკიდა, ამაზე რას იტყვი?
 - საშინელებაა, კაცო, ბაზარში ვერ შეხვალ, გოჭი 80 ლარი ღირს, ინდაური — 50, რას გვიშვრება ეს გლეხობა!..

პროვოკატორი

რუსი ლეკვაბები საერთაშორისო პასუხს სთხოვენ

როგორც ცნობილია, დემორტირებულთა საქმეების შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ რუსეთიდან ჩვენს თანამემამულეთა დემორტაციის შემთხვევა განიხილა და ბევრ ფაქტთან დაკავშირებით, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქმეების გაგზავნას აპირებს. საქართველოს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური მონაცემებით, 2006 წლის ნოემბერში რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 940 მოქალაქეა დემორტირებული. ამ საკითხზე მსჯელობისას, კომისიას ჩვენება მისცეს გარდაცვლილი მანანა ჯაბელიას მეუღლემ შახი კვარაცხელიამ, შვილმა ნიკო კვარაცხელიამ და ეთერ ჟვანიამ, რომელიც გამანაწილებელში ჯაბელიასთან ერთად იმყოფებოდა.

გარდაცვლილის მეუღლის განმარტებით, მანანა ჯაბელია 1994 წლიდან დემორტაციამდე, მოსკოვში შვიდსულიან ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. მას დევნილობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც ჰქონდა. შახი კვარაცხელიას ჩვენებით, ჯაბელიას ოჯახის ექვსივე წევრს რუსეთის ფედერაციაში გაცემული პასპორტი აქვს. გარდაცვლილის შვილის განმარტებით, ჯაბელია ბაზარში 4 ნოემბერს დააკავეს, 5 ნოემბერს კი, სასამართლოს პირველმა ინსტანციამ მისი და კიდევ ოთხი ქართველის დემორტაციის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილება ოჯახის წევრებმა გაასაჩივრეს, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება საქართველოს კონსტანტინოპოლის სასამართლოში ჩარევამდე არ მიიღო. 30 ნოემბერს სასამართლომ დაადგინა, რომ ჯაბელია დემორტაციას არ ექვემდებარებოდა. ნიკო კვარაცხელიას განმარტებით, მათი ოჯახის დაცვაზე, ქართული წარმომავლობის გამო, ყველა ადგილობრივმა



ადვოკატმა უარი განაცხადა... კომისიის წევრების განცხადებით, მას შემდეგ, რაც მეორე ინსტანციის სასამართლომ ჯაბელია უდანაშაულოდ ცნო და მხოლოდ ჯარიმის გადახდა დააკისრა, 5 დღის განმავლობაში ის პრაქტიკულად, ტყვედ იმყოფებოდა. არსებული ინფორმაცია, რომ ჯაბელია 6-დან 12 ნოემბრამდე, პროტესტის ნიშნად შიმშილობდა, თავის ჩვენებაში ეთერ ჟვანიამ დაადასტურა.

ამ ყოველივეს ფონზე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთი ჯგუფი ქვეყნის მთავრობას მიმართავს უგზავნის და ფაქტის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს.

ათასწლეულის განვითარების ხონცეფციის განხილვა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ თბილისის ათასწლეულის განვითარების კონცეფციის განხილვა გაიმართა. კონცეფცია თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურმა მოამზადა და იგი არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა განიხილეს.

როგორც სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზვიად არჩვაძემ განუცხადა, კონცეფცია თბილისში სიღარიბის დაძლევისთან დაკავშირებულ რამდენიმე მიმართულებას განიხილავს, კერძოდ: „თბილისი — მდიდარი ქალაქი“, „თბილისი — განათლების ქალაქი“, „თბილისი — თანასწორობის ქალაქი“ და

„თბილისი — ჯანდაცვის ქალაქი“. მისივე თქმით, საჯარო განხილვის შემდეგ, კონცეფცია საკრებულოს წარედგინება და თბილისის ხელისუფლებისთვის სამოქმედო დოკუმენტად იქცევა.



2007 წელს საქართველო აზერბაიჯანიდან 1,05 მლრდ აზერბაიჯანული დოლარი გასცემს

აზერბაიჯანი მზადაა, 2007 წელს საქართველოს 1,05 მლრდ კუბმეტრი გაზი მიანოდოს, რაც საქართველოს ყოველწლიური მოხმარების 58%-ს შეადგენს.

ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ აზერბაიჯანის გაზის კომპანია „შოცარის“ ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც სააგენტო იუწყება, აირის ეს რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლიდელი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან გაზის იმპორტზე მოლაპარაკების დანწყებამდე ითხოვდა. საუბარი იყო 1,5 მლრდ კუბმეტრი ბუნებრივი აირის მონოდებაზე. აქვე დავძენთ, რომ საქართველოს ყოველწლიურად, 1,8 მლრდ კუბმეტრი გაზი სჭირდება.

ავტობუსტროფა თურქეთში

თურქეთში, ქალაქ სამსუნთან მოხდა ავტოკატასტროფა, რომლის შედეგადაც, საქართველოს რამდენიმე მოქალაქე მძიმედ დაშავდა. ავტობუსი, რომლითაც 28 ქართველი სტამბოლიდან თბილისში მოემგზავრებოდა, ქალაქ სამსუნთან იმ ადგილას გადაბრუნდა, სადაც 2006 წლის აგვისტოში, ავტოკატასტროფის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები დაიღუპნენ.

ავტობუსი სავალი ნაწილიდან გადავიდა, ბოძს შეეჯახა და გადაბრუნდა.

საანონსო მუშაობის ორგანოში ახალ ხონსტიტუციაზე მუშაობა იწყება

როგორც უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგა ბოკერიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით, მალე ალბათ, ქვეყნის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა დაიწყება. ამ ინიციატივით უმრავლესობამ პრეზიდენტ სააკაშვილს უკვე მიმართა. „კონსტიტუციაში ხშირი ცვლილება მიუღებელია და არ არის დამახასიათებელი დემოკრატიული წყობის ქვეყნებისათვის. სწორედ ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გასწორდეს ყველა ის შეცდომა, რომელიც მოქმედ კონსტიტუციაში არსებობს და დაინეროს ახალი კონსტიტუცია. ახალ კონსტიტუციაზე სპეციალური კომისია ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს“, — აღნიშნა გიგა ბოკერიამ.


ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ შევა საკონსტიტუციო კომისიაში და როდის დაიწყებს ის მუშაობას.

პოლონეთი საქსსან- დალაგა მოიცვა

ნამყვანი პოლონური გაზეთის — Dziennik ცნობით, პოლონეთის სეიმში (პარლამენტის ქვედა პალატა) არიან დეპუტატი ქალები, რომლებიც თანამშრომელ მამაკაცებს ინტიმურ სიახლოვეს აიძულებდნენ. გაზეთი კონკრეტულად, მემარჯვენე პოპულისტური პარტია „თავდაცვის“ ორ წევრზე — ასაკოვან ქალბატონებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც თავიანთ ახალგაზრდა თანაშემწე მამაკაცებს, მათთან სექსის სანაცვლოდ, კარიერის შექმნაში ხელშეწყობას სთავაზობდნენ.

ამ ფაქტამდე მცირე ხნით ადრე, პოლონეთის პროკურატურამ „თავდაცვის“ ლიდერის, ვიცე-პრემიერ ანუი ლეპერის წინააღმდეგ აღძრა საქმე. მას, ინტიმური კავშირის სანაცვლოდ, ქალების სამსახურით უზრუნველყოფა ედებოდა ბრალად. პოლონეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ლეპერს 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

„შახსენეთ საქართველოს, შეუღისსეთ საქაშვილს“



ანუ ვინ როგორ მოძრაობს „შესაძლებლობათა ვინრო დერეფანში“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ტენდენციური რუსული პრესის ნაკლებად კითხვა გვიჩინა, მაინც გაგზავნილი და რამდენიმე ინტერნეტგამოცემას მარტო თვალი კი არ გადავაგლე, იქ გამოფენილი ერთ-ერთი პუბლიკაციის, ჩვენი მკითხველის სამსჯავროზე გამოტანაც გადავწყვიტე. გაგზავნილი-მეთქი, იმიტომაც ვამბობ, რომ რუსული პრესის ფურცლებიდან საქართველოს მისამართით ლამის უწყვეტ ნაკადად წამოსული აგრესიის ფონზე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ სერგეი მარკედონოვის დინჯი და განონასწორებული მსჯელობა თავიდან საკმაოდ ობიექტურად მომეჩვენა. მაგრამ ისევ რუსებისგან მსმენია — როცა რაიმე გეჩვენება, პირველი უნდა გადაინერო. მეც ასე მოვიქეცი და მაშინვე ყველაფერი თავის ადგილას დადგა. თუმცა, ჩემს შემდგომ შთაბეჭდილებებს ამჯერად ჩემთვისვე შევინახავ და მარკედონოვის ნააზრევზე საბოლოო დასკვნის გამოტანას მკითხველს მივანდობ...

რუსულან ლებანიძე


საქართველოში ცალკეულ მხარეთა ჯინის დასაყოფილება როდია

(Политком.სა, რუსეთი)

...დღევანდელი კავკასიური პოლიტიკა უკიდურესად პერსონალიზებულია. ვლადიმერ პუტინის საქართველოზე და მკულისხმობით მიხილ სააკაშვილს, ვახსენებთ აზერბაიჯანს და ილჰამ ალიევის კოლორიტული ფიგურა გვიდგას თვალწინ. მეტიც: დღეს უკვე ამ რეგიონში მიმდინარე უმთავრესი კოლიზიებიც ლამის მხოლოდ პიროვნებათა (პუტინ-საკაშვილის თუ ალიევი-კოჩარაიანის) დაპირისპირებად დასული. არადა, რეგიონში შექმნილი სიტუაციის დაკვირვებულ განხილვას სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. საქმე ისაა, რომ კავკასიური სახელმწიფოების თვით ყველაზე ავტორიტეტული და ქარიზმატული ლიდერებიც კი (რომელთა შორისაც აუცილებლად უნდა დავსახელოთ ვლადიმერ პუტინიც, როგორც იმ სახელმწიფოს მეთაური, რომლის შემადგენლობაშიც ფედერაციის 7 კავკასიური და 3 „წინაკავკასიური“ სუბიექტი შედის), მხოლოდ ობიექტური გარემოებებით განპირობებულ „შესაძლებლობათა ვინრო დერეფანში“ თუ მოქმედებენ — ანუ არსებული ობიექტური გარემოებები მათ გვარინად უზოროკავს ხელფხს და ამიტომაც, კავკასიური პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვისას, მათი გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

თბილისი

დღეს, როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთში, ბევრი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი ლაპარაკობს ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. ამასთან, გაუმჯობესებას თავისი, პუტინ-საკაშვილის ნებისგან სრულიად დამოუკიდებელი „საზღვრები“ აქვს. დღეს საქართველოს არც ერთი პრეზიდენტი (ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი) არ იქნებოდა მზად, სამხრეთ ოსეთსა თუ აფხაზეთზე პოლიტიკური უფლებ-



აფხაზეთში რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ ბორის ელცინმა განსაზღვრა

ესტონეთის კრავილები შვილიშვილთა შარცხვინის



ესტონეთის კრავილები „ფრანკი“ დაყრდნობით იუნყება, ქვეყნის პრეზიდენტის არასრულწლოვანი შვილიშვილები — 15 წლის ჰელენა და 13 წლის მარია პრეზიდენტის კარდიოგრგის სასახლეში ხშირად აწყობდნენ ხმაურიან თავყრილობას. თვითმხილველთა მტკიცებით, მოზარდი მასპინძლები და მათი სტუმრები სასმელს პირდაპირ პრეზიდენტის სათათბირო ოთახში სვამდნენ და შემდეგ, სათათბირო მაგიდაზე დასტოდნენ. ელენას და მარიას თანამეინახენი სასახლის სათავსებიდან სასმელს, ხელთათმანებსა და სხვა ნივთებს იპარავდნენ და ზოგჯერ, სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებშიც კი იქეპებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი თავყრილობის დროს, ალკოჰოლით გაბრუნებულმა ახალგაზრდებმა სახელმწიფო დროშა შებლაღეს, რამდენიმე მათგანმა კი, ფიზიოლოგიური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, სასახლის სახურავი გამოიყენა. ესტონეთის პრეზიდენტმა არნოლდ რუიტელდმა და მისმა მუულებმა ინგრიდმა შვილიშვილების საქციელის გამო, საჯაროდ მოიხადეს ბოდიში.



ის დასათმობად. ასეთი დათმობა ნებისმიერი ქართველი ლიდერისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ის, ვისაც ამ გარემოების გაგება არაფრით სურს და სააკაშვილს გადაჭარბებული რუსოფობიისთვის ლანძღავს, სიტუაციას სრულიად უსაფუძვლოდ ამარტივებს. არათუ სააკაშვილი, არამედ, აფხაზეთზე უარის სათქმელად, თვით კრემლის ხელდასხმული და საქართველოში რუსეთის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი ედუარდ შევარდნაძეც არ აღმოჩნდა მზად. ის კი არა, „თეთრ მელას“ ერთხანს იმის ფუჭი იმედიც კი ჰქონდა, რომ აფხაზეთზე კონტროლის აღდგენას სწორედ რუსეთის დახმარებით მოახერხებდა.

1998 წელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ხანმოკლე და უშედეგო განახლების შემდეგ, საქართველომ პირი ამერიკის შეერთებული შტატებისკენ იბრუნა, რაშიც შევარდნაძის პირადი ბრალის ძებნას სულ ტყუილად დავიწყებთ. აქ, საქართველოში ვითომდა არსებული „კლინიკური“ რუსოფობიაც არაფერ შუაშია. ედუარდ შევარდნაძის ადგილზე, ნებისმიერი სხვა ქართველი ლიდერიც ზუსტად ასევე მოიქცეოდა. იმიტომ, რომ მსგავს შემთხვევებში უკვე ერთადერთი ფორმულა — „არაფერი პირადული“ — მოქმედებს და ის რუსეთის ლიდერთა ქმედებებზე მსჯელობის დროსაც უთუოდ გასათვალისწინებელია.

აფხაზეთის რეინტეგრაციის განხორციელება რუსეთმაც ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეძლო. და აქ ვლადიმერ პუტინის იმპერიალისტური მისწრაფებებიც ასევე არაფერ შუაშია. აფხაზეთში რუსეთის ინტერესები ჯერ კიდევ ბორის ელცინმა განსაზღვრა, რომელიც ვლადისლავ არძინბასა და აფხაზური საქმის მხარდასაჭერად თავიდანვე არ იყო მზად. მაგრამ ყველა პარამეტრით, მისთვის ბევრად უფრო მისაღები შევარდნაძისგან განდგომა, ელცინსაც ობიექტურმა გარემოებებმა აიძულა. ეს გარე-

მოებები გახლავთ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ადილუერნოვანი რეგიონები. ამ რეგიონებს რთული ისტორია და რუსეთისადმი არაერთი პრეტენზიაც (მოპაჯრობით დაწყებული და კულტურული ასიმილაციით დასრულებული) აქვთ. ამიტომ, საკმარისია, რუსეთმა აფხაზეთი „ჩააბაროს“, რომ მის შიგნით მაშინვე „შინაური აფხაზეთი“ ნამოყოფს თავს...

მსგავს სიტუაციას ვაწყდებით სამხრეთ ოსეთის შემთხვევაშიც. რუსეთში არ არსებობს და არც არასდროს არსებულა ჩრდილოეთ აჭარა. ამიტომაც, ასლან აბაშიძის დამსობამდე რუსეთის რეაქცია არაფრით ჰგავდა იმას, რაც მას 2004 წელს, ცხინვალის ბლიკკრიგის მცდელობაზე ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სადღეისოდ რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესება მხოლოდ იმ ფერებში თუა შესაძლებელი, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თემას უშუალოდ ან საერთოდ არ ეხება. თუმცა აშკარაა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები საქართველოსა და რუსეთს საბოლოოდ მაინც რინგის სხვადასხვა კუთხეში დააყენებს. აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან წასვლა საქართველოსთვის, 1989 წლის აპრილში დაწყებული „ქართული დამოუკიდებლობის“ პროექტის ჩავარდნის აღიარების ტოლფასი, რუსეთისთვის კი — ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი დესტაბილიზაციის დაწყების მომასწავებელი იქნებოდა.

ბაქო

რუსეთისგან აზერბაიჯანის განდგომასაც ისევე, როგორც მის დასავლეთისკენ სწრაფვას, სრულიად გამოკვეთილი ობიექტური საზღვრები აქვს. ილჰამ ალიევის სურვილის მიუხედავად, დასავლეთისკენ ბაქოს სწრაფვას ორი ფაქტორი აფერხებს. ჯერ ერთი, აზერბაიჯანის დაქართულ მოდერნიზაციას ისლამური ექსტრემიზმის სახით, საბასუხო რეაქციაც უთუოდ მოჰყვება. მსგავსი რეაქციის შედეგები, მეტ-ნაკლებად, მუსლიმანური დასავლეთის ყველა საერთო ქვეყანას აქვს ნაწიწვენი. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება კი ისაა, რომ ოფიციალური ბაქოს მმართველებს ნამდვილად არ სურთ აზერბაიჯანის, ამერიკა-ირანის ბრძოლის ველად გადაქცევა. ამიტომაც, ამერიკისკენ (და აგრეთვე ნა-

ტოსკენ) ბაქოს დრეიფიც გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აზერბაიჯანი ბოლომდე პრორუსულ ქვეყნადაც არასდროს იქცევა. იმიტომ, რომ ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკითხში ბაქოსა და მოსკოვის შეხედულებები არსებითად განსხვავდება. ფაქტია, რომ მოსკოვი აქ მაინც, კავკასიაში თავისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის — სომხეთის მხარეზეა. ამიტომაც, რუსეთი გაგებით უნდა მოეციდოს იმ „საქანელას პოლიტიკასაც“, რომელსაც დღევანდელი ბაქო ატარებს.

ერევანი

უახლოეს მომავალში საკუთარი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირებას სომხეთიც უთუოდ მოახდენს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას, აშშ-ში მილიონიანი და საფრანგეთში ნახევარმილიონიანი სომხური დიასპორების სახით, ძლიერი დასავლური რესურსი აქვს; მეორეც — ერევანს უკვე ნამდვილად მოჰპებურდა გაჭიანურებული ქართულ-რუსული კონფლიქტის მძევლობა. და მესამე: ერევანს ძალზე აშფოთებს რუსეთში ქსენოფობიის მომ-



ძლავრება, რომელიც უკვე იქ მცხოვრებ სომხებზეც აისახება. ეს ყველაფერი თითქოს, სომხეთის ნატოსკენ სწრაფვას განსაკუთრებით უნდა უწყობდეს ხელს და ალბათ ასეც იქნებოდა, ამ ბლოკის წევრი — ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული და სომხეთის გენოციდის უარყოფელი თურქეთი რომ არა...

ამრიგად, კავკასიური გეოპოლიტიკა ამა თუ იმ კონკრეტული ლიდერის ჟინის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების შედეგი ნამდვილად არ გახლავთ. კავკასიური სახელმწიფოების პრეზიდენტებისა თუ მინისტრების ამბიციები ხშირად ობიექტური გარემოებებითაა შეზღუდული. შეკავებული, ამ გარემოებების აღწერა და რაც მთავარია, გათვალისწინება კი, რეგიონში მიმდინარე მოვლენების, ზედმეტი ემოციისა და ისტერიკის გარეშე განხილვაში დავსხმარებოდა...

სერგეი მარკედონოვი

პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ეროვნებათმორის ურთიერთობათა პრობლემების განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



ჩუნი ოლიგარქების სოჯათაული

სულ რაღაც 10-15 წლის წინ, რუსეთში ერთ ოფიციალურ მილიონერსაც კი ვერ შეხვდებოდით. დღეს კი ეს ქვეყანა მაგნატთა მთელი არმიითაც სულ თავისუფლად დაიკვევინის. ამ ადამიანთა ქონება მილიარდებით იზომება. თანაც, ეს მილიარდები ეროვნულ ვალუტაში კი არა, ამერიკულ დოლარებში, ევროებსა და ინგლისურ გირვანქა სტერლინგებში აღირიცხება. საერთოდ კი, თანამედროვე რუს ოლიგარქებს თავიანთი საზღვარგარეთელი „მოძმეებისგან“ პირველ რიგში, მაინც, ალბათ, რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან მჭიდრო კავშირი გამოარჩევს... გთავაზობთ Аргументы и факты-ის მიერ გამოქვეყნებული რუსი ოლიგარქების ტოპათეულს.



აბრამოვიჩი

რომან აბრამოვიჩი რუსეთის „ყველაზე მთავარი“ ოლიგარქია. მისი ქონება დაახლოებით 10 მილიარდ გირვანქა სტერლინგად ანუ 18-19 მილიარდ დოლარადაა



შეფასებული. ჩუკოტკის 40 წლის გუბერნატორი და საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მფლობელი აბრამოვიჩი დროის უმეტეს ნაწილს ინგლისში ატარებს. იქ მას ელიტურ ბელგრავიაში თავნება-ჰაუსი, ნაიფბრიჯზე — ბინა და სუსექსში — მამული აქვს. აბრამოვიჩს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა აქვს. სწორედ ამის წყალობითაა, რომ რუსეთში წელიწადში სულ სამ-ოთხჯერ „ჩარბენის“ მიუხედავად, აბრამოვიჩი მაინც ძალზე პატივცემულ ჩინოვნიკად რჩება. თუმცა, როგორც ახლახან მილიარდდერმა თავად აღიარა, ჩუკოტკის გუბერნატორობა და იქ საკუთარი სახსრების ჩადება უკვე ძალიან მოჰპებრდა...

ალეკსეოვიჩი

ნავთობის მაგნატი ვაგიტ ალექსეოვიჩი, აბრამოვიჩის შემდეგ, რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანია. მისი ქონება დაახლოებით, 7 მილიარდ გირვანქა სტერლინგს ანუ 13 მილიარდ დოლარს შეადგენს. საკუთარი სიმდიდრე ალექსეოვიჩმა რუსეთის უმსხვილეს ნავთობის კომპანია „ლუკოილში“ სოლიდური წილის წყალობით დააგროვა. ძალაუფლების მოყვარულ ალექსეოვიჩს ქვეშევრდომები მეტსახელად „გენერალს“ ეძახიან.



ლისინი

50 წლის ვლადიმერ ლისინის ქონება 11 მილიარდ დოლარს შეადგენს. ერთ დროს რიგითი ციმბირელი მუშახტე ლისინი, ამჟამად, რუსეთის უმსხვილესი მეტალურგიული კომპანიის მეთაური და რიგით მესამე უმდიდრესი ადამიანია. ლისინს ერთი თავისებურებაც გამოარჩევს: ის პოლიტიკისგან ყოველთვის განუდგას, თუმცა სისტემატურად ასპონსორებს ყოველდღიურ გამოცემა „გაზეტას“.

ფრილმანი

42 წლის მიხაილ ფრილმანის „საბაზრო ფასი“ სადღისოდ 10 მილიარდ დოლარს შეადგენს. ესოდენ სოლიდური ქონების დაგროვებაში მას კონსორციუმში „ალფა-ჯგუფი“ დაეხმარა. ფრილმანი ამ კომპანიის დამფუძნებელი და მთავარი აქციონერია.

ვაქსელბერგი

ნავთობისა და მეტალურგიის მაგნატი ვიქტორ ვაქსელბერგი რუსი ხალხის ისტორიაში პირველ რიგში, იმ ადამიანად შევა, ვინც 2004 წელს, 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად (90 მილიონ დოლარად) ფაბერჟეს სააღდგომო კვერცხები იყიდა და სამშობლოში დააბრუნა. 49 წლის ვაქსელბერგი ტოპათეულში მესამე ადგილზეა. მისი ქონება 9,7 მილიარდ დოლარს უტოლდება. უკრაინაში დაბადებული ვაქსელბერგი კრემლის პოლიტიკის განუხრელად მიმდევარი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობს, რაც მას ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნებაში დიდად ეხმარება.

დერიპასკა

რუსული ალუმინის ინდუსტრიის მეფეს, ოლეგ დერიპასკას ალბათ, ბევრი იცნობს, ბევრ კონკურენტს კი მისი სახელის უბრალო გაგონებაც კი აფრთხობს. 38 წლის

ბიზნესმენის ქონება 9 მილიარდამდე დოლარს შეადგენს. დერიპასკას მჭიდრო კავშირები აქვს რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან. ჯერ კიდევ 2001 წელს მან ცოლად შეირთო რუსეთის ექსპრეზიდენტ ბორის ელცინის შვილიშვილი პოლინა იუმაშევა. დერიპასკა და მისი მეუღლე ამჟამად ინგლისში ცხოვრობენ. ბიზნესმენი იქ ენას სწავლობს და ხანდახან თავისი „კარგი მეგობრის“ — რომან აბრამოვიჩის გუნდის, „ჩელსის“ მატჩსაც ესწრება.

მორლაოვი

ფოლადის მაგნატის ალექსეი მორლაოვის, მეტსახელად ტანკის ქონება 8,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. როგორც ბევრმა სხვა რუსმა ოლიგარქმა, მათ შორის 41 წლის მორლაოვიმაც, ქონება პირველ რიგში, იმის წყალობით დააგროვა, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა. ამჟამად ტანკი კრემლის ერთგული ადამიანი და ვლადიმერ პუტინის თავგადაკლული მომხრეა.

ვებუშენკოვი

ვლადიმერ ევტუშენკოვის საზოგადოება ნაკლებად იცნობს. არადა, ის ერთ-ერთი ყველაზე ერუდირებული რუსი მაგნატი და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხსაც კი ფლობს. 58 წლის ევტუშენკოვის ქონება 7,5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

პოტანიანი

კომპანია „ნორილსკი ნიკელის“ მებატრონე ვლადიმერ პოტანიანის ქონება 7,2 მილიარდ დოლარს უტოლდება და რუსეთის მდიდარ ადამიანებს შორის რიგით მეცხრე ადგილსაც დამსახურებულად იკავებს. პოტანიანი ის ერთადერთი რუსი ოლიგარქია, რომელსაც ელცინის დროს ყველაზე მაღალი სახელმწიფო (ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერის) პოსტი ევადა.

ბაბურიანი

ელენა ბატურიანი ქონების მიხედვით რუსეთში მეათე ადამიანი არ არის, მაგრამ მას სხვა უპირატესობა აქვს — ერთადერთი ქალი-ოლიგარქია. მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის 43 წლის ცოლმა ეს მდგომარეობა უპირატესად გავლენიანი ქმრის წყალობით მოიპოვა. სამშენებლო კომპანია „ინტეკოს“ წყალობით და საკუთარი მეუღლის პატრონაჟით გამდიდრებული ელენა ბატურიანს ქონება ამჟამად თითქმის 2,5 მილიარდს დოლარს შეადგენს.



არასოდეს დამავინწყდება, როდესაც კანცელარიის შენობა ავიღეთ...

„დავაკავებ“, „ვამხილავ“, „დაიხვევა“ — ეს ის სიტყვებია, რომლებითაც ფინანსური პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, **ლევან მხეიძე** მოსახლეობას (ტელევიზორის საშუალებით) მიმართავს. ის საზოგადოების წინაშე თითქმის არასოდეს იღიმება, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაინც დადებითი იმიჯი აქვს.

ღამით კოხრაშვილის გეგმილრა ენუ რა ხდება უინანსურ პოლიციაში

ნათია ქარუშიძე

— ვინ არიან თქვენი მშობლები?

— მამა, ნუგზარ მხეიძე „თბილგაზის“, ან უკვე „ყაზტრანსგაზის“, საავარიო სამსახურის ხელმძღვანელია. თბილისში ცისფერი ჩირალდანი პირველად მან აანთო. დედა — მანანა მხეიძე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას მუშაობდა. დღეს-დღეობით კი, ვაკე-საბურთალოს გამგეობაში, კადრების განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად მუშაობს.

— როგორც ვიცო, ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში დიდხანს არ გივლიათ და სწავლა საფეხბურთო სკოლაში განაგრძეთ. ფეხბურთის კარგად თამაშობთ, თუმცა სპორტს არ გააძვივით. რატომ?

— მაშინ საქართველოში სპორტს არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა. მშობლებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვიტე, რომ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნეს-იურიდიულ ფაკულტეტზე გამეგრძელებინა. ჩემი პროფესია პირდაპირ მიესადაგება ჩემს დღევანდელ საქმიანობას.

— როგორ მოხვდით მიხეილ სააკაშვილის გუნდში?

— შინაგან საქმეთა სამინისტროში, გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმში ვმუშაობდი. შემდეგ, სამგორის შს სამმართველოში — ოპერატიულ თანამშრომლად. მერე, ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში, კვლავ ოპერატიულ თანამშრომლად. იმ პერიოდში, ადამიანის შრომა, ამ სტრუქტურაში, აბსოლუტურად დაუფასებელი გახლდათ — არც ავტორიტეტი გქონდა, არც მატერიალურად იყავი უზრუნველყოფილი. ამიტომ, გადაწყვიტე, ამ სტრუქტურაში აღარ მემუშავა და „გაზმშენში“, ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელად დავინწყე მუშაობა. მოსახლეობისგან დავალიანების ამოღება მევალებოდა. შემდგომში მამაჩემის რეკომენდაციით, გადავედი „თბილგაზის“ საბურთალოს რაიონის რეალიზაციის სამსახურის უფროსად. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი იუს-

ტიციის მინისტრის პოსტიდან გადადგა. მან გამოაცხადა ნაციონალური მოძრაობის ჩამოყალიბებისა და ამ მოძრაობაში მოსახლეობის მიღების შესახებ. მე მივედი ვაკის პარკში, სადაც მათი ერთადერთი ოფისი მდებარეობდა. მონაცემები ჩავწერე და გრაფაში აღვნიშნე, რომ ვიქნებოდი აქტიური წევრი, რადგან პოლიტიკა ბავშვობიდან მიზიდავდა. ყოველთვის და ყველა პოლიტიკოსზე მქონდა საკუთარი მოსაზრება, ვიცოდი — ვინ რას აკეთებდა და რა მიზნები ამოძრავებდა. როდესაც სააკაშვილის პარტიამ რაიონული ორგანიზაციები შექმნა, მეც დამიკავშირდნენ. იმ დღიდან აქტიური პარტიული მუშაობა დავიწყე.

— ვარდების რევოლუციის დროს თქვენ რა გევალებოდათ?

— არასოდეს დამავინწყდება, როდესაც კანცელარიის შენობა ავიღეთ, პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მთხოვა: იქნებ, სადმე ვარდები იშოვო. მე და ჩემი ძმისშვილი, ნუკრი მხეიძე კოლმეურნეობის მოედანზე ჩავედით და 196 ცალი ვარდი ვიყიდეთ. კანცელარიის შენობამდე, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, გაჭირვებით მივიტანეთ. მერე ისინი ვიღაცამ გამოამართვა და ბატონ მიხეილს მიანოდა. მან ერთი ვარდი ამოიღო და თქვა: დანარჩენი ხალხს დაურიგეთო. რევოლუციის შედეგები წარმატებულია და იმედი მაქვს, ასე დარჩება.

— იქნებ, თქვენს ოჯახზეც გვიამბოთ რამე?

— ჩემი მუთლვე მეგობარმა გამაცნო და ის ერთი ნახვით შემიყვარდა. მისი ოჯახი რუსეთში ცხოვრობდა და გაცნობიდან ერთ თვეში, ისიც მოსკოვში წავიდა. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი გავაკეთე იმისთვის, რომ თბილისში ჩამომეყვანა, რაც 5 თვეში მოვახერხე. გულწრფელად რომ გითხრა, იმ დროს, მაინცდამაინც დიდი ფინანსები არ გამაჩნდა. მას მობილური ტელეფონით ძალიან დიდხანს ველაპარაკებოდი. დღეს ორი შვილი გყავს. უფროსი, რატი — 3 წლის და 5 თვის არის, უმცროსი — დაჩი კი — 2 წლის და 4 თვის.

— როგორი მამა ხართ?

— ძალიან მინდა, კარგი მამა ვიყო, მაგრამ არ გამომდის, რადგან ოჯახზე მეტ ყურადღებას სამსახურს ვუთმობ.

— რა მოგწონთ თქვენს სამსახურში?

— მიუხედავად იმისა, რომ რთულ და „რეპრესიულ“ სამსახურში ვარ, საზოგადოებაში მაინც დადებითი იმიჯი მაქვს. მომწონს, რომ აქ თვითრეალიზაციის საშუალება მეძლევა. დღეს, ჩვენი სამსახური, ყველაზე წარმატებული სტრუქტურაა.

— ფინანსური პოლიცია გაიგივებული იყო დავით კეზერაშვილის სახელთან. ვინ გააგრძელებს მის საქმიანობას?

— ეს სამსახური დავით კეზერაშვილის შრომით შეიქმნა. მან ააწყო კარგი „მანქანა“, რომლის მართვასაც ბევრი შეძლებს, ვინაიდან ის უკვე კარგად მუშაობს.

— ამ მანქანის ამუშავებაში წვლილი თქვენც მიგიძღვით. თქვენ ხომ არ მოიაზრებთ კეზერაშვილის მემკვიდრედ?

— მე არც ჩემი დღევანდელი მდგომარეობით ვარ უკმაყოფილო. ნებისმიერ დავალებას, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელობისგან მივიღებ, პირნათლად შევასრულებ.

— როგორი ურთიერთობა გქონდათ კეზერაშვილთან?

— საქმიანი და მეგობრულიც. ჩვენ ორიენტირებული ვიყავით საქმის კეთებასა და შედეგებზე. გასაყოფი არაფერი გვქონდა. ამ სტრუქტურის თანამშრომლებმა, კეზერაშვილთან ერთად შევქმელით, შეგვექმნა ისეთი კლიმატი, როდესაც ბიუჯეტის შესრულება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

— როგორი ხელქვეითი და როგორი უფროსი ხართ?

— ზედმინებით კარგად ვასრულებ ნებისმიერ დავალებას და სხვებისგანაც მკაცრად მოვითხოვ საქმის მოგვარებას.

— ინიციატივის გამოჩენა გიყვართ?

— ინიციატივის გამოჩენა მიყვარს. დადებითად ვაფასებ ამბიციურ ადამიანებს და მიმაჩნია, რომ თავადაც ასეთი ვარ. თუ ადამიანს ამბიცია არა აქვს, ის კარგი თანამშრომელი ვერ იქნება.

— კომპრომისზე თუ მიდინარობს ხომ?

— სამსახურში კომპრომისზე ფაქტობრივად, არ მივდივარ. თუმცა, პირად ურთიერთობებში უკონფლიქტო და დამთმობი ვარ.

— თქვენი სამსახურიდან გამომდინარე, ალბათ, სწორად გირეკავენ

და კომპრომისზე წასვლას გთხოვენ, არა?

— ამ ეტაპზე, შემიძლია ვთქვა, რომ პრაქტიკულად, აღარ მანუშებენ. თუმცა, იმ პერიოდში, როდესაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, აქტიურად მეხმიანებოდნენ. მიცნობდნენ, არ მიცნობდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ყველანი მოდიოდნენ სხვადასხვა თხოვნით, მაგრამ ამას არანაირი აზრი არ ჰქონდა.

— ამის გამო ახლობლები ხომ არ დაგიკარგავთ?

— დაკარგვით არა, მაგრამ უკმაყოფილო ბევრი დარჩა. სამწუხაროდ, ბევრისთვის (განსაკუთრებით მეგობრებისთვის), მსგავსი ცხოვრების წესი მისაღები არ არის.

— ყველაზე მეტად ადამიანში რა გალიზიანებთ?

— ღალატი და ტყუილი. ჩემს მეუღლეს ხუმრობით ვუბნები: რომ გიღალატო, ამას თვითონ გეტყვი, რადგან ტყუილი არ მეხერხება-მეთქი.

— ფინანსური პოლიციის ხსენება საზოგადოებაზე დამორგუნველად მოქმედებს. ამ აზრის გასაქარწყლებლად, რამე სახალისოს ხომ არ მოგვიყვებით?

— სახალისო ამბები ჩვენთან იშვიათად ხდება. ცხადია, კულტურის სამინისტროს და ფინანსურ პოლიციას ერთნაირი იმიჯი ვერ ექნებათ. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და სხვათა მსგავსად, ბევრი რამ გვიხარია და გვწყინს. ერთ ამბავს მოგიხსნათ. ჩემი მეგობარი, ზურა, შიდა ქართლის რეგიონში მუშაობდა. მას ყველა კარგად იცნობდა, რადგან 7 თვე ხელმძღვანელობდა იქ ფინანსურ პოლიციას. ერთხელაც მას ერთი ქალბატონი ურევავს და ეუბნება: მოდი, მიშველე, ჩემი მეუღლე შეურაცხყოფას მაცენებსო. ზურამ უპასუხა: კი, მაგრამ, ქალბატონო, ფინანსური პოლიცია რა შუაშია?! ან პატრული გამოიძახეთ, ან მეზობელს დაუძახეთო. არაო, — უთქვამს ქალს, — ჩემს ქმარს მართო თქვენი ემინიო (იციანის).

„უცნობა“ აკა სოფრიას კომპიუტერი უაუჯანო

ვისი ინფორმაცორია ყოფილი ტელეჟურნალისტი

ის გასულ ზაფხულს თავის ერთ-ერთ გადაცემაში დაემშვიდობა მაყურებელს, ტელეკომპანიას, სადაც წლების განმავლობაში აქტიურად მუშაობდა და დემონსტრაციულად წავიდა. ამ სკანდალური წასვლის შემდეგ, მან მუშაობა რადიო „უცნობში“ დაიწყო. ახალ სამსახურში მისული ეკა სოფრიას პრესასთან ურთიერთობას გაურბის. ამჯერად კი, რაღაცნაირად გამონაკლისი დაუშვა და საკუთარი საქმიანობის შესახებ გვესაუბრა.

ლალი შასია

— ეკა, ტელევიზიიდან რადიოში წახვედი. უკვე შეეგუე ახალ გარემოს? როგორ მოხდა ახალ სიტუაციასთან შენი ადაპტაცია?

— სხვათა შორის, ყველაფერი საჭირო დროს და ორგანულად მოხდა. ვფიქრობ, ორივესთვის — ჩემთვისაც და რადიოსთვისაც ეს სიახლე აუცილებელი იყო. ისე, ადრე, სანამ „რუსთავი 2“-ში დავინყებდი მუშაობას, რადიო „ფორტუნაში“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად ვმუშაობდი.

— ეთერში მუშაობაც გინწვდა?

— რა თქმა უნდა. რადიო „უცნობში“ ცოტა სხვა სპეციფიკაა. ყოველდღე 5 საათზე მიმყავს გადაცემა — „დიალოგები“. მასზე მუშაობა საინტერესოა. მე ვირჩევ გადაცემის თემას, ვსაზღვრავ, სტუდიაში სტუმრად ვინ უნდა მოვიდეს. გადაცემის მსვლელობისას მსმენელი გვიკავშირდება და პირდაპირ ეთერში კითხვებს სვამს. ეს კონტაქტი ჩემთვის აუცილებელია.

— რადიო „უცნობის“ ხელმძღვანელი — გია გაჩეჩილაძე საერთოდ არ ერევა შენს საქმიანობაში?

— ასეთი რამ გამორიცხულია. პირიქით, ჩემს ნებისმიერ ინიციატივას მხარს უჭერს. ამას წინათ, სტუდიაში რეჟისორი რობერტ სტურუა იყო. არა მარტო გია გაჩეჩილაძე, არამედ რადიოს მთელი ადმინისტრაცია ყურადღებით უსმენდა გადაცემას. „დიალოგების“ ბოლოს, ყველანი ერთად ჩაერთვნენ განხილვაში ანუ — როგორი ეთერი იყო. ჩვენს რადიოში თავისუფლების ხარისხი საკმაოდ მაღალია.

— შენ რადიო „უცნობის“ ტელეპროდუქციის პროდიუსერობაც გინწევს — ეი. ტელესტუდიის ხელმძღვანელი ხარ.

— კი, ჩვენ ვამზადებთ ცალკეულ



პროექტებს ტელეეთერისთვის. „იმედზე“ გადის ჩვენი შოუ — „ჭიჭიკო და ბიჭიკო“. ახლა „რუსთავი 2“-ისთვის საახალწლო გადაცემას ვამზადებთ — მაყურებელს ცნობილი ადამიანების დუეტებს შევთავაზებთ.

— გია გაჩეჩილაძესთან, როგორც უფროსთან, როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ჩვენთან ვერ ნახავთ ხელმძღვანელისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანების კლასიკური ტიპის ურთიერთობას. ეს განასხვავებს „უცნობს“ ბევრი სხვა დანესებულებისგან. ჩვენთან გადაწყვეტილებებს გუნდური პრინციპით იღებენ. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის ძალზე საინტერესო სიტუაციაა, შეიძლება, ცოტა უცნაური და უჩვეულოც. ისე არ არის, როგორც „რუსთავი 2“-ში იყო. არც იმით ჰგავს „რუსთავი 2“-ს რადიო „უცნობი“, რომ აუცილებელი არ არის, სამსახურში დილის 10 საათზე გამოცხადდე.

— რომელზე ცხადდები?

— 12 საათზე. 10-ზეც რომ მივიდე, დანაშაული კი არ იქნება, მაგრამ გუნდი სამუშაოდ, ძირითადად, 12 საათისთვის იკრიბება. იდეებზე მსჯელობას და გადაწყვეტილების მიღებას ერთად ვინწყობთ.

— წლების განმავლობაში, გია



ლევან მხეიძე მვიღების ფოტოსურათებთან

გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი შენი რესპონდენტი იყო, მისთვის არაერთი ინტერვიუ ჩამოგიერთმეცია. თუ წარმოიდგენდი, რომ თქვენი გზები ამგვარად გადაიკვეთებოდა და ის შენი უფროსი გახდებოდა?

— არა, რა თქმა უნდა. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, გია, კლასიკური გაგებით, უფროსი არ არის და იქ არც არავინ უფროსობს. ძირითადად, რაზეც ბჭობა და მსჯელობა მიმდინარეობს, ის არის, რომ ჩვენი პროდუქცია ხარისხიანი იყოს. შეიძლება, ყველამ ერთმანეთს მივცეთ შენიშვნა, რომ რაღაც დავაკელით ამა თუ იმ გადაცემას.

— ტელევიზიაში საქმიანობა არ გენატრება? „რუსთავი 2“-ის ნოსტა-ლგია არ განუხვებს?

— მიმაჩნია, რომ ადამიანი ნებისმიერ ეტაპზე მზად უნდა იყოს ცვლილებებისთვის. სიახლეს ინტერესით უნდა შეხვდე. შეიძლება, მასთან შეგუება რთული იყოს, რაღაც არ გამოგივიდეს, ან ისე არ გამოვიდეს, როგორც გინდა, მაგრამ ოპტიმიზმით უნდა უყურებდე მომავალს. ვერ ვიტყვი, რომ არ მენატრება ტელევიზიაში მუშაობა და ის რიტმი, რომელიც „რუსთავი 2“-შია. მაგრამ ეთერის ნოს-

თავისუფლები არიან, მაგრამ ძალიან ნერვიულობენ, თუ მათთან მისული სტუმარი არ გაიხსნა, შეიბოჭა. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნოს.

— როგორ ახერხებენ შოუმენები სტუმრების გახსნას?

— მოდი, ეს ჩვენც, გუნდმაც „დავიბრალოთ“ — ჩვენ ხომ ამ შოუზე ეკრანს მიღმა ვმუშაობთ. ვეხმარებით ბიჭებს. როდესაც სტუმრები სტუდიაში მოდიან, ისინი ეცნობიან, თავს წარუდგენენ მათ. ბევრი გრძნობს შოუმენების კეთილგანწყობილებას. ზოგს მათი ემინია, რადგან ფიქრობენ, რომ ისინი საშინელ დღეში ჩაყრიან... გადაცემის შემდეგ, სტუმრები უმეტესობა კმაყოფილი რჩება, ზოგი — ნაკლებად. თუმცა, ყველას უნდა, რომ საინტერესო რესპონდენტი იყოს და მომზადებულიც მოდიან.


— როგორც მას-ლოვს, მათი პირველი სტუმარი იყავი, ასეა?

— კი. მე ყველაზე ცუდი სტუმარი ვიყავი. ძალიან ვნერვიულობდი, თითქმის არ ვლაპარაკობდი. ერთადერთი, რასაც ვაკეთებდი — ვიჯექი და ვილიმობდი. იმიტომ, რომ, როგორც ამ გადაცემის პროდიუსერი, განვიცდიდი, არ ვიცოდი, როგორი გამოვიდოდა ტელეშოუ. მათაც, ცოტათი

დამინდევს...

— ეკა, ზოგი ამბობს, რომ ჭიჭიკო და ბიჭიკო ბევრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს ანუ მეტისმეტად თამამ კითხვებს უსვამენ რესპონდენტებს. ამაზე რას იტყვი?

— ისინი არიან ისეთები, როგორებიც არიან! თუ სიმართლე გინდათ, გეტყვი, — ჭიჭიკო და ბიჭიკო ძლივს დაითანხმეს



იმაზე, რომ მათ ტელეეთერშიც ემუშავათ, რადგან ბიჭები თავიდან, რადიოშოუთი გახდნენ ჩვენს ქალაქში ცნობილები (როგორც იცით, რადიოშოუსაც აგრძელებენ). სხვათა შორის, რეალურად, ცხოვრებაშიც ასეთები არიან — უზარმაზარი იუმორის გრძნობა აქვთ.

— სხვათა შორის, მათ იმასაც საყვედურობენ, რომ ზოგჯერ, უბამს გამოთქმებაც მიმართავენ...

— ჰო, შეიძლება (იციინის)... ერთხელ მამაჩემმა აღმოფოთებულმა მკითხა — კითხვებს, სადაც უხამსი სიტყვებია, შენ უნერ ბიჭებსო?... რა ვუყოთ, ასეთები არიან, ხან რას ამბობენ, ხან — რას. თუმცა, მგონია, რომ გარკვეულ ჩარჩოს მაინც არ სცილდებიან. მე მათ მიმართ კეთილგანწყობილი ვარ და მათი შეფასებისას, მაინც სუბიექტური ვიქნები. ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავენ, ბევრს იცინებენ და თავისებურად გარჩევენ კიდევ. მიმაჩნია, რომ ისინი ჭკვიანები და თავისუფლები არიან.

— ევ იგი, მათ ვერ იმორჩილებ?...
— დამორჩილება — სასაცილოა: „უცნობი“ არავინ არავის იმორჩილებს, იქ სულ სხვა სახის ურთიერთობებია... ჭიჭიკოს და ბიჭიკოს ამა თუ იმ ადამიანზე ინფორმაციას ვანვდი, სტუმარს ვუთანხმებ, შეიძლება, კითხვებიც დავუწერო, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ იქიდან სტუმრისთვის არც ერთი კითხვა არ დაუსვამთ, აბსოლუტურად თავისებურად წაუყვანიათ შოუ. ძირითადად, ასე ხდება, სრული იმპროვიზაციაა...



ჭიჭიკო და ბიჭიკო ძლივს დაითანხმეს იმაზე, რომ მათ ტელეეთერშიც ემუშავათ

ტალგიას გადაცემა „დიალოგები“ მიკმაყოფილებს. რადიოს განსაკუთრებული ინტიმურობა ახასიათებს, თავისი დადებითი მხარეები აქვს.

— ასე რომ, კომფორტი და ინტიმი რადიოში არ გაკლია. რაკილა „ჭიჭიკო და ბიჭიკოს“ პროდიუსერიც ხარ, მოდი, გვითხარ, რა მოვლენაა ჭიჭიკო და ბიჭიკო ჩვენს ქალაქში?

— ეს არის ინტელექტუალური იუმორის ნიმუში; ვილაცამ თქვა — ქალაქური იუმორიაო, — და ვუთანხმები. წინა გადაცემაში, ჭიჭიკოს და ბიჭიკოს თბილისში განთქმული მექისეები ჰყავდათ სტუმრად. მათი სტუდიაში მონუვევის იდეა უცნობს ეკუთვნის. თავიდან რომ თქვა — მექისეების მოყვანა ურიგო არ იქნებოდაო, — გამიკვირდა — ნეტავ, რა უნდა გამოვიდეს ამ გადაცემიდან-მეთქი? მაგრამ შოუ ურიგო არ გამოვიდა. სტუმრები კარგად აპყვნენ წამყვანებს იუმორში. საინტერესო და გასათვალისწინებელი ის არის, რომ ჭიჭიკოს და ბიჭიკოს ყველაფერზე აქვთ საკუთარი აზრი. ორიგინალურები და

პრეპარატი ფინსი ვაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
მგზავს ანატი საუკუნოვან გამორჯილებას!
ნეიროდერმიტი
სეზონალური იქითხეტი
იმპროვიზაციით ურთიერთობაში
საუკუნოვანი გამოსდილავის მქონე, ყველაზე ავთენტური, არაპროპრიონალური მალაპოს საშუალებით
სხელი ხაზი: 39 66 03

უდისებიდან დანახუდი „ჯეოსტარელები“ და „წითელ ოთახში“ გამომწყვდეული ვარსკვლავები



ნათია ჰივიძე

ფილარმონიაში მისვლა მომღერლებს დავასწარი და „წითელ ოთახში“ შევედი. გადანწყვეტილი მქონდა — თავიდან ჩემს ვინაობას არ გავუმხელ და შორიდან დავაკვირდები-მეთქი...

პირველი, ანანო გამოჩნდა, მომხიბვლელი ღიმილით ყველას მიესალმა და ტელეოპერატორთან გააბა ლაპარაკი. მალე დიტო ქისიშვილიც მოვიდა, ყველა მეგობრულად გადააკოცნა... დიტოს, ნანა ჩიქავა, ნათია ქოროლიშვილი და თინათინ ჭულუხაძეც მოჰყვნენ. „წითელ ოთახში“ ყველამ ერთ მაგიდასთან მოიყარა თავი და ათახგვარ „საჭირბოროტო“ საკითხზე დაიწყო მსჯელობა. მალე, მათ პირველი „ჯეოსტარის“ მონაწილე, აჩიკო ნიჟარაძეც შეუერთდა და სევდიანი ხმით თქვა: იცით, მაიკლ ჯექსონი გარდაიცვალაო! — რასაც ლიზა ბაგრატიონის მწვავე რეაქცია მოჰყვა. აჩიკო მალევე გამოტყდა, რომ იხუმრა.

ნანამ (სამეგრელოდან) ლიზას მაგიდასთან გადაინაცვლა და უთხრა: შავი კაბა შევიკერე, მიჩიე, წინ ჩაბხნა მოუხდება თუ არაო. ლიზამ ნანასთვის რჩევები არ დაიშურა (სხვათა შორის, ლიზა ბაგრატიონი კიდეც უფრო გამხდარა და მშვენივრად გამოიყურება). მალე, მათ ანანოც შეუერთდა. მაგრამ აჩიკო ნიჟარაძემ ქალებს „ჭორაობა“ არ აცალა, მათთან მივიდა და იკითხა: შემდეგ ორშაბათს როგორი სახის ტური გექნებათ? გოგონებმა მხრები აიჩიჩეს, ამ კითხვაზე პასუხი არც ლიზა ბაგრა-

იმის გამო, რომ დებიუტანტი მომღერლები — „ჯეოსტარელები“ საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევენ, გადაწყვიტე, ერთხელ მათთან მთელი დღე გამეტარებინა და გამერკვია, რა ხდება კულისებში, როგორები არიან ისინი სცენის მიღმა, როგორ მიმდინარეობს მათი რეპეტიცია და როგორ ემზადებიან სცენაზე გასასვლელად. საამისოდ ორშაბათი შევარჩიე და ორგანიზატორებთან შეთანხმების შემდეგ, ფილარმონიას მივაშურე. ვიცოდი, რომ კონკურსის მონაწილენი 6 საათიდან იკრიბებიან, რომ გენერალური რეპეტიცია გაიარონ.

ტიონს ჰქონდა, აჩიკომ კი, პრობლემა უცებ გადაჭრა: რადგან დღეს დუეტებს ცნობილ ადამიანებთან მღერით, შემდგომში ცხოველებთან ერთად იმღერეთ, ძალიან საინტერესო გამოვაო... ანანომ მაშინვე გადანყვიტა — სიამოვნებით შევასრულებდი დუეტს ზებრასთან ერთადო. თინათინს აჩიკოს შეთავაზება გაუკვირდა, მაგრამ მაინც თქვა — ძროხასთან ერთად ვიმღერებო...

როცა ამ დიალოგს ვუსმენდი, თურმე, დიტო მე მილიძოდ (მოგვიანებით შევნიშნე) და ინტერესით მაკვირდებოდა: იმდენად ცნობისმოყვარე ყოფილა, რომ ვერაფრით აიტანა იმდენ ხალხში მყოფი ერთი უცხო ადამიანის დანახვა. ლიზას გარშემო შემოკრებილმა ახალგაზრდებმა საოცნებო ცხოველებზე საუბარი ვეღარ განაგრძეს, რადგან ისინი სცენაზე მიიხმეს — რეპეტიცია იწყებო. რა თქმა უნდა, მეც მათ მივყევი უკან და სცენაზე ადგილიც კი დავიკავე. არც ერთ მათგანს არ ეტყობოდა ნერვიულობა და მოახლოებულ საკონკურსო საღამოზე არც კი ლაპარაკობდნენ.

როგორც მათი ლაპარაკიდან გავარკვიე, „ჯეოსტარელები“ იმ დღეს ცნობილ ადამიანებთან ერთად მღეროდნენ დუეტებს. ვიდრე ჩვენი შოუბიზნესის წარმომადგენლები მოვიდოდნენ, აჩიკო ნიჟარაძემ გადანყვიტა, დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრაში გამოეცადა საკუთარი ძალები და რეპეტიციის დაწყებამდე იქიდან ვეღარც ჩამოიყვანეს.


სულ მალე დარბაზში ჯგუფი „ფორტე“ გამოჩნდა. ოლონდ ამჯერად, ოთხის ნაცვლად, სამნი იყვნენ, ამიტომ, მანანა მაისურაძის ადგილი იმ დღეს დიტოს უნდა დაეკავებინა. როცა სხვა მონაწილეებმ სცენაზე იხსდნენ და საკუთარ რიგს ელოდნენ, ნათიას მეუღლემ მოაკითხა და მასთან ერთად დარბაზში დაჯდა. იქიდან ადევნებდა მეგობარ-კონკურენტების რეპეტიციას თვალყურს. სცენაზე კი „ფორტე“ და დიტო იდგნენ და რეპეტიციის დაწყებას ელოდნენ.

დიტოს და ზურა მანჯავიძეს ძალიან მოეწონათ ერთმანეთი, რადგან ორივე ერთნაირად მხიარული და იუმორის მოყვარულია. სცენაზეც არ ავინწყდებოდათ ხუმრობა და საკუთარ ნამოქმედარზე თავადვე ეცინებოდათ. მათ „დი-

ლილმე“ უნდა შეესრულებინათ, რომელსაც დიტომ რატომღაც, ჯექსონისეული მოძრაობები შეუხამა და ჟიურის რიგიდან (იმ დროს, იქ მხოლოდ ნიკა მემანიშვილი იჯდა) ქებაც დაიმსახურა. ნუცა ჯანელიძე დარბაზის ბოლოში ხმის რეჟისორთან ერთად იჯდა და თავისი ჯგუფის წევრებს ადგილიდან, მიკროფონის მეშვეობით აძლევდა შენიშვნებს. მათი სიმღერა იქ მყოფთ ისე მოეწონათ, რომ ნიკა მემანიშვილისა და ლიზა ბაგრატიონის ჩათვლით, თითქმის ყველა ცეკვავდა.

რეპეტიცია დასრულდა თუ არა, დიტო მომიბრუნდა და მკითხა, მომეწონა თუ არა მისი სიმღერა? მომეწონა-მეთქი, — ვუპასუხე. შემდეგ სცენა ანანო მეყვამ და მერაბ სეფაშვილმა დაიკავეს. მათ დუეტისთვის ძველი სიმღერა — „დეკემბერი, დეკემბერი“ შეერჩიათ. 20-25 წლის წინ ამ სიმღერას ანანოს დედა, ქალბატონი დარეჯან გურასაშვილი და მერაბ სეფაშვილი ასრულებდნენ. ახლა კი დედის ადგილი, ღირსეულმა შემცვლელმა, მისმა ქალიშვილმა ანანომ დაიკავა და საკმაოდ კარგადაც იმღერა. მერაბმა სიმღერაში რამდენიმე შესწორება შეიტანა, თუმცა ბოლოს თქვა — თქვენ როგორც გინდათ, ისე იყოს, მე აქ ამ ბავშვებისთვის ვარ მოსულიო.

ამასობაში, დარბაზში მყოფმა, „ფორტეს“ ერთადერთმა მამაკაცმა, ზურა მანჯავიძემ შეიტყო, რომ თურმე, იმ დღეს „ჯეოსტარელებს“ მხოლოდ ერთი ტური



სიმღერა იქ მყოფთ ძე მოეწონათ, რომ ნიკა მემანიშვილმა და ლიზა ბაგრატიონის ჩათვლით, თითქმის ყველა ცეკვავდა

ლიმა ბაგრაგიონი „ჯეოსტარტაპებისთვის“ რჩევებს არ იშურებს



ჰქონდათ და ძალზე ეწყინა — ე.ი. რომ წააგონ, ჩვენი ბრალი იქნებაო?.. შემდეგი მონაწილეები — აჩიკო ნიჟარაძე და თინათინი იყვნენ, რომლებმაც „საყვარელო მამული“ შეასრულეს. სხვათა შორის, მათი ხმები ძალიან უხდებოდა ერთმანეთს და მოგვიანებით ეს ჟიურიმაც აღნიშნა. ვიდრე ისინი მთელი მონაწილეებით ამ ულამაზეს სიმღერას ასრულებდნენ, დიტო კვლავ უშეშებლად ხასიათზე დადგა, იფიქრა — ე.წ. „პატანცოვკა“ ხომ სჭირდება ამ ყველაფერსო! — და ნანა „ტანგოს“ საცეკვაოდ გაიწვია. ამ დროს, დარბაზში, მეუღლესთან ერთად, ლელა წურწუშია გამოჩნდა და მაშინვე ვიფიქრე, რომ ის დუეტს ნანასთან შეასრულებდა; მართალიც აღმოჩნდა: სულ მალე სცენა მეგრულმა წყვილმა დაიკავა. ისიც განვჭვრიტე — ალბათ, რაიმე მეგრულს იმღერებენ-მეთქი, მაგრამ ამ შემთხვევაში შევცდი: მათ რუსა მორჩილაძის სიმღერაზე შეეჩერებინათ არჩევანი.

სულ ბოლო მონაწილეები კი, ნათია და გიო ხუციშვილი აღმოჩნდნენ. მათ

ნათო გელაშვილის სიმღერა — „ჩემო ცისფერთვალეზე“ იმღერეს. ვიდრე ნათია სცენაზე იდგა, მისი მეუღლე მას დარბაზიდან ადევნებდა თვალყურს და თან, იმავე სიმღერას ლილინებდა. სხვათა შორის, კახელები ამბობენ, ნათიას ძალიან კარგი ქმარი ჰყავს, ის ყველაფერში ხელს უწყობს და ამიტომაც არის ასეთი წარმატებულიო. საოცარია, მაგრამ მათ უკვე ორი შვილი ჰყავთ. კახელები იმასაც ამბობენ, გურჯაანში, ერთ-ერთ ბანკში, ნათიას სახელზე მისმა გულშემატკივარმა თანხა ჩარიცხა, რომ იქაურ მცხოვრებთ ტელეფონის ბალანსი შეეხსოთ და ნათიასთვის ხმა მიეცათო. არ ვიცი, ეს რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ნათია თითქმის ყველა ტურზე ლიდერობს და მას თავყვანისმცემელთა მთელი არმია ჰყავს...

ნათიასა და გიორგის სიმღერის შემდეგ, ნიკა მემანისვილიმ ყველა შეაქო, მადლობა გადაუხადა და გამოაცხადა — რეპეტიცია დამთავრებულია, სცენაზე გამოსასვლელად მოემზადეთო.

სცენიდან ისევ „წითელ ოთახში“ გადავიხილეთ. ნანიკო ხაზარაძე და დუტა სხირტლაძე უკვე მოსულიყვნენ და ნახევრება გადაეწყვიტათ. თან სასცენო საქმეებსაც ენერგიულად აგვარებდნენ. გოგონები გრიმის გასაკეთებლად და ჩასაცმელად, ქვემოთ ჩავიდნენ. მე დიტოს ცნობისმოყვარე ღიმილს ველარ გავუძელი და გამოველაპარაკე:

— დიტო, ნერვიულობა არ გეტყობა...

— ალბათ არ მეტყობა, მაგრამ ცოტას ნერვიულობ, რადგან „ფორტესთან“ ერთად ვმღერი და ხმებში სიმღერა ყოველთვის რთულია. თან — ეს სახასიათო სიმღერაა, ამას კი სპეციალური განწყობილება სჭირდება. იცი, ვერ ვიტან რეპეტიციებს. იქ როგორც არ უნდა მასწავლონ, მერე იმას სცენაზე მაინც ველარ გავიმეორებ, აზრი არა აქვს. გარმონით რომ ვიმღერე, ხომ გახსოვს, ჩემი თვალების დაჭყყტა? მაშინ აჭარებლებმა დამირეკეს და მითხრეს — რაფრა ტყვილიპავ, ბიჭო, თვალეზო!.. სიმღერაში კულმინაციურ მომენტს რომ მიუახლოვდი, სადაც ვმღეროდი — „არის მთაზედა ყორნები“, — იმ დროს მე ფილარმონიაში არ ვიმყოფებოდი — ეს თვალების ჭყტა შიგნიდან წამოვიდა. თვალეზო რომ გავახილე, იქ ხალხს კი არა, მთას ვხედავდი... იმის მერე სახლში მილიონჯერ ვცადე, რომ ეგ მომენტი ასევე კარგად მემღერა, მაგრამ არ გამოვივიდა. ამიტომ ვერ ვიტან რეპეტიციებს.

— ვინ გასწავლა გარმონზე დაკვრა?

— პაპას ჰქონდა ეს ინსტრუმენტი. ზაფხულობით მასთან რომ ჩავდიოდი, მაშინ ვსწავლობდი და ხომ ხედავ, გამომადაგა.

— არ გიჭირს, ამდენი ქალის გარემოცვაში ერთი ბიჭი რომ ხარ?

— საერთოდ, მათთან თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ცოტა მიჭირს ამხელა „ოჯახის“ გაძღოლა. კარგი იქნებოდა, კიდევ ერთი ბიჭი რომ ყოფილიყო ჩემთან ერთად. ისე კი, შინაურული „სიტუაცია“ აქ... სცენაზე ხშირად ვეშმაკობ და ვხალისობ, მაგრამ ამან ჩემზე უარყოფითად იმოქმედა. რაღაც უპასუხისმგებლოდ გამომივიდა... „ბესამე მუჩო“ თავიდან ძალიან მაგრად დავიწყე, მაგრამ მერე, ჩანანერი რომ ვნახე, ჩემს თავს ვაგინებდი — ეს რა ქენი, ბიჭო-მეთქი?! მერე გამოვასწორე.

— შენი აზრით, დღეს ვინ იქნება ლიდერი?

— ეგ წინასწარ არასოდეს ვიცი. რა ვიცი, რა მოხდება.

პაპას ჰქონდა ეს ინსტრუმენტი. ზაფხულობით მასთან რომ ჩავდიოდი, მაშინ ვსწავლობდი და ხომ ხედავ, გამომადაგა



კარგა ხანს ვისაუბრეთ მე და დიტომ. ბოლოს კი აღმოვაჩინეთ, რომ წარმოშობით ორივე ახალგორიდან ვართ და მაშინ მივხვდი, ქვეშეცნეულად რატომ ვუჭერდი მას მხარს „ჯეოსტარის“ დანყებიდანვე... მალე ისიც ნავიდა მოსამზადებლად.

იმ დღეს ორგანიზატორებმა ცვლილება შეიტანეს და „წითელ ოთახში“, „ჯეოსტარელების“ ნაცვლად, პოპულარული მომღერლები დასვეს, ხოლო მონაწილეები კულისებში იმყოფებოდნენ. აი, ამ დროს კი, უკვე თითოეულ მათგანს ეტყობოდა ნერვიულობა, თუმცა, ერთმანეთს მაინც ძალზე აქტიურად გულშემატკივრობდნენ.

ჩემდა სამწუხაროდ, ის ტური დიტოსთვის იღბლიანი არ აღმოჩნდა და ხმათა უმრავლესობით, მან კონკურსი დატოვა...



დუტა ჩვეულ ამბულუსიაში...

„სოსხუმიდან 1994 წლის 31 სექტემბერს გამოვედი, ჩემს გოგონასთან — 14 წლის დედანასთან ერთად მუდღე იქ დარჩა და შემდეგ, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დღესაც არ ვკარგავ იმედს, რომ ის ცოცხალია და ოდესმე, აუცილებლად გამოჩნდება“, — მითხრა ქალბატონმა იზა სალახანიამ, რომელიც რამდენიმე წლის წინ, როგორც თვითონ ამბობს, ორგზის ლტოლვილი გახდა, რადგან ახლა რუსეთიდანაც გამოაძევეს.



რუსული მილიციისგან უპინძრობელი ქართველები „სულზე“ სხვრებივით უარევენ „ქართველებს იმდენი ჭუჭყი გაქვთ, არ ჩამოიბანებაო“...

ლიპა ქაჩაია

— ამბობენ: სოსხუმის ცენტრში არის მე-მორიალი, სადაც გამოკრულია იმ ქართველი და აფხაზი ადამიანების სია, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენო. არავითარი სურვილი არა მაქვს ეს მე-მორიალი ვნახო, რადგან მემინია, იქ ჩემი მუდღის სახელიც არ ამოვიკითხო. დღემდე, მეც და ჩემი შვილიც იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ ოდესმე, დაბრუნდება და მიჩვენებია, სიცოცხლის ბოლომდე ამ იმედით ვიცხოვრო...
— რუსეთში წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— აფხაზეთიდან საცხოვრებლად ზუგდიდში გადავედი. ცოტა ხანში, ერთმა ქალბატონმა — ციცო გოგიბერიძემ ბილეთები მომცა და მითხრა: რუსეთში წადი, იქ ალბათ, თავის რჩენას შეძლებ, მერე შემომითვალე, როგორ მოეწყობითო. რუსეთში ისეთი განწყობილებით წავედი, თითქოს საკუთარ ქვეყანაში უნდა გავმგზავრებულიყავი.

საქართველოში დარჩენა რატომ არ გასურდათ, რუსეთი თქვენთვის უფრო მშობლიური იყო?

— სამშობლოში ცხოვრებას რა სჯობია, მაგრამ აქ ისეთი არეული სიტუაცია იყო, რომ ყველაფრის იმედი დაკარგე — მე და ჩემს გოგონას საკუთარი ჭერი არ გვქონდა, ვერც სამუშაო ვიშოვე... რუსეთში ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ და ვიფიქრე, რაღაცაში დამხმარებინან-მეთქი. მალე შვილთან და დასთან ერთად მოსკოვში წავედი...



სამშობლოში ცხოვრებას რა სჯობია...

— მაგრამ, მაშინ დევნილებს იმის საშუალება ჰქონდათ, რომ ბინა ეშოვათ...

— ის ადამიანები, რომლებიც აფხაზეთიდან ადრე წამოვიდნენ, ზოგი ბათუმში (სასტუმროებში თუ სხვა დანესებულებებში), ზოგი კი — თბილისში დამკვიდრდა. ვნანობ, რომ სამშობლო ისე დავტოვე, ამ ამბით არც დავინტერესებულვარ. იქნებ, აქ უკეთესად აწყობილიყო ჩემი ცხოვრება! ყოველ შემთხვევაში, მეორედ მაინც არ მომიწევდა იმ ადგილის დატოვება, სადაც თვითდამკვიდრებას ვცდილობდი.

— რუსეთში ჩასულს ნათესავები დაგხვდნენ?

— კი, ცოტა ხანს მათთან ვცხოვრობდი, მერე კი, გზა ჩვენით გავიკვლიეთ.

— რას გულისხმობთ?

— მუშაობა ბაზრობაზე, ე.წ. „ლუჟნიკების“ ტერიტორიაზე დავინყე — იქ ჩაის, ყავას ვყიდდი. მართალია, ეს ვირული სამუშაო იყო, მაგრამ ამით თავის რჩენა, ბინის ქირაობა და გადასახადების გადახდაც შესაძლებელი იყო. იქ მოვაჭრე ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ მათი კონკურენტი ვიყავი, რაღაცეებში მხმარებოდნენ, მამხნევებდნენ. თითქმის მთელი საქართველო მოსკოვში იყო.

— რუსები როგორ გექცოდნენ?

— ისინი კარგ დროსაც არ იყვნენ ჩვენ-დამი კეთილად განწყობილნი.

— „კარგ დროს“ რას ეხსით?

— კომუნისტების დროს, როცა მოსკოვში მივედი, არც მაშინ ვეხატებოდი გულზე. იცი, რას გვეძახდნენ? — „ჩერნი-უოპები“ ხართო. დავაკვირდი, როცა აზერბაიჯანელები, ყირგიზები, უზბეკები და ა.შ. თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მათთვის შენიშვნა არასდროს მიუციათ, ჩვენ კი გვეუბნებოდნენ: რუსულად ილაპარაკეთო.

— მაგრამ ყველა ასე ხომ არ გექცეოდათ?

— არა, ზოგიერთი რუსი ჩერდებოდა და გვეუბნებოდა: სოსხუმი, ბათუმი და ა.შ. ვარ ნამყოფი ან ახალციხეში, ვაზიანის ჯარში ვმსახურობდიო. ბევრი მათგანი გვიქებდა სტუმართმოყვარეობას — წყალს რომ ვითხოვდი, ღვინოს გვანოდებდნენ და სუფერას გვიმლიდნენო... მილიციისგან კი, რომელიც მთავრობის მითითებით მოქმედებს, კარგი არაფერი მახსოვს. ისინი ოქტომბრის თვემდე ჩვენთვის ფულის გამოძალგას ცდილობდ-

ნენ. გვეუბნებოდნენ, აქ მარტო სომხებს შეუძლია ვაჭრობა, რადგან ისინი ჩვენი ძმები არიან, თქვენ კი ნატოსკენ მიიწვევთ, ე.ი. ჩვენი მტრები ხართო.

— როცა რუსეთის ელჩი საქართველოდან გაიწვიეს, მოსკოვის მოსახლეობას ამაზე როგორი რეაქცია ჰქონდა?

— ამის შემდეგ, ყველანი შემფოთებულნი ვიყავით, მაღაზიაშიც კი სირბილით მივდიოდით და უკან გიჟებივით მოვრბოდით. ნაცნობები ერთმანეთს ვურევავდით. ერთ დღეს, ქუჩაში ყოველგვარი საბუთის გარეშე გავედი, რადგან არ ვიცოდი, რომელი „დოკუმენტის“ ჩვენება მომიტანდა სიკეთეს, დავიბენი...

— კონკრეტულად?

— რუსეთში იყო ერთი პატარა, უწყინარი ორგანიზაცია — „აფხაზეთიდან დევნილთა კომიტეტი“, რომელიც დევნილებს გვაძლევდა საბუთს, უფრო სწორად, 2 ფურცელს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვიყავით უბინაო, უსახლკარო ადამიანები და მილიციას არ უნდა დავეჩარგეთ. მახსოვს, ერთხელ მილიციელმა გამაჩერა და როცა მას ეს საბუთი ვუჩვენე, მითხრა: ეს მხოლოდ სულელებისთვისააო. ამის შემდეგ, მისი გამოჩენისაც კი მრცხვენოდა. პერიოდულად მქონდა ვიზა, რეგისტრაცია, ზოგჯერ, მილიციის მოსყიდვასაც ვახერხებდით და ასე ვცხოვრობდით. ბოლოს, როცა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა საბოლოოდ დაიძაბა, არანაირი საბუთი აღარ ჭრიდა და ამიტომ, მეც რამდენჯერმე მოხვდი მილიციის განყოფილებაში, თუმცა მათ „ბრჭყალებს“ თავი მაინც დავალწიე... 26 თუ 27 ოქტომბერს (ზუსტად არ მახსოვს), ისევ დამიჭირეს. ის ღამე რომელიც განყოფილებაში გავათუნე, მეორე დღეს კი, „მირავიო სულზე“ წამიყვანეს. იქ 10 კაცს გვასამართლებდნენ, მხოლოდ ორნი ვიყავით საქართველოდან. ჩემთან ერთად ვილაც ტყე-იბუღელი კაცი იყო, მერაბი ერქვა. „სულზე“ არავისთვის არაფერი უკითხავთ — ცხვრებივით შეგვრევს და განაწინიც გამოგვტანენ: მე და მერაბს დემორტირება მოგვისაჯეს, დანარჩენი 8 კაცი კი — გაუშვეს. მერე, მე ქალთა „ატლელენიაში“ წამიყვანეს...

— იქ როგორ გექცოდნენ?

— ჩვენთვის თავზე ხელი არავის გადაუსვამს, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, დაგვიცინოდნენ. რომ ვიტყვოდით — დაბანა გვინდათქო, ერთი მილიციელი, რომელსაც მისი მანერების გამო ცისფერს ვეძახდით, გვეუბნებოდა: ქართველებს იმდენი ჭუჭყი გაქვთ,

რამდენიც არ უნდა იხეხოთ, მაინც არ ჩამოიბანებო... ბოლოს, შიშშილობა დავინყე: ჩემმა შვილმა არ იცის, სად ვარ და მასთან დარეკვის უფლება მაინც მომეცით-მეთქი. ტელეფონი შემოიტანეს და დღედაღამ დაეფურეკე. მან მთხოვა: შიშშილობა შეწყვიტეო. დაფუჯერე. მეორე დღეს, ჩვენთან საქართველოს კონსული მოვიდა და დაგვამწვიდა: ბილეთებზე არ ინერვიულოთ, ამაზე მე ვიზრუნებო. თბილისი სიტყვებით მოგვმართა, რაც ჩვენთვის ბედნიერება იყო, რადგან ჩვენი მთავრობის მხრიდან ყურადღება ვიგრძენით. მანამდე გვეგონა, რომ უპატრონოები ვიყავით... ამასობაში, თურმე ჩემი შვილი, ნიკა გვარამიას ეკონტაქტებოდა და ისიც გვეზარებოდა. არ ვიცი, ზუსტად ვისი დამსახურება იყო, საქართველოში მშვიდობით რომ დავბრუნდით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ისინი გვერდით დავიდეგნენ.

ცხენი რამდენ დღე იყავით?

— საკანში 27 დღე ვისხედით. თავიდან, 4 ქართველი და 2 უზბეკი ვიყავით, მერე ზანგებიც „შემოასახლეს“. ცხის საქმელს არ ვჭამდით, რადგან ისეთი საზიზღარი რაღაცები მოჰქონდათ, რომ იმას პირს ღორიც არ დააკარებდა.

აბა, რითი იკვებებოდით?

— საქმელი ნაცნობებს შემოჰქონდათ. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ერთი აფხაზი ქალი ძალიან მეზმარებოდა. თუ რამე დამჭირდებოდა, ჩემთვის ყველაფერი მოჰქონდა. მილიცია ჩვენებს რაღაცების შემოტანას უკრძალავდა. ისე გამოდიოდა, თითქოს ახლობლების მიერ მოტანილი ქათმის ხორცი და შებოლილი ყველი მოგვწამლავდა, მათი „ბალანდა“ კი, სიცოცხლეს მოგვიმატებდა... რუსები დამცინავად გვეუბნებოდნენ: თქვენი სააკაშვილი საქართველოში ყველაფერს დაანყობს, კრედიტს, ბინას მოგცემთ და აქ რატომ ჩერდებით, საზღვარზე კი, ნატოს ჯარი გელოდებათო... მოკლედ, ორგზის ლტოლვილი ვარ: ერთხელ სოსჟომიდან გამომაძივეს, მეორედ — მოსკოვიდან. ჯერ კიდევ მოკში ვარ. როცა დამიჭირეს, მაშინ ვთქვი: თბილისში რომ ჩავალ, ვილაც რუსს სახლში შეუვარდები და გამოვაგდებ, მე კი მის ბინაში ვიცხოვრებ-მეთქი. ეს აზრი იმ ქართველებმა დამინუნეს, რომლებსაც იქაური მოქალაქეობა აქვთ.

ამით რისი თქმა გინდათ, იქაურ მოქალაქეებს არ ერჩიან?

— არა, ისინი ჩვეულებრივად აგრძელებენ ცხოვრებას. ერთმა ქალმა მითხრა: ღამე მილიცია მოვიდა, გაგვჩხრიკეს, შეგვაპოვნეს და როცა დარწმუნდნენ, რომ მოქალაქეობა გვექონდა, წავიდნენო.

ამბობენ, თუ იგორ გიორგაძის პარტიაში ჩაენერები, მოსკოვში ცხოვრების უფლებას მოგცემენო...

— მსგავსი არაფერი მამენია, თორემ იქ ჩაწერას და ფორმალურად გაფორმებას რა უნდოდა?

ახლა რას აპირებთ?

— არ ვიცი, რა უნდა ვქნა, დაბნეული ვარ. საქართველოში საარსებო წყაროს ძებნა რთულია, დეპრესიაში ვარ და არავის ნახვა არ მინდა. სახელმწიფო ერთჯერად დანმარებას გვპირდება და ვნახოთ, რა იქნება.

პირობა რომ არ შეასრულონ, მაშინ რას იზამთ?

— რა უნდა ვქნა? 5 წელი რუსეთში არალეგალურადაც ვერ ჩავალ, სხვაგან წასვლა კი, არ შემიძლია და ასე, ხელგანჯვდილი და იმედით აღსავსე ველოდები მთავრობის გადაწყვეტილებას.

კრიტიკა

გირგვლიანის საქმიანობა მსჯავრდებულშია მიმართა განაჩენი უცვლელი დარჩა

„მთავრობა ყველანაირად ცდილობს, მკვლელობის დამკვეთებს ხელი დაათავროს“

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, თბილისის სასაპულაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო და პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა. შეგახსენებთ, რომ საქალაქო სასამართლომ განსაჯელებს — შს სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს გამამტყუებელი განაჩენი გამოუტანა და ჩადენილი დანაშაულისთვის გაია ალანისა 8 წლით, ხოლო მიხეილ ბიბილურიძეს, ალექსანდრე ლაჭავასა და ავთანდილ აფციაურს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სააპელაციო წესით, განაჩენი ორივე მხარემ გაასაჩივრა. პროკურატურამ საჩივრით მსჯავრდებულებისთვის სასჯელის ერთი წლით დამძიმება მოითხოვა. დაზარალებული მხარის პოზიციით კი, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ „ზემოდან“ ნაკარნახევი მითითებები შეასრულა და ობიექტური არ იყო. დაზარალებული მხარე აცხადებს, რომ ამჟამად, ციხეში მხოლოდ შემსრულებლები სხედან. სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები, ახლობლები და მათი მხარდამჭერები მკვლელობის დამკვეთების დაკავებასა და მათ გასამართლებას მოითხოვენ...

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სპიკერ-მოსამართლემ — თამარ ალანიამ ზემოთ აღნიშნულ განაჩენთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, ამ შემთხვევაში, კანონის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეე-

ძლო, ოთხი სახის განჩინება გამოეტანა — მსჯავრდებულები გაემართლებინა, მათთვის მსჯავრი შეემსუბუქებინა ან დაემძიმებინა, ან პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დაეტოვებინა. სპიკერ-მოსამართლემ განმარტა, რომ სხვა პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის.

რაც შეეხება საქმის სასამართლო განხილვის პერიოდში სხდომაზე წარმოთქმულ ხმადაღარ რეპლიკებს, სპიკერ-მოსამართლის თქმით, ყოველივე ეს სასამართლოს შეურაცხყოფაზე მიუთითებს. „პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები ამგვარ ქმედებებს, მხოლოდ თავიანთი პირადი ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებდნენ“, — აღნიშნა **თამარ ალანიამ**. მან პარლამენტარ კახა კუკავასა და რესპუბლიკური პარტიის წევრის — თინათინ ხიდაშელის განცხადებებს, აღნიშნული მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, სამარცხვინო უწოდა.

დაზარალებული მხარე სააპელაციო სასამართლოში მოწმეების ხელახლა დაკითხვას მოითხოვდა, თუმცა ეს მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ამ საკითხზე სპიკერ-მოსამართლემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის დაკითხვა მხოლოდ და მხოლოდ იმავე მოწმის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია. ასეთი თხოვნით არც ერთ მოწმეს არ მიუმართავს სასამართლოსთვის და სწორედ ამის გამო, არ მოხ-


და ამ პროცესზე მოწმეთა ხელახალი გამოძახება. ხელახალი დაკითხვები შესაძლებელია დაწყებულიყო იმ შემთხვევაშიც, თუკი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოიკვეთებოდა რაიმე ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არც ეს ყოფილა“.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც მისცეს შეფასება. მაგალითად, „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა — ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა: „ხელისუფლებამ საზოგადოების დარწმუნება სცადა — თითქოს მკვლელებს ასამართლებდა, მაგრამ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ რეალურად, განსაჯელების სკამებზე მხოლოდ ამ საშინელი დანაშაულის შემსრულებლები ისხდნენ. ხელისუფლება ახლა ყველანაირად ცდილობს, ამ მკვლელობის დამკვეთებს, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა მინისტრს — ვანო მერაბიშვილს და მის ახლობლებს დაათავროს ხელი“.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში ერთი თვის ვადაშია შესაძლებელი. დაზარალებულ მხარეს იმედი არა აქვს, რომ ზემდგომ ინსტანციაში მაინც გაიზიარებენ მის პოზიციას. გირგვლიანის ოჯახის ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, ჯერ გადაწყვეტილი არც ის აქვთ, საერთოდ შეიტანენ თუ არა საჩივარს უზენაეს სასამართლოში.

შემზარავი ტრაგედია მღვდლის ოჯახში

31 წლის მოძღვარი, მისი მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი საკუთარ სახლში გამოიწვეს



სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა მოგვიანებით აღნიშნეს, რომ ხანძრის ლიკვირებისას, დამწვარი ადამიანების გვამები დაინახეს. მესანძრეების თქმით, გვამები მათ ძალზე უცნაურ, მსგავსი შემთხვევისთვის უჩვეულო და არაბუნებრივ პოზებში დააფიქსირეს. სახლში შესასვლელი კარის ნაშთების დათვალიერებისას, ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ გარეთა სახელურებში, დიდი რკინის მილი იყო გაჩრდილი, სავარაუდოდ, იმისთვის, რომ კარი შეეღებინათ არავის გაეღო და ამ გზით თავი ვერ გადაეჩინა... როცა ამის თაობაზე სამართალდამცველებს მოახსენეს, გამოძიებამ შესაძლო სადისტურ ძალადობასა და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ შემზარავ მკვლელობაზე დაიწყო ფიქრი...

შემთხვევის ადგილზე მყოფი სამართალდამცველების, მესანძრეებისა და ექსპერტების ინფორმაციით, დაღუპული მღვდლის ცხედარს სახლის ერთ კუთხეში მიიანგეს, მისი მეუღლისა და ბავშვების დამწვარი სხეულის ნაწილები კი, სახლის სულ სხვა მხარეს აღმოაჩინეს. დედაც და შვილებიც საშხაპეში გამოიწვეს. საშხაპის სიგრძე სულ ერთ მეტრს აღწევდა. სამართალდამცველების თქმით, მათი სხეულის ნაწილები ერთმანეთზე ეყარა, მაგრამ ოთხივეს ეტყობოდა, რომ ხანძრის მომენტში, იატაკზე პირველი იწვნენ...

სამართალდამცველთა ვარაუდით, შესაძლოა, დედა და შვილები საშხაპეში ცეცხლს დაემალნენ ან — მკვლელს...

მღვდლის სახლი ტვერის რაიონის სოფელ პრიაშინოში მდებარეობდა. ხანძრის დროს, ცეცხლის ალში გახვეული შენობის სახურავი ჩამოინგრა, სახლის შუაგულ კი მთლიანად დაინვა. იმ მომენტისთვის ზუსტად არავინ იცოდა, თუ რამდენი ადამიანი და კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა შენობაში. მეზობლები ვარაუდობდნენ, რომ იმ ღამით მღვდლის ცოლი — დედა ოქსანა შინ არ უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდი არ გამართლდა. მალე, დამწვარი სხეულის ნაშთების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოქსანა ნიკოლაევა იმ საბედისწერო ღამესაც შინ,

შემზარავი ტრაგედია დატროალდა 2006 წლის 2 დეკემბერს ღამით, ტვერის სამების ტაძრის მოძღვრის, სამი მცირეწლოვანი შვილის მამის — 31 წლის ანდრეი ნიკოლაევის ოჯახში. უეცრად, მოძღვრის საცხოვრებელ სახლს, სადაც იმ მომენტში ოჯახის ყველა წევრი უნდა ყოფილიყო, ცეცხლი გაუჩნდა. სახლი მთლიანად დაინვა. შიგნით მყოფთაგან ცოცხალი არავინ გადარჩენილა. შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახურის, „სასწრაფო დახმარებისა“ და მილიციის თანამშრომლებიც გამოცხადდნენ, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო. ცეცხლმოკიდებულ სახლში ოჯახის ყველა წევრი — მღვდელი, მისი მეუღლე და მათი 3 მცირეწლოვანი შვილი გამოიწვეს.

თავის ქმარ-შვილთან ერთად იმყოფებოდა.

ბავშვებიდან ყველაზე უფროსი, დავიდი — 10 წლის იყო, შუათანა, ანასტასია — 7 წლის, ხოლო პატარა, მარია — მხოლოდ 4 წლის გახლდათ.

დაღუპულთა ცხედრები 5 დეკემბერს, სოფელ ვასილკოვოში მდებარე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს. როგორც დაღუპულთა ახლობლები ამბობენ, ანდრეი ნიკოლაევი პირველად, სწორედ ამ ეკლესიაში შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს — ოქსანა ცვეტკოვას...

მომხდარის გამო შოკში ჩავარდნილი მეზობლები და სამების ტაძრის მრევლი ერთხმად აცხადებენ, რომ ბოლო დროს, მამა ანდრეის ძალზე დაძაბულ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება და ეკლესიაში მოღვაწეობდა. მათი თქმით, მღვდელი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ხმამაღლა გამოთქვამდა აღშფოთებას ტვერის დასახლებაში ფეხმოკიდებული ლოთობისა და გახშირებული კრიმინალური შემთხვევების გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხანძარი ნიკოლაევის ოჯახში პირველი შემთხვევა არ ყოფილა. 2002 წელს ანდრეი ნიკოლაევის სახლი სოფელ ლოპატინოში დაუწვეს. მაშინ ოჯახი დაღუპვას სასწაულებრივად გადაურჩა. სრულიად შემთხვევით და დაუთვებლად, ხანძრამდე რამდენიმე საათით ადრე, მამა ანდრეი და მისმა მეუღლემ ნათესაების სახლში, სტუმრად გამგზავრება გადაწყვიტეს. გამგზავრებიდან ცოტა ხანში, სახლს ცეცხლი გაუჩნდა. სამართალდამცველები, რომლებიც აღნიშნული ფაქტით დაინტერესდნენ და ლოპატინოს მოსახლეობა დაჰკითხეს, აცხადებდნენ, რომ ოფიციალური დასკვნის მიხედვით, ხანძარი არასწორად გადაერთებულმა ელექტროსადენებმა გააჩინა. თუმცა, მამა ანდრეი, როგორც მისი ახლობლები და სამების ტაძრის მსახურები აღნიშნავენ, ზემოთ ხსენებულ ოფიციალურ დასკვნას კატეგორიულად გამოირიცხავდა და მომხდარში რაიონში მოქმედ ბანდიტურ დაჯგუფებას ადანაშაულებდა. მღვდელი ამბობდა, რომ მისი სახლი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ, კვალის დაფარვის მიზნით, დაწვეს. ამის თაობაზე, ანდრეი ნიკოლაევის ხელმოწერით, რამდენიმე ოფიციალური წერილიც არსებობს. ამ წერილებით მან სამართალდამცავ უწყებებს მიმართა და ობიექტური გამოძიე-

ბის ჩატარება მოსთხოვა. გამოძიების დასკვნა მომხდართან დაკავშირებით მაინც არ შეცვლილა...

დაღუპულის ახლობლები აღნიშნავენ, რომ ტრაგედიამდე ბოლო 2 კვირის განმავლობაში, მამა ანდრეი თითქმის ყოველდღე გამოდიოდა ადგილობრივი ტელევიზიით და მწვავე განცხადებებს აკეთებდა. მონანილეობდა სატელევიზიო დებატებში, რადიოგადაცემებში და ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდებდა, დასახლებაში შექმნილი უშიშესი მდგომარეობა და პრობლემები გაეთავისებინა და ალკოჰოლის მიღებაზე უარი ეთქვა. ისიც არაერთხელ აღნიშნა, რომ ტვერის რაიონის მკვიდრმა ლოთებმა, ალკოჰოლისთვის ფული რომ შემოაკლდათ, რამდენჯერმე სამების ტაძრის გაძარცვა და შეწირულობების წაღებაც სცადეს. ბოროტმოქმედთათვის წინააღმდეგობის განწევა მაშინ თავად მამა ანდრეის მოუხდა, შემდეგ კი, მილიციაც ჩააყენა საქმის კურსში, მაგრამ — ამაოდ...

როგორც ტვერის მოსახლეობა აღნიშნავს, მღვდლის ასეთმა, თანაც, ბოლო დროს მეტწილად გახშირებულმა განცხადებამ, არაერთი მცხოვრები გააღიზიანა, განსაკუთრებით — ლოთები. ამის გამო ისინი ერთხელ მღვდელს ტაძარში მიუტყვივდნენ და მასზე თავდასხმა სცადეს...

პრიაშინოში მომხდარ შემზარავ ფაქტთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობისა და მრევლის სხვა ვერსია სატანურ დაჯგუფებას ეხება. ფიქრობენ, რომ მართლწადიდებელი მღვდელი და მისი ოჯახი სწორედ სატანისტების აგრესიისა და ერთგვარი რიტუალის მსხვერპლი გახდნენ. სხვათა შორის, აღნიშნულ ვერსიას არც სამართალდამცველები მოჰკიდებინ უგულისყუროდ, რადგან ბოლო დროის ინფორმაციითა და სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთის ტერიტორიაზე სატანური ბუნაგები სულ უფრო მრავლდება. როგორც ვარაუდობენ, არც ტვერის დასახლება უნდა იყოს გამონაკლისი...

მირა მ. სოფელ პრიაშინოს მკვიდრი, ერთ-ერთი თვითმხილველი:

„თავად მამა ანდრეი და მისი მეუღლე — დედა ოქსანა შიშობდნენ, რომ მსგავსი უბედურება შესაძლოა, მათ თავს დასტყდომოდა. აფრთხილებდნენ კიდევ ადგილობრივ მილიციას და ყურადღებასა და შევლას ითხოვდნენ...“

გაგრძელება იხ. გვ. 62

„ზურას და ნატალის მეცა უზიცი აუოცაუთ“...

ჩვენი რეალური გმირების მიმართ ინტერესი არ ნელდება. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პოზიტიურად აფასებს მათ ქმედებას. რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში ერთმა ქალბატონმა დარეკა და თავისი აზრი მოგვასწავა. მას მიაჩნია, რომ ჟურნალში არ უნდა იბეჭდებოდეს მსგავსი რაღაცები. ცოლიანი მამაკაცისა და განათხოვარი თუ გასათხოვარი ქალბატონების ურთიერთობა ახალი ამბავი არ არის და თუ ჩვენ ამ რომანს არ დავბეჭდავთ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მსგავსი ამბები აღარ მოხდება. ჩვენ ვაშუქებთ შეყვარებული წყვილის ურთიერთობას და თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, შეაფასოს, საკუთარი აზრი გამოთქვას ამასთან დაკავშირებით. ამ კვირაში ნათელმხილველიც შეგვცნობიანა, რომელმაც ნატალისა და ზურას მომავალი განჭვრიტა. ვნახოთ, ახდება თუ არა მისი წინასწარმეტყველება...



დღეს, ამით შემყურეს გული გამისკდება“.

„ნატალი, ზურა მხოლოდ გულს გატკენს და წავა. შენ კი დიდი და მეგობრული ოჯახის ღირსი ხარ. მარი, მოდი, რა, ირინეს ამბავი დაბეჭდე?“

„ნატალი, რატომ არ ფიქრობ შენს მომავალზე? ზურასთვის ყოველთვის მეორეხარისხოვანი ქალი იქნები, პირველი და პრივილეგირებული კი — მისი ცოლი. თუ ზურას ცოლი არ უყვარს, რატომ არ გასცილდება მას და ცოლად შენ არ მოგიყვანს? მაგრამ ზურას ოჯახიც უნდა და მშვენიერი საყვარელიც. თავის დროზე ცოლიც ძალიან უყვარდა და ახლა აღარ უყვარს. რა განრანტია გაქვს, რომ შენც ასე არ მოგექცევა? შესაძლოა, 5-10 წელი იყოთ ერთად, იქნებ, მეტიც, მაგრამ ფინალი? შენ მარტო დარჩები, ზურა კი ოჯახს დაუბრუნდება. მომავალი ხომ გინდა? ზურამ წინა საყვარელი უპრობლემოდ მიატოვა. დარწმუნებული ვარ, იმასაც იოლად „დაკერავდა“ ლამაზი სიტყვებით. კაცს, რომელიც თბილისიდან ბათუმში ჩავიდა საყვარელი ქალის სანახავად და მერე ლოგინში მეძავი ჩაიწვინა, როგორ ენდობი? ერთი ღამე ვერ გაძლო ქალის გარეშე? ზურას, რა? ხომ გაგიგონია, იგი წავა და სხვა მოვაო? დაფიქრდი, ნატალი, ცოდაც ხარ... ბედნიერებას გისურვებ!“

„ნატალი, მგონია, რომ შენი ბედნიერება მოჩვენებითია და სულ მალე, ამქვეყნად ყველაზე უბედური ადამიანი იქნები, რადგან იმედი გაგიცრუდება, რაც საშინელებაა. წინასწარ ვიცი, რომ ასე იქნება, მაგრამ ვერაფერს გიშველი“.

„მე ნათელმხილველი ვარ და ამას წინათ გადავწყვიტე, ნატალის მომავალი მეხილა. ჰოდა, ახლავე მოგახსენებთ, რა მოხდება მასა და ზურას შორის. ისინი დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნებიან ერთად და მათ შვილიც ეყოლებათ — გოგონა. ბავშვს სონას დაარქმევენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუღლდებიან. ზურას ცოლი ნატალისთან მივა და ისინი საქმეს გააჩვენებ. თუმცა, ხათუნა მალე დათმობს ზურას და მას ნატალის გადაულოცავს. ბაჩოც აუცილებლად გამოჩნდება და ის ნატალის შეხვდება. სონა ამერიკიდან ჩამოვა და ნატალისთან

ერთად იცხოვრებს. თუ ნატალის შესახებ რაიმე გაინტერესებთ, მკითხეთ და მომდევნო ნომერში პასუხს აუცილებლად გაგცემთ. უსახელო. მარი, არ გეგონოს, რეკლამის გაკეთებას ვაპირებ. დაბეჭდე და ნახავ, თუ არ აცხადდება ჩემი სიტყვები“.

„ნატალისა და ზურას ურთიერთობაში სიხლეს ვერ ვხედავ. საქმე იმაშია, რომ ჩემი მეზობლების უმეტესი ნაწილი სწორედ ცოლიან კაცებს ყვარობს. მერე, რა? შესაძლოა, ზურასა და ნატალის სიყვარული გაცილებით წრფელი და ძლიერია, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მე მივესალმები სიყვარულს, თუნდაც ის ყველაზე მიუღებელი იყოს საზოგადოებისთვის. ახლა 34 წლის ვარ, მაგრამ თუ 20 წლის ბიჭი შემეყვარდება, უკან არ დავიხებ. სიყვარულის გულისთვის ჯოჯოხეთის ცეცხლსაც უნდა გაუძლო. ნატალი, არ შეგაშინოს ხალხის აზრმა. მთავარია, გიყვარს!“

„ჩემი ცხოვრება ძალიან ჰგავს ნატალის ცხოვრებას. მეც მიყვარს ცოლიანი მამაკაცი და მასაც ძალიან უყვარვარ, თუმცა ამბობს, რომ ცოლიც უყვარს. ალბათ, ესეც შესაძლებელია. მართალია, ვეჭვიანობ, მაგრამ ის ისე თბილად მექცევა, რომ ასე მგონია, როცა ცოლზე ამბობს მიყვარსო, ამას მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აკეთებს, რადგან სვდება, რომ შექცდომი და დაუშვა, როცა მასზე ქორწინდებოდა და ახლა საკუთარ თავთანაც არ უნდა გამოტყდომი. მე რომ ვუყვარვარ, ფაქტია და ნუთუ, მართლა შესაძლებელია, 2 ადამიანი გიყვარდეს?“

„ნატალი ძალიან ცუდად იქცევა. ჩანს, რომ კარგი ადამიანია და მით უფრო გასაკვირია, რატომ დაუშვა ასეთი შეცდომა. ზურაც ძალიან კარგი ჩანს, მაგრამ თავიდანვე უნდა „დაატორმუზო“, როცა იგებ, რომ კაცი, რომელიც მოგწონს, ცოლიანია. უცოლო მამაკაცების მეტი რა არის? ნატალი კი ისეთ ასაკშია, როცა ოჯახის შექმნა უფრო შეუფერის, ვიდრე საყვარლის გაჩენა. ახლა, რა უნდა ქნას? ზურა ასე უშვილოდ დაბეჭდებს მას და მერე, მაგრად ინანებს“.

„ძალიან მაინტერესებს, ვის მიიყვანს ზურა ნატალისთან. მაგას მეტი საქმე არ აქვს — კარგი სამსახური, მოვლილი ოჯახი და ცოლ-შვილი, მშვენიერი საყვარელი და აღარ იცის, რითი გაერთოს. ჰოდა, ხან რა სიურპრიზს უმზადებს საწყალ გოგოს და ხან — რას. ნატალი კი ჯერ კიდევ ვერ გამოკვებული ვარდისფერი ნისლიდან. ნატა, თავს უშველე!“

„ზურა მსოფლიოში ყველაზე მაგარი კაცია, მასზე ცუდი არაფერი თქვათ. მე უკვე გავიგე, სად მუშაობს ნატალი და შორიდან დავინახე კიდევ. სამწუხაროდ, ზურა ვერ ვნახე... მარი, მინიშნებით მაინც მითხარი, სად მუშაობს ან სად ცხოვრობს, რომ ეგეც ვიხილო...“

მარი ჩაშარიძე

„ნატალი ძალიან კარგი გოგოა და ზურასნაირ კაცს არ იმსახურებს. ზურას ერთხელაც არ უთქვამს მიზეზი, რატომ არ უყვარს ცოლი. ალბათ, ნატალი ზურას მორიგი გატაცებაა. ნატა, წადი სონასთან. იქ უფრო კარგად იქნები და ზურაც დაგავინწყდება. ზურამ კი თავის ცოლ-შვილს მიხედოს. მაპატიე, თუ გენწყინა. მინდა, ბედნიერება გისურვო!“

„ერთი სული მაქვს, როდის მოვა ხუთშაბათი, რომ გავიგო, რა ხდება ზურასა და ნატალის შორის. ნუ დაგვღალე, რა! აღარ შემიძლია, მოვკვდე ამდენი ნერვიულობით. ზურას ვურჩევ, ნატას არ აწყენინოს, თორემ გავაფრევენ... მათ ბედნიერებას ვუსურვებ! ია“.

„ოჰ, მარი, სად პოულბო ასეთ მომენტებს, ლამის გადაგვრიო ხალხი... ელოდები მთელი კვირა და რა? თურმე, ის ბაჩო კი არა, პაციენტი ყოფილა. ახლა კიდევ, სიურპრიზიოოო. მოკლედ, გადავწყვიტე, შევაგროვო ყველა ნომერი და ბოლოს, ერთად ნავიკითხო“.

„მოუთმენლად ველი ზურასა და ნატალის ამბის გაგრძელებას. ორივეს დიდ ბედნიერებას ვუსურვებ!“


„ჩემი აზრით, სონა ჩამოვიდა და ის უნდა მიუყვანოს ზურამ ნატალის. გადამიყოლებენ ესენი და ერთ მშვენიერ

შაბი.ge პარალელური საყაროუი

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო აგზავნი გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. №35-49

ნატალისა და ზურას ურთიერთობა გრძელდება. ჩვენ ცოტა ჩამოვრჩით მოვლენებს და ჯერ კიდევ ნოემბრის თვის ამბებს გადმოგცემთ. მკითხველს კი აინტერესებს, რა ხდება ახლა. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა და ერთმანეთს „ლაითად“ ეხმებიან. იმედი, ეს მხოლოდ დროებითა და ყველაფერი მოგვარდება. მათი განხეთქილების მიზეზი ნატალის ეჭვიანი ხასიათია... ამბის თხრობას კი იქიდან განვაგრძობთ, როდესაც ერთ საღამოს ზურამ ნატალის დაურეკვა და აცნობა, რომ მასთან სტუმარი უნდა მიეყვანა, რომლის ნახვაც, ძლიერ გაახარებდა.



მარი ჯაშარიძე

ყურმილი რომ დავეკიდე, დავფიქრდი, ვინ უნდა მოეყვანა ჩემთან ზურას, თანაც, ისეთი, რომლის ნახვაც ჭკუიდან გადამიყვანდა, მაგრამ ვერაფრით მივხვდი და სავარაუდოდ ვერსიაც არ მქონდა. სიმართლე გითხრათ, არავის ნახვა არ მინდოდა. დაღლილი ჩიყავი და ერთი სული მქონდა, როდის ჩავეფლობოდა ჩემს საყვარელ სავარძელში, ყავის ჭიქითა და ტელევიზორის პულტით ხელში. ასეთ დროს, ყოველთვის საკუთარ ფიქრებში ვიძირები და თითქმის ვერასდროს ვიგებ, რა ხდება ტელევიზორში. სანამ სონა წაფიქროდა, ყველაფერი სხვაგვარად იყო — ასეთ დროს ლაპარაკით ვერთობოდით, ვჭორაობდით და ხანდახან, მომავალ დღეს ან კვირას ვგეგმავდით ხოლმე. მას შემდეგ, რაც მარტო დავრჩი, საკუთარ ფიქრებთან განმარტოება დამჩქმდა. — სონა... სონა... მართლაც არავინ მყავს მისი ფასი — გავიფიქრე და ტელეფონს დავწვი. ისე მომენატრა მისი ხმის გაგონება...

— სონა, გეძინა, ხომ? — ვკითხე, როცა ყურმილში მისი ნამძინარევი „ალო“ გავიგონე.

— ჰო, მეძინა... არ იცი, ახლა ჩემთან რომელი საათია?

— არ გამიბრაზდე, რაა... მომენატრე და დაგირეკე. ვიცოდი, რომ გაგაღვიძებდი, მაგრამ მაინც...

— ტყუილად არ მოგენატრებოდი, დარწმუნებული ვარ, რაღაც ხდება.

— არა, არაფერიც არ ხდება. უბრალოდ, შენთან მინდა...

— კარგი, გოგო, ასე არ შეიძლება. კაი დიდი ხნის საყვარელივით რომ

დაინყებ ხოლმე, შენთან მინდაო... ზურა გყავს ახლა მანდ და ეგ მაგას უთხარი. მე თავი დამანებე. — რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ამას გულთ არ მეუბნებოდა და არც მწყენია, მაგრამ „გაბუსხულმა“ ვუთხარი:

— კარგი, აღარ დაგირეკავ... მაპატიე, რომ შეგანუხე...

— ოოო, როგორ გიყვარს, როცა რაღაცას გეხვეწებიან და შენ თავს იფასებ! ხომ იცი, რომ ვხუმრობ?

— ვიცი, სონა, ვიცი... ჩამოდი, რაა... აუ, რა მაგარი იქნება, ისევე ძველებურად რომ ვიცხოვროთ, არა? თუმცა, ძველებურად ალბათ, აღარ გამოვა, შენი ბავშვი შემოგვემატება და ერთად გავზრდით. 2 დედა ეყოლება...

— გინდა, ოჯახი დამანგრევიყო? — მითხრა და ხმამალა დადაიკისკისა... — ზურა როგორ არის? რაც მას ინტერნეტით აღარ ეკონტაქტები, მეც დამივიწყე და ბოლო 3 დღის ამბები აღარ ვიცი. ახალი რა არის, იმის გარდა, ლიკა რომ გესტუმრა?

— მას შემდეგ, არაფერი. ლიკას აღარ დაურეკავს. ალბათ, ზურა ელაპარაკა. მასთან რემონტის დამთავრებას აპირებს თუ არა, არ ვიცი, რადგან არც მე მიკითხავს და არც თვითონ უთქვამს რაიმე...

— ისე, სად „მოჩხრიკა“ ასეთი საინტერესო ქალი? რემონტი მაინც დაემთავრებინა და ისე მიეტოვებინა. ახლა, რა ქნას ლიკამ? ცოდეა არ არის?

— შენ რა, მაგას სერიოზულად ამბობ? — ვკითხე და ყურები ვცქვიტე, რადგან მე სხვა აზრის ვიყავი და მაინტერესებდა, იქნებ, ვცდებოდი?

— ნატა, შენ რომ აღმოჩენილიყავი ლიკას სიტუაციაში, რას იზამდი? მსგავსი თხოვნით მიხვიდოდი ყოფილი საყვარლის ახალ საყვარელთან?

— რა თქმა უნდა, არა. შენ?

— არც მე. ჰოდა, აბა, რატომ მეკითხები, ვხუმრობ თუ არა? თავცარიელი ქალი ყოფილა ეგ შენი ლიკა. ჰკითხე ზურას, რას აპირებს, ძალიან საინტერესო იქნება მისი პასუხი. შენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს?

— ჩემი აზრით, უნდა მისცეს საკმარისი თანხა საიმისოდ, რომ ლიკამ რემონტი დაამთავროს...

— ოოო... შენ რაღაც შეცვლილი ჩანხარ... მე კი მგონია, რომ ყურადღება არ უნდა მიაქციოს... ჰკითხე, „მთავარ გმირს“ და ვნახოთ, რას გეტყვის.

— კარგი, ვკითხავ. ახლა კი დაიძინე, ჩემო სონა, დილაუთენია გაგაღვიძე და ლიკაზე ლაპარაკით ტვინი გამოგილაყე...

— გკოცნი, ნატ, კარგად!

ყურმილი დავკიდე და დავფიქრდი. თავს ვარიდებდი ამ თემაზე ზურასთან ლაპარაკს. არ მინდოდა ეფიქრა, რომ მის საქმეში ვცდილობ ცხვირის ჩაყოფას. ახლა კი მტკიცედ გადავწყვიტე, რომ როგორც კი შესაფერის დროს გამოვნახავდი, აუცილებლად ვკითხავდი, რას აპირებდა ლიკასთან დაკავშირებით. ცოტა ხანში ზურას მანქანის ხმა გავიგონე. გულმა არ მომიტმინა და ფან-

შპს „ელვასერვისი“

საუბრისა და ინტერნეტის მართვის სერვისები

ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთები და ნივთები

სახლში მიტანა

☎ 38.26.73
37.50.03
37.75.33

elvaservice@mail.ru

ჯარასთან მივედი. ძალიან მაინტერესებდა, ვინ იქნებოდა ჩემი სტუმარი. მანქანის წინა კარიდან ახალგაზრდა ქალბატონი გადმოვიდა და სადარბაზოში ზურასთან ერთად შემოვიდა. გული გამალებით მიცემდა, თუმცა, ცუდს არაფერს მეუბნებოდა. კარი გავაღე და სტუმარს ისე დავხვდი. ქალი, რომელიც ზურას ახლდა, ძალიან ლამაზი იყო — დახვეწილი სახის ნაკვეთები, მოხდენილი ტანი ჰქონდა და თითქმის, ზურას სიმალის გახლდათ. ოთახში შევუძახე.

— ეს ჩემი დაა, ნინო — თქვა ზურამ. ხელი გავუწოდე. ნინო რალაც უცნაურად მიყურებდა. უხერხულად შევიშმუშნე და მის დაჟინებულ მზერას თვალი ავარიდე. გულში ზურაზე ვბრაზობდი, რადგან თავი ძალზე უხერხულად ვიგრძენი და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ცხოვრებაში პირველად დავიბენი ასე. სიჩუმე ნინომ დაარღვია:

— ნატა, ვერ მიცანი? — შევხედე და კარგად დავაკვირდი. თითქოს, სადღაც მყავდა ნანახი. გონებამ უამრავი სიტუაცია და სახე გაიხსენა, მაგრამ ნინო, ვერც ერთ მათგანს ვერ მოერგო.

— მაპატიე, მაგრამ ვერ გიცანი. ნამდვილად მინახავარ სადღაც, მაგრამ სად?

— გაიხსენე, ტალინი... სასტუმრო „ვირუ“...

უცებ, გონება გამინათდა და გამახსენდა... მე და სონა 5 წელი ვცხოვრობდით და ვსწავლობდით ტალინში. ის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მე — უნივერსიტეტში. ჩვენი სასწავლებლები ქალაქის სხვადასხვა მხარეს მდებარეობდა. ლექციების შემდეგ, მე და სონა ერთმანეთს ვხვდებოდით, შინ ერთად მივიდიოდით. ერთხელ, ერთ წვიმიან დღეს, როდესაც გაჩერებაზე ვიდექი და სონას ველოდი, დავინახე ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ავტობუსში ადიოდა. მას ფეხი აუცდა და ძირს მოადინა ბრაგვანი. იქვე მყოფი ხალხი მისცივიდა, წამოდგომაში დაეხმარა. ამ ამბავს შორიდან ვუყურებდი, მაგრამ როდესაც მისი ქართული გინება გავიგონე — უხ, შენი დედა! — მაშინვე შევძვერი ხალხში და თავზე დავადექი. ქართულად ვკითხე: ქართული ხარ? — ჩემი ხმისა და ქართული სიტყვების გაგონებაზე, გამოცოცხლდა. ამასობაში, სონაც მოვიდა. ტაქსი გავაჩერე, ნინოს ჩაჯდომაში მივეხმარე და სამივე საავადმყოფოში წავედით. იქ პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და უკან გამოგვიშვეს. ნინო სასტუმრო „ვირუში“ ცხოვრობდა, 3 მეგობართან ერთად. ისინი დასასვენებლად იყვნენ ჩამოსული. იმ დღეს, ნინოს მარტო გასეირნება გადაუწყვეტია, რადგან წვიმდა და გოგონებს გარეთ გამოსვლა დაზარებიათ. ნინო სასტუმროში მივიყვანეთ. რა თქმა უნდა, ჩვენც კარგა ხანს დავრჩით მათთან და ბევრი ვიჭორავეთ. შემდეგი 2 კვირის მანძილზე, ყოველდღე ვაკითხავდი ნინოს და მის მეგობრებს. ექიმის მიერ დანიშნულმა მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და

სონამ გადაწყვიტა; მისთვის შინაურული მეთოდით ემკურნალა. ამიტომ, ყოველდღე მივიდიოდით და ფეხზე ახალ-ახალ სახვევებს ადებდა. მათი წასვლის დღეც დადგა. ამ დროისთვის, სონას მკურნალობის მეთოდმაც გაჭრა და ნინო უკვე გამართულად დადიოდა. მე და სონამ გოგონები აეროპორტში გავაცივლეთ, მერე კოორდინატები გავცვალეთ. თავიდან, ხშირად ვკონტაქტობდით,

— ნინომ ყურადღება არ მიაქცია მის ნათქვამს და მომიბრუნდა:

— ხედავ, ბედი რა არის? რას წარმოვიდგენდით, რომ მე და შენ ასეთ სიტუაციაში შევხვდებოდით ერთმანეთს?

— კი, მაგრამ, როგორ გაიგე ჩემი ვინაობა? — ვკითხე, ზურას ხელი მხრიდან მოვიცილე და მთელი ყურადღება ნინოსკენ მივმართე, რადგან ძალიან მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა.

მანქანის წინა კარიდან ახალგაზრდა ქალბატონი გადმოვიდა და სადარბაზოში ზურასთან ერთად შემოვიდა

ერთმანეთს ვურეკავდით და ამბებს ვკითხულობდით. შემდეგ, დავიკარგეთ... მე და სონა ამ ამბიდან 3 წლის მერე დავბრუნდით საქართველოში. ხშირად ვამბობდით: მოდი, ნინოს დავურეკოთ, გაუხარდებაო, მერე კი, სხვა დროისთვის გადავვდებდით ხოლმე... დროთა განმავლობაში მიგვაგინყდა კიდევ. ახლა კი, ნინო ჩემ წინ იდგა და, ზურას და ვარო, — მეუბნებოდა. ამ ამბავმა წამიერად გაიელვა გონებაში. უხერხულობაც მაშინვე მომეხსნა და ნინოს შინაურით გადავეხვიე. თვითონაც ჩამეხუტა და ვიგრძენი, რომ ეს გულწრფელი მონატრების გამოხატულება იყო.

— როგორ ვერ გიცანი, გოგო? მაგრამ მაშინ გაცილებით მსუქანი იყავი. ახლა კი, გამხდარხარ... რაც იყავი, იმის ნახევარიც აღარ ხარ... დაქალებულხარ და გაცილებით ლამაზად გამოიყურები.

— ჰო, ზურას მოწადინება იყო, რომ წონაში დამეკლო. შენ როგორ ხარ? — მკითხა და თვალთ დასაჯდომი ადგილი მოათვალე. ახალა გამახსენდა, რომ ორივენი ფეხზე ვიდექით, ზურა კი, არსად ჩანდა. მისი ფეხის ხმა სამზარეულოდან მოისმოდა.

— დაჯექი, ნინო, — მივუთითე ჩემს „მახვმ“ სავარძელზე და ის-ის იყო, სამზარეულოსკენ ვაპირებდი წასვლას, როცა დავინახე, ზურას „პოდნოსზე“ დადებული 3 ჭიქა ყავა მოჭიქონდა. მაგიდაზე გაშლილი ჟურნალები უცებ მოვავროვე და ყავის ჭიქებისთვის ადგილი გავათავისუფლე.

— ძმა დამიჩაგრე? — მკითხა ნინომ, როცა ზურამ დიდი სიფრთხილით გადმოალაგა ჭიქები მაგიდაზე.

— ნუ გეშინია, ეს თავს არ დაიჩაგრავს. შენი ხათრით დატრიალდა და მოადულა ყავა, თორემ სხვა დროს, რომ მოვა და დივანზე წამოწვება, ძალიანაც რომ ვეხვეწი, ფეხს არ მოიცვლის... — ნინოს ყავა მივანოდე და დივანზე ჩამოვჯექი. ზურაც გვერდით მომიჯდა, ხელი გადამხვია და ნინოს ჰკითხა:

— როგორ მოგწონს ჩემი არჩევანი?

— შენი არსებობის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა, მაგრამ დღეს ზურა მოვიდა ჩემთან და შენ შესახებ მიაპბო. როდესაც დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი, მაშინ გამახსენდა ჩვენი შეხვედრა. მერე ისიც ვკითხე, ტალინში ხომ არ სწავლობდა-მეთქი? — და როდესაც დასტური მივიღე, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შენ იყავი. ზურას ჩვენი შეხვედრისა და ნაცნობობის შესახებ ვუამბე, ამან კი მაშინვე აქეთ გამომაქანა...

— ვიცოდი, რომ ნატას გაუხარდებოდა შენი ნახვა და იმიტომ წამოგიყვანე... ხომ გაგიხარდა, ნატა? — ახლა მე მომიბრუნდა.

— რა თქმა უნდა, გამიხარდა... ის უფრო გამიხარდა, რომ ნინო შენი და აღმოჩნდა. ნამდვილად გამოგივიდა სიურპრიზი.

— ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ. გოგონებო, რესტორანში გეპატიჟებით... შამპანური არ გვანყენს.

ორივე დავეთანხმეთ მის წინადადებას. მოვიბოდიშე და ტანისამოსის გამოსაცვლელად საძინებელში გავედი. ნინოს და ზურას ჩურჩული მესმოდა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევდი. ძალიან მაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩუმად ხომ ვერ მოვეუსმენდი? — მერე ვკითხავ, ზურას-მეთქი — გავიფიქრე და გარდერობში ქექვა განვაგრძე. კარგა ხანს ვარჩევდი, რა ჩამეცვა. მიწოდდა, ნინოზე კარგი შთაბეჭდილება მომეხდინა და მგონი, შევქელი კიდევ, რადგან როდესაც ოთახში შევედი, მისი აღფრთოვანებული შეძახილები და ზურას კომპლიმენტები დავიმსახურე.

მე და ნინო სადარბაზოში ვიდექით და ზურას ველოდით. ის ტელეფონზე მშვიდად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა. როდესაც ყურმილი დადო, ტელეფონმა მაშინვე დარეკა. ზურამ უპასუხა. მე სადარბაზოს ღია კარიდან ვუყურებდი და ველოდი, რომ დამიძახებდა, მაგრამ ზურა ჩემს დაძახებას არ ჩქარობდა.

— ალო, გისმენ... რომელი ხარ?..

კარგია, კარგი, რომ მე შეგხვდი ტელეფონთან... დიას, მე ვარ... მაგ საკითხზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ შენ აქ აღარ დარეკავდი. ნატალი მაგ საკითხს ვერ გადანყევტს... მე? მე კი სურვილი არა მაქვს, თანაც, ახლა არ მცალია... კარგად! — თქვა ბოლოს და ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა. მივხვდი, ლიკას ელაპარაკებოდა. როდესაც სახლიდან გამოვიდა და კარს კვებავდი, თვითონვე მითხრა:

— ლიკა იყო... შენთან უნდოდა ლაპარაკი.

— მივხვდი, მაგრამ ხომ გთხოვე, შენმა ნაშუბმა არ შემანუხონ-მეთქი!

— რომელი ლიკა? ის ბანძი ქალი, მე რომ ვიცნობ? — იკითხა ნინომ, როდესაც კიბზე ვეშვებოდით. გულმა რეჩხი მიყო. „ყოჩაღ, ზურა, თუ ყველა ქალს საკუთარ დას აცნობ“ — გავიფიქრე და მინდოდა, რაღაც ძალიან ცუდი მეთქვა მისთვის, მაგრამ ნინოს მოვერიდე და ეს საქმეც მომავლისთვის გადავდე... რესტორნიდან წამოსულებმა ჯერ ნინო მივიყვანეთ შინ. ზურა კი, კვლავ ჩემთან წამოვიდა.

— ზურა, მთელი კვირაა, ღამე შინ არ გაგიტყვია, — ვთქვი, როდესაც მარტო დავრჩით.

— შენ ამის წინააღმდეგი ხარ? არ გინდა, შენთან რომ ვარ? ისე, ხელს ხომ არ გიშლი რამეში? იქნებ, ვინმე უნდა მოვიდეს, არა?

— ენა გააჩერე და ნუ იკბინები. სულ ჩემთან რომ იყო, არ მომწყინდება, მაგრამ ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს, ხათუნა მომადგება შინ და მერე იმას უნდა გავცე პასუხი.

ხმა არ გამცა. როგორც ჩანს, ან პასუხი ვერ იპოვა, ან ფიქრში იყო გართუ-

— კი, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ მას უნდა ჩემი მოკავშირეობა?

— შენ ნინოს არ იცნობ. ხათუნადან მოყოლებული, ყველა ქალს, რომელთანაც კი ურთიერთობა მქონია, მისი ეშინოდა. სულ პატარა შეცდომასაც კი არავის აპატიებს. ასეთი მეგობრის ყოლა შენთვის ნამდვილად სასარგებლოა, — მითხრა და თვალები დამიკოცნა.

— გამოდის, მართლაც მეღის საფრთხე ვიღაც-ვიღაცებისგან... ასეა?

— შენ ხომ მშიშარა გოგო ხარ? ჰოდა, მარტოს რომ არ მოგინოს ბრძოლამ, ნინოს დაიხმარ და ველარავინ მოგერევა... — როცა ამას მეუბნებოდა, ისე იღიმოდა, რომ ვერ მივხვდი, ხუმრობდა თუ არა. მისმა სიტყვებმა ბაჩო და ის დღე გამახსენა, როდესაც ყურებამდე შეყვარებული, ციხის საკანში დავნებდი... უკვე მთელი 5 თვე იყო, რაც მასთან ყოველდღე მივდიოდი. ამასობაში ისე შემიყვარა, რომ მის გარეშე გაძლება შაბათ-კვირასაც კი მიჭირდა. როდესაც სიყვარულში პირველად გამომიტყადა, ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. მეგონა, ფრთები გამომესხებოდა და გაფრინდებოდა.

— როცა პირველად გნახე და სოფოზე გელაპარაკე, იმის მერე მინდოდა შენთან შეხვედრა, მაგრამ რაღაც მიშლიდა ხელს, სულ „პაბეგში“ ვიყავი და ვიძალადობდი. ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან, ჩემს ცხოვრებას „დავალაგებდი“ და მერე გნახავდი. როცა ციხეში მოხვდი, მაშინ ვიფიქრე, შენი ნახვის ერთადერთი გზა ის იყო, რომ ფსიქოლოგი უნდა მომეთხოვა. შენი ტელეფონის ნომერიც მე მივეცი აღმინ-

ამ თემაზე სიტყვა აღარ დაგვიძრავს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ყოველდღიური შეხვედრები ისევე გრძელდებოდა. ერთ დღეს კი, როდესაც დილით ციხის თანამშრომელმა ბაჩოს საკნის კარი გამიღო, იქიდან საოცარი სურნელი გამოვარდა. მაგიდაზე მინდვრის ყვავილების უზარმაზარი თაიგული იდო.

— ეს მე? — ვკითხე შესვლისთანავე.

— რა თქმა უნდა, ბაჩი, შენსავით მშვენიერი თაიგული მოვატანინე, — მითხრა და კარში „გაბოტილ“ ციხის თანამშრომელს ხელით ანიშნა, რომ გასულიყო და კარი დაეკეტა. კარი ჩაირაზა თუ არა, მომეხვია, მაკოცა. წინააღმდეგობა არ გამინევია. მივხვდი მის მკლავებსა და საკუთარ სურვილს. მე ხომ ამაზე დიდხანს ვოცნებობდი. არ ჩავთვალე საჭიროდ ყალბი უარის თქმა. გამალებით მკოცნიდა, თითქოს მთელი არსებით უნდოდა ჩემი შეგრძნება. თუმცა, რაღა თითქოს, ასეც იყო. ტუჩები მომამოშორა, ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა:

— ბაჩი, დარჩი ჩემთან...

ამ ჩურჩულით ნათქვამმა სიტყვებმა თითქოს, საკნის ჭერი ჩამოანგრია. ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა და ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მე არ ვიყავი წინააღმდეგი, დავმორჩილებოდი მის თხოვნას თუ ბრძანებას, მაგრამ პასუხი მაშინვე არ გამიცია. იმისთვის, რომ ჩემთვის ბაჩოსთან დარჩენის უფლება მოეცათ, მას საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუხდა. სირცხვილით ვინსორდი, როცა თანხმობა ვუთხარს, მაგრამ სურვილი სირცხვილზე ძლიერი აღმოჩნდა. მეორე დღეს, შუადღისას წამოვედი მისგან.

არასოდეს დამავინწყდება ციხის თანამშრომლის დამცინავი ღიმილი და ნათქვამი — კარგად ბრძანდებოდეთ, ქალიშვილო... — ეს ბოლო სიტყვა ხაზგასმით წარმოთქვა. გული ყელში მომეხვინა, მაგრამ მაინც, ამაყად თავანულმა დავტოვე საპრობილე. მეორე დღეს, ჩვეულებრივად მივედი ბაჩოსთან. მოუთმენლად მელოდა. ჩემი წინა დღის განცდების შესახებ მოუყვები და გულდაწყვეტილმა, ციხის თანამშრომლის სიტყვებიც ვუთხარი.

— ბაჩი, რატომ არ მითხარი, რომ ადრე მამაკაცი არ გყოლია?

— ეს აუცილებელი იყო? ამის ცოდნა რაიმეს შეცვლიდა?

— ალბათ, არაფერს, მაგრამ მაინც უნდა გეთქვა. რაც შეეხება ციხის თანამშრომელს, მაგაზე ნუ ინერვიულებ. ახლა ჩვენ ერთად ვართ და ვერავინ მოგერევა... — ეს იყო ის სიტყვები, რომელიც ახლა, ზურასგან მოვისმინე და რამაც ბაჩო გამახსენა.

ჩემი დღე ბაჩოს „საქორწილო“ ღამიდან 3 დღის შემდეგ, ციხის უფროსმა დამიბარა. მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა და ნერვიულობისგან მუხლები ამიკანკალდა. კაბინეტის კარი მორიდებით შევალე და დაბალი ხმით ვიკითხე: „შეიძლება?“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სირცხვილით ვიწვოდი, როცა თანხმობა გუთხარი, მაგრამ სურვილი სირცხვილზე ძლიერი აღმოჩნდა

ლი და ჩემი შეკითხვა არც გაუგონია. შინ რომ მივედი და საკუთარ „ციხეს-იმაგრეში“ დავიგულე თავი, გული მომეცა და გადაწყვიტე, ჩემთვის საინტერესო ყველა თემაზე დავლაპარაკებოდი.

— ზურა, ხათუნა რომ მომადგეს სახლში, როგორ მოვიქცე? შემოვუშვა?

— ახლა მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ, მოდი, ჩემთან დაჯექი, — ისე მითხრა, ტელევიზორის ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია. გვერდით მიუჯექი, მივხვუტე და ნინოზე დავინყე ფიქრი. აზრი ზურამ გამაწყვეტინა:

— ნატ, ხომ კარგად მოვიქეცი, ჩემი და რომ გაგაცანი? ახლა მოკავშირე გეყოლება მისი სახით და ველარავინ მოგერევა.

ისტრაციას და ასე მოხვდი ჩემთან. როგორც იქნა, შეგხვდი და ახლა ვფიქრობ, იქნებ, არ მოვიქეცი სწორად? ვიცი, გიყვარვარ, მეც მიყვარხარ და ახლა, რა გვეშველება, არ ვიცი...

— რა იცი, რომ მიყვარხარ? — ვკითხე ათრთოლებულმა და ბედნიერმა.

— სარკეში ჩაგინებდავ? შენს თვალებს რომ დაჰკვირვებოდი, ამ კითხვას აღარ დამისვამდი.

მეგონა, გულდაგულ ვმალავდი ჩემს გრძნობას ბაჩოსთან, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ ვახერხებდი.

— კი, მიყვარხარ... — ისე ჩავიბურტყუნე, რომ ჩემი ხმა თვითონაც ძლივს გავიგონე.

ამის შემდეგ 2 თვე ისე გავიდა, რომ

ინფორმაციულ-საქონლური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ოფიდოფობია გველების შიშია.
2. „ტარაკუჭა“ და „მატრაკვეცა“ სინონიმებია.
3. ვატიკანიდან ექსპორტზე მხოლოდ ბეჭდვითი პროდუქცია გადის.
4. მდინარე ამაზონში მოზინადრე ვარდისფერი დელფინი ბრმაა.
5. თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა მიხეილ თუმანიშვილის მოსწავლეები იყვნენ.
6. წყალბურთში მხოლოდ მეკარეებს აქვთ უფლება, ორივე ხელით დაიჭირონ ბურთი.
7. „ესიოტაკი ლიუდი ნა ზაპადე პრაიზაშლი ატ დრუგოი აბეზიანი“, — ამბობენ რუსები.



8. ნელს ამსტერდამში ტრადიციულ ქორწინებაზე უფრო მეტი, ერთსქესიანი ქორწინება იყო.

9. მონაკო ჯუჯა სახელმწიფოა. მისი საზღვაო სასაზღვრო ზოლი 5 კილომეტრი და 610 მეტრია.

10. „სხვისი ფულის დათვლა ადვილია, საკუთრის — სასიამოვნო“, — ამბობენ ოდესელი ებრაელები.

11. „ნაშევა ჩელავეკა ნადა ბლაგადა-რიტ ხოტიანი ზა ნამერენიე, პოტომუ შტო, უ ნეო ვსიო რავნო ნიჩეო ნე პალუჩიტსა“, — ამბობდა გოგოლი.

12. „არა, გამოქვაბულებში ვეღარ დავბრუნდებით... ძალიან ბევრი ვართ!“ — ხელებს ასავსავებდა სტანისლავ ეუილევი.

13. შეძახებისგან ცირკის მიმდებარე ტერიტორიის განმედიის „ოპერაციას“ თემურ მღებრიშვილმა ხუმრობით „შუ-ყუნა-2004“ უწოდა.

14. „ერთადერთი ერი ვართ მსოფლიოში, რომელიც ფულს იმისთვის იხდის, რომ უმაღლეს სასწავლებელში არაფერი ისწავლოს“, — ამბობს ვახუშტი კოტეტიშვილი.

15. მსატერულ ფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“ შორენას როლის შემსრულებელი ლალი ბადურაშვილი მომღერალ ნინი ბადურაშვილის ბებია გახლავთ.

16. „ეფიქრობ, ისტორია ლმობიერი იქნება ჩემ მიმართ, რადგან თავად ვაპირებ დავწერო იგი“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი.

17. ალექსანდრ სტახანოვმა თავისი ფერმონალური რეკორდი 1935 წლის 31 აგვისტოს დაამყარა. მან ერთ ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოიპოვა, რაც დღიურ ნორმას 14-ჯერ აღემატებოდა.

18. ცხვრების კრეჭაში ყველზე მეტად ახალბელანდიელი ფერმერები არიან დახელოვნებულები. 9-საათიანი სამუშაო დღის მანძილზე მათ 700 ცხვრის გაპარსვა შეუძლიათ.



დადგა დეკემბერი და ნინა საახალწლო ვაჭრობის მოახლოებამ უფრო მწვავედ შეგვასენა ფასების ზრდის ტენდენცია. სადღესასწაულო ქართულ სუფრას გოჭი, ინდაური, საცივი და გოზინაყი უხდება. ჩვენი მოსახლეობის რომელი ნაწილისთვის იქნება ხელმისაწვდომი ამ კერძების დაგემოვნება? რა ელირება ნიგოზი? რა დაჯდება ლომისა და საცივის მომზადება? ვის სუფრას დაამშვენებს ჭყინტი ყველი? რამდენი ადამიანი ჩაიტკბარუნებს პირს ხაჭაპურითა და ნამცხვრით?..

სსოპრება დღითი დღე კვირდება

ანუ „ცყებლსა და პურს ეჭამთ - ქათამზე ვუიქრობთ...“

ლელა ჭანკოშაძე

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის 10 თვეში საქართველოში სურსათზე სამომხმარებლო ფასები 5,6%-ით გაიზარდა, არასასურსათო საქონელზე კი — 8,5%-ით. ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერია, მაგრამ რეალური სურათი ნამდვილად შემაშფოთებელია.

ოქტომბერში, სამომხმარებლო ფასები ნინა თვესთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა: პურსა და პურპროდუქტებზე, თევზულზე, ბოსტნეულზე. ბოსტნეულის გაძვირებამ შემოდგომაზე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: ნიორი 30,2%-ით გაძვირდა, ბადრიჯანი — 31,4%-ით, პომიდორი — 63,7%-ით, ჭარხალი — 77,3%-ით. ჯერ გაორმაგდა, შემდეგ კი გასამმაგდა წინიბურას ფასი და ახლა 1 კგ უმაღლესი ხარისხის წინიბურა 2,70-დან 3,50 ლარამდე მერყეობს.

როგორია ე.წ. საშუალო სტატისტიკური ოჯახის შემოსავალი და როგორ ართმევს იგი თავს ხარჯებს?..

ქ-ნი ნაწილი, დიასახლისი, 49 წლის: — ჩვენს ორთხსულიან ოჯახში 3 წევრი მუშაობს. ქმარი პედაგოგია და მისი შემოსავალი 160 ლარს შეადგენს, ვაჟიშვილი კერძო კომპანიაში მუშაობს და ყოველთვიურად 300 ლარს იღებს,

რძალი კი — მხოლოდ 100 ლარს, ექიმი-რენანიმატოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ოჯახს სანუწუნო არაფერი აქვს — თვეში 560 ლარის განკარგვა შეგვიძლია, ჩვენს ნაცნობ-მეგობრებთან გან ბევრს ამდენი შემოსავალიც არა აქვს.

როგორ ანაწილებთ ოჯახის ბიუჯეტს?

— 100 ლარი ოთხ ადამიანს ჯიბის ფულად გვჭირდება, საბედნიეროდ, ტრანსპორტი იაფია. გადასახადებშიც 100 ლარი იხარჯება. 60 ლარს კი, მხოლოდ პურის შესაძენად გამოვყოფთ ხოლმე. დანარჩენი 300 ლარი 30 დღეზე ნაწილდება — ე.ი. დღეში 10 ლარი გამოდის. ამ თანხით შემიძლია ვიყიდო: კარტოფილი, კარაქი, შაქარი, ზეთი, მაკარონი, წინიბურა და მწვანილი. მაგრამ 10 ლარს მთლიანად არ ვხარჯავ, 2-3 ლარს თითქმის ყოველდღე ვიზოგავ, რომ დავაგროვო და კვირაში ერთხელ 1 კგ ხორცი ან თევზი შევიძინო. თითოეული თეთრი ისე მაქვს განაწილებული, რომ კარგი ეკონომისტი ვერ შეძლებდა. სულ სხვაგვარად იქნება საქმე, როცა პატარა ბავშვი გვეყოლება. ჩემი რძალი ჯერჯერობით ფტხმძიმედ არ არის, მაგრამ თუ ერთ დღეს გამოგვიცხადა — ბავშვს ველოდებო, დიდ სიხარულთან ერთად, შემფოთებაც გამომეხსახება ალბათ სახეზე: ჩვენთვის ძნელი იქნება იმ ხარჯებთან გამკლავება, რომლებიც ჩვი-

ლის დაბადებასა და მოვლა-პატრონობას სჭირდება.

გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ოჯახები, რომლებსაც სისტემატურად უწევდათ ნამლების შექმნა. ჩემმა რესპონდენტმა მანანა კაპანაძემ 3 წლის წინ გულის ოპერაცია გაიკეთა. მას ორი სარქველი გამოუცვალეს. მოგეხსენებათ, გულს როგორი გაფრთხილება და სათუთი მოპყრობა სჭირდება, მით უმეტეს — „გარემონტებულს“, გაახლებულს... ქალბატონ მანანას გაუმართლა, ოპერაციის შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობს. თუმცა მუდმივი კონტროლი სჭირდება.

ძ-ნი მანანა, დიასახლისი, 61 წლის: — ჩემთვის აუცილებელია ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა, რაც საკმაოდ დიდ ტვირთად აწევს ჩემს ოჯახს. პროთრომბინის მარეგულირებელი ნაშალი ვაფარინი 4,20 ლარი ღირდა, ახლა 6,60 ლირს, ორ კვირაში ერთხელ ანალიზს ვიკეთებ, რომელიც 6 ლარი ჯდება, ექიმის კონსულტაცია კი — 20 ლარი. პენსია 38 ლარი მაქვს. მეორე ჯგუფის ინვალიდი გახლავართ. ყოველდღე ვსვამ წნევის ნაშალს, რომელიც 10 ლარი ღირდა, ახლა — 12 გახდა. მეგონა, ოპერაციით ჩემი პრობლემები მოგვარდებოდა და გამუდმებით ნამლების მიღებას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა ვნანობ კიდევ, ოპერაციაზე რომ დავთანხმდი...

რამდენია თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

— ოთხსულიანი ოჯახი მხოლოდ ჩემი ქმრის ხელფასით სულდგმულობს. ის მძლოლია და 270 ლარს იღებს. სკოლაში გვიტარებს, განსხვავებული პროგრამით უნდა ისწავლონ და ძველი წიგნები არ გამოადგებათ. ასეთი იყო განათლების სამინისტროს მოთხოვნა. ახალი წიგნები კი 78 ლარი დაჯდა.

რა შეიცვალა თქვენს ოჯახში მას შემდეგ, რაც სურსათზე ფასები თითქმის გაორმაგდა?

— შარშან კომბოსტო 10-15 თეთრად შევიძინე და იმდენი მწნილი გავაკეთე, რომ მთელი ზამთარი გვეყო. ლობიო 2 ლარი ღირდა, ამიტომ 20 კგ ერთიანად ვიყიდეთ, 50 კგ კარტოფილი 25 ლარად შევიძინეთ, კარტოფილს ყველაზე მეტს ვხარჯავთ. ზამთარში 4 ტომარა გვჭირდ-

ება ხოლმე. წელს 50 ლარად ერთი ტომრის ყიდვა გაჭირდა. თუ გინდათ, კარგი კარტოფილი შეიძინოთ, 65-70 ლარი უნდა გადაიხადოთ. ასე რომ, ზამთრის მარაგის გარეშე ვართ, ისევე, როგორც ჩვენი ახლობლების უმეტესობა. პენსია 5 ლარით გაიზარდა. ამ ფულით მხოლოდ ერობოკვერცხის გაკეთება შეგვიძლია. კვერცხი უკვე 32-35 თეთრი ღირს. ნიგოზი 20 ლარამდე გაჭირდა. ალბათ 25-იც გახდება. ინდაური შარშანაც ძვირი იყო — 60-70 ლარს აფასებდნენ გლეხები. დღეს უკვე 30 ლარი ღირს. მინდა, წინასწარ ვიყიდო. აივანზე მეყოლება. თუმცა, ძნელი შესანახია. მიინახავს სოფლებში ხელით როგორ აჭმევენ... არ იფიქროთ, ჩემი ოჯახი შიმშილობდეს, არ ვიცი, როგორ ვახერხებთ, მაგრამ არც ქათმის ხორცი გვენატრება და თვეში ერთხელ, ბავშვებისთვის ნამცხვარსაც ვაცხობთ. აი, ტანსაცმლის შექმნა კი, ჩვენივეს ნამდვილად პრობლემია. რძალს მინდა, პალტო ვუყიდო. შარშან ვერ მოვახერხეთ. წელს კი, იგივე პალტო 100 ლარით არის გაძვირებული. შვილიშვილის ფეხსაცმელში 80 ლარი მივეცი. სკოლაში გათბობა არ არის, ამიტომ დათბილული ჩექმა ვუყიდეთ. ტანსაცმელს ე.წ. „მეორადებში“ ვყიდულობთ. ჯინსის შარვალი ადრე, 8 ლარად გვეძვირებოდა, ახლა 20-25 ლარს აფასებენ.

სოფლად არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხი მთელი წელი ფუტკარივით შრომობს და ზამთრის სარჩოს აგროვებს, ფასების ზრდა მის ყოველდღიურობასაც სერიოზულ დაღს ასვამს. მენყერებმა, გვალვებმა და წყალდიდობებმა მოსავალი გაანადგურა, რამაც სოფლის მოსახლეობა უფრო დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. სოფლად უამრავი ისეთი ოჯახი ცხოვრობს, რომელსაც სახელმწიფოსგან რეალური სოციალური დახმარება სჭირდება.

ძ-ნი ნინო, 29 წლის:

— ჩვენი ოჯახი 5 წევრისგან შედგება: ჩემთან ერთად, დედა, ძმა, და და ჩემი შვილი ცხოვრობენ. ყველანი უმუშევრები ვართ. ჩემი გოგონა მეოთხე კლასის მოსწავლეა, და — მეათე კლასშია, ძმა — ინვალიდია, მისი 28-ლარიანი პენსია ჩვენი ოჯახის ერთადერთი გარანტირებული შემოსავალია. დედას ჯერ საპენსიო ასაკი არა აქვს, არც მუშაობა შეუძლია, რადგან ხშირად ავადმყოფობს — გულს უჩივის და დროის უმეტესს ნანოვს საწოლში ატარებს. იძულებული ვარ, ოჯახის მოვლა-პატრონობა საკუთარ თავზე ავიღო. ჩვენს სოფელში დიდი რესტორანია. როცა ქორწილი ან ქელესია, მისი მეპატრონე 3 ქალს მიმტანად გვამუშავენ და 20-20 ლარს გვიხდის... დასაქმებისა და დახმარების პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, მიმტანად გამანაწილეს. 3 თვის მან-

ინფორმაციულ-პეპსნაბითი კოლაჟი


ეოზა დვალის უბის წიგნაკრან:

19. „ტელევიზიაში მოჩმასულმა დემოკრატია როგორ უნდა აგებნიოს თავგზა?!“ — ამბობს ჟანრი ლოლაშვილის პერსონაჟი ერთ-ერთ სერიალში.

20. ავსტრიელმა იოჰან ჰურლინგერმა 1900 წელს, ვენიდან პარიზში ჩასვლას 55 დღე მოანდომა. ამ მოგზაურობისას მისი საშუალო სიჩქარე 2,5 კმ/სთ-ს არ აღემატებოდა. იგი ყოველდღე 10 საათის განმავლობაში, თითქმის შეუსვენებლად მოძრაობდა და 1400 კილომეტრი თავდაყირა, ხელებზე მოსიარულემ დაფარა.

21. 1963 წელს ვინმე ჯეიმს დიკის მიერ 63.000 გირვანქა სტერლინგად შეძენილი, იშვიათი ჯიშის ხარი ინგლისელმა ფერმერებმა „ყველაზე ძვირად ღირებული ხორცის გროვად“ მონათლეს. ეს ბულა, რომელიც პატრონმა ძროხების დასამაკებლად შეიძინა, უნაყოფო აღმოჩნდა და მხოლოდ სასორცედ ვარგოდა.

22. ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 1984 წლის 27 ოქტომბერს დასრულდა. ამ პროექტის რეალიზებისათვის მშენებლებს 382 მილიონი კუბურმეტრი მინის გათხრა-დამუშავება, 9 გვირაბისა და 3901 ხიდის აგება დასჭირდა. რკინიგზის სიგრძე 4300 კილომეტრია და დღეს ფაქტობრივად, აღარავის სჭირდება.



23. ბრაზილიაში მცხოვრები პორტუგალიელი პლანტატორები უკიდურესი სისასტიკით გამოირჩეოდნენ. შავკანიანი მონის სიცოცხლეს ამ ქვეყანაში მართლაც რომ ჩალის ფასი ჰქონდა. ერთხელ, ერთმა მოგზაურმა ადგილობრივ პლანტატორს მოახლე ქალი შეუქო — ლამაზი მკერდი აქვსო. მეორე დღით მასპინძელმა სტუმარს ლანგრით მიართვა მის მიერ მოწონებული, მონა ქალის მოჭრილი მკერდი.

24. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სექსუალურ უმცირესობათა ცხოვრება, როგორც წესი, ჯოჯოხეთად იყო ქცეული. ამ მხრივ არც საბჭოთა კავშირი გახლდათ გამონაკლისი. „შტო უტა ბილა ზა სტრანა, გდე ჩელოვეკ ნე მოგ რასპარიჟატსა სვოიეი ზადნიცოი?“ — აღშფოთებული ჰყვებოდა ვიღაც პომოსექსუალისტი, რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ გადაცემაში.

25. ძველი რომის მოქალაქე წყლის გადასახადს იმ მილის დიამეტრის მიხედვით იხდიდა, რომელიც სახლში ჰქონდა შეყვანილი. გაყვანისას ყველა ასეთ მილს სახელმწიფო მოხელე დამლას ადებდა, რათა სახლის პატრონს მომავალში უფრო მსხვილი მილით არ შეეცვალა იგი. P.S. ჩვენი გაზის მრიცხველები გამახსენდა...



ინდაური შარშანაც ძვირი იყო — 60-70 ლარს აფასებდნენ გლეხები


ძილზე 150-150 ლარი უნდა მიმეღო. 3 თვის მანძილზე ჩემს ოჯახს პური და ცხელი სადილი არ მოაკლდებოდა. მაგრამ პირველ თვეში მხოლოდ 75 ლარი გამოგვიწერეს...

— თქვენს ოჯახში რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ფასები გაიზარდა?

— ერთი ტომარა პურის ფეხილი 15 ლარი ღირდა (ყველაზე მცირეწონიანი ტომარა. — ავტ.), ახლა 19 ლირს. ცხობა უფრო იაფი ჯდება, ამიტომ სოფელში პურს მხოლოდ თითო-ორიოლა თუ ყიდულობს, დენის გადასახადი თვეში 15 ლარს აღწევს. რადგან ზოგჯერ ელექტროქურასაც ვხმარობთ. შეშა ჯერ არ გვიყვია. შარშან ერთი მანქანა შეშა 300 ლარი ღირდა, წელს კი — 500 ლირს. ძროხა გვეყავს, მაგრამ საკმარის ჩალას ვერ ვაგროვებთ. მხოლოდ 100 კონა დაგვიგროვდა, ძროხას ზამთარში 250 კონა ჩალა მაინც სჭირდება — ე.ი. 150 კონა უნდა ვიყიდოთ. შარშან 1 კონა 50 თეთრი ღირდა, წელს — 70 ლირს. გაზის ბალონი 15 ლარი ღირდა, ახლა — 20 ლირს.

— თქვენს ყოველდღიურ მენუში რა შედის?

— შემწვარი კარტოფილი უკვე დელიკატესად იქცა. რადგან 1 კგ 1 ლარი ღირს. ერთ შეწვავზე კი 2 კგ გვჭირდება. შარშან, როცა კარტოფილი 55 თეთრი ღირდა, ორი ტომარა ვიყიდეთ და ზამთარში გამოვიზოგეთ. წელს იმავეს გაკეთება უბრალოდ, წარმოუდგენელია. ამიტომ ძირითადად, წვნიანს გეახლებით. ყველაზე იაფი გვიჯდება. როცა ტყემალსა და პურს ვჭამთ, ქათამზე ვფიქრობთ... დედა გვეტყვის ხოლმე: ტყემალი ცხადში მიირთვით, შებრანული წინილა კი — ფიქრში „მიაყოლეთო“. სოფელში მამლის ყვილს ველარ გაიგონებთ. „ფრინველის გრიბის შიშით, ქათმები ყველამ დავეკალით. თორემ, სტუმრის მიღება რა პრობლემა იყო?! კვერცხი და ქათამი გამოუღვევლად გვქონდა. წელს მოსავლამაც გვიმტყუნა. ბოსტანში მწვანე ლობიო არ მოგვიკრფვია, მზემ ყველაფერი გადახრუკა, მწვანილიც კი ვერ მოვიყვანეთ, მოხვნაში კი 20 ლარი მივეცი. ან რა უნდა მოგვეყვანა? 2 თვე არ განვიმებუ-



ერთნაირად სავალალო მდგომარეობაშია მყიდველიც და გამყიდველიც

ლა! სიმინდის მოსავალი ნულის ტოლია. აბაშის მხარეს ცოტათი უკეთესი მოსავალი იყო, თორემ, სამტრედიასა და ქუთაისში სიმინდი მოვკრიფეო ვერავინ იტყვის. აი, ასე ვცხოვრობთ. უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების დახმარების პროგრამაში ვერ მოვხვდით — ამ კატეგორიას არ მიგვაკუთვნეს. არადა, ძირითადად ჩაიზე ვართ. ცოტა მურაბაც გავაკეთეთ. წინათ დედა წელიწადში 80-100 ქილა მურაბას ხარშავდა, წელს კი შაქარი და ხილი რეკორდულად ძვირი ღირდა. ფული არ გვექონდა... ამ ზაფხულს 3 დღე კბილი მტკიოდა. სოფლის ექიმი თბილისში იყო წასული. შემეძლო, ქუთაისში წავსულიყავი ექიმთან, მაგრამ ფული სად მქონდა, ჩვენი სოფლის ექიმი კი, ნისიდაც მკურნალობს. სოფელი მართლა თბილია, შიმშილით სიკვდილისთვის არავის განირავს...

ენ. დეზერტირების ბაზარი ერთ-ერთი უძველესია თბილისში. აქ ის დროც კი ახსოვთ, როცა სურსათი ტანსაცმელსა და ოქროს საათებზე იცვლებოდა. ამბობენ, თუ გინდა გაიგო, რა მდგომარეობაშია ქვეყნის ეკონომიკა, იმ ქვეყნის ბაზარს უნდა ესტუმროო... ჩემი მოგზაურობა დეზერტირების ბაზრის ოღრო-ჩოღრო „ბილიკებზე“ სულაც არ აღმოჩნდა სახალისო და იმედის მომცემი. ერთნაირად სავალალო მდგომარეობაშია მყიდველიც და გამყიდველიც. თითოეულმა იცის, რომ ნერვები უნდა მოთოკოს, საოცრად მაღალი ფასების გაგონებებსაც გამოიწვევს უკმაყოფილება რომ დაფაროს.

მზია, მოვაჭრე, 47 წლის:
— გეუცეებით მრცხვენია, სულ გუნს 9 ლარს რომ ვაფასებ. ამას წინათ, ერთმა კაცმა მითხრა — რა ამბავია, ქალბატონო, თქვენს ძროხას ოქროს

ჯიქანი ხომ არა აქვსო?! ძროხა სად მყავს?! გლეხისგან ყვიდულობ და ზოგჯერ მხოლოდ 1 ლარს ვამატებ. მეც ოჯახი მყავს. ყველაზე სარფიანი ვაჭრობა რომ მაქვს, სულ 10 ლარი მრჩება, დღესასწაულებზე 30 ლარიც დამრჩენია. დღეში 10 ლარით ჩემი 3 შვილიც უნდა გამოვკვებო და ბინის ქირაც ვიხადო. ახალ წელს მეც ხომ მინდა გემრიელი კერძები მოვამზადო?! გოჭი უკვე 55 ლარი ღირს. საახალწლოდ შეიძლება, 80 ლარიც გახდეს. ინდაურის ყიდვა ვერც შარშან შევქელი და წელსაც ასევე მოხდება. ინდაური ალბათ, 100 ლარამდე ეღირება. როგორც აქაურმა მოვაჭრემ, შეიძლება, ცოტათი იაფადაც ვიყიდო, მაგრამ ნიგოზი უკვე 20 ლარი ღირს. წარმოგიდგენიათ მხოლოდ საცივში 100 ლარის გადახდა?! ჩემს დედამთილს პენსია 28 ლარი აქვს, ე.ი. მას შეეძლება, საახალწლოდ მხოლოდ გოზინაყი ან ტოლმა გააკეთოს. წელს რომ სიძვირე, მსგავსი არ მახსენდება. ბაზარს ცეცხლი უკიდია. ხალხიც მეცოდება და საკუთარი თავიც.

ბუჩუკი, მოვაჭრე, 54 წლის:

— ნიგოზი უკვე 20 ლარი ღირს, ბადრიჯანი — 5. ჩემი ქალიშვილი გერმანიაში ცხოვრობს. მითხრა, გერმანელი მალაზიაში რომ შევა, 1 კიტრს, 1 პომიდორს, ნახევარ ვაშლს იყიდის და ეს სასირცხვილოდ არავის მიაჩნიაო. ჩემს დახლთან მოსულ კაცს 200 გ ნიგოზის შეძენა თუ სურს, სირცხვილი იწვის. ასეთები ვართ ქართველები. გერმანია-სთან შედარებით, ყველაფერს იაფად, მაგრამ მაინც მამასისხლად ვყიდულობთ და ვყიდით!.. თუმცა, დამერწმუნეთ, საახალწლოდ თავს არავინ შეირცხვენს. აქ ვინც ვაჭრობთ, დამიჯერეთ, ყველანი შევიძენთ გოქსაც, ინდაურსაც, ნიგოზსაც და სულგუნსაც. ასეთები ვართ: ფასები კატასტროფულად იზრდება, ჩვენც შესაბამისად, ვლარიბდებით, მაგრამ მაინც არ გადავივიარებთ სილატაკის ზღვარს იქით. დამიჯერეთ, ლარიბი ქართველი უკეთესად იღებს სტუმარს, უკეთესად აწყობს სუფრას და იღებენ კიდევ, ვიდრე მდიდარი გერმანელი. ასე რომ, სურსათ-სანოვაგით ახალ წელს უმეტესობის სახლ-კარი აივსება. ყველა იშოვის საამისო ფულს. საიდან? დუმბაძის გმირისა არ იყოს, — ალბათ ლომის უკანალიდან...



გოჭი უკვე 55 ლარი ღირს

„ჯეოზარის“ ინტერნეტფორუმი ანუ ვიღა დაუნერს ღიჰუსას კლუსებს

„ჯეოზარი“ დასასრულს უახლოვდება, მოთამაშეები შეცოტადნენ და სიტუაციაც შესაბამისად, დაიძაბა. ინტერნეტფორუმშიც გამძაფრდა მოთამაშეთა ფანებისა თუ „ანტიფანების“ მესიჯების შინაარსი. ამ კვირაში ნელიკოს გავარდნამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ფორუმში ყოფილი „ჯეოზარელები“, მელორი და ვანოც აქტიურად მონაწილეობენ. როგორც იცით, მელორმა ნელიკოს დაუჭირა მხარი, წერილი გაუგზავნა და შეპირდა, რომ სოფოს პროექტიდან გამოსაგდებად, მანქანას გაყიდდა და ნელიკოს პროექტში დარჩენაზე იზრუნებდა. ფორუმზეც იმავეს იმეორებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ძალზე უზრდელობს, რის გამოც, დანარჩენებისგან საკადროს პასუხს იღებს... ახლა კი, ჯერ ნინა კვირის პლუსკანდიდატის ფანებისა და „ანტიფანების“ აზრს გავცნოთ, შემდეგ კი, ორივე მინუს-კანდიდატზე შევიტყოთ მათი აზრი.



შაბათს გამოჩნდა, როგორ აფასებს მაყურებელი სილაგამეს

მარი ჯაშარიძე

კოსტა

- კოსტა უმაგრესი ადამიანია...
- აბა, რა! ისეთი მაგარია, რომ შეგნძლია, მის თავზე დააკეცუნო...
- სამაგიეროდ, ხმის ტემბრი ჰქონია კარგი და მეტი რა ქნას? ბარბიტონი ექნება, ალბათ... ოღონდ, თურმე „სი-ბემოლს“ ვერ სწევს... მუუ... ჰა-ჰა-ჰააა...
- კოსტა იმდენად მაგარია, რომ მისგან ერთი კარგი მუხის კარადა გამოვა. ჰოდა, მერე შიგ დაიმალონ ეგ და ნელიკო.
- ხალხნო, საიდან მოგაქვთ ამდენი ბოლმა და მდაბიო გამონათქვამები? თამაშია, ბოლოს და ბოლოს. არ მოგწონთ? ნუ მოგწონთ! შეურაცხყოფა რა შუაშია?
- ტუტააა... ჯოჯოხეთში ჩემთვის ერთი „კოიკაა“ გამზადებული, კოსტა რომ არ მომწონს ამიტომ?
- „ვასკამ ნელიკო გაამინუსა“, — თქვა სილაგანულმა კოსტამ და გაიბერა.
- ვისაც ჩვენი არეული არ მოსწონს, იმის დალაგებულში გავიარეთ მე, კოსტამ და ლაკოსტამ...
- ეს კაცი მალე გამინუსდეს და წავიდეს! დავიღალეთ მაგის ბოჩოლა თვა-



ეს კაცი მალე გამინუსდეს და წავიდეს! დავიღალეთ მაგის ბოჩოლა თვალების ყურებით

- ლების ყურებით და შეძრომებით. ჯერ მარტო ჟორჯიკას როგორ უყურებს ხოლმე... ეგ ღირს მარტო, ყველაფრად. ჭკვიანი, დამჯერი ბიჭი... ასეთი მამის შვილი, ასეთი ლაჩარი როგორაა, არ მესმის...
- ბოლმებო, აღარ იცით, რას სჩადიხართ?
- ბოლმა რაღაც, არასექსუალურად ჟღერს. „სტერვა“ მაინც დამიძახეთ, რა იყო, გენანებათ? აგერ, კოსტას შესამკობად სიტყვებს არ ვიშურებ და თქვენ კიდევ, ეს ერთფეროვანი ბოლმა ჩაგიხვევიათ გულში და ატრიალებთ. გთავაზობთ ვარიანტებს — იმ მაყურებლებს, რომელთაც კოსტაზე მზე და მთვარე არ ამოსდით, შეგიძლიათ დაუძახოთ: უბადრუკნი, მდაბიონი, დაუნახავი ბრბო, უღირსნი, „ჩიტო ვი ვსიუ ჟიზნ ნა ოდნუ ზარპლატუ ჟილი“, ჩმორები, შეჩვენებულები, ოროსნები, ნაციონალები და მრავალი სხვა...
- „ვსიო, ჩიტო უგოდნო“, ოღონდ ნაციონალები არა, რააა...
- აუუ, აქ რა ამბავი მომხდარა! სოროსი აფინანსებს ყველას, ვინც კოსტას წინააღმდეგია, განა, არ ვიცი! და ისა... ამერიკიდან იღებენ დირექტივებს, პირდაპირ ბუშის კაბინეტიდან...
- ვანო: — ერთი რაღაც მინდა გითხრათ, როგორც იქიდან გამოსულმა ადამიანმა. კოსტა ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მელოს აქეზებდა ირაკლისა და დანარჩენების წინააღმდეგ, მელო მან გაამინუსა! ეთოს პირველ გამინუსებაშიც კოსტა დამნაშავე. არ შეიძლება, რომ ამ თამაშში ვინმესთან ახლო ურთიერთობა გქონდეს. ასეთი ალიანსი ჩემს წინააღმდეგ გამოიყენეს. კოსტა და ეთო — 2 მინუსი. როდესაც ადამიანი სუფთა თამაშზე ლაპარაკობ, „პოდნოჟეები“ არავის არ უნდა დაუდო (დედაა... ჩარკვიანი... რაღა მემუვლება? ჩემი ოცნებაა...) თფუი! გინდა, დატოვო ეთო და მოიცვილო ვლასი? რომელიც როგორც იქნა, გააქტიურდა და როგორც იქნა, წამოვიდა შენკენ? მაშინ, დაუსვი ირაკლი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ისტერიულ ეთოს მხიარული ვლასი მოუგებდა. ახლა კი კოსტას მანდრაჟი აქვს. ეშინია არა ერთი, არამედ 2 ადამიანის (ირაკლი და ვლასი). კარგავს ერთგულ მოკავშირეს (ნელიკო)

- და აღარ იცის, რა ქნას. „ჩამშვები“ და „კლიაუნნიკი“ ხდება. ეს კი არაა სუფთა თამაში.
 - გეთანხმები, ეკრანზე ყველაფერი კარგად ჩანს. იმიტომაც აგდებს ხალხი პანტაპუნტით კოსტასთან დაახლოებულ პირებს. თავიდან, ყველაზე კარგი ტიპი ეგ მეგონა, მაგრამ ძალიან „გაიპუსტიკავა“ თავი.
 - აუუ, რა დღეშია! ვასკას უკვე აშკარად ვერ იტანს და ცდილობს, დაამცროს. შეეშინდა ჩვენს პატარა ღიჰუსას და უკვე რამსებებიც აერია.
 - აყვავდით, ბოროტების ჭიაყელებო (კოსტას მონინაღმდეგეებს გულისხმობს. — ავტ.)? მალე თქვენი აღსასრულის დღე დადგება!
 - როდესაც „გამოვიჩეკები“ ჩემი ჭუპრიდან, ლამაზი ბოროტების პეჟელა ვიქნები... სექსუალური... აი, კოსტა კი მუდმივად ჭუპრის მდგომარეობაშია. ქონიან-გასივებულ-ჩაბტონებულნი...
 - ისე, როგორი სიამოვნებით ჰყვებოდა, სოფომ რამდენჯერ იტირა, ფეხის-გულელებში რომ ვუღიტიინებდიო... სადისტია, ეგ ჩემისა!
 - მდაა... არ გამკვირვებია მისი ცუდი საქციელი... ნავედი ახლა, დავიკლავნები, საქმეს მიხედავ... დანარჩენ ჭიაყელებს მოკითხვა...
 - რა „დურაკი“ შეეყარა ამ ბიჭს, რას იბანძებს თავს? აფსუს, ამ შაბათს რომ არ ზის! რა წუილით გავარდებოდა!
 - ჟორჯიკა ყველაზე დიდი ბოროტების ჭიაყელი, თორემ კოსტას ყვითელს არ მისცემდა...
 - კოსტას ახლა აქვს ვლასის ვალი — მუსიკალური ცენტრი, ჰოდა, რომ გამოვლენ, უნდა დაუბრუნოს!
 - დაჯდები, კოსტაია, სკამზე!
 - კოსტა აუცილებლად გაიმარჯვებს... რამდენი ბოლმა ამ ქვეყანაზე...
- ნელიკო**
- ისედაც ძლივს ლაპარაკობს და მაგას კიდევ პირსინგი უნდოდა ენაზე?
 - იმას კი არ ფიქრობს, რომ მოიგოს, მთავარი მისთვის ის იყო, რომ გოგოებიდან დარჩენილიყო და ყველაზე პოპულარული გამხდარიყო. მაგარი სასაცილო გოგოა, თან ამაყობს, ჭკვიანი ვარო...
 - ვაიმე, ჩიტუნას კაბა არ მოეწონა!

დედაა... რა ტრაგედიაა... ნეტავ, სხვა რამე აინტერესებს ცხოვრებაში?

— არა, პირადად მე ნელიკოზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი...

— ნელიკოს თუ ჰგონია, რომ თავში რაღაც აქვს, ესეც კოსტას დამსახურებაა. ისე ოსტატურად შეება ეს გოგო, რომ მგონი, თვითონაც ვერ სვდება.

— რა ვიცი, არ მომწონს ასეთი გოგონები... „ტუპიკა“...

— პარლამენტში ვაკანსიაა დამლაგებლებზე და ეცადა ბედი, სხვა საქმე მაინც არ ექნება. თანაც, შეამჩნევს ვინმე პარლამენტარი და ემველება...

— ნელიკოს რაც შეეხება, ერთი ჩვეულებრივი გოგოა. მკერდია ცარიელი და თავში სიცარიელე აქვს.

— ეჰ... დააჯდა ნელიკოს „სიკვდილის ბუზი“... შაბათს გამოჩნდა, როგორ აფასებს მათურებელი სილამაზეს!

— ჩემს გემოვნებაში არ ჯდება, მაგრამ მთავარია, რომ „კრისა“ არ არის... ეს კი მომწონს...

მელო: — ნელი „დასტოა“... სოფოსავით არავის ეტენება...

— მელო, საყვარელო, დაიშვიდე ნერვები და ნუ გადაეკიდე სოფოს... ნელიკო მაგარი შტერი გოგოა და მაგის სკამზე დაჯდომა და გავარდნა ერთი იქნება, ვინც არ უნდა მიუსვან... პროექტი ერთი გოგო დარჩება და ეს იქნება სოფო... აი, ნახეთ!

— უი, მელო, ეს რა დაგმართვია? გემოვნება სად წაგივიდა?

— მგონია, რომ შაბათს სახლში წავა... მერე ვილა დაუწერს ჩვენს ღიბუცას პლუსებს?

— ამ კვირაში ალბათ, კოსტიას დაუწერენ „გამოკლების ნიშანს“, ხოლო ვასკას — „მიმატების ნიშანს“... და ორივე ღირსი იქნება... მერე, რა იქნება, ტეტაა... ნელიკოს წასვლა მენყინა, კარგი ტიპი იყო...

— ეჰ... არ გიშველა, ნელიკო, დიდმა „პრარეზმა“...

— მენყინა და შეემცოდა... ისე, მამამისმაც სიმწრის ოფლი იწმინდა, როცა მთვრალი ნელიკო აჩვენეს... ერთი რამე ვერ გავიგე, დედა არ ჰყავს თუ რა ხდება? სულ მამიკოს იფიცებდა და „ლაივზეც“ მამამისი მართო იყო მოსული.

— საყვარელი „იამოჩკა“ ნიკაზე მამის ჰქონია... მამიკო მომწონდა...

— პატარა ნელიკო ცოტა გაერთო და წავიდა... მის „სექსსიმბოლო“ და „ეროტიკა“ რა გითხრათ, მაგრამ მის „სიკეთე“ და „სიხარულს“ კი ჰგავს.

— ბიჭებს მაგრად დააკლდება, თავისი დიდი „ბაჭუჩები“ რომ ეცვა და საყვარლად დაბადუნებდა... „კოსალაპაია“...

— აუ, ნელი! კარგი გოგოა, არ უნდა წასულიყო... სოფო ნერვებს მიშლის, სოფელი დედაკაცივით ტლიკინებს...

— ნელიკო მართლა საყვარელი იყო. სისულელეც კი „საყვარლური“ ჰქონდა... „ცოტა“ 12 წლის კი არის, მაგრამ სოფოს ნამდვილად სჯობია. მორჩა, აღარ ვუგ-



ვის უნდა, რომ სოფო გავარდეს ამ კვირაში?

არ მომწონს ასეთი გოგონები...

ულმემატიკივრებ და აღარ დაფუმესიჯებ არავის...

სოფო

— სოფოს თუ ჰგონია, რომ რაც უფრო გვიან გავარდება, მით უფრო „ფეისი“ იქნება, მაგარი საცოდავია. ეგლა გვაკლია, რომ თბილისში სოფელი „ფეისები“ გვყავდნენ...

— ოოო... რა არ აღმოსდება სულიდან ადამიანთა ბინძურ მოდგმას...

— მაგარი სოფელია... „ლ“-ები „დააპრიკოლეთ“? ბერძენა უყვარდა, მაგ საცოდავს... ბერძენა კიდევ, შორს იჭერდა მაგისგან თავს... მეორედ რომ შედიოდა, შეყვარებულმა გააფრთხილა, მაგასთან გაკარებულნი არ დაგინახო...

— დედაა... რას არ გაიგებს ეს „ოხერი“ ყურები... გოგო, მართლმ-ა? და შენ იქ იდექი, როცა ბერძენას შეყვარებულნი აფრთხილებდა?

— აბა, სოფოს „ანტიფანებო“, საიდან უნდა გამოეჩინო?

— აუ, არა, არ ვლანძღავ, თავისი გაჭირვება ეყოფა გოგოს, დედაკაცია, ადრეული ასაკიდან...

— აუ, ძალიან ბევრს ტლიკინებს, რაა...

მელო: — ახლაც იცინის... რატომ არ იცინის სოფო გორდაძე? იმედი მაქვს, გამოვარდება და არასოდეს ვნახავთ!

— შენ რა გიხარია, მელო?

— რაღაც, მელო არ მგონიხარ, მაგრამ თუ მართლა მელო ხარ და გარეთ გამოსული, სოფოზე ასე ლაპარაკობ, ვინცაღლე, შენს კაცობას...

— მელო, მომისმინე, ძმაო, შენ მგონი გელაპარაკენ სოფოზე და აქ „ბაზარს“ შეგეძლო, გენახეთ. აქ „დობრად“ გელაპარაკები და პროექტის დამთავრების შემდეგ, ვნახოთ, რა იქნება... ზოგ-ზოგიერთებს რაღაცების ახსნა მოუწევთ. კაცი რომ საქვეყნოდ გოგოზე ჭორაობს, ყველამ იცის, ის ვინ არის...

მელო: — რასაც მინდა, იმას დაწვნი, გაიგე? არავისზე არ ვჭორაობ... ჭორიკანების დედაც და დამბრალბლისაც... ყველამ იცის, ვინ ვარ და ჩემს კაცობაზე ლაპარაკის დროს ფრთხილად იყავით, არაფერი გამომტყუოთ... თუ ჩემთან საქმე გაქვთ, გარეთ გაგცემთ პასუხს... აქ ყველა ბლატაობს...

— ოოოეეე, მელოოო... რა გიხარია, ბიჭო? რაო, კარგია გარეთ?

— აბა, ჩქარა, ვის უნდა, რომ სოფო

გავარდეს ამ კვირაში? იოცნებეთ!
— სოფო ყველაზე საყვარელია, მინდა, რომ გაიმარჯვოს...

— ვინმემ უთხარით ამ გოგოს, რომ პიჟამა საწოლში უნდა ეცვას და ნუ დასეირნობს ასე სამარცხვინოდ და საცოდავად... არაესთეტიკურია, ბოლოს და ბოლოს...

— არც მისი „სტერეოტიპი“ იუმორი, არც მისი ხაფი ხმა და კილო, რომელიც შუაკახურისა და ქართლურის უნიჭო ნაზავია, არც მოუჭენელი მანერები და გლესური ვირეშმაკობა, მის პიროვნულ ღირსებებზე ნამდვილად არ მეტყველებს.

— ეს ტურფა რომ გაიტანონ, არ დადგა დრო? უკვე „გრენლანდია“ იქცა და გაიტანეთ, ვინმემ!

მელო: — თუ პლუსი მაქვს, შენი ვარ, თუ არა და — სხვისი ვარ... ესაა სოფოს დევიზი... თავმოყვარეობის საკითხია, თორემ, მე — რა?

— ეჰ, შენს დევიზს კი დაწვნი, ყველაზე მაგარო, მაგრამ გამაძევებენ აქედან... ისე, ალბათ მიხვდები, რას ვგულისხმობ, მაგრამ მაგ თავის პატრონი? რა ვიცი... რა ვიცი...

მელო: — მე ჩემი აზრი გამოვთქვი. სოფო მაგარი ჩუმჩუმელია. ასე ვფიქრობ და ასე ვიფიქრებ... საამისო მიზეზი მაქვს... თუ ნელიკოსთან დაჯდა, მანქანას გავეყიდი და ნელის გადავარჩენ... „იმაზე“ ნუ მკებენ...

— მაგრა „კაცურად“ წერ, ძმაო, ეტყობა, გოგოსთან მოქცევა მაგრად იცი... რაზე უნდა გიკბინონ? თვითონ „ეგ“ ხარ...

ვანო: — სოფო კარგი გოგოა, მერე რა, მე რომ გამაგდო?

— მელო, მე სოფოს დაქალი ვარ და კარგად ვიცი, რა ჭიაც გლრღნის... რას იზამ, ყველას ხომ ვერ მოეწონები?

— „ვაფშე“, ეგ გოგო მონოდებით „შემეტენა“... ისე, ხასიათებით არა უშავს, რა...

— ახლა, ყველა ბიჭი მის ფინალმდე მიყვანას მოინდომებს, რომ მერე გვერდი მოისვას...



საყვარელი „იამოჩკა“ ნიკაზე მამის ჰქონია... მამიკო მომწონდა...

ანა ჯაქი: „მესი ის მამაკაცის, ვისას სხვა ქალისკენ გაუჩიოთ თვალი“

ცოცხალი ხნის წინ, ანა ჯაქმა ორი ახალი სიმღერა ჩანერა — ფრანგულ და ინგლისურ ენაზე და მალე შესთავაზებებს მსმენელს. მიუხედავად იმისა, რომ ანა პირველი სიყვარულით გულნატკენი დარჩა, ის მამაკაცებზე განაწყენებული არასოდეს ყოფილა. ვინ არის ის პატარა ბიჭი, რომელმაც მომღერალს თავბრუდამხვევი, რომანტიკული საღამო მოუწყო? რა დროს მოსდის ანას ნერის მუზა და რატომ ადარებს მამაკაცებს გველეშაპებს? — ყოველივე ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.



როცა შეყვარებულთან ერთად ვარ, არაფრის კომპლექსი არ მაქვს

სოფო ყარაღაბილი



ჩემი ყოფილი ქმარი ქერა იყო, არადა, ქერა მამაკაცი საერთოდ არ მომწონს. ასეთი უცნაურია ცხოვრება

— რაც უფრო მომწონს მამაკაცი, მით უფრო თავშეკავებული და ფრთხილი ვარ. კუდში არასოდეს გავკიდებივარ კაცს, რადგან მიმაჩნია, რომ ამას არანაირი აზრი არა აქვს — ასეთი ქალები არ მოსწონთ. ჯერ-ჯერობით ისე არ გადავრეუღვარ მამაკაცზე, რომ მისთვის სიყვარული პირველს ამებსხნა. თუმცა, ეს სამარცხვინოდ სულაც არ მიმაჩნია.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— ძალიან ლამაზი კაცები არ მსიბლავს. ამას სჯობია, მამაკაცს თავში ჭკუა ჰქონდეს და საინტერესო ადამიანი იყოს. სხვათა შორის, ბევრი ულამაზო მამაკაცი მაგარი მიმზიდველი და მომხიბვლელია. ჩემი ყოფილი ქმარი ქერა იყო, არადა, ქერა მამაკაცები საერთოდ არ მომწონს. ასეთი უცნაურია ცხოვრება.

— შენთვის სასურველი მამაკაცი ასაკით შენზე უფროსი უნდა იყოს თუ უმცროსი?

— კარგია, როდესაც კაცი ასაკით უფროსი და ყველაფრით უზრუნველყოფილია. თუმცა, რაც ასაკში შევიდევარ, ახალგაზრდებიც მსიბლავს (იცინის). 17-18 წლის ბიჭებს არ ვგულსხმობ, თავყარაინები არიან.

— სულ რამდენჯერ გყვარებია?

— პირველი სიყვარული 23 წლის ასაკში მენჭია და დღემდე მახსოვს. ამ სიყვარულმა დიდი ტკივილი მომაყენა, ხომ გაგიგონია — დამორება პატარა სიკვდილიაო?! ზუსტად ვერ ვიხსენებ, რამდენჯერ მყვარებია, რადგან ძირითადად, გატაცებები მქონდა ხოლმე.

— რას ვერ აპატიებ მამაკაცს?

— ტყუილი ძალიან მტკენს გულს და როცა გული მტკივა, მაშინ ნერის მუზა მომდის. უბასუხისმგებლობა მაგიჟებს. კაცი რომ მეტყვის — მიყვარხარო და ამის შემდეგ, ყველანაირ პასუხისმგებლობას თავს არიდებს, ვერ ვაპატიებ.

— შეგიძლია გაიხსენო ყველაზე რომანტიკული დღე შენს ცხოვრებაში?

— ჩემს ცხოვრებაში ბევრი რომანტიკული საღამო ყოფილა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა საწოლით დასრულდებოდა. ასეთი საღამო მხოლოდ ინტიმური ურთიერთობისთვის არ უნდა მოგიწიოს კაცმა. ეგვიპტეში, დისკოთეკაზე გავიცანი პატარა ბიჭი. მას გრძელი თმა და არაჩვეულებრივი გარეგნობა ჰქონდა. ბევრი ვიცეკვეთ. მეორე დღესაც შევხვდით. აქლემით წამიყვანა და დამათვალიერებინა ღამის ეგვიპტე, ულამაზესი სანახაია პირამიდები ღამით. ვკითხე, რამდენი წლის ხარ-მეთქი? — და როცა მითხრა — 23-ისო, — მეც-მეთქი, — ვუთხარი, აბა, ხომ არ გაუშხვლდი, რომ 35 წლის ვარ!.. ძალიან რომანტიკული საღამო იყო. მართალია, ვერაფერი მოვასწარი, მაგრამ როცა ჩავეალ, აუცილებლად დაფურეკავ...

— რისი კომპლექსი გაქვს?

— როცა შეყვარებულთან ერთად ვარ, არაფრის კომპლექსი არ მაქვს, მაგრამ თვითმფრინვაში, მგზავრებთან, რასაკვირველია, ისეთი უკომპლექსო ვერ ვიქნები, როგორც საყვარელ ადამიანთან.

— რას ნიშნავს შენთვის სექსი?

— ჩემს ასაკში ადამიანი სექსის გარეშე ვერ გაძლებს, მით უმეტეს, როდესაც ვინმე გიყვარს... გრძნობის გარეშე ინტიმური ურთიერთობა უაზრობაა. თუ ადამიანი მომწონს, მასზე ვგიჟდები და ვაფრენ, მაშინ შემიძლია „გაფრინდე“ და ისიც „ავაფრინო ცაში“. ვერასოდეს ვიცხოვრებ წუ-

წუნა მამაკაცთან ერთად.

— ეჭვიანი ხარ?

— მესმის იმ მამაკაცების, ვისაც სხვა ქალებისკენაც გაუჩიოთ თვალი. რას იზამ, ბევრი ლამაზი ქალი დაიარება... ეჭვიანი კი ვარ, მაგრამ ვცდილობ, ჩემი ეჭვიანობით მამაკაცი არ შევანუხო.

— რას შეადარებდი მამაკაცებს?

— ბუნწულა კაცებს — თეთრ, ფუმფულა დათუნიას, ხოლო მათ, ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნიათ და სულიბღვირებთან, გველეშაპებს ვადარებ, მულტიფლიმიდან...



პირველი სიყვარული 23 წლის ასაკში მეწვია



სიძულვილი

ვიმუშავებ ყოველწლიურად ანუ რატომ არის „გზის“ გლობუსი მოჭმული?

სიძულვილს ადამიანებისთვის არაფერი მოაქვს, გარდა საპასუხო სიძულვილისა. ქრისტეს ერთ-ერთი მცნება გვასწავლის, რომ საკუთარი მტერიც უნდა გიყვარდეს, მაგრამ თუ ჩვენი მკითხველების მესიჯებს წაიკითხავთ, ნახავთ, რომ თურმე, ადამიანებს სძულთ არა მარტო მტრები, არამედ მშობლები, მასწავლებელი, ყოფილი შეყვარებულები და არაყიცი კი. „სიძულვილი მხდალი ადამიანის შურისძიებაა, გადატანილი შიშის გამო“ — ამბობს ბერნარდ შოუ. „სიძულვილი მაგარი გრძნობაა, თითქოს მტერს სამაგიეროს უხდი. ყველაზე მაგარი კი მაშინაა, როცა იმ ადამიანმა იცის, რომ გატულს“. — ამას ჩვენი ყველაზე პატარა, 12 წლის მკითხველი გვწერს. „მოძულე“ მკითხველებისგან იმდენი მესიჯი მივიღე, რომ საბოლოოდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ქვეყნის ერთ ნახევარს, მეორე ნახევარი სძულს. ახლა კი პირველი მესიჯი და ერთი მცირე, „მზარული“ რჩევა: არასოდეს შეიძულოთ მამაკაცი ისე, რომ განშორების შემდეგ, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უკან დაუბრუნოთ.

მარი ჭაშარიძე

სინანული

„გამარჯობა, „გზა“. სულ მინდოდა, თქვენთვის მომეწერა, მაგრამ მომავლისთვის გადავდებდი ხოლმე. თუმცა, ყველა თემაზე, რომელსაც გვთავაზობდით, ნამდვილად მქონდა მოსაყოლი. ცოტა კი მეზარება მესიჯის აკრება, მაგრამ მაინც მოგწერთ. ჩემი ამბავი, რა თქმა უნდა, სიყვარულს ეხება. გათხოვილი არასოდეს ვყოფილვარ. 22 წლის გახლდით, როდესაც ჩემი თანამშრომელი, ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა. რა თქმა უნდა, ინიციატივა მისგან მოდიოდა. ბოლოს დაჯერე ფარ-ხმალი და დაწვებდი. მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ჩვენი ურთიერთობა მთელი ამ ხნის მანძილზე გრძელდებოდა. მე გათხოვებაზე აღარ მიფიქრია, მას კი — ოჯახის დანგრევაზე. მიყვარდა და კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ჩემ გვერდით იყო. ოჯახის წევრები სულ გათხოვებაზე მელაპარაკებოდნენ, ხან ვის

მირიგებდნენ, ხან — ვის, მაგრამ ყოველთვის უარზე ვიყავი და არც პაატა მძლევდა იმის უფლებას, რომ გადაწყვეტილება მიმეღო, ოჯახი შემიქმნა. ხშირად მეუბნებოდა — შენი ცხოვრებით უნდა იცხოვრო, მე უფლება არა მაქვს, შენს საქმეში ჩავერიო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ეჭვიანობა და ჩხუბობდა. ნლებმა ძალიან მალე გაირბინა. ამასობაში, 33 წლის გავხდი. ქალის ინსტინქტი ხომ შვილის გაჩენაა?! ჰოდა, მეც მინდოდა, შვილი მყოლოდა. ვისგან? რა თქმა უნდა, პაატასგან. ერთ დღეს, ამ თემაზე სერიოზულად დაველაპარაკე და ვთხოვე, უფლება მოეცა, რომ დავფეხმძიმებულყავი და შვილი გამეჩინა. იმ დღეს ძალიან მაგრად ვიჩხუბეთ, რადგან ჩემს თხოვნაზე უარი მივიღე. — მაშინ ავდგები და სხვისგან გავაჩენ-მეთქი, — ვუთხარი. ამაზე სულ გადვირია. შინ დაბრუნებულმა ჩვენი ურთიერთობა გავაანალიზე და მივხვდი, რომ მას სულ არ აღარდებდა ჩემი მდგომარეობა. ფაქტობრივად, მის გამო

დავრჩი გაუთხოვარი, მთელი ცხოვრება და ახალგაზრდობა მის გვერდით გავატარე და ახლა, ბავშვის გაჩენის უფლებასაც არ მძლევდა. გამოდის, ფეხებზე ვკიდა ჩემი მომავალიც და აწმყოც. იმ დღის მერე, ჩვენი ურთიერთობა დაიძაბა. სულ იმის შიში ჰქონდა, არ დავფეხმძიმებულყავი და მუდამ ფრთხილობდა. ალბათ, პაატა ამიტომაც შევიძულე. მისი დანახვაც აღარ მინდოდა. ერთ დღეს, ყველაფერი პირში მივახალე, მისი ნაჩუქარი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედიც დავუბრუნე და სამუდამოდ ავუკრძალე ჩემთან ურთიერთობა. ეს ერთი წლის წინ მოხდა. ახლა ძალიან მინდა, რომ ხელოვნური განაყოფიერების გზით დავფეხმძიმდე, მაგრამ თურმე, ძალიან ძვირი ღირს და ვნანობ, რომ ის ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი უკან დავუბრუნე — რომ გამეყიდა, თავისუფლად ეყოფოდა ამ პროცედურას. პაატა, მძულხარ უზომოდ. ალბათ მიხვდები, ვინც ვარ. „გზა“ ხომ შენი საყვარელი ჟურნალია“.

მეტოქე

„ცხოვრებისგან გაუბედურებული გოგო ვარ. მაკო ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ერთ დღეს, მე და მაკო ბარში შევედით. იქ მისი თაყვანისმცემელი, ლაშაც შემოვიდა. დავინახე თუ არა, მაშინვე შემიყვარდა. ნომრები გავცვალეთ და 2-კვირიანი ნაცნობობის შემდეგ, ცოლად გავყვევი. თავლობის თვე გერმანიაში გავატარეთ. მანამდე მითხრა, ცოლად სიყვარულით არ მომიყვანისარ, მაკო მინდა, გავამწაროო. ისიც მითხრა, რომ მას ლეიკემია სჭირდა. იმდენად ვიყავი სიყვარულით დაბრუნებული, მაინც გავყვევი. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. გერმანიიდან ჩამოვედით თუ არა, ლაშამ მითხრა — მაგ გოგოს ვერასოდეს დავივინყებო. ეს ვერ ავიტანე და ერთმანეთს დავშორდით. მაკოს სახლში მივაკითხე და პატივმა ვთხოვე. შევეხვე, რომ ღვთის გულისთვის მაინც გაეხალისებინა ლაშასთვის უკანასკნელი დღეები. ის კი დამცინავი მზერით მიყურებდა და ხარხარებდა. თუ სასიკვდილოა, უნდა მოკვდესო, — მითხრა. ლაშამ ისიცოცხლე მაკოსთან საუბარში დაასრულა. მაგ ქალბატონმა კი, პანაშვიდზე მისვლაც არ იკადრა. ახლა გავიგე, მაკოს ფილტვების ანთება ჰქონია. ღმერთს ვთხოვ, არ გადარჩეს, რომ იმ ქვეყნად წასულს, ლაშასი შერცხვეს. ნათია“.

„როგორ მოვიქცე?..“

„მე და ჩემს ქმარს სტუდენტობიდან გვიყვარს ერთმანეთი. 3 წელია, დავქორწინდით, ახლა კი გამომიცხადა — აღარ მინდა შენთან ცხოვრება, მძულხარო. არ მესმის, ეს რატომ ხდება. ჩვენ არა მარტო ცოლ-ქმარი, არამედ მეგობრებიც ვიყავით. არ იფიქროთ, რომ აგრესიულია, პირიქით, საოცრად მზრუნველი და ყურადღებიანი გახდა. ძალიან მიყვარს, მან კი შემიძულა. რატომ? — ამას თვითონაც ვერ ხსნის. მითხრა: ან შენ და ბავშვი წადით, ან მე წავალო. იქნებ, ცალკე ცხოვრება მისთვის კარგიც იყოს, რომ უკეთ შეძლოს საკუთარ თავში გარკვევა, მაგრამ

მეშინია, ხომ შეიძლება, ასე მთლად გადავავინყდე? არ ვიცი, როგორ გავუქრო სიძულვილი. ვიტანჯები და დახმარება მჭირდება. თამუნა“.

აუცილებელი ნივთი

„ეს ჩემი ტრაგედიაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემნაირი ბევრი იქნება. სიძულვილი? ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, რადგან მამაჩემი მძულს. მძულდა მთელი ბავშვობა და დღემდე ვერ გავთავისუფლდი ამ გრძობისგან. ნეტავ, რისთვის გამაჩინეს? ორივეს, დედასაც და მამასაც პირველი ოჯახები ჰქონდათ, შესაბამისად, შვილებიც ჰყავდათ. როგორც აუცილებელი ნივთი, ისე დაგვადებულვარ. თუ რაიმეს ვთხოვდი, მუზბენებოდა: გიჟების ჭკუაზე არ დავედივარო. დღემდე გიჟს მეჭახის. გავთხოვდი, ძალიან კარგი ქმარი მყავს. სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა და ჩემმა ნახევარძმამ მითხრა: გინდა, რომ ფული დაგვახარჯვინო. 2 შვილი მყავს და ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, რომ რომელიმე არ მინდოდეს... ერთხელ ნათესავეები გვყავდა სტუმრად და მამამ მათ უთხრა — ამ გიჟს როგორ უყურებთო? ავდექი და შინიდან გავაგდე, მაგრამ სიკვდილი მინდოდა, ისე შემრცხვა. ვერ გავიგე, რა დაფუშავე? ან საერთოდ, რატომ გამაჩინეს? ბოდიში, მარი, ძალიან ცუდად ვარ და ახლა ცოტა მომეშვა. ნახვამდის“.

საზიზღარი ლერი

„სიძულვილი საშინელი გრძობაა. 3 წლის წინ ლერი მიყვარდა, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო მიმატოვა. ბედის ირონია აბა, რა! მეგობარ გოგოსთან ვამქსივები და სრულიად შემთხვევით, სხვასთან მოვხვდი. ის სხვა კი, ლერის უბნელი, რამინი აღმოჩნდა, რომელიც ძალიან შემეყვარდა. ეს ამბავი ლერიმ რომ გაიგო, დამირეკა და სხვისი სახელით გამეცნო. ვერ ვიცანი, დაფუჯერე და ჩემს შეყვარებულზე ყველაფერი მოუყევი. არც აცია, არც აცხელა და რამინს დაურეკა. უთხრა: — ეგ გოგო მე მიყვარს და შეეშვიო. ამის გამო რამინი გამიბრაზდა და ვიჩხუბეთ. როცა გავარკვიე, რომ ეს ყველაფერი ლერის ბრალი იყო, ლამის გავგიჟდი. ვურეკავდი და არ მპასუხობდა. მერე დაფუქსივდი: თუ შენი მიზეზით შეყვარებულს დავშორდები, მოგკლავ-მეთქი. მძულს ლერი, რადგან მან გაიმარჯვა, მე და რამინი ერთმანეთს დავშორდით“.

„მძულდა და შემეყვარდა“

„სიყვარულიდან სიძულვილამდე რომ მსოლოდ ერთი ნაბიჯია, ამაში თავად დავრწმუნდი. ჩემს კურსზე ერთი ბიჭი სწავლობდა, რომელიც მთელი კურსისი სული და გული იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ვიქნებოდით — ლექციაზე, ექსკურსიაზე, ქორწილში თუ სადმე სხვაგან, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მას კარგი იუმორი, ინტელექტი და არტისტიზმი ახასიათებდა, მის კომპანიაში თავს ყოველთვის

კარგად ვგრძობდით, მაგრამ საშინლად უხეში და უტაქტოც იყო. ჩვენი აზრები ძალიან ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ამის გამო, სულ ვჩხუბობდით. ზოგჯერ, ისე გვიჩხუბია, რომ ხალხი გვაშველებდა. ის ბიჭი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც მთელი არსებით მძულდა. შესაბამისად ვაფასებდი მის „სულელურ“ იუმორს, „დიდოტურ“ აზროვნებას, „უნიჭო“ არტისტიზმს და ვინ იცის, კიდევ რამდენ საშინელებას ვფიქრობდი და ვამბობდი მასზე... ყველაზე დიდი სიურპრიზი ჩემთვის ის აღმოჩნდა, რომ შევუყვარდი, მისი შემოქმედების მუზად ვიქციე. ყველა სიურპრიზს ჩემთვის აწყობდა და როგორც წესი, თავის რომელიმე მეგობარს მიაწერდა ხოლმე — აქაოდა, მე შენთვის ასე არ გავირჯებოდიო. თუმცა, მისი მზერა ყოველთვის ისეთ „მესიჯს“ მიგზავნიდა, რომ ჩემი მისდამი შეფასების გადასინჯვა დავინყე. შთაბეჭდილებები გადავაფასე და შედეგიც მივიღე — შემეყვარდა! თუმცა, ის სულ არ შეცვლილა, მაგრამ ისეთი მიყვარს, როგორიც არის. ახლა რომ არ მძინავს და გიმეხივებ, სწორედ მისი დამსახურებაა. მენატრება!“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„სვანებმა მომიტაცეს“

„ჩემი დაბადების დღე სკოლაში, კლასელებთან ერთად აღვნიშნე. ეს რომ დირექტორმა გაიგო, საკუთარ დაბადების დღეზე სილა გამაწნა. იმის შემდეგ მეზიზღება. ვასო“.

„ჩემი მეზობლის გამუდმებულმა თხოვნებმა მაიძულა, რომ მისთვის კარი აღარ გამეღო. თანაც, დაბადების დღეზე შეყვარებულის მიერ კართან დატოვებული საჩუქარი „ამაცალა“. ნიცა“.

„ყველაზე მეტად ის ადამიანი მძულს, რომელმაც დედას დამაცვილა. მე ასეთ დღეში ვარ, ის კი — ერთობა. მარი, კიდევ ის მძულს, ვისაც შენ არ „ევასები“. კოზო“.

„მძულს ერთი გოგო, რომელსაც ჩემი ქმარი უყვარს და ვგრძნობ, რომ არც ჩემი ქმარია მის მიმართ გულგრილი. ნ, მძულხარ და მიფრთხილდი. თათია“.

„ძალიან გავბრაზდი, მესიჯი რომ არ დამიბეჭდეთ. თუ ასე გააგრძელებთ, „გზას“ სამუდამოდ შევიძულე. ზასტავა, ქუთაისი“.

„მძულს 3 თებერვალი. ამ დღეს დავიბადე და ამ დღეს „გავბედნიერდი“. თავი მივიყიდე კაცს, რომელიც ცხოველივით მომექცა. საავადმყოფოში ძლივს გადამარჩინეს, „ლექტორმა“ კი მითხრა, არ მეგონა, თუ ქალწული იყავიო. ქმარიც ასეთი უნდა“. „მარი, ალბათ გძულვარ, რადგან მესიჯებს არ მიქვეყნებ. ისე, ამ თემამ ბევრი „საყვარელი“ ადამიანი გამახსენა. შენზე გაბრაზებულ ვარ, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ყველა მძულს, ვისაც „გზავნილები“ არ უყვარს“.

„ყველაზე მეტად ჩემი ქმრის „დაკერ-ილი“, უტყინო გოგონები მძულს, რომლებსაც ყოველ დილით ვიცილებ თავიდან. დღე ისე არ გავა, ვილაც გოგოს მესიჯს არ წავაწყდე მის ტელეფონში. რომ ჰკითხოთ, სიგიჟემდე ვუყვარვარ. არადა, წურბელაა, წურბელა... ვურჩევ, ფრთხილად იყოს, რადგან მიყვარს, მაგრამ სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. ზიფსო“.

„სიძულვილი კი არა, მრისხანება მანერინებს ამ მესიჯს. თქვენი აქტიური მკითხველი ვარ და ჩემი მესიჯები ხშირად იბეჭდებოდა „გზავნილებში“. ახლა, დიდი ხანია, აღარ მომიწერია, მაგრამ ჩემი ნივთი ვილაც გნერთ. ახლობლები ვერ დავაჯერე, რომ აღარ ვმესიჯობ, ჰოდა, ტყუილ დავას, ისევ წავიდა „ქემქემბიბიბი“... ხალხო, კივი დაგიბრუნდათ. ყველანი ძალიან მიყვარხართ“.

„მძულს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან არ მიყვარს, როცა მამაჩემი ტელევიზორთან, ტახტზე წამოწვება, მერე კი — ხვრინავს. საშინელი მოსასმენია. პეტრე“.

„ამქვეყნად მარტო ახმეტელი თათარი, ანა და მისი ჯადოქარი დედა მძულს. ჩემს დაქალს 11 წლის, სიყვარულით შექმნილი ოჯახი დაუფგრის. მძულხართ, ცოდვიანო იაკუბოვებო“.

„დღეს დიდუბის ბაზარში ვიყავი. შესასვლელთან ერთი მოხუცი მწვანილს ყიდდა



და პოლიციელმა სულ ძირს გადაუყარა, რომ იქაურობას მოშორებოდა. მძულს ასეთი, „დედით ობოლი“ პოლიციელები“.

„მძულს კარტოფილის შეწვა, ჩემი შვილის გამო, რადგან დღეში 3-ჯერ მაინც მიწვევს ამის კეთება“.

„მგონი, საკუთარი ძმა მეზიზღება, რადგან მიმტკიცებს, „ცისფერი“ ვარ და შეყვარებულს წაგართმევო“.

„ყველაზე მეტად ჩემი ქმარი და დაქალი

მძულს, რადგან ამ ზაფხულს ერთად ნავასწარი. კუსუნა“.

„სიძულვილზე ლექსის წერა/ უპირიანი არ არის/ ან მაგაზე დასახარჯი/ „ესემესი“ სად არის?/ მაგრამ მაინც გიმესიჯებო/ ვერ ვძლებ მე თქვენ გარეშე/ იმედია, „გზავნილებში“/ მაინც გავითარებო/ მე გირჩევდით, არვინ გძულდეთ/ ეჰ... რა ყრია მაგამი?/ არ მოგებურდათ, ქართველებო/ ამ გრძნობებზე თამაში? მის ხატია“.

„ამ მესიჯს ათენის შუაგულიდან გწერთ. ჩემი ექსმულოვ 6 წელი მიყვარდა და ბოლოს, ცოლად გავყვი. ერთ კვირაში სახლიდან გაიპარა და ყველაფერი დამთავრდა. სწორედ მისი წყალობით გადმოვიკარგე აქ. ერთი კვირის წინ დავურეკე და ვუთხარი: მეზიზღები-მეთქი. ჩვენი დაშორებიდან 2 წელი გავიდა და სიყვარულიც სიძულვილით შეიცვალა. მეზიზღები, პაატა მჭედლიძე! მაიკო, ათენი“.

„მძულს უგულო სიყვარული, ხვეწნა-კოცნა, მტლამიტლუში“. ამ „ვეფხისტყაოსანს“ ვერ გადავჩვიე. ნავედი ახლა, თორემ ბევრი ვიფილოსოფოსე და ტვინი გადაამეწება. მერე გამასახურდის ვინ ისწავლის, ჰაააა? ოჰ, ვინც ეს აბიტურიენტობა მოიგონა! პიკნიკა“.

„მარიი, მძულს მთელი სამყარო! მომიტაცეს სვანებმა! ყველა სვანი მძულს, შენ გარდა. ეჰ, შენ ვეღარ მიშველი... საცოდავი ეჰა“.

„მარი, უკვე მერამდენედ გწერ და არ მიბეჭდავ. რატომ? იქნებ, ჩემი ნომერი არ მოგწონს? გამოვცვალო? გთხოვ, „ჩააკვეტე“ სადმე, რააა... მინდა, ჩემს ქმარუკას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. თიკუნია, 18 წლის“.

„მარი, სიძულვილი აქ რა მოსატანი იყო, ჰა? ვერ ხედავ, ხალხი სიყვარულით რომ კვდება? როგორ შეიძლება, გძულდეს ქართველი გოგო, ქართულ კაბაში გამოწყობილი, მხრებზე „გადარევილი“ გრძელი ნაწნავებით... ამას რომ ვხედავ, სიყვარული მინდება, მაგრამ რად გინდა? სანამ პირს დავაღებ და დავიყვირებ, გავიხედავ და მოდის გოგო, ისიც ქართველი, მაგრამ ევროპელი. მე კიდევ, სწორედ ასეთი გოგონების გამწარება მიყვარს ხოლმე. ისევ მათი ბრალი არ არის? მესამე თაობა“.

„მე სიძულვილი არ შემიძლია, მაგრამ როდესაც თუმა წახვ, აღმოვაჩინე, რომ თურმე, ჩემი ისტორიის მასწავლებელი მძულს. ნანკა“.

„მძულს მობილური ტელეფონის ოპერატორის ხმა, რომელიც მეუბნება: ნომერი, რომელიც თქვენ აკრიბეთ, გასულია მომსახურების ზონიდან“.

„ვიცი, უცნაურად ჟღერს, მაგრამ მე დღესაც არ ვიცი, ქალწული ვარ თუ არა. ექიმთან მისვლის კი, მრცხვენია. 27 ივნისი

ჩემი ცხოვრების ლაქაა. მჟავია“.

„ერთხელ ტელეფონზე დამირეკეს და მკითხეს, შეიძლება თქვენი გაცნობაო? უხეშად ვუპასუხე: გაცნობა არა, ფეხები-მეთქი. თურმე, ჩემი სამამამთილო ყოფილა, მე კი ასე შევირცხვინე თავი. თავო“.

„გათხოვებამდე ერთი ბიჭი მიყვარდა. ერთმანეთს დავმორდით და ძალიან კარგად ამიანს გავყვი ცოლად. წლინახევრის შემდეგ, ის ღმერთმა თავისთან წაიყვანა და სამშობიაროდან გამოსულს, დამარხული დამხვდა. დამრჩა პატარა გოგო. ახლა 19 წლის ვარ და შემთხვევით, ჩემს პირველ სიყვარულს შევხვდი. არ მინდა, ისედაც ტანჯული ცხოვრება ამიფორიაქოს. არადა, გული მიფრიალებს, როცა ვხედავ. ჩემთვის ფიქრში ღალატიც კი სირცხვილია. მარი, ეს ძალიან დიდი და საინტერესო ამბავია. თუ დაინტერესდები, დანვრჩილებთ



მოგიყვები“.

„13 წლის ვიყავი, როცა შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი. სულ ჩემ გვერდით იყო და თითქოს, მფარველად მეველინებოდა. მალე ყველაფერი შეიცვალა, რადგან ჩემი სიყვარულის შესახებ მშობლებმა შეიტყვეს და გადაირიგნენ — იმიტომ გასწავლით და ვხარჯავთ ამდენ ფულს, რომ მაგ მდაბიოსთან გაატარო შენი ცხოვრებაო? ყველაფერს ჩამომამოირეს და შინ ჩამეკეტეს. მასწავლებლები სახლში მოდიან და 1000-ჯერ „დალექილ“ პროგრამას ისევ „მალეჭვინებენ“. დედაჩემის დაქვალს თავისი შვილისთვის მოვწონვარ, მაგრამ... მარი, გთხოვ, გამახარე და ამ შენს საცოდავ მოსახელეს გული გაუხარე, რააა“.

„არ ვიცი, როსი მრცხვენია, მაგრამ ჩემს ქმარს თუ ჰკითხავთ, მას ჩემი სიყვარულის რცხვენია, აქაოდა, მეორე ქმარი ვარო...

ჰოოოოდა, გზას ბარაქა დააყარე, ჩემო კარგო, დაბმული ხომ არ ხარ? დიკო“.

„მარი, ახლა ყველაზე მეტად შენ მძულხარ. იმიტომ, რომ არც ერთი ჩემი მესიჯი არ გამოაქვეყნე. არადა, როგორ ველოდი ხალხის თანადგომას... აღარ ვიყიდი „გზა“? მანა“.

„მარი, მე ჩემი საიდუმლო გაგიმხილე, შენ კი, არ დაბეჭდე, ძალიან მანყვინე. აწი აღარ მაინტერესებს შენი „გზავნილები“. ყველანი ძალიან მიყვარდით, მაგზავნილებო, მაგრამ არ მომეცა იმის საშუალება, რომ ჩემი ტკივილი თქვენთვის გადმომეცა. მარი, შენ ერთი მუდმივი მკითხველი დაკარგე“.

„მე ის თამუნია ვარ, ზღვამ რომ ბიუსტპალტერი მოსტაცა. სიძულვილი არ შემიძლია. ვინ ან რატომ უნდა მძულდეს? უბრალოდ, ჩემი ნეგატიური განწყობილება ერთმა ცოლიანმა მამაკაცმა დაიმსახურა. ჩემი სახლის წინ ათენება და აღამება. დაბადების დღეზე ბეჭედი გამომიგზავნა და წერილი მომწერა: ეს ძვირფასი ნივთი ცოლს ნავართვი და მხოლოდ შენთვის მემეტებაო. ვერ გიტან, ლევან! ნადი ჩემი ცხოვრებიდანა“.

„ჩემზე 2 წლით პატარა ბიჭი მიყვარდა. ახლა მითხრა — გიყენებდიო... თურმე, ფული აინტერესებდა. ახლა საშინლად მძულს. მათხოვარია და იმიტომ. პანუკლა“.

„მძულს ჩემი ლექტორი, რადგან ნიშანს არ მიწერს. მძულს ზამთარი, იმიტომ, რომ მცივა! მძულს მარი ჯავარიძე, იმიტომ, რომ მესიჯებს არ მიბეჭდავს. ყველა და ყველაფერი მძულს“.

„ეჰ... აღარაფრის მწანს. 14 წლის სიყვარული სიძულვილში გადაიქცა. მისი გულისთვის ყველაფერი დავთმე, ქმარ-შვილიც კი, მაგრამ გამომიყენა და... ახლა მთელი არსებით მძულს“.

„ერთი კაცი მძულს უზომოდ. ერთი მისი თავი მანვენა გამათხოვრებული და დამცირებული! მძულს მთელი არსებით, უგულო, ამპარტავანო და ლაჩარო ჯაბა“.

„მეც ძალიან მაინტერესებს, რატომ არის „გზის“ გლობუსი მოჭმული? ვინც შეჭამა, ალბათ ძალიან შიოდა, რადგან ნახევარი დედამინა შეუჭამია. ნეტავ, გემრიელია?“

„იმაზე უარესი არაფერია, როცა საკუთარი თავი გძულს. მე კი მძულს, იმიტომ, რომ საყვარელი მყავს და ვერ დავმორდი. მინდა, ეს მესიჯი გოგამ წაიკითხოს და თავი დამანებოს. საზიზღარი გოგო“.

„სიძულვილი? ჰმ... გამახსენდა ჩემი თანაკლასელი, სულ ერთმანეთს ლანძღვაში ვიყავით. ერთ მშვენიერ დღეს კი, სიყვარული ამიხსნა. მეც, ამდენ ლანძღვა-გინებაში გულში ჩამვარდნია. ახლა გაქრა შარშანდელი თოვლივით. ლევევაააან!“

„ერთ ხელგაწაურელ გოგოს ვერ ვიტან და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ კილერად. შემოთავაზება არა გაქვთ? დორე სოფო“.

„ეჰ... ამ თემაზე რა მოგწეროთ, აბა? მე ხომ სიძულვილი არ შემიძლია? საკუთარი დედამთილიც კი მიყვარს. სონია“.

„ბავშვობაში ჩემი სკოლელი მიყვარდა და კიდევ კარგი, რომ არ ვუთხარი, თორემ ისედაც სულ დამცინოდა და მერე გენახათ, დაცინვა. ბოლოს, იმდენი მოახერხა, რომ თავი შემაზიზლა. 2 წელია, არ მინახავს. ცოტა ხნის წინ კი, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე შევხვდით ერთმანეთს და სიყვარული ამისხნა. ახლა მე დავცინი, მაგრამ ჯერ არ იცის, როგორ მეზიზღება. ერთი სული მაქვს, როდის ვეტყვი. ოოო, რა ტკბილია შურისძიება!“

„შარშან მე და ჩემი მეგობრები ზღვაზე ვიყავით. წამოსვლის წინადაც ზღვასთან გამოსამშვიდობებელი საღამო მოვანყვეთ რესტორანში და ისე დავთვერი, რომ ჩემმა დაქალმა ზურგზე აკიდებული მიმიყვანა სახლში. თურმე, მთელი ღამე უმიზნოდ მიტირია. ამის დასტური ჩემი დასიკვებული თვალები იყო. მე ხომ შემრცხვა და შემრცხვა, ჩემს დაქალს კი, ეს ამბავი მთელი წელი ყუთი სასაცილოდ. მძულს არაყი! ძირს არაყი!“

„იცით, ვინ მძულს? ვინც სიყვარულს მეფიცებოდა და მერე, ცოლი მოიყვანა“.

„უუ, მარი, მაგარი თემა გაქვს. გენაცვალე! ერთი გოგოა, რა! თავი ქუჩულორია და მოკლედ, წაიღო ტვინი... იცი, როგორ ვძულვარ? ისე, არც მე მესაბუბრა გულზე. რატომ ვერ მიტანს? მოუჩვენა, თითქოს შეყვარებული „ავახიე“. არადა, რა დებილი ბიჭია, იცი? მერე წავიდა სახლში რეკვები და ჩემი ლანძღვა. ახლა ცოტათი კი დანყნარდა, მაგრამ მაინც იკბინება. არ გეცოდებოდა?“

„ვაიმევე... მარიიი... იცი, როგორ მიხარია? „კიბორჩხალა“ ქმარზე მე მოგწერე მესიჯი და სათაურად რომ ვნახე, სისხარულით ვიხტუნავე. სიძულვილი კი არ ვიცი, საჭმელია თუ სასმელი და ყველას იმავეს ვურჩევ. თიანეთი“.

„ყველაზე მეტად ჩემი შეყვარებულის იდიოტი ცოლი მძულს. ჰო, ცოლიანია, მაგრამ ეს ხელს არაფერში გვიშლის. სისხ, მიყვარხარ“.

„ერთ ადამიანს ვურჩევ, ჭკვიანად იყოს და სხვის შეყვარებულს თავი დაანებოს, თორემ დაუფიქრებლად ჩაუყურის სასმელში სანამალავს. მას ჩემი სახით მაგარი მტერი ჰყავს“.

„რა დიდებულია ადამიანი, თუ ის ნამდვილი ადამიანია. ამ მომენტში, რატომღაც არავინ მძულს. რა კარგიაა... ს.ს.ს“.

„მე და ერთ გოგოს ერთმანეთი სიგიჟედ გვიყვარდა. ახლა ისე მძულს, რომ ვხედავ, ტანზე ბუსუსებს მაყრის. 3 წელი მიმტკიცებდა, მიყვარხარო და როცა საჭირო იყო, მაშინ არ აღიარა. ინდაურო, მძულხარ და ცხოვრებას დაგიმახინჯებ“.

„ერთი ბიჭი მიყვარდა, ერთად წელიწად-ნახევარი ვიყავით, მერე ცოლობა მთხოვა და უარი ვუთხარი, რადგან შემძულდა. ახლა სხვა მიყვარს და იმედა, ეს არ შემძულდება. თუ ცოლობას მთხოვს, აუცილებლად გაყვები. აბა, რამდენ ხანს უნდა ვიყო ასე? გიჟუნია“.

„არავინ მძულს ჩემი თავისა და დარჩე-

წილი სიცოცხლის გარდა. მარლი“.

„ეჰ, ჩემო მარუს, შენ რა გედარდებოდა „თეთრი გოგოს“ ცრემლები... უიმედოდ დავცქერი „გზის“ ფურცლებზე სხვის მესიჯებს, რადგან ჩემი მესიჯის ნაკითხვას ვერ ვეღირსე. თეთრი გოგო“.

„მეზიზღება გევა, რადგან მისმა საქციელმა ლამის დაქალი დამაპარგინა. გევა, გასკდი გულზე, მე და ნინუცი ისევე დაქალები ვართ“.

„გიორგი, მეზიზღები. შენ ჩვენი სიყვარული არ გადაარჩინე. მე ჩემს თავს ვადანაშაულებდი, მაგრამ თურმე, ჩემი ერთობლივი. მეზიზღები, მეზიზღები, მეზიზღები“.

„თათა, მძულხარ! ჩემს სიცოცხლეს ნუ ეტენები და თავი დაანებე, თორემ ჩემი ხელით მოგკლავ! ეს გაფრთხილებად ჩათვალე“.

„ერთ ტიპს ვერ ვიტან. არადა, როგორ მიყვარდა! გულში დამირეკა და მიყვარხარო, მითხრა. მძულს, მაგრამ მაინც ველაპარაკებოდი, ნორმალური არა ვარ. მაქვს შანსი, რომ „გზავნილებში“ მოვხვდები? ნუშკი“.

„მძულს ჩუმლაყელი ვალერი, რომელიც 3 გოგოს ერთდროულად გვატყუებდა და გული გვატკინა. ვალერი, მხოლოდ წარსულის ლაქად დარჩი. სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია“.

„ხაშურში ერთ კაცს ვერ ვიტან, მაგარი მექლთანე, „ჩამშვები“ და ნაგავია. პაატა, ვერ წარმოიდგენ, როგორ მეზიზღები“.

„ეჰ, მძულს და მერე როგორ! 13 წლის ასაკში პირველად შემიყვარდა. ის ჩემი ძმის ძმაცაი იყო. ცრემლებიც ბევრჯერ დამიღვრია მისი გულისთვის. როცა ჩემი გრძობის შესახებ შეიტყო, ადგა და ჩემს ძმას უთხრა: ძმაცაცობაში ასეთი რამ არ მოსულაო. — იმ დღის მერე ვეღარ ვიტან. სხვათა შორის, იმდენი ვქენი, რომ ახლა ჩემს ძმასაც ეზიზღება. ხომ ვიდიე შური? მეტიარა“.

„ძალიან მაგრად მძულს ჩემი შეყვარებული, რომელიც ამერიკაშია და ჩამოსვლა ეზარება. ხომ მაგარი? ჰოდა, მეც მეზარება მაგისი სიყვარული. ქეთი“.

„ეჰ, მარი... მარი... მე „გზა“ მიყვარს და არ მინდა, გულში მისი სიძულვილი ჩავიდო. ამიტომაც გწერ და გწერ... ალბათ, ჩემი მესიჯებზე პატრონივით წყალში გადასაყრელია. ნუ დაბეჭდავთ, ბატონო! მაინც მოგწერთ... გკოცნი, გიჟი გოგო“.

„მარი, ეს მესიჯი დამიბეჭდე, თორემ ისე ვიყვირებ, რომ ვანიდან მთელ საქართველოს გავაგონებ. ერთხელ ვანიდან ქუთაისში მივედიოდი. ავტობუსში ჩვენი გზაში ერთი მოხუცი ქალბატონი ამოვიდა. ავტობუსი უცებ დაიძრა, მე თავი ვერ შევიკავე, კართან მდგომ ქალბატონს ჩემი თავი კბილებში მოხვდა და იტირა. სანყალს სულ 2 კბილი ჰქონდა და ერთი მე შევიწირე“.

„სიძულვილი სჯობს, ჩემო მარი! ერთმანეთთან ვიყო კარგად/ სიყვარული ჩვენ ვაქციოთ/ სხვისთვის მოუწყვეტელ ვარდად/ ამ „ესემესს“ თუ არ დაბეჭდავ, მუკო ბაზიერი გაქრება“.

„არ მძულს არავინ/ ვერც შევიყვარე/ არც სიძარბულს ჰგავს/ არც ვაშბობ ტყუილს/ ახლა ღამეა, საუსვა მთვარე/ ეულ მგელივით მეც ვცდილობ ყმუილს! გიო“.

„ალბათ არავის განუცდია ისეთი სიძულვილი, როგორც მე მძულს. საშინელება კი

ისაა, რომ ამ გრძობამ სიყვარული შეცვალა. კაცი, რომელიც საუკუნო სიყვარულს მპირდებოდა, ერთი სულმოკლე, გაუნონანსორებელი და პატარა კაცუნა აღმოჩნდა. მინდა, ამ სიძულვილისგან გაეთავისუფლდე, მაგრამ ძალიან მიჭირს“.

„ხუთშაბათი რომ თენდება/ მზიანი თუ წვიმიანი/ ჯიხურისკენ მივიჩქარი/ ვილას ახსოვს ყავა, ჩაი/ „გზა“ მოსულა სულნასულად/ ვიტრინისკენ გარბის თვალი/ ჩქარა მინდა, წავიკითხო/ ამერია გზა და კვალი.../ აქეთ ნატალი და ზურა/ იქით კიდევ „გზავნილები“/ ვილაც მარი ჯაფარიძემ/ აგვიცნო, ყველას გზები/ ცაში ღმერთი მეფობს დიდი/ მინახე კი ჩვენ ვართ, ქვემოთ/ რა იქნება „გზის“ გარეშე/ ეს პატარა საქართველო“.

ახლა კი ჰედლაინები

„7 თვის გათხოვილი ვარ და ორსულად ვარ. ამ ხნის განმავლობაში ისე სემაზიზდა თავი ჩემმა ქმარმა, რომ დასანახავად ვერ ვიტან. მინდა, ვინმე ნორმალური გავიცნო, ვინც კარგად მომეცევა. შვილისთვის ვცოცხლობ“.

„მარი, რანაირი ხარ? ლიკა ქაჯაიას ტელეფონის ნომერი მაინც მომეცი? რა გჭირს, ტო? 6 თეთრი გენანება?“

„აქეთ ვეცი, იქით ვეცი, გზავნილებს ვერ გავუქეცი. მარი, ძალიან მაინტერესებს „გზავნილები“ დასაწყისში რომ „აჩქებანი“ გოგო ხატია, ის შენ ხარ?“

„მარი, როგორც გავიგე, ჟურნალისტად მუშაობ და მართალია?“

„ჩემი ძველი ლექსი — ჰედლაინებისთვის: რაღაცა გული ვერა მაქვს, კარგად/ კაპლი დავლეი, ვალერიანის/ მერე ავიღე სველი ტილო და/ თავი ნავიკარ, ნალველიანი“.

„ვეხმაურები ქალბატონს, რომელიც სხვის ქმრებზე მონადირე ქალებს აფრთხილებს. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი გვიყვარს და ჩვენში მოვალეობითი სექსი ან სიყვარული არ ყოფილა. მე ჩემს ქმარს ისე ვუყვარვარ და ვაპყობილებ, რომ სხვისკენ არც კი იხედება, მაგრამ უნამუსო ქალებს რა დალევს? და ერთმა ჩემი ქმარის შებმა დაიწყო, მაგრამ მე ლამაზად და კოსტად მოვამორე ჩემს ქმარს, რომ მას არც კი გაუგია, თუ ვინ უგზავნიდა მესიჯებს. ბოლოს, ჩემმა ქმარმა გაიგო და მითხრა: ასეთი მაგარი ცოლი რომ მყავხარ, იმისთვის მიყვარხარო. იკუნა, ძალიან მიყვარხარ და შენს თავს ვერანაირი გზაბნეული ვერ წამართმევს“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გათავაზობთ — ასე მივალნიე მიზანს. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8 (77) 45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com მომწერეთ, რა ხერხი გამოიყენებთ საიმისოდ, რომ სანუკვარი იმზინისთვის მიგელწიათ. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



ცნობილი პოეტის და პატივსაცემი ბოგონას სიძეზარულის ამბავი

უცნაური ახური წესი და „მა ვარ იოსები, ეს კი ჩემი ზინჯული ცოლი“

მათ ქართულ სუფრაზე გაიცნეს ერთმანეთი. უკვე აღიარებული პოეტი იოსებ ნონეშვილი, მერვეკლასელმა ბაფთიანმა გოგონამ მედეა ფალავამ იმდენად მოხიბლა, რომ მთელი საღამო თვალი ვერ მოაშორა. საბედისწერო აღმოჩნდა მათთვის ეს შეხვედრა: სულ მალე გოგონა პოეტის მეუღლე გახდა. რამდენიმე დღის წინ, ქალბატონ მედეას დაფუკავშირდი და ვთხოვე, უცრად დაბადებული ლამაზი სიყვარულის ამბავი მოეთხრო ჩვენ მკითხველისთვის. ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა და მეორე დღეს შინ მიმიპატიუა. მასთან მიმავალს, უცნაური განცდა დამეფულა — ამ სახლს ხომ წლების წინ გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, გრგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე სტუმრობდნენ. კარი ქალბატონმა მედეამ გამიღო. შემეპატიუა და გულთბილად გამასპინძლების შემდეგ, ისეთი ემოციით დაინწყო თხოვრება, თითქოს ეს ყველაფერი ნახევარი საუკუნის წინ კი არა, გუშინ მომხდარიყო.

თამუნა კვინიკაძე

„რას გიყურებ? სურთ ამ თვალებს უმეცართ...“

— უკვე აღიარებული პოეტი იყო იოსებ ნონეშვილი, ჩემი სიძის, ბორის ნანიტაშვილის ოჯახში რომ გაიცანი, 1950 წლის 21 მარტს. იმ დროს ბორისი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი იყო და მის ოჯახში თბილისის წარჩინებული საზოგადოება ხშირად იყრიდა თავს. იოსები მთელი საღამო თვალს არ მამორებდა. ბოლოს და ბოლოს, მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: „რას გიყურებ? სურთ ამ თვალებს უმეცართ/ შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც/ თორემ, თუკი შემეყვარდი უცრად/ ყველაფერი კარგად მომეწვენება“. ერთი წამით შეჩერდა და კვლავ ჩურჩულით განაგრძო: „შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფარაფა თოლია...“ მაშინ მერვეკლასელი გოგონა ვიყავი და უკვე ცნობილი პოეტისგან ლექსით გამოხატული ქათინაური შევიფერე. სულ მალე — 27 მარტს მისი მეუღლე გავხდი. ჩემი მშობლები ძნელად შეეგუვნენ ჩემს გათხოვებას, მაგრამ მალე იოსები მათთვის საფიქრარ სიძედ იქცა.

ბაფთიანი პატარძალი

— იმ დროს იოსები რიგის ქუჩაზე ცხოვრობდა, ოროთახიანი ბინაში. იქ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ბედნიერებას, იმ სახლში გადავიხადეთ პატარა ქორწილი. ძალზე უჩვეულო და განსაკუთრებული იყო ეს ქორწილი. პატარძალი, ბაფთით ვიჯექი. ჩემმა ბაფთამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ჩვენი მეჯვარეები რეზო მარგინი და მისი მეუღლე — ნინიკო ჟღენტი გახლდნენ. ქორწილის წინაღვეს, გოგლა ლეონიძე გვესტუმრა, მოგვიკითხა, დაგვასაჩუქრა, შემდეგ, მენიუს გადახედა. თქვა — კახელების სუფრას „ჩიტის რძეც“ არ უნდა აკლდესო. მერე სტუმრების სიას გადახედა, დაგვემშობლობა და ნავიდა. მეორე დღეს, გოგლა მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად გვეწვია. ეს იყო უბედნიერესი წუთები ჩვენს ცხოვრებაში. თამადა გოგლა იყო. იოსების

გვერდით წელგამართული ვიჯექი, იოსები ჩუმად მეხვეწებოდა, ბაფთა მოისხენიო, მაგრამ გავფიქრდი და თხოვნა არ შევუსრულე. გოგლამ ჩვენს დავას ყური მოჰკრა და რიხინად შესძახა იოსებს — მოევი, პატარძალი იჯდეს ბაფთით, ამ ბაფთამ მას იოსები აპოვინა, სვალიდან ყველა გასათხოვარი გოგონა ბაფთით ივლის, მაგრამ რა ვქნათ, რომ იოსები ერთიაო?! განსხვავებული ფილით ჩვენი სადღეგრძელო შესვა და ალავერდს კარლო კალაძესთან გადავიდა. კარლომ სასმისი აიღო და რუს მწერლებს მიმართა: **Друзья, учтите – жена не швили...** — ამ ხუმრობამ სტუმრები გაახალისა. ჩვენი მხიარულება დილაძე გაგრძელდა.

„უცნაური“ ახური წესი

ახალდაქორწინებულნი მალე კახეთში მატარებლით გაემგზავრნენ. მგზავრობის დროს იოსებმა მედეას ბევრი რამ უაპბო საყვარელი ხალხსა და მხარეები, განსაკუთრებით — კოტე ძიხაზე (დედის ძმა). შეამზადა ახალი ნათესაუბის გასაცნობად, გააცნო კახური ადათ-წესები და არც ის დავინწყებია, ეთქვა, რომ პატარძალი ეზოში ჩოჩორზე შესმული შეჰყავთო. საინტერესო საუბარში გზა მალე დასრულდა. მატარებელი წორის სადგურზე გაჩერდა. ბაქანზე მათ თითქმის მთელი სოფელი დახვდა, კარდენახამდე მანქანით გაემგზავრნენ. სოფლის შარაზე შეკრებილ უამრავ ადამიანს შორის, ქალბატონი მედეას ყურადღება კოტე ძიხს მიუპყრო. დღეს კი მასთან შეხვედრას ასე იხსენებს:

— მანქანიდან გადმოვედი თუ არა, თვალი მოგვარი კახურქუდიანი, ფეხცურვი გარეგნობის, ოდნავ მოხრილ, შუახნის კაცს, რომელიც ყველასგან გამოირჩეოდა. იგი



ბიჭო, ეს რა კარგი ბალღი შეგირთავსო! იოსებს გაეღიმა. მერე მე შემომხედა და კოტე ძიხს მიუბრუნდა — რა ვქნათ, ბიძაქო, პატარძალი არ შევსვით ჩოჩორზეო? (ნიაგარის ჩანჩქერთან)

ჩვენც გამოეშურა, ხელში სახრე ეჭირა, გვერდით კი პატარა ჩოჩორი მოსდევდა. მივხვდი, რომ ეს კოტე ძიხა იყო. იოსების ნათქვამი გამახსენდა — კახეთში პატარძალი ჩოჩორზე შესმული შეჰყავთ ეზოშიო. მაშინ ეს ნათქვამი ჩემი გულუბრყვილობით დავიჯერე, ამიტომ ჩვენც მომავალ კოტე ძიხს კი არა, აღღვეებული ჩოჩორს მივჩერებოდი, ვფიქრობდი, — ეს რა უცნაური წესი ჰქონიათ კახელებს-მეთქი. ვერაფრით წარმოვიდგინე ჩემი თავი ჩოჩორზე... კოტე ძიხა მოგვიახლოვდა. ორივენი გულში ჩაგვიკრა, მერე იოსებს ხელი მოხვიდა და უთხრა — ბიჭო, ეს რა კარგი ბალღი შეგირთავსო!.. იოსებს გაეღიმა. მერე მე შემომხედა და კოტე ძიხს მიუბრუნდა — რა ვქნათ, ბიძაქო, პატარძალი არ შევსვით ჩოჩორზეო? ამის გაგონებაზე, შევცბი, კოტე ძიხს უხერხულობა შემატყო. არ დანბუნლა,

ხელი მომხვია და მითხრა — წამო, შვილო, ეტყობა, ეს ბიჭი, ჯერ კიდევ ბალღობიდან არ გამოსულაო. ამ სიტყვების გაგონებაზე შევბით ამოვიხუნთქე.

მედეას მექარა და იოსების საჩუქარი

სასტუმრო ოთახიდან დიდი პოეტის კაბინეტში გადავინაცვლეთ. არაფერი შეგვიცვლია ყველაფერი ისეა, როგორც იოსების დროს იყოო, — ბრძანა ქალბატონმა მედეამ. სანერ მაგიდას ვუახლოვდები. აქ მისი უამრავი ლექსი დაინერა... „მაგიდა ახლა დალაგებულია, როცა იოსები მუშაობდა, მასზე წიგნები და უამრავი ფურცელი იყო მიმოფანტული“, — მეუბნება მასპინძელი და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ამბავს მიყვება:

— არ უყვარდა, როცა ვინმე მის სანერ მაგიდას ხელს ახლებდა. მიუხედავად ამისა, მე თითქმის ყოველდღე დალაგებით ვემუქრებოდი, მაგრამ მისი ნების გარეშე ხელს არაფერს ვახლებდი. ხშირად ამ მიზეზით ვებუტებოდი. ერთხელ ავსტრალიაში მიემგზავრებოდა. იმ დილით დავითანხმე, რომ მისი ოთახი დამელაგებინა და აეროპორტში გავაცილე. დავემშვიდობე, შინ დაბრუნებისთანავე არ დავაყოფე და მის კაბინეტში შევედი. შეჭირდი, ვერ გადამეწყვიტა, საიდან დამეწყო დალაგება — კარადიდან თუ სან-

ერი მაგიდიდან, მიფუახლოვდი მაგიდას და რას ვხედავ? თითქმის პლაკატისოდენა ქალაქადღე დიდი ასოებით წაუწერია: „მედეა გთხოვ, ხელი არაფერს ახლო, თუ იჯიუტებ, იცოდე, საჩუქრებს ვეღარ მიიღებ“... შემოვბრუნდი. ვიფიქრე, წიგნების კარადას დავაღაგებ-მეთქი. კარადის კარი გამოვალე თუ არა, კვლავ პლაკატი დამხვდა: „მედეა, თუ ისევ მაგ საქმისთვის მობუნდი, გთხოვ, არაფერს ახლო ხელი, თორემ, იცოდე, სერიოზულად გბრძობი, წიგნების „კლასობრივ მტრად“ გამოგაცხადებ“. კაბინეტის დალაგებას ისევ საჩუქრების მიღება ვამჯობობინე. გახარებულმა და გულდანყვეტილმა, რომ ჩემი მუქარა ვერ შევასრულე, უხმოდ გამოვიხურე კარი... მისი ჩამოსვლის დროც დადგა. მე, სანდრო (შვილი. — ავტ.) და მძლოლი აეროპორტში დავხვდით. შეხვედრისთანავე ვახარე — იოსებ, იცოდე, ხელი არაფერისთვის მიხლია-მეთქი. — თუ ასეა, ძალიან კარგო, მიპასუხა და თან დასძინა — ეს ჩემოდანი შენიაო. ვიფიქრე, რომ იმ ჩემოდანში ჩემთვის ჩამოტანილი საჩუქრები ეწყო. მიუხედავად მისი სიმძიმისა, გახარებულმა, არავის დავანებე და ჩემი ხელით მოვათავსე მანქანაში. შინ რომ მივედი, სასწრაფოდ გავხსენი და რას ვხედავ? — წიგნებით არის სავსე! ვერც კი მოვასწარი, რაიმე მეთქვა, რომ ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო, მომანოდა და მითხრა: აი, შენ, „გასამრჯელო“; განა არ გეკუთვნის ამოდენა ჩემოდნის გადმოტანაში?! კოლოფში ტოპაზის ბეჭედი იყო.

„მე ვარ იოსები, ეს კი ჩემი ჭინჭელი ცოლი“

ნოდარ დუმბაძე წერდა: „ცოტა ვინმეს თუ გაუზიდა ქართული ხალხის სიყვარულის საღაროდან იმდენი განძი, რამდენიც შენ, ჩემო იოსებ“ ყველა ნაცნობს მის სიახლოვეს ყოფნა უყვარდა. უცნობები კი გაცნობაზე ოცნებობდნენ. იოსებს ერთი უცნაური ჩვევაც ჰქონდა — შორ გზაზე მგზავრობის დროს, თუ ძალიან არ ეჩქარებოდა, შემთხვევით მგზავრებს მანქანას უჩერებდა და მიჰყავდა. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა მედეამ ერთი კურიოზიც მიაშრო. ეს ამბავი მათ თბილისიდან სოხუმამდე მგზავრობის დროს გადახდათ თავს.

— ქალაქიდან რომ გავედი, იოსებმა გზად ერთი სათნო სახის მოხუცი კაცი შეამჩნია. მანქანაში ჩასვა, ის ზესტაფონამდე დაგვემგზავრა. საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. კარგად მოსაუბრე. ზესტაფონში რომ შევედი, მადლიერი დაგვემშვიდობა და მანქანიდან გადავიდა. ამ დროს ჩვენს მძლოლთან ახალგაზრდა გოგონა მივიდა და შემდეგ სოფლამდე წაყვანა სთხოვა. რასაკვირველია, იოსებიც დათანხმდა და ის გოგოც დაგვემგზავრა. მანქანა დაიძრა თუ არა, გოგონამ თავი წარმოგვიდგინა, გვითხრა — ზესტაფონელი ვარ, თბილისში „გეპეიში“ ვსწავ-

ლობო. — ვინ გვიცხადებს ლექციებსო? — ჰკითხა იოსებმა და რამდენიმე ლექტორის სახელი და გვარი ჩამოუთვალა. გოგონა გაოცებული სახით მიტრიალდა იოსებისკენ, შეათვალიერა და — შენც „გეპეიში“ სწავლობ? — შეეკითხა იოსებს. ყველანი სახტად დავრჩით. სიჩუმე მძლოლმა დაარღვია: — გოგონა, შენ ლექსები გიყვარსო? — ჰკითხა. მან არ დააყოვნა და ალტაცებით უპასუხა: — როგორ არა, გოგლა ლეონიძე და იოსებ ნონეშვილი ჩემი საყვარელი პოეტები არიან. — იოსებ ნონეშვილს იცნობ? — კვლავ ჰკითხა მძლოლმა. — როგორ არა, — დაბეჯითებით უპასუხა მან, — კარგად ვიცნობ და ძალიანაც მიყვარს, მაგრამ... — რა მაგრამ? — დავინტერესდი და საუბარში ჩავერთე. — რა და ისეთი ჭინჭელი ცოლი შეირთო, ისეთი ჭინჭელი, რომ ვერ აღვწერო... წინადადება აღარ დავამთავრებინე. აღმოვთვალე ვკითხე — შენ საიდან იცი-მეთქი? მან დარწმუნებით მითხრა — სკოლაში ერთად ვსწავლობდით და დიდი ხანია, ვიცნობო. კარგად შევთვალე, მაგრამ ის ჩემთვის სრულიად უცნობი აღმოჩნდა... იოსებს ჩვენი დაძაბული საუბარი რომ განემუხტა, ჰკითხა — რომელ კურსზე ხარ, გოგონავ? მან ერთხელ კიდევ შეათვალე იოსები და — აა! ახლა გიცანი — შენც ხომ „გეპეიში“ სწავლობ? მე მეორე კურსზე ვსწავლობო... იოსები მე მანყნარებდა. ამ ლაპარაკში მის სოფელშიც შევედი. გოგონამ შინ შეგვიპატიჟა. ის-ის იყო, მანქანიდან გადასვლას აპირებდა, რომ იოსებმა უთხრა — მოდი, გოგონავ, თავიდან გავიცნოთ ერთმანეთი: მე იოსებ ნონეშვილი ვარ, ეს კი — ჩემი ჭინჭელი ცოლი. გაბრაზებულს, მეც მივლოდა რაიმე მეთქვა, მაგრამ იგი ადგილზე გამშვდა; რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა, მანქანიდან დარცხვენელი გადავიდა, ბოდიში მოგვისხადა და სინანულით ჩაილაპარაკა:



ვერც კი მოვასწარი, რაიმე მეთქვა, რომ ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო, მომანოდა და მითხრა: აი, შენ, „გასამრჯელო“

იმდენად მიყვარს ნონეშვილის პოეზია, მთელი ცხოვრება მის გაცნობაზე ვოცნებობდი და ეს ტყუილიც დიდმა სიყვარულმა მათქმევინაო...

დავკიანებული სტუმრები

„ყველაზე სათნო, ლმობიერი, ალერსიანი, ყურადღებიანი და უშურველი“ — ასე ახასიათებდნენ იოსებ ნონეშვილს მისი თანამედროვენი. მათი სიყვარულის დასტურია, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი, 500-ზე მეტი მისდამი მიძღვნილი ლექსი, რომელიც დღეს ნონეშვილების ოჯახში ინახება. იოსები ყოველთვის გულთბილი მასპინძელი იყო და რა გასაკვირია, რომ მასთან სტუმრობას ღამის 3 საათზეც არ ერიდებოდნენ!

— ახალი ჩაბნეულები ვიყავით, როცა კარზე ხარის ხმა გაისმა. — ვინ უნდა იყოს, ნეტავ? — ვკითხე იოსებს. მან საათის დახედა და მითხრა: — ამ დროს ან ის გიხსენებს, ვისაც ძალიან უჭირს და შენი იმედი აქვს ან პირიქით — მოენატრე და შენთან ყოფნის სურვილი მოეძალა. დერეფანში გავიდა, კარი გააღო და — გურამ ასათიანი, ანზორ სალუქვაძე და თენგიზ არჩვაძე დახვდნენ. ახლა რესტორნიდან კარგად ნაქეფრები მოვდივართ, ყველა მეგობარი გავისხენეთ, ბოლოს გადაწყვიტეთ, შეგვევლო თბილისში ყველაზე საყვარელ, კეთილადამიანთან; კნჭი ვყარეთ და სამივე ხმა შენ გერგოო... იოსებმა სიხარულით შემოიპატიჟა სტუმრები. მე შეუძლოდ გახლდით და მათთან გასვლა ვერ შევედი. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბული სუფრა ჰქონდათ, ამას ქეფისთვის ხელი სულაც არ შეუშლია. სასაფილოდან მესმოდა მათი სიცილი და ხმაბალი საუბარი. ზოგი რას იხსენებდა და ზოგი — რას. მერე გარკვევით გავიგონე, თენგიზის ხმა — ნახეთ, რა პურმარული გაიმალა! გამიკვირდა, თურმე, თუკი რამ იყო მაცივარში, ყველაფერი სუფრაზე მიეტანათ, — ყველი, პური, მოსახარში ქათამი, ერთი შეკვრა სტაფილო და ქარხალი, მწვანელი და ღვინო. დილამდე ერთმანეთს ენაცვლე-



ამ ბაფთამ მას იოსები აპოწინა, სვლიდან ყველა გასათხოვარი გოგონა ბაფთით ივლის, მაგრამ რა ეჭაბო, რომ იოსები ერთიაო?!

„იოსებს ძალიან უყვარდა შემოდგომა“...

იცი, შემოდგომა ყველაზე მეტად მიყვარს, — უთქვამს ერთხელ მეუღლისთვის პოეტს. — რატომო? უკითხავს ქალბატონ მედეას. — იმიტომ, რომ როცა გამებუტები, შერიგებას ადვილად ვახერხებო... თუ როგორ ახერხებდა ამას პოეტი, ქალბატონი მედეა გვიამბობს:

— ხილიდან ყველაზე მეტად, ატამი მიყვარს. იოსებს ჩემი ეს „სისუსტე“ არ გამოჰპარვია. როცა რაიმეზე გავებუტებოდი და ატამს მომიტადა, იმნუთასვე ყველა წყენა მავენიწყებოდა. ამას ისე აკეთებდა, რომ ვერ ვხვდებოდი. მოგვიანებით თვითონვე გამომიტყდა. თურმე შემოდგომა განსაკუთრებულად ამიტომ მყვარებია. საერთოდ, ერთი თვისება მჭონდა — როცა ვებუტებოდი, შერიგების მიზნით, „გამარჯვების“ უპირატესობას მე მითმობდა... ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: ინსტიტუტულ მეგობრებთან ერთად, მცხეთაში წასვლას ვაპირებდი. იოსები ცოტა ეჭვიანი იყო და დაუკითხავად ვერ წავიდოდი (წინა საღამოს დაიგვიანდა ამის გამო გაბუტული ვიყავი). არ მინდოდა, რომ შესარიგებლად, პირველი ნაბიჯი მე გადამედგა, ამიტომ, დავწერე წერილი და საძინებელში სარკვეზე გავაკარი: „ბატონო იოსებ! გთხოვთ, დილით 8 საათზე გამაღვიძოთ, მედეა“. დილით რომ გავიღვიძე, მზე უკვე კარგად ამოსულიყო. გაბრაზებულმა საათს გახედე — 11 საათი სრულდებოდა. სარკესთან ბარათი ისევ ისე იყო მიკრული. ავდექი და მისი ხელით გაკეთებული მინაწერი წავიკითხე: „ქალბატონო მედეა, უკვე 8 საათია, აბრძანდით. შენი იოსები“. შეწუხებული, დერეფანში გამოვედი. იოსების ხმა შემომესმა, ვილაცას ჩურჩულით ელაპარაკებოდა. ყური მივუგდე — ჩქარა, ჩქარა, არ მოგისწროს მედიკომ, თორემ, ხომ იცი, რა დღესაც დაგაყრის, აბა ჩქარა, გავიქეციოთ! ფეხაკრეფით მივუახლოვდი და რას ვხედავ? — ცოცხზე პატარა წრუნუნა ზის და იოსები სადარბაზოსკენ მიაქანებს. შევჩერდი. ბოლომდე ვუთვალთვალე. ნეტავ, გენახათ, რა მზრუნველობით მიიყვანა სადარბაზოს კართან და როგორი სიხარულით გაუშვა!.. შემდეგ, შვებით ამოისუნთქა, წელში გასწორდა და დერეფანში შემობრუნდა. რომ დამინახა, კმაყოფილმა ჩაილაპარაკა — უკვე გაიქცა, ვეღარ დაენვეიო... რა თქმა უნდა, ჩემი ექსკურსია აღარც გამსხენებია.

იოსებ ნონეშვილის პიროვნულ თვისებებზე კიდევ ბევრი რამ მიაშბო ქალბატონმა მედეამ. მისივე მონათხრობის ერთ სტატიაში ჩატევა შეუძლებელია. პოეტის მუზასთან საუბარს მისივე სიტყვებით დავასრულებ: „ძნელია გაითავისო აზრი, რომ შენი საყვარელი ადამიანი, მეუღლე, მეგობარი, სამუდამოდ დაგშორდა და დაგტოვა ამ ვრცელსა და მრუდ წუთისოფელში. დღემდე ასე მგონია, წასულია შორს, მოგზაურობაში და ველი... ველი უსასრულოდ...“

რას მოითხოვს მამაკაცი ქალისგან ახე იღუმალეობა, სიბრძნე და სისუფთავე



თუ მამაკაცი მარადიულ სიყვარულს გეფიცებათ, ფრთხილად იყავით, არავინ იცის, სინამდვილეში რა უდევს გულში! მამაკაცთა უმრავლესობას ყველაფერზე საკუთარი პოზიცია აქვს, რასაც ხმამაღლა იშვიათად აღიარებს, მაგრამ თუ ქალი შემთხვევით მიუხვდება ნააზრევს, მამაკაცს ძალიან უხარია და ასეთი ქალის გამო, ნებისმიერ დათმობაზე წავა. გთავაზობთ ფრაზას, რომელიც თითქმის ყველა მამაკაცს ათვინიერებს: მთელი სიცოცხლე მხოლოდ შენ გელოდი!

როგორ უნდა აგრძნობინოთ მამაკაცს, რომ მოგეწონათ?! — მხოლოდ მზერით. არანაირი მკვეთრი მოძრაობა. ნუ ეცდებით მის პროვოცირებას. შეიძლება, ყურადღება მოგაქციოთ, მაგრამ ზედმეტად თამაში ქალით მამაკაცი (სერიოზულად) იშვიათად ინტერესდება.

საჭიროა თუ არა საყვარელი მამაკაცის გამო მსხვერპლი გაიღოთ და გმირობა ჩაიდინოთ? — თქვენ ამას ისედაც აკეთებთ, როცა ცოლად მიჰყვებით და მშვიდ ცხოვრებას, საკუთარ ინტერესებს ოჯახური ცხოვრების ორომტრიალზე ცვლით. ამიტომ ტყავიდან ამოდრომა და რაიმე არაჩვეულებრივის მოფიქრება საჭირო არ არის. არც ერთი მამაკაცი არ მოითხოვს ქალისგან სასწაულს და ამას ვერც შეაფასებს.

რა არ უსმის მამაკაცს ქალის? — ლამაზი ტანსაცმლისადმი დაუოკებელი ლტოლვა. ამიტომ, თუ თქვენს ახალ კაბას ჯეროვნად ვერ შეაფასებს და გვერდს გულგრილად აუვლის, ნუ გაუნაწყენდებით, მისი ბრალი ხომ არ არის, მამაკაცად რომ დაიბადა.

იყავით მსახიობი, მაგრამ ითამაშეთ ნიჭიერად. სამწუხაროდ, მამაკაცების უმრავლესობა ბუნებრივსა და ყალბს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს.

მამაკაცს ხიბლავს და ატყვევებს იდუმალეობა. იყავით ამოუცნობი, ნუ დაემსგავსებით სხვას. შეეცადეთ, შექმნათ საკუთარი,


აბსოლუტურად განსხვავებული სამყარო და დარწმუნებული იყავით, თქვენი ინდივიდუალიზმი შეუშინებელი არ დარჩება.

თუ მამაკაცი ღიმილით იწონებს ქალის ზღვარგადასულ სითამამეს, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მას ეს ქალი მოსწონს. პირიქით, ჭეშმარიტ მამაკაცებს არ უნდათ, გვერდით ჰყავდეთ უზრდელი, უხეში, სულელი და თავშეუკავებელი ქალი.

იცი, რას აფასებს მამაკაცი ქალში ყველაზე მეტად? — თვალებს და არა უკანალს, რომელიც მხოლოდ მეოთხე ადგილას დგას, მკერდისა და ტუჩების შემდეგ.

რას ფიქრობს მამაკაცი სიყვარულზე? — სიყვარული სიამოვნებასთან ერთად დიდი შრომაცაა, რომელიც ადრე თუ გვიან გვებრძდება, იმიტომ, რომ ილღები. თუმცა, არსებობს განსაკუთრებული მექანიზმი, რომელიც გაჩერების საშუალებას არ გაძლევს. ცხოვრებაში წინასწარ არაფრის განსაზღვრა და გათვლა არ შეიძლება. დაიმასხოვრეთ: გული ცუდი მრჩეველია.

არავითარი ემოცია და ერთგულების ფიცი არ არის საჭირო. არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. ამიტომ ნუ მოითხოვთ მამაკაცისგან, დღეს გითხრათ — რა იქნება 2 ან თუნდაც, ერთი წლის შემდეგ. ამით მას მხოლოდ დააფრთხობთ და თუ ამის შემდეგ გაგქცევით, საკუთარ თავს დააბრალეთ.



ყავა „ორიენტი“

მოსამზადებლად საჭიროა: 8 ჩ/კ ყავა, 3 ს/კ თაფლი, 300 მლ წყალი. მოზადვის წამი: ყავა და თაფლი ერთმანეთს შეურიეთ და ყავადანში ჩაასხით. დადგით ცეცხლზე და აადუღეთ. მასში ჩაამატეთ ყავა და მუდმივი მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე.

მოდელოების პატივად, მაგრამ მნიშვნელოვანი საიდუმლო

ბევრი თქვენგანი, თავისი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, უკვე დიდი ხანია, დარწმუნდა იმაში, რომ კარგად რეკლამირებული ნამწამის ტუში ყოველთვის არ იძლევა ისეთ შედეგს, როგორსაც ელოდით. იმას, არც კი ფიქრობთ, რომ მოდელებს, რომლებიც რეკლამებში მონაწილეობენ, ხშირი და გრძელი ნამწამი არა ამ ტუშის მეშვეობით, არამედ სხვა პროცედურების შედეგად აქვთ. საბედნიეროდ, ჩვენს დროში ლამაზი ნამწამი მხოლოდ რჩეულთა ხვედრი არ არის. არსებობს სპეციალური მისაწებებელი ე.წ. ხელოვნური ნამწამი, რომელიც თქვენს თვალს უფრო მიმზიდველს გახდის.



შედეგილი ნამწამი დიდად არ განსხვავდება ხელოვნურისგან, რომელსაც სპეციალური ნებოს საშუალებით იმაგრებენ. ის ჩვეულებრივ მაღაზიებში, პარფიუმერიულ განყოფილებებშიც იყიდება და თუ მას წესების შესაბამისად მოიხმართ, ისეთივე ეფექტური იქნება, როგორც ბუნებრივი.

არსებობს სამი სახის ხელოვნური ნამწამი: გრძელი, მოკლე და საშუალო ზომის. უმჯობესია, ავირჩიოთ საშუალო სისქისა და სიგრძის ნამწამი, რადგან გრძელი, არც ისე ბუნებრივად გამოიყურება, მოკლე კი — თქვენი თვალის მიმზიდველობას ხაზს ნამდვილად ვერ გაუსვამს.

მისაწებებელი ნამწამი ხელოვნური და ბუნებრივი თმისგან მზადდება. რა თქმა

უნდა, უმჯობესია, ნატურალური ბუნებისგან დამზადებული შეიძინოთ, რადგან ხელოვნურმა შესაძლებელია, ალერგია გამოიწვიოს. არსებობს 2 სახის ნებო: შავი და უფერული...

ალბათ, უკვე შეამჩნიეთ, რომ თქვენი ბუნებრივი ნამწამის სიცოცხლის ხანგრძლივობა 2-დან 3 კვირამდე მერყეობს. ამიტომ, ამ დროის შემდეგ, ის ბუნებრივი გზით ცვივა, თუ რა თქმა უნდა, თქვენი დაუდევრობის გამო, ეს უფრო ადრე არ მოხდება.

ნებისმიერ კოსმეტოლოგიურ სალონში შეეცდებიან თქვენს დარწმუნებას იმაში, რომ ხელოვნური ნამწამის მიმაგრება უსაფრთხო პროცესია, მაგრამ სანამ რაიმეს გადაწყვეტთ, უნდა დარწმუნდეთ, რომ ის ალერგიას არ გამოიწ-

ვევს. ამისთვის კი საჭიროა, მისი მიწებების წინ, დერმატოლოგიური კონტროლი გაიროთ, რათა ალერგიისგან დაცული იყოთ. ფრთხილად იყავით ხელოვნური ნამწამის მიწებების დროს, რადგან მასში შეიძლება, იყოს ისეთი რამ, რაც თვალში მოხვედრის შემთხვევაში, აუცილებლად გამოიწვევს ალერგიას.

დაიმახსოვრეთ: თუ მიიწებებთ საშუალო სიგრძისა და სისქის რამდენიმე ნამწამს, თქვენი „ტყუილი“ გაამართლებს და ნვეულბაზე მოსული მამაკაცები აღარ დაფიქრდებიან იმაზე — ბუნებრივია თუ არა თქვენი სილამაზე.

ტორტი ხილითა და შოკოლადით

მოსაზადებლად საჭიროა: 2-3 ჭიქა შავი ქლიავი, ქიშმიში, ალუბლის ჩირი (ყუნწის გარეშე) და მოცხარი (შესაძლებელია, შევცვალოთ სხვა მშრალი ხილით), ყველაფერი ეს დაახლოებით 800 გ უნდა იყოს. 250 მლ შავი რომი, 200 გ კარაქი, 200 გ შაქარი, 4 კვერცხი, 1 ჭ ფქვილი, 3 ს/კ თაფლი, ვანილი.


კრემის მოსაზადებლად საჭიროა: 400 გ შაქარი, 3 ს/კ შაქრის სიროფი, 70 გ კარაქი, 3 ს/კ რომი.

მომზადების წესი: მშრალ ხილს რომი დაასხით და გააჩერეთ მინიმუმ ერთი დღე-ღამე (უმჯობესია, 2 კვირის განმავლობაში გააჩეროთ, მანამ, სანამ ხილი რომს მთლიანად არ შეინიწვს). მრგვალ და ღრმა ტორტის ფორმას



ნაუსვით კარაქი და მასში ჩააფინეთ კარაქნასმული პერგამენტი. აიღეთ 450 გ დამბალი ხილი და დააქუცმაცეთ. ცალკე შაქარი კარაქთან ერთად აზილეთ და მასში ნელ-ნელა ჩაახალეთ კვერცხი (თუ აიჭრა, ცოტა ფქვილი დაუმატეთ). შეურიეთ დაქუცმაცებული ხილი და ცალკე, მთლიანი რომით გაჟღენთილი ხილის ჩირი, ვანილი, ფქვილი და ფრთხილად მოურიეთ. ჩაასხით მომზადებულ ფორმაში და გამოაცხვეთ ნელ ცეცხლზე.

კრემის მომზადების წესი: შაქრის პუდრა ჩაყარეთ ქვაბში, მასში ჩაასხით მოდულე-ბული სიროფი, დაამატეთ გამდნარი კარაქი და რომი. კრემი



შვეიცარიული ყველის სალათა

მოსაზადებლად საჭიროა: 200 გ შვეიცარიული ყველი, 2 კვერცხი, მარილი, შავი პილპილი, 1/4 ჭ არაჟანი.

მომზადების წესი: აიღეთ ყველი და გახვით წვრილად. შემდეგ დაუმატეთ მოხარშული და დაჭრილი კვერცხი, მოასხით არაჟანი, მოაყარეთ მარილი (გემოვნებით) და აურიეთ ისე, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ.

შენიშვნა: სანამ სუფრასთან მიიტანთ, გირჩევთ, ცოტა ხანს მაცივარში შედგათ, მერე კი ზეთისხილით გააფორმეთ.

ზამთარში წონის პატივის თავიდან ასილაბის 15 ხერხი

1. შიიტოვით წვნიანი

პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ქალები, რომლებიც სადილად წვნიანს მიირთმევენ, სხვებთან შედარებით, 100 კილოკალორით უფრო ნაკლებს ითვისებენ. საკვებთან ერთად მიღებული სითხე კუჭის შენელებულ დაცლას უზრუნველყოფს, ამიტომ ორგანიზმი დანაყრების შეგრძნებას უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს. უპირატესობა უნდა მიანიჭოთ დაბალკალორიულ (ბოსტნეულის) წვნიანებს.

2. ხშირად ნარმოიღვინეთ, რომ მოხდინილი ტანი გაქვით

ყოველთვის, როცა გემრიელი და კალორიული კერძის მიღების სურვილი გაგიჩნდებათ, მოიშველიეთ ფანტაზიის უნარი და ნარმოიღვინეთ, თუ როგორი გინდათ იყოს ზამთრის დასასრულს. დახუჭეთ თვალები, დაჯექით მოხერხებულად და წარმოსახვაში დახატეთ საკუთარი მოხდენილი გარეგნობა გაზაფხულის თბილ საღამოს. დააფიქსირეთ ეს წარმოსახვა და დაუბრუნდით მას ყოველთვის, როცა ტორტის დიდი ნაჭრის გადასანსვლის დაუოკებელი სურვილი მოგეძალება.

3. შემოიღეთ ღლიური

სიცივეში ხშირად გვეჩვენება, რომ ცუდ გარემო პირობებთან ბრძოლის შემდეგ, ჩვენი ორგანიზმი იმსახურებს გემრიელ კერძს. ამიტომ კარგი იქნება, თუ აღნუსხავთ, რა და რამდენი მიირთვით და თუ აღმოაჩენთ, რომ მეტისმეტად ბევრს ჭამთ, ეცადეთ, კვების პროცესი სხვა სასიამოვნო საქმიანობით ჩაანაცვლოთ.

4. დაასაქმეთ ხალაბი

ზამთრის გრძელ საღამოებს ტელევიზორთან ჯდომისას ახალი ჰობი უნდა გამოიხატოს. ქსოვა, ქარგვა, კროსვორდებისა და თავსატეხების ამოხსნა — დაასაქმებს თქვენს ხელებს და მათ აღარ ექნებათ საშუალება, გაიწიონ ნამცხვრით სავსე ლანგრისა და მაცივრისკენ...

5. დახარჯეთ კალორიები

ზამთრის გრძელ და ბნელ საღამოს გარეთ გასვლის სურვილი ხშირად არ გვაქვს. ამიტომ, კარგი იქნება, თუ შენობაში ივარჯიშებთ. შეგიძლიათ იცეკვოთ — ამგვარად, სიამოვნებასაც მიიღებთ და კალორიებსაც დანავთ.

6. შეარჩიეთ „კარგი“ ნახშირწყლები

ნახშირწყლები აუცილებელია ორგანიზმისთვის. ისინი ბედნიერების შეგრძნების განმაპირობებელი ნივთიერების — სეროტონინის გამოშვებას უწყობს ხელს.



ფოკუსი ის იქნება, თუკი ცუდ ანუ „შაქრიან“ ნახშირწყლებს (ნამცხვრებს, თეთრ პურს), კარგი ნახშირწყლებით (მსხვილად დაფუჭული ფქვილისგან გამომცხვარი პურით, ხორბლის პროდუქტებით) შეცვლით.

7. გამოიჩინეთ სიფრთხილე ყავის შირთხავესას

თავი შეიკავეთ რძიანი ყავის, კაპუჩინოსა და ცხელი შოკოლადის მიერთმევისგან. ეს მცირე სიამოვნებანი კალორიულიცაა და თანაც, გაითვალისწინეთ, რომ კოფეინის სიჭარბე ცხიმის დაგროვებას უწყობს ხელს. უმჯობესია, ბალახის, ხილის ან მწვანე ჩაით გაითბოთ ორგანიზმი.

8. მოივარჯიშეთ სილაბი

ცილის საშენი მასალით — ტრიფტოფანით მდიდარი საკვების მიღება, ფსიქოლოგიური მიზეზით გამოწვეული შიმშილის შემოტევასთან გამკლავებაში დაგეხმარებათ. რაც მეტია საკვებში ტრიფტოფანი, მით მეტი სეროტონინი (ბედნიერების ჰორმონი) გამოშვავდება ორგანიზმში და მით უკეთ ვგრძნობთ თავს. ტრიფტოფანით მდიდარია: მჭლე ხორცი, ქათამი, ინდაური, თევზი, კვრცხი, ყველი, კაკალი და მარცვლეული.

9. გახალთ თქვენი საყვარელი ქარძი სასარგებლო

ისნავლეთ თქვენი საყვარელი კერძების ახლებურად მომზადება ისე, რომ შეამციროთ მათში ცხიმის რაოდენობა და კალორიულობა.

10. შიიტოვით შეგიძლიათ წონის დაკლება

ფერით მკურნალობის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ნარინჯისფერი ჩვენს

განწყობილებას აუმჯობესებს და ენერჯის გემატებს. თუ თქვენ რაიმე ნარინჯისფერი პროდუქტი გიდეკთ, მეტი შანსი გაქვთ, რომ ძალის მოზღვავება იგრძობთ და აღარ გაგიჩნდეთ ზედმეტად დანაყრების სურვილი. საბედნიეროდ, თითქმის ყველა ნარინჯისფერი პროდუქტი დაბალკალორიულია. ასეთებია: ფორთოხალი, მანდარინი, სტაფილო, ბულგარული წიწკა, მანგო, გარგარი.

11. შეაქვით ზაფხულის დაგეგმვა

თავს ნუ მოიდრეკთ ზამთრის მონაცემების წინაშე, იფიქრეთ მომავალ ზაფხულზე — როდის, სად და როგორ უნდა გაატაროთ შვებულება. მაცივრის კარზე კი, წინა ზაფხულის დროინდელი თქვენი სურათი მიამაგრეთ. დაგეგმეთ მომავალი სიამოვნება.

12. შეგიძლიათ წონის დაკლება

ცხარე საკვები ცხიმის წვას უწყობს ხელს. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ წინაა 50%-ით აქტიურებს ნივთიერებათა ცვლას საკვების მიღებიდან 3 საათის განმავლობაში. თანაც, ასეთ საკვებს ბევრს ვერ შეჭამთ და თქვენი გემოს რეცეპტორები მალე დაკმაყოფილდება. ეს პუნქტი უნდა დაივიწყოთ, თუკი გასტრიტი ან წყლულოვანი დაავადება გაწუხებთ.

13. მოახარეთ პირადი ურთიერთობები

როცა ადამიანი ბედნიერია, ნაკლები მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ თავი ჭამით დაიმშვიდოს. მოინერსრიგეთ სექსუალური ურთიერთობების სფეროც — სექსის დროს ორგანიზმი დიდი რაოდენობით კალორიებს ხარჯავს.

14. შეგიძლიათ წონის დაკლება

ისარგებლეთ ზამთრის გრძელი ღამეებით და მეტი იძინეთ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ქრონიკული გამოუძინებლობა წონის მატებას იწვევს, ძილის გახანგრძლივება კი — ჭარბი კილოგრამების დაკლებას. მკვლევართა აზრით, ძილის უკმარისობა ზრდის მადის აღმგზნებ ჰორმონთა დონეს სისხლში.

15. შიიტოვით წონის დაკლება

ზამთარში, როცა მეტისმეტად ცივა, ადვილად გვავიწყდება, რომ წყლის სმა აუცილებელია. არადა, თბილ შენობაში მეტი-ნაკლებად მაინც ვიოფლებით და ორგანიზმს სითხე აკლდება. ამ დროს, წყურვილი ხშირად, შიმშილში ერევათ და სითხის ნაცვლად, საკვებს იღებენ. ეს რომ თავიდან აიცილოთ, დღეში 6-8 ჭიქა წყალი მაინც უნდა მიიღოთ.

საჭიროა თუ არა 100%-იანი მხედველობა

ექიმი-ოფთალმოლოგები არ გვირჩევენ 40 წლის შემდეგ 100%-იანი მხედველობის აღდგენას.

თვალის პათოლოგიით ავადობის მაჩვენებლები დღით დღე მატულობს. ამასთან ერთად, ახალი ტექნოლოგიების წყალობით, კატარაქტის სამკურნალო ოპერაციები ხელოვნური ბროლის გადანერგვით სულ 15 წუთს გრძელდება, ლაზერული ოპერაცია ახლომხედველობის გამოსასწორებლად კი — 30 წამს.

მაგრამ როგორც ფიოდოროვის სახელობის „თვალის მიკროქირურგიის“ კლინიკის დირექტორი, ხრისტო ტახჩიდი აღნიშნავს, „ექიმი-ოფთალმოლოგები არ ურჩევენ პაციენტებს, 40 წლის შემდეგ, 100%-იანი მხედველობის აღდგენას. ამ პერიოდში რეგენერაციის პროცესები თავისებურებით ხისიათდება, რომელთა პროგნოზირება ძნელია. პაციენტს შემდგომში, შეიძლება განუვითარდეს შორსმხედველობა. ამიტომ, როცა მას ახლომხედველობის კორექციის მიზნით, ოპერაცია უტარდება, ურჩევენ, რომ მინუს 1-2 დიოპტრია დაიტოვოს“.



ჭარხლის წვენი სასარგებლოა




წითელი ჭარხლის წვენი უამრავი უსამოვნებისგან გიხსნით. ის ხელს უწყობს ერთროციტების (სისხლის წითელი ბურთულების) წარმოქმნას და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ კლიმაქსის პერიოდში ჭარხლის წვენი ქალებისათვის არამცთუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კია. ის უფრო ეფექტურია, ვიდრე ზოგიერთი ჰორმონული პრეპარატი და გაცილებით უვნებელიც გახლავთ.

ჭარხლის წვენს ერთი შესანიშნავი თვისებაც აქვს: ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში ეხმარება, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები აწუხებს ან მათ მიმართ მიდრეკილება აღნიშნება. გარდა ამისა, ერთი ცალი წითელი ჭარხლის წვენი შეიცავს იმდენ კალიუმს, რამდენიც სავესებით საკმარისია ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის. მის შემადგენლობაში შემავალი ქლორი ღვიძლის, თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის განწმენდას უზრუნველყოფს და ლიმფურ სისტემას ასტიმულირებს.

როგორ გავინფიქტოთ სისხლძარღვები

ცნობილია, რომ სისხლძარღვთა პათოლოგიური ცვლილებები ბევრი დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. უზირველეს ყოვლისა კი, ამ დაავადებათა შორის გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები უნდა აღინიშნოს. ცხოვრებისა და კვების არასწორი რეჟიმის შემდეგ, სისხლძარღვთა კედლის შიგნითა ზედაპირზე სისხლძარღვები ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ სისხლის მიმოქცევას, ორგანოებისა და ქსოვილების მომარაგებას საკვები ნივთიერებებით და ჟანგბადით. სისხლძარღვთა პათოლოგიური ცვლილებები უდევს საფუძვლად მხედველობის, სმენის, მეხსიერების, პოტენციის დარღვევას, ძილის მოშლას, ნერვული სისტემის დაავადებებს. ამიტომ საჭიროა, სისტემატურად გავინფიქტოთ სისხლძარღვები.



სისხლძარღვთა განწმენდის ტიბეტური ხერხი. შეურიეთ ერთმანეთს 100-100 გ გვირილა, კრაზანა, ნეგო და არყის კვირტები. მოათავსეთ ეს ნარევი ქილაში და დაახურეთ თავსახურით. საღამოს 1 სკ ნარევს დაასხით 500 მლ მდულარე წყალი, დადგით 20 წთ, განურეთ ქსოვილში (და არა დოლბანდში), თანაც

კარგად გამოწურეთ. ნაყენის 200 მლ-ში გახსენით 1 ჩ/კ თაფლი და დალიეთ ძილის წინ. ამის შემდეგ დაძინებამდე ალარაფერი შეჭამოთ და არც დალიოთ. დარჩენილი ნაყენი დილით შეათბეთ ორთქლზე, გახსენით მასში 1 ჩ/კ თაფლი და დალიეთ საუზმემდე 15-20 წუთით ადრე. ასე მოიქცეით ყოველდღიურად, ვიდრე მცენარეთა ნარევი არ გაგითავდებათ. ნარევის შენახვა აუცილებელია მჭიდროდ თავდახურულ ქილაში. განწმენდის კურსი 5 წლის შემდეგ უნდა გაიმეოროთ.

ჩინური ხალხური მედიცინა გვირჩევს ასეთ საშუალებას: 350 გ ნიორი 2-ჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაასხით 200 მლ სპირტი, დადგით ბნელ ადგილას 10 დღის განმავლობაში და გაფილტრეთ. მიიღეთ 20-20 წვეთი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე, რძესთან ერთად. მკურნალობის კურსის გამეორება 5 წელიწადში ერთხელაა რეკომენდებული.

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მიკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უფრონა „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხი“ სვამისკენ არ ბაზაქმთ თვალი.

- დაასრულეთ გეორგ ჰეგელის სიტყვები: „შუქდებულია, ჩემი ფილოსოფიური მოძღვრების გადმოცემა მოკლედ, გასაგებად და...“
- „ფოლკსვაგენის“ ქარხნის მშენებლობის დაწყებისას, ფუნდამენტში პირველი ქვა ამ ადამიანმა ჩადო.
- პირველი ტროლეიბუსი 1888 წელს, ამ ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა. მისი საშუალო სიჩქარე 11 კმ/სთ-ზე ნაკლები იყო. დაასახელეთ ეს ქალაქი.
- ალმასის ფონდი რუსეთში 1719 წელს ამ მეფემ დააარსა. მისი ანდერძით, ყველა მომდევნო მონარქს ამ ფონდის შევსება ევალებოდა. დაასახელეთ იგი.
- 1479 წელს, შვეიცარიაში ლოზანის ეპისკოპოსმა გამოაცხადა, რომ ეს მწერი არ ყოფილა ნოეს კიდობანში და ის დაწყველა. დაასახელეთ ეს მწერი.
- ფრანგმა მეცნიერმა კრისტიან მარშალმა შემოიტანა წინადადება, მსოფლიოს ყველა ქუჩის ფარანი 200 ათასი კვადრატული კილომეტრი საერთო ფართობის სარკვებით შეეცვალა. სად უნდა დამონტაჟებულიყო ეს სარკვები?
- იაპონიის ქალაქ აზიფუს ერთ-ერთი რადიოსადგური 24-საათიან პროგრამას გადასცემს. მას ძალიან ბევრი მსმენელი ჰყავს, რომელთა მტკიცებით, პროგრამას მათთვის სულიერი სიმშვიდე მოაქვს. რას გადმოსცემს რადიოსადგური?
- „ბედი მაინც არა მწყალობს, არც დარში და არც ავდარში, ბუშის წვიმა მოდიოდა, კოკოითი მომხვდა თავში,“ — რომელი ინსტრუმენტის აკომპანირებით ასრულებდა ამ სიმღერას საკუთარ შოუში ნიკა ქავთარაძე?
- დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია.
- ეს რუსი პოეტი, მომღერალი და მსახიობი რომელიღაც რეჟისორს ეხვეწებოდა, შენს ფილმში, ამა და ამ როლში მათამაშეო. მაგ როლისათვის პოეტი მესაჩიროებო, — უთქვამს რეჟისორს. მომღერალი უხმოდ მიტრიალებულა და გულნატკენი წასულა. დაასახელეთ იგი.
- დაასახელეთ საქართველოს მეფე, რომელსაც ყიფჩალთა მთავრის, ათრაქა შარალანის ძის ქალიშვილი, გურანდუხტი ჰყავდა ცოლად.
- Zzzzzzzza — ასე გადაიკეთა გვარი სან-ფრანცისკოს ერთ-ერთმა მცხოვრებმა. რა მიზნით?
- ვინ აჩუქა კოტე ყუბანეიშვილს 50 წლის იუბილეზე ოქროს კალამი?

ანეკდოტები

განცხადება: „მიჭრდება მდივანი. ინტიმს ნუ შემომთავაზებთ“.

კარზე აკაკუნებენ:
— გამარჯობათ, მე პიანინოს ამწყობი ვარ.



— მე რომ არ გამომიძახებხართ?!
— ვიცი, თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს.

რუსული გამოცანა:
— აბა, რა არის: თეთრ მაქმანებშია, ზმუის და მინაზე ფორთხავს...
— საკუთარ ქორწილში არყით გაღეშილი პატარძალი.

ცოლ-ქმარი ჩხუბობს:
— ჩემი ფული რომ არა, არაფერიც არ გვექნებოდა, არც სახლი, არც ეს მანქანა, არც ეს ავეჯი, მოკლედ, არაფერი!
— სხვათა შორის, შენი ფული რომ არა, არც მე ვიქნებოდი აქ.

სენსაცია: ამას წინათ, მეცნიერებთან აკადემიის მეორე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრებისას პირველი ექსპედიციის ნაშთები აღმოაჩინა.

— აბა, გამოიცანი, რა არის: 15 სმ სიგრძის, 7 სმ სიგანის და ძალიან მოსწონთ ქალებს.
— ასდოლარიანი ბანკოტი.

რესტორანში ერთი ოფიციანტი მეორეს ეუბნება:
— ნახე, იმ ტიპს მაგიდასთან ჩასძინებია. რატომ არ აგდებ აქედან?!
— რას ლაპარაკობ, რამდენჯერაც

ვალვიძებ, იმდენჯერ ფულს მიხდის.

— რატომ იხსნი სათვალეს, როცა შენი ქმარი შემოდის?
— უსათვალოდ მეც ლამაზი ვარ და ჩემი ქმარიც.

— შეილო, ეგ ბიჭი ობოლია, თანაც, კოჭლი. ნუ გაჰყვები ცოლად, საწყალს თავისი გაჭირვებაც ეყოფა.

სამარშრუტო ტაქსიში გურული მამა-შვილი ადის:
— მამა, აგია მეტრო? — იკითხა ბავშვმა.
— მეტრო, არა, ორი მეტრო! — ნამოარტყა მამამ.

ნარწერა საქორწინო კაბების მალაზიაზე: ფასდაკლება მუდმივი კლიენტებისათვის.

სპორტული ჰოროსკოპი: დღეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს პოზიტიური დღე აქვს. ის არ თამაშობს.

მთვრალი მიტუა ქუჩაში მობანკალეებს და თავისთვის ბურტყყუნებს:



— მე სამყაროს აბსოლუტური ცენტრი ვარ. ყველაფერი ჩემ ირგვლივ ტრიალებს...

— მამიკო, დღეს უფროსკლასელმა მცემა!



— რომ ნახო, სახეზე იცნობ? — როგორ არა, მაგის ყურები აგერ მინყვია, ჯიბეში...

ოსი მივიდა პოლიციაში საჩივლე-ლად:

— უფროსო, გამაჩერეს ქუჩაში, ქურქს მართმევდნენ, ხან ზემოდან მირ-ტყეს, ხან — ქვემოდან.

— ნუ, პრინციპში გირტყეს, პო?.. — პრინციპში კი არა, სულ ცხვირ-პირში მირტყეს.

— მძულს ლევ ტოლსტოი, რამ დაანერინა „ომი და მშვიდობა“, ოთხი უზარმაზარი ტომია!

— რა იყო, ნაიკითხე? — ეგლა მაკლია!.. ქსეროქსზე ვიღებ-დი.

— ბიჭებო, ხვალ ჩვენთან ვქეიფობთ! ლუდიც იქნება, თევზიც...

— გოგოები? — გოგოებს უკვე მოველაპარაკე, არ მოვლენ!

— სად გაატარე შვებულება? — ნახევარი — ბაკურიანში. — მეორე ნახევარი? — თაბაშირში!

გურულს ბოშა გადაევიდა: — მოდი, უნდა გიმკითხო. შენ მალა-ლი, ლამაზი, ახალგაზრდა და მდიდარი გოგო გამოგყვება ცოლად.

— რას გეტყვი, იცი? შენ იგი მითხ-არი, დაბალი, ბებური და ლატაკი ცოლი რომ მელოდება სახლში, ის სად წავა?!

— რას მირჩევ, — ეკითხება ძმაკაცი ძმაკაცს, — მდიდარი, ბინიანი, ფულიანი

ქვრივი შევირთო თუ ღარიბი, მაგრამ ახალგაზრდა და ლამაზი გოგო?

— რა თქმა უნდა, ქვრივს ლამაზი და ახალგაზრდა ქალი სჯობია!.. რაო, რა თქვი, სად ცხოვრობს ის ქვრივი?

— გელა, რომ გაიზრდები, რა გამოხ-ვალ?

— პოლიციელი. — გია, შენ? — კოსმონავტი. — ვაჟა, შენ? — მფრინავი. — შოთიკო, შენ? — მე სპილო გამოვალ, დღე და ღამე ზოოპარკში ვიქნები.

— ალო, კონია ხართ, ხანთაძე? — დიას, ბატონო. — თქვენი ცოლი ჩვენ გაეიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია. — გასაგებია, რა არის საჭირო? — სამი ათასი დოლარი საღამომდე, თორემ ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ.

მეთაურმა ოცუელი ხაზზე დააყენა. — რიგითო გიორგაძეც, გამოდი მნ-ყობრიდან!

გიორგაძე გონწასული დაეცა. — რა მოუვიდა? — მწყობრიდან გამოვიდა, პატივცემუ-ლო!

ტიტანიკი ჩაიძირა. ოჯანის ზედაპირზე აქ-იქ გადარჩენილი მგზავრები ტივტივე-ბენ, ზოგი რას მოსჭიდებია და ზოგიც — რას. უეცრად ნავი გამოჩნდა, ნავთის ლამპით, რომელზეც დედაბერი შემოსკ-უბუბულა და ნიჩბებს უსვამს:

გონებას სავსეა

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „ფრანგულად“.
2. ადოლფ ჰიტლერმა.
3. ლონდონი.
4. პეტრე I.
5. მაისის ხოჭო.
6. მთვარეზე.
7. ადამიანის გულისცემის სმას.
8. გუდასტვირის აკომპანირებით.
9. ჩინეთის კომუნისტური პარტია.
10. ვლადიმირ ვისოცკი.
11. დავით აღმაშენებელი.
12. მას დიდი სურვილი ჰქონდა, ბოლო ადგილზე მოხვედრილიყო სატე-ლეფონო ცნობარში.
13. ბათუმის მერმა გიორგი აბა-შიძემ.

— აბა, ცხელი ხაჭაპურიი!.. სიგარეტიი!.. წინ-ღებოი!..

განცხადება სვანებისთვის: „გვჭირდება მუშები სამუშაოზე სამუშაოდ. ანაზღაურება ფულით“.


ისეთ მცირე ანაზღაურებას მთავაზობთ, შეი-ძლება, ცოლიც ვერასოდეს შევირთო! — შეს-ჩივის ვაკანსიის მაძიებელი შეფს.

— მესმის თქვენი, — უღიმის უფროსი, — არადა, მოვა დრო და შეიძლება, ამისთვის მაღლო-ბაც მითხრათ.



საუბრა მენეჯერისა

უკომენტაროდ



veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი ის „გზა“, №24-49

მამა პანტა

ანი ბერიძის ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც მისი მულის, ნუციკოს საყვარლის, ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად, გადამწყვეტ ფაზაში შედის. ანი იმასაც კი მიაღწევს, რომ გამოძიებულ მურად ოქროპირიძეს აიძულებს, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ლევანის ქვრივი, ლალი იაშვილი დააპატიმროს. შესაძლოა, სწორედ ტელეჟურნალისტთა ენერგიული მოქმედების დასაცხრობად, ანის უშუალო უფროსს — ტელეპროგრამა „ელიტქრონიკის“ მთავარ რედაქტორს — ნიკოს მისავე კორაუსის სადარბაზოში დაესხმებიან თავს... მეორე დღეს, „დაფეჟილი“ და ცალთვალახვეული ნიკო ძლივს მილასლასდება სამსახურში...

ნიკომ, როგორც იქნა, გამოაღწია რედაქციიდან და მერაბთან შევიდა. მის დანახვაზე მერაბის მდივანი ადგილიდან წამოხტა.

— ვაიმე, რა გჭირთ, ბატონო ნიკო? — იკვილა მანანამ.

— არა, არაფერი, არაფერი... კარს მივარტყი. მარტოა? — იკითხა ნიკომ.

— დიახ, დიახ, შებრძანდით!

ნიკო მერაბთან გაბუტულივით შევიდა. მერაბს კი, მის დანახვაზე, თვალები შუბლზე აუვიდა:

— რაც მე შენ გიცნობ, პერმანენტულად რაღაც უნდა გჭირდეს! ან ხელი უნდა ამოიგდო ისე, რომ სამმა ექიმმა ძლივს ჩაგისვას, ან ყველა ნეკნი ერთად უნდა გაიტყუო და

კენსოდე, ან ორი მანქანის შუაში უნდა გაირბინო, თოკით რომ მიათრევს ერთი მეორეს, და ის თოკი განყვიტო... ან თვალი გამოითხარო, ალბათ... გენიალური ნიჭი გაქვს პრობლემების შექმნის, გენიალური!...

— ისე გაიკვირე, თითქოს პირველიც მე ვიყო და უკანასკნელიც... — წყენით თქვა ნიკომ. — სტატისტიკით, ყოველი მეათე ნაცემი და გაძარცულია, ყოველი მესამე — ერთხელ მაინც დაჭრილი და ყოველი მეათასე კიდეც, ერთხელ მაინც მოტაცებული... —

— ჰო. ან მოკლული, არა?.. ქალებსაც თუ მივათვლით ზედ, ხომ... მოიცა, მოიცა, სერიოზული გჭირს რაზე თუ „ბლეფობ“ ისევე, შენებურად?.. — შეეკითხა მერაბი.

— ჰო, ვაი, „ვბლეფობ“. რა გინდოდა? — ჰკითხა ნიკომ.

— რა და, კარგად იცი, როგორ პატივს გცემთ, მაგრამ დღეიდან შენ თვითონ მოგიწევს სპონსორის ძებნა. ჩვენ დიდი-დიდი, ორი-სამი გადაცემა კიდეც დავაფინანსოთ... —

ნიკოს ენა ჩაუფარდა. მერაბი ცოტა ხანს გაჩუმდა.

— არც ამ კვირის და არც წინა კვირის გადაცემები „კაპიკად“ რომ არ ღირდა, შენც ხომ მოგესხნება?.. მოკლედ, თქვენს თავს თქვენ თვითონ უნდა მიხედოთ, — და მერაბმა ტელეეკრანზე გადაიტანა მზერა. — ეს რა ხდება?

ეკრანზე ლალი იაშვილის დაკავების სიუჟეტის კადრები მიდიოდა. სიუჟეტს კომენტატორის შემდეგი ტექსტი მიჰყვებოდა:

— გრძელდება „ივერკომის“ ყოფილი დირექტორის, ლევან იაშვილის თვითმკვლელობის საქმის გამოძიება. გუშინ, ღამის სამის ნახევარზე პოლიციამ დააკავა პირველი ეჭვმიტანილი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ის ლევან იაშვილის მუულე ლალი იაშვილი გახლავთ...

— ეს რა აგიგორებიათ, ბიჭო, გაგიყვით?!

— მოიცა, რა, მაცალე! — სთხოვა ნიკომ.

ეკრანზე, პოლიციელების დან-

ახვით გაცემული ლალი იაშვილი გამოჩნდა. ის ლოგინში იწვა და პლედს თავზე იფარებდა, პოლიციელი კი, პლედის გადაძრობას ცდილობდა. ლალი ფეხზე წამოვარდა. „გასწიეთ ეგ კამერა, გასწიეთ, გეუბნებით! — უყვიროდა ის ოპერატორს, თან ტანზე პლედს იფარებდა. — როგორ მიბედავთ, პირუტყვებო, მსეცებო, ცხოველებო! ხალხო, ბილეთი მაქვს ალებული, გასამზადებელი ვარ, ხვალ ბელგიაში მივფრინავ, ცხოველე...“ — ლალიმ პლედი კამერის ობიექტივზე მიაგდო... ეკრანზე გამოჩნდა, თუ როგორ ჩატენეს პოლიციელებმა მანქანაში, თავზე ხელის დაჭრით, ლალი იაშვილი. აი, მან კამერისკენ მოიხედა და მიაფურთხა. ობიექტივზე ფურთხის წვეთები გამოჩნდა, შემდეგ — პოლიციელი, რომელსაც მიშვერილი ჰქონდა მიკროფონი. „კარგით, რა! მე რაც მიბრძანეს, იმას ვაკეთებ, აბა, მე რა ვიცი?! ქალს კილერის ტელეფონი აღმოუჩინეს და უხათრებდნენ?.. გაინიე, რა, გამატარე!“

— როგორც ნახეთ, — განაგრძო კომენტატორმა, — ადგილზე მხოლოდ იმ მიზეზის გარკვევა აღმოჩნდა შესაძლებელი, თუ რის გამო მოხდა ქალბატონ ლალი იაშვილის დაკავება. უახლოეს ხანში ვეცდებით, მოგანოლოთ დაწვრილებითი ინფორმაცია ამ ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ საქმეზე...

მერაბმა ტელევიზორი გამოართო.

— ჩვენ ის არ დაგვემართოს — თავგმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარაო... იხილა ტვირთი არ უნდა ასწიო, რომელსაც ვერ ზიდავო, ხომ გაგიგონია? — ამბობდა გაკვირებული.

ნიკომ წამოდგომა დააპირა და უეცრად წელზე მოივლო ხელი.

— ვაი!
— შენ რა, წელკავიც გაქვს? ეგ ხომ იცი, რამაც იცის? ქალებმა, ჰო, ქალებმა...

ნიკო კარისკენ გაემართა.

— აი, თუ არ გავხსნით მაგ გორდიას კვანძს, აგერ ნახავ!.. — თქვა მან თავმომწონედ.

— ოპტიმიზმი კარგი რამეა, თუკი რეალობას ეყრდნობა. მაგრამ მეექვება, ეს საქმე გაიხსნას, — თავი გააქანა მერაბმა.

— ვნახოთ, ვნახოთ, — ჩაილაპარაკა ნიკომ და კარი გაიკეტა.

— ისევ სპონსორს მთხოვს! საიდან გამოვთხარო ახლა მე სპონსორი?! — შევიდა თუ არა, შესჩვილა თავისი გაჭირვება თანამშრომლებს ნიკომ.

— არ უყურეთ, ბატონო ნიკო? — შეეკითხა ანი.





შემოიყვანა. ადვოკატი სუფთად ჩაცმული, უშნო გოგო იყო, ისეთი, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია თავდასაცავად.

— ესენი ვილა არიან, აქ რას აკეთებენ? — იკითხა მან სტუმრების დანახვზე.
— მოწმეები, — უპასუხა მურადმა.
— კამერით? — გაუკვირდა ადვოკატს.
— დიას, მინდა, რომ ყველაფერი გამჭვირვალედ იყოს, — მოახსენა მურადმა.

ლალიმ ანი იცნო და ანივლდა. შუაში ნიკო და ვასიკო ჩაუხტნენ.

— შენ მაინც არ მანებებ თავს, არა?! აქაც შენ დამხვდი, არა?! ეს ისაა, ის, ის კახა, ვის გამოც ეს დამთხვეულობა და სიგეჟე ხდება... მე დამიჭირეს, ხალხო, მე მიჭერენ, ეე! რომელსაც ქმრის სიკვდილმა ისედაც თავზარი დასცა!.. ეს მამბრალეებს მკვლელობას, ეს, ეს მესავი, ეს ბოზი! — უთითებდა ანიზე ლალი.

— ნელა, ქალბატონო! რა ხდება? როგორ გეკადრებათ?! მშვიდად! რამ გადაგრიათ? — აკავებდნენ გაავებულ ანის კაცები.

— ვაიმე, დედა! — თვალზე ხელი იტაცა და ჩხუბს გამოეთიშა ნიკო.

კაბინეტში პოლიციელები შემოვიყვანდნენ და ლალი უცბად დაამოშინეს. ეს ყველაფერი რალაც წამებში მოხდა.

— მოკლა კაცი, ტო, მოკლა! — ამბობდა მურადი ნიკოზე.

— ვინ არის, რომ, ვინ? აქ რა უნდა?! — ყვიროდა ლალი.

— მე-ე? — აპროტესტებდა ნიკო. — მე მთავარი რედაქტორი გახლავართ „ელიტქრონიკის“ და აქ იმიტომ მოვედი, რომ გავიგო, ვინ და რატომ გამრობგა გუშინ, რატომ ამომიგდეს ეს თვალი, აი!

— ვენაცვალე!.. — გადაიხარხარა ლალი. მურადმა კალამი და ქალაღდის ფურცელი დაუხეთქა წინ ლალის:

— ახლა მორჩეს ეს ბაზარი! მე შეგვიტახებთ და თქვენ პასუხებს ამ ქალაღდზე დანერთ! გასაგებია?

— რა-ა? ეს ქალაღდი წვრილად დაახვიე, გენაცვალე, და ამ კალამთან ერთად, ერთ ადგილას გაირჭვე, გასაგებია?! — მოჭმუჭნა და უკან მიაგდო ფურცელი მურადს ლალი.

— აი, ახლა ეს, ნორმალურია? ნორმალურია?! თუ მკვლეელი არაა, რატომ არ უნდა, რომ დადგინდეს ქმმარტება, რატომ? — შეეკითხა ანი, ლალის ადვოკატს.

— იცით, მონმეების გარეშე მართლაც,

— კი... მაგრამ მე მგონი, ეგ ქალი არაფერ შუაშია, — უპასუხა ნიკომ.

— საიდან დასკვნით? — ეწყინა ანის.

— დამნაშავე ასე არ გაავებოდა, — მოახსენა თავისი დასკვნა ნიკომ.

— მაშ, ვინაა შუაში? — იკითხა ლოლამ.

— ვინ და ჩვენი მეზობელი სუსანა... — თქვა ნიკომ. — აბა, მე რა ვიცი?! ასეთი საქმე რომ გახსნა, მარტო გამოძიებლობა საკმარისი არ უნდა იყოს.

— ეგ რას ნიშნავს? — იკითხა ანიმ.

— რას და ცოტა შემოქმედებით ნიჭითაც უნდა იყო დაჯილდოებული.

— მერე, თქვენ აქ რას გვიკეთებთ, ბატონო ნიკო?.. — თვალეები გაუბრწყინდა ვასიკოს. — წელანაც გითხარით — კაცს ერდროულად, სამი ბუმბერაზი ადამიანის თავი გაბიათ, ტო: ნილსონის, კუტუზოვის და ალი-ბაბასი, აილეთ ხმალი და წინ გაგვიტყით! „რაზ-დვა, რაზ-დვა“!

— ხმალი კი არა, აილე კამერა და წავედით, არ დაგვაგვიანდეს... — უბრძანა ანიმ ვასიკოს.

— სად მიბრძანდებით? — დაინტერესდა ნიკო.

— ლალი იაშვილი უნდა დაჰკითხოს ანიმ, — მოახსენა ვასიკომ.

— მეც მოვედივარ! — თქვა ნიკომ.

— მაგ ცალი თვალით, ბატონო ნიკო?! ხომ გაუსკვდა იმ ქალს გული! — გადირია ანი.

— ჰოდა, მეც ეგ მინდა სწორედ! მინდა გამოვიძიო, ვინ დამყუჟა, ვინ გამიხეთქა ეს თვალი... — წამოდგა ნიკო.

მალე ანი, ვასიკო და ნიკო გამოძიებულთან გამოცხადდნენ. ანიმ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— შემობრძანდით! — დაიძახა მურადმა და ანის უსაყვედურა: — სადა ხარ, ანი, ამდენი ხანი? შაქარი გინდა დამმართო თუ რა?! შენ იცი, რა ხდება?..

— რა ხდება? — გაუკვირდა ანის.

— რა და, ამ „სტერვამ“ თვითონ დუმილის უფლებს აირჩია და ადვოკატი აიყვანა. — რა მოხდა მერე? ადვოკატი აიყვანა, ტირანოზავრი ხომ არა!.. — უპასუხა ანიმ.

— უარესია, ეე, სიმონ, უარესი. დაჯექი, აი, შემოვიყვან და შენ თვითონ ნახავ, — წამოდგა მურადი.

— ბატონო ნიკო, ვასიკო, შემოდით, რა! — გასძახა კართან მდგომებს ანიმ. კართან ნიკო და ვასიკო გამოჩნდნენ.

— ესენიც? — არ ესიამოვნა მურადს. — ახლა მთლად გააფრენს! დასხედით, რა ვიცი... — და ნიკოს ჰკითხა: — თვალზე რა მოგივიდათ?

— თვალზე? ეს ცალკე თემაა, ბოლოს გეტყვი.

— აქ დამელოდეთ. ახლავე მოვიყვან ორივეს, — და მურადი ეჭვმიტანილის მოსაყვანად გავიდა.

— რას ერჩი, მშვენირი ბიჭია, რატომ აწვალე? — შეეკითხა ანის ნიკო, როგორც კი მურადი გავიდა.

— კარგით, რა, ბატონო ნიკო!.. — არ ესიამოვნა ანის.

მალე მურადმა ლალი და მისი ადვოკატი

არ შეიძლება. დამშვიდდით, რა-ა, დამშვიდდით! — მიუბრუნდა ადვოკატი ლალის.

— რას ჰქვია, დამშვიდდით, გენაცვალე?! მკვლელობას მამბრალეებს, საკუთარი ქმრის მკვლელობას, გეცმით?! ეს, თვითონ მკვლელები! — და უეცრად ლალიმ ტირილი დაიწყო: — რა გინდათ, ჩემგან, რა? რატომ არ დამანებებთ თავს? მე რა შუაში ვარ? მე თვითონ გავიჭვირე ამ ყველაფერში... მე არ მომიკლავს ის კაცი, არა! გაგებაში არა ვარ, რა მოხდა, მოკლეს თუ მართლაც თავი მოიკლა... შეხედეთ, რას ჰგავს! — და ლალიმ მურადზე მიუთითა. — შეხედეთ, შეიძლება, ასეთი ბრწყინი ტიპი გამოძიებელი იყოს, ხალხო?!

— ქალბატონო, შეურაცხყოფებს მორჩით, ძალიან გთხოვთ! — განრისხდა მურადი. — ჩემნაირები კი არა, ჩემზე ათჯერ უარესებიც არიან გამოძიებლები...

— ჰოდა, მაგიტომაც არის ჩვენი საქმე ასე კარგად... — ჩაილაპარაკა ადვოკატმა.

— თქვენც ხომ სულ ათიანებზე გეცოდინებათ ყველაფერი, კარგი, რა! — გამწარდა მურადი.

— მე გავიდე? — იკითხა პოლიციელმა.

— შეგიძლია, — გაათავისუფლა მურადმა.

— ათიანები არ ვიცი მე! — წამოხტა ადვოკატი. — მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ დაკითხვებზე უუნაროსტები და კამერები არ უნდა იყოს. აბა, მოაცილეთ ეს კამერა აქედან და თქვენც მიჰყევით უკან! — საბოლოოდ იერიშზე გადავიდა იგი. აბა, ჩქარა, შეიქ!

— ქალბატონო, თქვენ ჩვენ დებილები ხომ არ გგონივართ?! მოგვიტანეთ კანონი, წაგვკითხეთ, დაგვიდეთ წინ და წავალთ, — გაჯიუტდა ანი.

— კაი, დარჩენი, ლალი, — მიუბრუნდა ადვოკატი ეჭვმიტანილს. — რა ფეხებს მოგვჭამენ?! გაუშვი, თავისი ყურით მოისმინონ ყველაფერი, — და უცერემონიოდ დასძინა: — მაცალე ორი წუთი, ამათ ძალის ტრაკში შევაძვრენ ყველას!.. — და მურადს მიუბრუნდა: — დავინყო, ხომ?

და მურადმაც, როგორც იქნა, ლალის პირველი კითხვა დაუსვა:

— ხომ არ გიფიქრიათ, რომ ვინმეს უნდოდა თქვენი ქმრის მოკვლა? ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

— ეჭვი კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ მისი მოკვლეულია, ის არის ამაყვეთი — ნუციკო კელამტრინივილი. ასე რომ, მე კი არ უნდა ვიჯდე აქ ახლა, ის უნდა იჯდეს, ის! — თქვა აღელვებულმა ლალიმ.

— დარწმუნებული ხართ? — მეორე კითხვა დასვა გამოძიებელმა.

— ვაჰ, ნეტავ, მე ფული მომცა და ამ კაცს — ჭკუა!.. — განცვიფრდა ლალი. — რატომ კლავენ საყვარელებს საყვარელებს, არ იცით?

— ნუ, თავი რომ დაენებებინა... სხვა რა იქნება? — იკითხა ანიმ.

— ან სხვა საყვარელს გადაეყარა... — გამოთქვა თავისი ვარაუდი ნიკომ.

— ეგ გამორიცხულია. ნუციკო კელამტრინივილი რა, მაგას აღიარებს? — ირონიულად ჩაილაპარაკა მურადმა.

— გიყი უნდა იყოს, რომ ეგ აღიაროს: კაცი მკვდარია, ქალს ალბათ, საჯდომის

კანკალი აქვს, დღეს ან ხვალ დამიჭერენო, და მაგას იტყვი?! — ჩაერი ადვოკატი.

— ცოტა გამოთქმები შეარჩიეთ, რა, გთხოვთ! — განყრა მურადი.

— რა-ა? სხვანაირად, თქვენს ტვინამდე ვერ დავიყვან და იმიტომ! — გაცხარდა ადვოკატი.

— გიყვარდათ ქმარი? — მიუბრუნდა ლალის მურადი. — მისმა დამ აღიარა, რომ თქვენ დაუსრულებელი ხელჩართული ომი გქონდათ ერთმანეთთან...

— ვისმა დამ, კვლავტრიშვილის? — განცვიფრდა ლალი.

— არა, თქვენს მულზევა ლაპარაკი, — უპასუხა მურადმა.

— ღმერთო, რა უვიცია!.. ვინ მოცვათ დიპლომი, რომელი უმაღლესი დაამთავრეთ? — შევეკითხა მურადს ლალი.

— აქ შეკითხვებს მე ვიძლევი! — გაცხარდა მურადი.

— ნუ იმუქრებით, რა, ვერ შემაშინებთ! — აიქოჩრა ლალი.

— იცოდით, რომ კვლავტრიშვილი თქვენი ქმრისგან შვილს აჩენს? — დასვა შემდეგი შეკითხვა გამომძიებელმა.

— შვილი კი არა, ბეჭემოთი დაუგდია თუნდაც, რაში მაინტერესებს?! — გამწარდა ლალი. — ღმერთო, რა სისულელებს ყვებდობ!.. არადა, ბელგიაში უნდა ვიყო, წესით, ახლა... კილერზე რატომ აღარაფერს მეკითხებით, მოგებურდათ? — შეასხენა გამომძიებელს ლალიმ. — შენ გგონია, თუ ზეციდან ღმერთი აღარ იყურება, ყველაფერი გეპატიება?! ჩემი „მონველა“ გინდათ, არა?.. — და ლალი მთელი ხმით აღრიალდა.

— ვერ „მომწვევლით“, ვერა, გამწარალი მაქვს ძუჭები, გამწარალი!.. თქვენ ჩემგან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებთ, ერთს — მილიარდებიც რომ მქონდეს! ჩავჯდები და იმ „ღმერთით“, რომელიც ხელიდან ხელში გადადის, სათითაოდ გაგისტუმრებთ, სადაც თქვენი ადგილია — შენაირ „პუსტა-პუსტებსაც“ და გენერლებსაც!.. აი, ასე!

— ბრავო! — ტაში შემოსცია ანიმ. — ეს თითქმის აღიარებაა... ადექით, წავიდეთ! — ჟურნალისტები წამოდგნენ. კართან მისული ანი, ლალის მიუბრუნდა: — ძალიან კარგი. ასე, ხომ?.. ჩვენ კი, იცით, რას ვიზამთ? გაცყინავთ თქვენს ანგარიშებს და ცარიელზე დაგვავით! ისე რომ, აღარც ცაში გეყოლებათ „ღმერთი“ და აღარც მინაზე. მე თუ თქვენ ციხეში არ ამოგაღობთ, ამასაც ნახავთ!

— აი, გაყინავთ! — ბრანი უჩვენა ლალიმ. — სულ მისხალ-მისხალ არის საქმეში ჩადებული. არა, ბიჭო!..


— შენაირებისთვის მოუგრებიხათ კისერი... — არ დაუთმო ანიმ.

— გეყოფათ! — მიუჯახუნა ანის კარი გამომძიებელმა.

— ხომ გადაიღე? — შევეკითხა ანი ვასიკოს, როგორც კი გარეთ გავიდნენ.

— თავიდან ბოლომდე, — უპასუხა ვასიკომ.

— მაშინ, წავიდეთ, დავამონტაჟებ და ეთერში უნდა „ვხიო“, — უთხრა ანიმ და



ნიკოს მიუბრუნდა. — თქვენ არ მოდინართ სტუდიაში, ბატონო ნიკო?

— არა, სახლში მივდივარ. თუ ვინმე მიკითხოს, შინ დამირეკოს.

— თქვენ როგორ ფიქრობთ — არ არის ეს ქალბატონი დამნაშავე?

— რა სისულელეა! — თავი გააქნია ნიკომ. — პროკურატურას მარტო მაგის ქონება აინტერესებს, ჩვენ კი, ბრმა იარაღად უნდა, რომ გამოგვეყენონ, შენი უტვინობის გამო... მე მგონი, მაგარ ხაფანგში გავყავით თავი. მე — „პას“! მე არაფერ შუაში ვარ, შენ უნდა გასცე ამ ყველაფერს პასუხი, — თქვა ნიკომ, მიტრიალდა და წავიდა.

— ეჭვი! — შეუსტვინა ანიმ. — შენც ასე ფიქრობ? — შევეკითხა ის ვასიკოს.

— არა, მე მარტო იმაზე ვფიქრობ ახლა, ამერიკის საელჩოსთან როგორ მოვხვდე, — უპასუხა ვასიკომ.

— მაშინ, ფირი მომეცი! — უბრძანა ანიმ. — როგორ მოგცე, ტო? ეს ერთი ფირი მაქვს, რიღათი გადავიღო?! — უარი სტვიცა ვასიკომ.

ანი მარტო დარჩა, მიიხედ-მოიხედა, ჭაჭავაძისკენ დაეშვა. ნელ-ნელა მისეირნობდა და პოლიციის წინ ჩამწკრივებულ მანქანებს აკვირდებოდა. მივიდა მურადის მანქანასთან, ჩანთიდან გასაღები ამოიღო, მანქანის კარი გააღო, ჩაჯდა და დაჯახუნით მიიკვტა.

ანი მურადს მისსავე მანქანაში უცდიდა. მურადი პოლიციის შენობიდან გამოვიდა და სავარძელში ჩაეხეთქა.

— აუ, რა განრისხებული ხარ, მურად?! სუფთა კაცის მკვლელი! — სცადა მდგომარეობიდან გამოეყვანა გამომძიებელი.

— რა ჩაწერო პატაკში, როგორ მაგინებდნენ?! — აყვირდა მურადი. — ეს ლილიპუტიც რომ მე მემუქრება, ეს „პეტრუშკა“ ადვოკატი!!! ხვალვე ეცოდინება მინისტრს, რა პროფესიონალიც ბრძანდებიო, — მითხრა. ეს მინდოდა მე კიდევ?! ისედაც წყალი მაქვს შეყვებულნი...

— დამსვი, რა, საქვსთან, — შეცვალა თემა ანიმ.

— საქვსთან დაგსვა? გივლია, რომ? — შევეკითხა ოდნავ დაწყნარებული მურადი.

— არა, მაგრამ შენ გაკვირდებოდი... — იცრუა ანიმ.

— და გგონია, რომ გაატარებ? — რატომაც არა?!

— მოიცა, რა, ისედაც ყელამდე ვარ,

შენ გამო, ვალეში და ახლა, თუ ეს მანქანაც მიმიტვრიო... — არ დაუჯერა მურადმა.

— დამსვი! — გაუმეორა მკაცრად ანიმ.

მურადი მისკენ მიბრუნდა და რამდენიმე წამი გაკვირებული უმზერდა, შემდეგ, უხმოდ გააღო კარი და ადგილი გაუცვალა. ანი მობილიზებული დაჯდა საჭესთან. დაქოქა, მიაჭირა „გაზის“ პედალს ფეხი და მანქანა მთელი სისწრაფით მოწყდა ადგილიდან.

— მუხრუჭი! მუხრუჭი! — იღრიალა მურადმა.

ანიმ დაამუხრუჭა. მურადმა საქარე მინას ხია თავი. ანიმ მინა ხელით მოსინჯა.

— გადარჩა... — თქვა მან მინაზე.

— აუ, ეს კოპი მინდოდა მე ახლა?! — მურადს თავზე მიედო ხელი.

— ჰოდა, რატომ გამაჩერებინე? — იქით დაადანაშაულა ანიმ.

— როგორ — რატომ?! „ლიხაჩივით“ გავარდი! — აყვირდა მურადი.

— ე-ე, მეც არა ვთქვი!.. — ანიმ მანქანა დაქოქა და კიდევ უფრო დიდი სისწრაფით გავარდა. შეშინებულ მურადს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მანქანის მანევრირებაზე მიხვდა, რომ ანიმ მართვა მასზე არანაკლებ იცოდა და მოეშვა.

— სად მივდივართ? — იკითხა მან.

— დაგაინწყდა, სიურპრიზს რომ დაგპირდი? — შეასხენა ანიმ.

— პატაკი რომ მაქვს დასაწერი? — იკითხა მურადმა.

— მარტო პატაკი? — ე.

— მოკლედ, ორდენზე ხარ წარდგენილი და დაჯილდოების ცერემონიაზე მიმყავხარ... მოსულა? — გაეცინა ანის.

— „მე შენი ვარ სამუდამოდ, წამიყვანე, სადაც გინდა“, — დამორჩილდა, ბოლოს და ბოლოს, მურადი.

— შენ და — გალაკტიონი?! — მაგრად გაუკვირდა ანის.

— გალაკტიონი?... მე ხალხური მეგონა.

— „მესაფლავიდანაა“, — გაანათლა მურადი ანიმ.

მანქანამ სადღაც ძველ კვარტალში შეუხვია და ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდა.

— მოვედით! — თქვა ქალმა.

...ანიმ თავისი თანამშრომელი, მანონი, რომელიც მარტო ცხოვრობდა, წინასწარ შეიპირა, ერთი ღამით „ბაითი“ დამითმეო და ფულიც მისცა სუფრის გასაწყობად. უფრო უარესიც: უთხრა — თავს თუ ჩემს მოახლედ გაასაღებ, კიდევ ერთ მალარიჩსაც ვიკისრებო... მანონიც, რას კარგავდა?... თუმცა... მისხდით, ალბათ, „იაპონური სექსის“ ბოლო აკორდისთვის („იაპონური სექსი“? ჯერ ძუჭუს და მომიშვლებული „ბარკლის“ ჩვენება, შიგადაშიგ, შემდეგ, ნეკზე ნეკის მოკიდება; შემდეგ, ხელზე კოცნა, მკლავზე კოცნა, ძუჭუს მოსრეხა... მერე ხელის ქვემოთ ჩაცურების უფლებაც და სულ ბოლოს კი... სადღაც კვირისთავზე — მამაკაცის გაცოფება, როცა ვნება თავის ზენიტს მიაღწევს...) ემზადებოდა ანი.

მანონს სქელი ტუჩები, მკვრივი მკერდი და მრგვალი უკანალი ჰქონდა, რაც გამოძიების მასვილ მზერას არ გამოჰპარავია. თანაც, იმდენად მოკლე ქვედაბოლო ეცვა, ლამის ყვეთელი ტრიკოც მოუჩანდა. მურადს მის დანახვაზე თვალები აუელვარდა. ანის კი მაგრად გაუკვირდა, რადგან მოლაპარაკებისას მგავს რამეზე საერთოდ, არაფერი უთქვამთ, ამიტომ, ყოველმხრივ ცდილობდა, მანონს წინ აპყრობოდა, რომ მურადს მისი შიშველი ბარძაყებისთვის ვერ შეეხედა. კაცს კი, პირიქით, სწორედ მანონის მონითალო ბარძაყებისთვის ველარ მოეცილებინა თვალი...

— ანი, ცოტა ადრე ვერ მითხარი? ვერაფერიც ვერ მოვასწარი. საჭაპურიც დამეწვა, კარტოფილიც დამეწვა და წინილაც დამეწვა... — მოურიდებლად მოახსენა მანონმა ანის.

— ჰო, შენ თუ მარტო იმაზე ფიქრობდი, რა ფერის ნიფხავი ჩაგეცვა და როგორ გამოგჩინა, მაშ, რა იქნებოდა?! — ეგრევე აჯახა ანიმ და მანონს გვერდით ოთახზე მიუთითა: — შეეთრიე ახლავე და ჩაიცვი ნორმალურად!

— არა, არა! იყოს, რა, ეცვას, როგორც აცვია, — აღელდა მურადი.

— ეს მოგწონს, ბიჭო, კახასავით რომ აცვია?! — თავი გამოიძო ანიმ.

— აუ, მომწონს?! აუ, მომწონს კი არა!.. გამაცანი, რა, გამაცანი, ჩქარა! — ისევ აღელდა მურადი.

— შენ რა, მოახლებზეც ეცემი?! — გაუკვირდა ანის და მანონს მიუბრუნდა: — გაეთრიე-მეთქი, ჩქარა, ვის ველაპარაკები?! — რატომ? რატომ? მაგრად უხდება, რა გინდა, თანამედროვე გოგოა... ამას თუ მოაცვლევიან, იცოდე, მე წავალ! — გამოაცხადა მურადმა.

— ჰოდა წადი, წადი მაშინ! — რალაც თავისთვის არასასურველი იყნოსა ანიმ...

— მაშინ, ამასაც წაიყვან... — და მურადი მანონს შეეკითხა: — რა გეკვია?

— ნინი, — გაინახა მანონი.

— ნინი კი არა, მანონმა ჰქვია, — მოახსენა ანიმ. — ნინი!.. — გამოაჯავრა მანონს და მურადს მიახალა: — მოგწონს, ხომ? მოგწონს, არა, როგორც აცვია? წამოდი, წამოდი! — ანიმ მურადს ხელი მოჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა, სადაც სუფრა იყო გამლელი. შამპანური, წითელი ღვინო, ლიქიორი და დელიკატესებიც კი იყო მაგიდაზე მანონიც მათ მიჰყვა.

— ეს რატომაა სამ კაცზე განყობილი? — გაუკვირდა ანის და მანონს მიუბრუნდა. — მე ხომ გაგაფრთხილე, სამზარეულოდან ფეხს არ გამოადგამ-მეთქი!

— რა-ა? სამზარეულოში რა მინდა?! შენ დაჯექი იქ, თუ კაია. შენ მართლა შენი მოახლე ხომ არ გგონივარ?! — მიახალა უეცრად მანონმა.

— არავითარ შემთხვევაში, ნინი ჩვენთან ერთად იქეიფებს! — ბრძანა სისხლაჩქროლებულმა მურადმა.

— ძალიან კარგი. ნინი, ძვირფასო, თუ შეიძლება, ჩემი პერანგი გამომიტანე, ცალი სამსრე რომ აქვს, — სთხოვა ანიმ დაცინვით ნინის.

— რა-ა?! სხვა რა ბებიჩემის გინდა? მიდი და შენ თვითონ აიღე! — მიახალა მანონმა მოურიდებლად. — მე თქვენს ლოდინში შიმშილით მოკვდი, — მიუჯდა სუფრას და ქათმის მოზრდილ ნაჭერს გადასწვდა. მურადი კი, ლამის ტუჩებში ჩახტომოდა მანონს, თვალებით ჭამდა...

ანიმ რალაც გადაწყვიტა: ვითომ ოთახიდან გასვლას აპირებდა, მაგრამ მანონის სკამს მიუახლოვდა თუ არა, უეცრად, პერანგის სახელოებში სწვდა და მკერდზე გადაახია... მანონს ვაშლის ფორმის მკვრივი ტუჩები მალლა ამოუცვივდა და შეშინებული, სკამიდან წამოხტა. მურადი პირველად ხედავდა ულამაზეს, ლილისფერკერტებიან ტუჩებს და საშინლად მოუნდა ქალი.

— აჰა, უყურე, უყურე!.. — უყვირა მურადს განრისხებულმა ანიმ.

— მხეცო, რატომ დამიხიე, რატომ? გაგიყდი?! — გულწრფელად გაოცდა მანონი. მერე ხელი ჩაიქნია, დაჯდა და გამოშვლებული ტუჩებით განაგრძო ჭამა. — მოგწონს? — ჰკითხა მან მურადს და მკერდი შეათამაშა.

— უპასუხე, რატომ არ პასუხობ? — შეეკითხა მურადს ანიმ.

მურადმა ნერწყვი გადაყლაპა.

— ჩემზე იყოს ერთი „კოფთა“... — დაჰპირდა ის მანონს.

— ასე, ხომ?.. მაცალეთ!.. — და ანი მეორე ოთახში გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— ეს ბინა ჩემია, ჩვენ თანამშრომლები ვართ. მართლა მოახლე არ გვეგონო. ერთი საათის წინ მთხოვა, სუფრა გამეშალა... — მოასწრო ჩუმად თქმა, სანამ ანი გამოვიდოდა, მანონმა.

— ჰო-ო?! — რატომღაც ძალიან გაუკვირდა მურადს.

— ვიცო, რასაც იზამს, — თქვა მანონმა.

— რას?

— შენც იცი...

— დაგვხოცავს? — იკითხა მურადმა, რადგან უკვე კარგად ჰქონდა ანის ხასიათი შესწავლილი.

— არა, გამეჯიბრება.

— რაში?

— გატიტვლება და ისე შემოვა, აი, ნახაჭ.

— თქვენ ყველას ასე უმასპინძლებით?..

ეს რა, თქვენბური ტრადიციაა? — იკითხა მურადმა.

ამ დროს კარი გაიღო და ანი შემოვიდა.



ცალი ტუჩე მოშიშვლებული ჰქონდა, ტუჩებს თავი და კერტი პომადით გაენითლებინა, რაც მართლაც, იმოქმედებდა ნებისმიერი მამაკაცის „ქვედა იარაღზე“... მოკლე შორტიც ამოეცვა და უკანალის ლამაზი მოხაზულობა გამოეჩინა, საიდანაც შემადლებული, საოცარი ღუნდულები იწყებოდა. თან აღმგზნებ, ღია, მკაფიო ფერებში იყო „გადანყვეტილი“.

მის დანახვაზე, მურადი წამით სკამიდან წამოხტა და ისევ უკანვე ჩაეშვა. ანი ამაყად თავანუელი შემოვიდა, მაგიდას შემოუარა და თავის ადგილზე დაჯდა. მურადი მადიანად ილუკემბოდა და ხან ერთის ტუჩებს აკვირდებოდა, ხან — მეორისას.

— ასე შეიძლება, თვალები დაიელო, — უთხრა ანიმ. — ამას ტყუილად უყურებ, ამას სხვა უყვარს, ჰყავს თავისი... — მიანიშნა მან მანონზე.

— არავინაც არ მყავს, გატყუებს. და საერთოდ, ყველას ატყუებს, ვისთანაც გასდის... — ბოლომდე ჩაუშვა თანამშრომელი მანონმა.

მურადმა პასუხი არ გასცა. ჭიქას დასწვდა და გამოცალა. მერე, ზედიზედ, კიდევ ორი ჭიქა მიაცოლა.

— ჩვენ? — იკითხა ანიმ.

— სადღეგრძელოები? — დაამატა მანონმა.

— მე მტის მოთმენა აღარ შემიძლია: მე ქალი მინდაა! — ამოიღმუვლა მურადმა.

— აირჩიე, მერე... — თქვა მანონმა.

მურადი წამოდგა, მივიდა და პირდაპირ მანონის ლილისფერკერტიან ტუჩებს მიაღო თითი.

— შენ! — ვნებით თქვა მან.

ანი წამოხტა და თავის თანამშრომელს დაეჭავა:

— ნაიდი აქედან! გაეთრიე! მომწყდი!

და ატყდა ერთი წივილ-კივილი: ქალური ჭიდაობა, თმაზე მოქაჩვა, ფრჩხილებით კანჭრა. მურადმა იარაღი ამოიღო, შემართა და დამცველი გადასწია. გოგოები საშინლად დაფრთხნენ და მიაჩერდნენ.

მურადმა იარაღი ანის მიაბჯინა:

— მაგიდის ქვეშ, დროზე! და არ გატოვდები, გაიგე?!

— მაგრამ მე... პატაკი რომ გაქვს დასანერი, დაგავინყდა?.. — შეახსენა ანიმ.

— ხმა, კრინტი! მეყოფა, რაც მაყლაპე! შეძვერი, თორემ დაგახლი!

— ჰო, კაი, კაი, დაწყნარდი! სამზარეულოში გავალ... — სთხოვა ანიმ.

— რომ მერე ცულებით შემომივარდე, არა?! მაგიდის ქვეშ, მაგიდის-მეთქი, ჩქარა!

შეშინებული ანი მაგიდის ქვეშ შეძვრა. მანონმა ტუჩები მოიწმინდა. ადგა, მურადს მიუახლოვდა, ჯერ იარაღი დაადებინა, ფრთხილად, შემდეგ, პერანგის ღილები შეუხსნა, გადაუნია და მკერდი მკერდზე მიასრეს-მოასრისა, მერე ტუჩები შეაწვია და ხელი ქვევით ჩაუცურა. ქამარი გაუხსნა და ელვა ჩაუნია... მალე მაგიდა აქანავდა და ადგანდგარდა. თუფში, ჭიქა თუ ბოთლი — სათითაოდ ცვიოდა, სექსუალურ რიტმში. ანი ხან ერთს დაიჭერდა, ხან — მეორეს. სხვათა შორის, ბევრი რამ გადაარჩინა...

„მორდუობა“ აფხაზეთში საუკუნეების წინაც არსებობდა და უფროსი თაობა ამ ტრადიციას დღემდე პატივს სცემს. უძველესი წესის მიხედვით, „მორდუ“, ყმა აფხაზის ოჯახში გაზრდილი თავადიშვილის შვილი იყო, რომელსაც ოჯახის დიასახლისი ღვიძლი შვილივით ზრდიდა. თავადიშვილი მას ძიძას უწოდებდა. ძიძისშვილი თანშეზრდილ თანატოლებს ძმად ეფიცებოდა. „მორდუობის“ ფიცის დამრღვევს ოჯახიდან მოკვეთა, უარეს შემთხვევაში კი — სიკვდილი ემუქრებოდა. 90-იანი წლების ქართულ-აფხაზურ ტრაგიკული მოვლენების დროს ერთმანეთს ქართველი და აფხაზი „მორდუებიც“ შეხვდნენ...

„მორდუობის“ ფიცის ღაწახი ქართულ-აფხაზურ ჩანაწერში

ახე კახა და მისი აფხაზი და-ძა

ლალი პაპასკირი

კახა, 39 წლის:

— თბილისში, დიდუბის სადგურის გასასვლელთან მოხალისეებით დატვირთული ავტობუსები იდგა. ნამი ნამუე უნდა გასულიყავით. ამ დროს, დედაჩემის სასონარკვეთილი ხმა შემომესმა — ვიცი, რომ აქ ზინარ, გამოდი, ბიჭო, არ გრცხვენია, ვის უნდა ესროლო ტყვია, აფხაზებთან ხარ გაზრდილიო!.. ბიჭები გაოცდნენ — ვინ არის ეს არანორმალური ქალიო?! მძლოლს ვუთხარი — ნაღი, სანამ გვიან არ არის-მეთქი. კი მივდიოდი, მაგრამ გული აქ მჩრებოდა. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა აფხაზეთში წასვლა ასე მძიმედ განვიცადე.

— როგორც ვიცი, აფხაზეთში ცხოვრობდით და აფხაზებთანაც ახლო ურთიერთობა გქონდათ...

— სოხუმში, თამარ მეფის ქუჩაზე დავიბადე. ჩემთვის უსაყვარლესი ადგილი იყო, მთელი „ინტერნაციონალი“ — ქართველი, აფხაზი, სომეხი, ბერძენი და რუსი — ერ-

თად ვიზრდებოდით, ჩვენ შორის სხვადასხვა ეროვნება არ არსებობდა. ზღვის ნაპირზე გაზრდილ ბავშვს, წყალში ჩასვლას ვინ დამიშლიდა და აპრილის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდე, წყლიდან არ ამოვდიოდი. 10 წლისა მაგრად გავცივდი. კრუნჩხვები დამეწყა და სასწრაფოდ თბილისში წამომიყვანეს. სამი თვე ვინვალე. გადავჩრი, მაგრამ ასთმა „ავიკიდე“. ეს კი ნიშნავდა, რომ ზღვისპირეთში აღარ მეცხოვრებოდა.

— თბილისში გადმოხვედით საცხოვრებლად?

— კი, ოღონდ — მარტო მე და მამიდაჩემი. მამიდა გაუთხოვარი იყო, ჩემს მეტი არავინ ჰყავდა. ხუდადოვზე ერთთახიანი ბინა ვიყიდეთ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში სუნთქვა მიჭირდა, გული იქით მიმინევდა. იმ პირობით, რომ ზღვაში საბანაოდ კვირაში მხოლოდ ორჯერ ჩავიდოდი, ყოველ სეზონზე მშობლებს სოხუმში ჩავყავდი. მოგვიანებით, მამა ინფარქტით გარდაიცვალა, დედა კი, თბილისში წამოვიდა. ჩვენი ბინა მოყვარე აფხაზებმა — ხაგუშებმა იყიდეს, რომლებთანაც ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. მათივე თხოვნით, სოხუმში ყოველ წელს ჩავდიოდი და ჩემს ყოფილ სახლში, ხაგუშების ოჯახში ვრჩებოდი. მასპინძლებს ბიჭი და გოგო ჰყავდათ. ბიჭი ჩემი მონათლული იყო და ძმად მიმჩნა. წლების მერე გავიგე, რომ ნათელმირონობის გარდა, არანაირი ნათესაობა არ გვაკავშირებდა. დიმა ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო... იმ დღეს, დედაჩემმა ისტერია რომ მოაწყო, უმეტესობა ოჯახიდან გამოპარული ვიყავით. მართალი გითხრა, არც მინდოდა წასვლა, მაგრამ სამშობლოს დასაცავად გულანთებული 20 წლის ბიჭები თავს ვიგიჟებდით — არიქა, ჩვენი მტრები მინა-წყალს გვართმევენ-თქო!.. თბილისი და სოხუმი ერთნაირად საყვარელი იყო ჩემთვის. იმ ოჯახის მეშვეობით, ბევრ აფხაზთან კარგი ურთიერთობა მქონდა. აფხაზურადაც კარგად ვლაპარაკობდი. ასე იყო დიმაც. თუ ზაფხულის არდადეგებზე მე ჩავდიოდი სოხუმში, ზამთრისაზე — ის ჩამოდიოდა თბილისში. საერთო ძმაცაცები გყავდა. და არ მყავს, მისმა პატარა დამ მასწავლა დამპყრელი სიყვარული. როცა სუფრასთან ერთად მოვხვდებოდით, სამივეს ღვიძლ და-ძმად მიგიჩინებდნენ და ერთად

გვადლეგრძელებდნენ...

— ომის დანებების მერე ერთმანეთი არ გინახავთ?

— არა, მაგრამ ტელეფონით ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენი ჭკუით, უკვე დიდი ბიჭები ვიყავით და საკუთარი აზრი გვქონდა.

— დიმას როგორი განწყობილება ჰქონდა?

— მაფრთხილებდა — რუსეთში ვაპირებ ნასვლას, შენც წამოდი, ერთმანეთს იქ შეხვდეთო. ვიცოდი, რომ ბევრი აფხაზი, რომელიც ქართველებთან დაპირისპირებას გაურბოდა, რუსეთში გადადიოდა. ხაგუშების ოჯახში ძალიან უყვარდათ ქართველები. ვპირდებოდი, წამოვალ-მეთქი, მაგრამ თბილისსა და დანარჩენ საქართველოში სხვანაირი განწყობილება იყო. რუსეთში რომ გავეცუულიყავი, თბილისელი ძმაცაცებისთვის რა მეთქვა?.. როცა გაგრა აიღეს და სოხუმშიც იკარგებოდა, დიმას ძლივს დაუფუკავშირდი და ვუთხარი — თბილისში ჩამოდი, როცა სიტუაცია ოდნავ ჩანყნარდება, რუსეთში ერთად წავიდეთ-მეთქი. უარი მითხრა — რაღაც საქმე მაქვს და ვერ ჩამოვდივარო. — ამიდა (ჩვენი და) მაინც გამოუშვი, დედაჩემი შიშით კვდება-მეთქი... ცოტა არ იყოს, დაბნეული მომეჩვენა. მერე, თვეების მანძილზე ვეძებდი, მაგრამ მის კვალს ვერსად მივაგენი. სახლის ტელეფონზეც არავინ მპასუხობდა. ვიფიქრეთ, ალბათ რუსეთში წავიდნენ-თქო. უნივერსიტეტული ძმაცაცები ყოველდღე, თითო-თითოდ მიდიოდნენ აფხაზეთში და ამ ფაქტს ასე, გულხელდაკრეფილი რომ ვუცქერდი, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც კი ვგრძნობდი თავს. თუმცა, მართალი გითხრა, არც ჯანმრთელობა მინყობდა ხელს: დასავლეთში სუნთქვა მიჭირდა, მაგრამ ფიზიკურად არაფერი მეტყობოდა და ავადმყოფის სახელს ამოფარებული ცხოვრებაც მეთავილებოდა. სემესტრის მინურულს, ჯგუფელის დაბადების დღეს აღვნიშნავდით. სუფრასთან უცნობი ბიჭი იჯდა. როცა მშვიდობის სადღეგრძელოზე იდგა ჯერი, ქედმაღლურად დაგვარიგა. როგორც გავიგეთ, აფხაზეთის ომიდან რაღაც საქმეზე დროებით იყო წამოსული. მერე ერთ ჩემს თანაურსელს გადავიკვი. კაცობაზე „კითხულობდა ლექციებს“ და მიაყოლა — რომელ კაცობაზე დებ, ბიჭო, თავს? კაცი რომ იყო, იარაღი გეჭირებოდა ხელში და აფხაზეთში



კახა ოჯახთან ერთად

იქნებოდით!.. ჩემი ჯგუფელი გაშრა, კრინტი ვერ დაძრა... იმ ღამეს არ მიძინია. როგორც გაირკვა, დანარჩენებიც ჩემს დღემი იყვნენ. მეორე დღეს, ერთმანეთს რომ შევხვდით, გამოვტყდით, რომ ომში წასვლა გვინდოდა... 8 ბიჭმა მოვითათბირეთ — სამშობლო უნდა „დაგვეცვა“.

— იარაღთან შეხება მანამდე თუ გქონათ?

— არა, მაგრამ ვხუმრობდით — როცა საქმე მოითხოვს, მტერს არ ავაცდენთ-თქო... საბედნიეროდ, მარტო აფხაზეთში მომიწია ბრძოლამ და არ ვიცო, როგორია ნამდვილი ომი, მაგრამ ის, რაც აფხაზეთში ხდებოდა, ომი არ იყო. სამწუხაროდ, ამას ახლა ვხვდებით... აფხაზეთზე მეტად, რუსების უნტი გვჭირდა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა.

— ხომ შეიძლება, თქვენ წინააღმდეგ დიშასაც ებრძოლა.

— ეს აზრადაც არ მომსვლია, ხომ გითხარით — რატიმაც, დარწმუნებული ვიყავი, რუსეთში იქნებოდა წასული... სოხუმს ვერ იცნობდით. ქუჩებში ნამდვილი სასაკლაო იყო. მთელი ღამე მარტო სროლების ხმა ისმოდა. მამიდამვილ-ბიძამვილები ერთმანეთს არ ინდობდნენ... აგვისტოს მინურული იდგა. სოხუმის ახლოს, სოფელ შრომასთან მძიმედ დამჭრეს. ძალიან გვიჭირდა, არც ტყვია-ნამალი გვექონდა და არც საჭმელი. ნახევარი სოხუმი აფხაზეთის იყო, უფრო სწორად — რუსების... არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თვლი რომ გავახილე, სადღაც ვინქეი, თავიდან ბოლომდე გადახვეული ვილაცი გმინვამ მომიყვანა გონზე. როცა თავი ოდნავ გადმოვატრიალე, ჩემს მდგომარეობაში მყოფი, რალაც, ადამიანის მაგვარი შევნიშნე. რუსულ ენაზე ხმამალლა ტირიდა, თან — იგიწებოდა. შევხედე, სახე არ უჩანდა. თავი გადახვეული ჰქონდა, მარტო სისხლიანი და დაღურჯებული ცხვირ-პირი უჩანდა. მაგრამ მისი ხმა მეცნობდა... ვინ ხარ-მეთქი? — ვკითხე რუსულად. — „და პაშლი ვი ვსე, ზნაეტე, კუდა?!“ — ცხრასართულიანი გინებაც მოაყოლა, რუსულადვე და ნახევრად სისხლიანი ცრემლი ზენარს შეაწმინდა. შემებრალა და გამიკვირდა კიდევ; მივხვდი, ჩვენებური არ იყო, მაგრამ თავი ისე მიბრუნდა, შევიხვის თავი არ მიქონდა, თუმცა, ვიცოდი, პასუს მინიც არ გამცემდა.

პალატაში თუ ოთახში, სადაც ვინქეით, ქალი შემოვიდა. წესით, „მედსეტრა“ უნდა ყოფილიყო. შპრიცით ნამალი შემოიტანა და ჩემს მეზობელს დაწყნარება დაუწყა. შენი ხელიდან ნამალს არ ავიღებო, — რუსულად უთხრა დაჭრილმა. — ბიჭებს არ ჰქონდეთ შენი თავი დაბარებული, კი ვიცი, რასაც მოგართმევდით, — ჩაილაპარაკა თერთქუდიანმა ქალმა თავისთვის და გამზადებული ნამალი მე გამიკეთა. ვინ არის-მეთქი? — ვკითხე ექთანს. — რა ვიცი, ვილაც არანორმალური აფხაზია, არც ნამალს იღებს, არც წყალს სვამს, ქაჯი უნდა იყოს, რომელიღაც სეპარატისტული დაჯგუფების მეთაური ყოფილა და ბიჭებს სჭირდებოდათ, — ამისნა ექთანმა ქართულ ენაზე ამ დროს, „ჩვენმა აფხაზმა“ შემზარავი სახით შემოგვხედა და ექთანს ქართულად დაუყვირა: რამდენიც თქვენმა პედერასტმა ქართველმა ვერაფერში გამოიტყონ, იმდენი თქვენი დედაც!.. არანორმალურები ოჯახში გვეყოლება, შენო!.. ორივეს გაგვიკვირდა. ვეცადე, სახეზე შემეხედა, რადგან ხმა კიდევ უფრო მეცნო... ექთან

გაშრა და ოთახიდან ხმის ამოუღებლად გავიდა. ვინა ხარ, ბიჭო-მეთქი? — ვკითხე — რა შენი საქმეაო?! — სახე ამარიდა. — რა გქვია-მეთქი?! — „დავია“, რა... — იყო პასუხი... ეს უკვე რუსულად მითხრა. გავეწარდი. ქართული საიდან იცი-მეთქი? — ანგელოზებმა მასწავლეს სიზმარშიო, — მითხრა ირონიით... იმ ღამეს, ჭრილობის გამო სიცხემ ამინია და ერთი კვირა გონდაკარგული ვინქეი. გონზე რომ მოვედი, მთლიანად შეცვლილი სიტუაცია დამხვდა. მედერსონალისგან შევიტყვე, რომ ჩემმა მტერმა, რომელიც გვერდით მენვა, სიკვდილს გადამარჩინა...

— როგორ?

— დალილ-დაქანცულ ექთანებს ჩათვლინათ თურმე ამ დროს, მწვავე სისხლდენა დამეწყა და ვბორგავდი. ჩაძინებული გოგოები აფხაზის მიერ ატეხილმა ხმაურმა გამოაღვიძა. როცა გინებით ვერაფერს გახდა, მის თავთან მდგარი სკამი წაქცია, თურმე მე კი მომხედეს, მაგრამ თვითონ გახდა ცუდად. მისმა სიკეთემ უფრო მეტად დამეყვანა — საიდან მეცნობოდა?..

— ხომ შეიძლება, რომელიც თქვენთან ერთად გარდაიღობა აფხაზი ყოფილიყო? თქვენ ხომ სოხუმში იზრდებოდით.

— იმდენ ხანს ვიყავი სოხუმში და არც ერთი ნაცნობი არ შემხვედრია, ქალებს თუ არ ჩავთვლით... თან, დაჭრის მერე იმდენად გათიშული ვიყავი, ვერაფერზე ვფიქრობდი... დღითი დღე უკეთესობა მეტყობოდა, ის კი, უარესად ხდებოდა. ოთახში ჩვენ გარდა, კიდევ 7 დაჭრილი იყო. მთელი ღამე ვერ ვიძინებდი: ბიჭები ტყვილისგან გმინავდნენ, გარეთ კი, გამუდმებით სროლის ხმა ისმოდა. დღემდე ყურებში მიდგას აღმოდებული სახლის სახურავის ტკაცუნის ცეცხლი ერთი სახლიდან მეორეზე გადადიოდა და ქალაქის ქუჩებში მთელი ღამე უზარმაზარი კოცონი ენთო. ექთანებსაც იქვე ეძინათ. ერთ ღამეს, ვილაც წამოვარდა: თამარ მეფის გამზირი იწვისო... ეს ჩემი ქუჩა იყო. ჩემმა „მეზობელმა“, რომლის აფხაზური წარმომავლობა მთელმა პალატამ იცოდა და აგინებდა, მწარედ ამოიხრა. ცოტა ხანში, გონიც დაკარგა. შუალამზე კი, ბოდავ დაიწყო. ის ყველაზე საზიზღარი ღამე იყო ჩემს ცხოვრებაში... ქართველებს აგინებდა — ეს მაშინ, როცა ოთახი დაჭრილი და ნახევრად მკვდარი ქართველი ბიჭებით იყო გადაჭედული!.. ბოლოს, აფხაზურად, ქალივით ატირდა — ისე, როგორც აფხაზეთში გასვენების დროს იციან, წამღერებით: „ამიზავარ, ვერ გესმარებთ!..“ ეს დიმა იყო, ჩემი მამანაფიცო, რომელსაც რამდენიმე საათის წინ, ოჯახს ვუგინებდი — იმ ოჯახს, რომელსაც ღვიძლი შვილივით ვუყვარდი... თავი მეზიზღება, როცა იმ დღეს ვიხსენებ. როცა მესმოდა, როგორ იხსენიებდა დიმა ქართველებს, ყურები არ ვუჯერებდი...


— კი, მაგრამ შენც ხომ აგინებდი აფხაზებს.

— მართალი ხარ, ასე იყო. როგორც იქნა, დანყნარდა და დაიძინა კიდევ. ისევ ბორგავდა... გამთენიისას გამეღვიძა, არც მას ეძინა. აფხაზურად ვკითხე — დიმა, ბიჭო, შენ ხარ?.. ამოიღე ხმა, გიცანი-მეთქი!.. — მე

მაშინვე მივხვდი, ვინც იყავიო, — მიპასუხა. ომი, ჭრილობა და ტყვილი რა იყო ამ სიტყვებთან შედარებით?.. — რა გულმა მოგიტონა, ბიჭო, რატომ არ მითხარი-მეთქი? არაფერი მიპასუხა. ისედაც სუსტად ვიყავი; რომ არ მეტირა, გული გამისკდებოდა. ყველა ფეხებზე დავიკიდე და ავბლავდი. ის გაჩუმებული ინვა. როგორ გაბედე, ქართველებთან საომრად გულმა როგორ გაგინია-მეთქი?.. — შენ როგორ ჩამოხვედი აფხაზეთში იარაღითო?.. — რუსეთში მეგულბოდი და იმიტომ ჩამოვედი-მეთქი. — კი, მაგრამ აქ სხვებიც ხომ იყვნენ, დანარჩენებს როგორ ესროდიო?.. ენა ჩამივარდა...

ამის მერე, 3 დღე ჩემკენ თავიც არ შემოუბრუნებია. ვერავინ ეკარებოდა. ერთ საღამოს ჩვენი ბიჭები ამოვიდნენ და რალაც შეკითხვების დასმა დაუპირეს. ვთხოვე — კაცურად, თავი დაანებეთ, ახლა ცუდად არის, ცოტა ხანი აცალეთ-მეთქი... არც ამის შემ-

კახა (მარჯვნივ) და მისი ძმანაფიცო დიმა ხაგუში



დეგ გაუცია ჩემთვის ხმა... გვიან ღამით ვილაცი ხმა მალვითებს. კახა, ხმა გამეცო. მივხვდი, ის იყო. ჩვენს ძმობას გაფიცებ, ამიდა და დედაჩემი მარტო იქნებიან და მიხედო, — მითხრა. კიდევ რალაცები ილაპარაკა, მაგრამ მთელ ხმაზე ვღრიალებდი და ისევ გავითიშე... ამჯერად, უკვე თბილისში მოვედი გონს. პირველად ის ვიკითხე — ის ბიჭი რა იქნა-მეთქი? ექიმმა ძალზე მშვიდად მიპასუხა — თავი დაანებე, შვილო, ვილაც აფხაზეთ არ ინერვიულო, ისედაც სუსტად ხარო. არ მოვეცი და მერე მითხრა — „მხედრონის“ ბიჭები იყვნენ ასული მასთანო... ყველაფერი ნათელი იყო... ყველაფერს ვაკეთებდი, ფეხზე რომ დავმდგარიყავი. არ ვიცი, ის როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას... როგორც იქნა, დავძლიე სისუსტე და ისევ აფხაზეთში დავბრუნდი. ერთი პეროდი, არ ვიცოდი, ვის მხარეს დავმდგარიყავი. ჩემი ბიჭები რომ ვნახე, ცოტა არ იყოს, ამოვიხსენებ... სოხუმშიც აღებული იყო. ძლივს მივაგენი ჩემი და დიმას ნასახლარს... ღამით მივედი. მეზობლებს აფხაზურად დავლაპარაკე. დიმას დედა მოვეკლათ, ამიდა კი, რუს მეზობელთან ცხოვრობდა. მან არაფერი არ იცოდა... როგორღაც მოვახერხე და თბილისში წამოვიყვანე. მაგრამ დიდხანს არ დარჩა. ის მგზავრობა ჩემთვის საბედისწერო აღმოჩნდა: მოძრაობა არ შეიძლება, ჭრილობა გამირთულდა და ორივე ფეხი დავკარგე...

ვასილ გიგაიძე: «შვილის დაბადების შემდეგ, ენერჯის მოზღვაობა ვიბრძენი»

უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ, საუკეთესო ბომბარდირი არა კიევის „დინამოს“ ან დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელი, არამედ კრივოი როგის „კრივბასის“ წარმომადგენელი, ლეგიონერი **ვასილ გიგაიძე** გახდა. მიუხედავად იმისა, რომ კრივიორგელები სეზონს საკმაოდ მოუზადებელი შეხვდნენ, მათ რიგებში ქართველი თავდასხმელი ყველაზე გამორჩეული იყო და მეტოქეს კარი რვაჯერ დალაშქრა...

ლამა თაბაბარი

— კარიერა სად დაიწყო?

— ქუთაისში ვარ დაბადებული და ფეხბურთის თამაშიც იქ დავეიწყე. გუნდში, რომლის სახელწოდებაც „რწმენა“ გახლდათ, ვარჯიში 7 წლის ასაკში დავეიწყე, ხოლო 10 წლის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაშიც მოვხვდი. მართალია, კარიერის განმავლობაში არაერთი წინააღმდეგობა შემხვედრია, მაგრამ ეჭვი არასოდეს შემპარვია, რომ ჩემი ცხოვრება უფეხბურთოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ქუთაისის „ტორპედოში“ ორი სეზონი ვითამაშე, მაგრამ მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო, გუნდი დავტოვე და ნაკლებად აზიციურ სამტრედიის „იბერიასში“ გადავედი.

— ამის შემდეგ კი, ქართული ფეხბურთის გრანდმა, თბილისის „დინამომ“ მიგინვიათ...

— მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დრო სუსტ გუნდში გავატარე, მწვრთნელები მაინც მადგენდნენ თვალყურს. „დინამოში“ ცნობილმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა მიმიწვია, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. თბილისში დიდი ხანი არ გავჩერებულვარ. „ტორპედოსთან“ ერთად, საქართველოს ჩემპიონატის ორი ბრინჯაოს, ხოლო „დინამოს“ შემადგენლობაში — ვერცხლის მედლის მოპოვების შემდეგ, ჩავთვალე, რომ საკუთარი ძალები

უფრო მაღალ დონეზე უნდა მომესინჯა.

— ასეთად უკრაინის ჩემპიონატი მიიჩნეო?

— არა. ვიდრე ყირიმში გავმგზავრებოდი და „ტავრიაში“ ჩავირიცხებოდი, პრაქტიკულად, მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი გავხდი. რუსული კლუბის შემოთავაზება ფრიად მიმზიდველად და პერსპექტიულად გამოიყურებოდა. „ტორპედოელბთან“ ერთად, ორი კვირა ვივარჯიშე, მაგრამ საქმე ხელშეკრულების გაფორმებამდე რომ მივიდა, პრობლემები შემექმნა. კერძოდ, კლუბის ხელმძღვანელობას პირად კონტრაქტზე ვერ შევუთანხმდი და მოსკოვი დავტოვე. ამის შემდეგ აღმოვჩნდი „ტავრიაში“.

— სიმფეროპოლში 2001 წელს, ძმასთან — სოსოსთან ერთად ჩახვედით, რომელიც გუნდში ვერ მოხვდა, ხოლო თქვენ მალე „ტავრიის“ წამყვანი ფეხბურთელი გახდით, მოგვიანებით კი მისი კაპიტანიც...


— „ტავრიას“ კარგად შევწყვე და კლუბშიც ჩემ მიმართ მშვენიერი დამოკიდებულება ჰქონდათ. სვიათა შორის, ფორვარდად სწორედ სიმფეროპოლში ჩამოვყალიბდი, მანამდე, გამთამაშებლის პოზიციაზე გამოვდიოდი. გუნდის მამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა იშქენკომ შეამჩნია, რომ წინა ხაზში სათამაშოდ საჭირო ყველა თვისება მქონდა და უკრაინის საუკეთესო ბომბარდირიც ასე გავხდი.

— თქვენს ბომბარდირობას საინტერესო თავისებურება ახლავს გოლი უმეტესწილად, სტანდარტული მდგომარეობის შესრულებისას გაგაქეთ. 50 გატანილი ბურთიდან 27 შემთხვევაში მეტოქეთა კარი თერთმეტმეტრიანიდან აიღეთ, ხოლო დაასლოებით ათჯერ — სავარიშოს შესრულებისას...

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. ჩემთვის მთავარია, გოლები გავიტანო და გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო. ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს, ამას რა ხერხით გავაკეთებ.

— „ტავრიაში“ გამოსვლის პერიოდში მცირე პაუზა გქონდათ, როდესაც კვლავ რუსეთის „დასავლობაში“ გაემურეთ. ამ შემთხვევაში რა არ გამოგივიდათ?

— ერთი წლით სათამაშოდ



„ურალანში“ გავმგზავრე. ქალაქ ელისტის კლუბი წარუმატებლად გამოდიოდა, მაგრამ ხელმძღვანელობა მზად იყო, მაქსიმუმი გავკეთებინა, რათა გუნდისთვის პრემიერლიგის დატოვება აერიდებინა. მე „ურალანელთა“ საშველად გავმგზავრე, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა. საბოლოოდ, იგი პრემიერლიგიდან გავარდა, მე კი, „ტავრიაში“ დავბრუნდი.

— მიუხედავად იმისა, რომ ყირიმულ კლუბზე მონონებით ლაპარაკობთ, მისი დატოვება მაინც გადამწყობოდა...


— შექმნილ ვითარებას ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული კორექტივები შეაქვს. „ტავრიაში“ 4 სეზონი გავატარე და კიდევ დავრჩებოდი, მაგრამ კონტრაქტი მიმთავრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების გაგრძელებას და საკმაოდ კარგ პირობებს მთავაზობდნენ, არსებობს ნიუანსები, რომელთა გამო ახალი კლუბის ძებნა მომიხდა. საბედნიეროდ, ამ მხრივ პრობლემა არ შემქმნია.

— ბევრი წინანდადება გქონდათ?

— ოთხი და ყველა — უკრაინული კლუბებიდან. თითოეული მათგანი მიმზიდველი ჩანდა, მაგრამ ალექსანდრ კოსევიჩმა დამარწმუნა, რომ „კრივბასი“ „ჩემი გუნდი“ გახლდათ. პრინციპში, ის მართალი აღმოჩნდა და მოხარული ვარ, რომ მისი შეთავაზება მივიღე.

— ის, რაც თავის დროზე, „ურალანს“ შეეძინება, მიმდინარე სეზონის დაწყებამდე კინაღამ „კრივბასსაც“ გადასხდა თავს...

— მართალია, კლუბში შექმნილმა ფინანსურმა პრობლემებმა გვარიანად გვანერვიულა. ზოგიერთმა ფეხბურთელმა ახალი გუნდის ძებნა დაიწყო. მე ფაქტობრივად, გადაწყვეტილი მქონდა, რომ ბუქარესტის „რაპიდში“ მეთამაშა. რუმინეთის დედაქალაქში მოლაპარაკებათა ბოლო რაუნდის გასამართავად რომ ჩავფრინდი, კრივოი როგინდან



სვიათა შორის, ფორვარდად სწორედ სიმფეროპოლში ჩამოვყალიბდი, მანამდე, გამთამაშებლის პოზიციაზე გამოვდიოდი

დამირეკეს და უკან დაბრუნება მოხდეს. ასე რომ, ბუქარესტში მხოლოდ ნახევარი დღე გავატარე და უკრაინაში დავბრუნდი.

— უკვე რამდენიმე წელია, რაც უკრაინის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან ფეხბურთელებს შორის ფიგურირებთ, მაგრამ საქართველოს ნაკრებში არცთუ ისე ხშირად გიწვევენ...

— საქართველოს ეროვნულ გუნდში სულ 6 თამაში მაქვს ჩატარებული. ცხადია, ცოტა სანყენია, რომ ნაკრების თავკაცები იშვიათად მამჩნევენ. „დინამოში“ რომ გამოვდიოდი, ახალგაზრდული ნაკრების რიგებში სისტემატურად ვთამაშობდი. ქვეყნის პირველ გუნდში დებიუტი ჟირესის დროს მქონდა, როდესაც „ტავრიაში“ პრაქტიკულად, ყველა მატჩში გოლი გამქონდა. მაგრამ როგორც მან, ასევე ტოპოლიურმა „გამთამაშებლის“ პოზიციაზე დამაყენეს, სადაც ჩემთვის რთულია საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენა.

— პირად ცხოვრებაზე რას გვამბობთ?


— 27 წლამდე ცოლი არ მყავდა და ორი წლის წინ დავეორწინდი. შარშან გოგო შეგვიძინა, რომელსაც ნინო დავარქვით. მისი ნათია — მალხაზ ასათიანია. მეუღლე მანამდე საქართველოში ცხოვრობდა და მხოლოდ ბავშვის მონათვლის შემდეგ ჩამოვიდა უკრაინაში. თუ ადრე საბილიარდოში ან ბოულინგ-კლუბში დავდიოდი, ახლა მთელ თავისუფალ დროს ოჯახთან ერთად ვატარებ.

— ბავშვის დაბადებამ თქვენს თამაშზე თუ იმოქმედა?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ეს ჩემი წარმატების მთავარი ფაქტორია. ნინოს დაბადების შემდეგ, ენერჯის მოზღვავება ვიგრძენი.

— კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრებას სად აპირებთ?

— საქართველოში დავბრუნდები. სახლი ქუთაისშიც მაქვს და თბილისშიც. ასე რომ, უნდა ავირჩიო, სად ვიცხოვრებ. თუმცა, ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობ, რადგან იმედი მაქვს, რომ საუკეთესო მატჩები კიდევ წინ მელის.



საწყენია, რომ ნაკრების თავკაცები იშვიათად მამჩნევენ

«ჩემი მომავალი იმის ხელშია, ვისაც ჯიბეში, მტვრის ბარდა, საჭიროზე მეტი ფული აქვს»

დღესდღეობით საქართველოში ფეხბურთის ჯერ კიდევ ჰყავს ისეთი გულშემატკივარი, რომელიც სტადიონზე მიდის და შედეგის მიუხედავად, თავდაუზოგავად გაყვირის და ამწვევებს ეროვნულ ნაკრებს; არიან ისეთებიც, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ, მაგრამ გამოტოვებული თამაშების ჩამონათვალი ერთ ხელის თითებზეც დაეტევათ. დღევანდელი ჩემი რეპორაჟი ეროვნული ნაკრების და საერთოდ, სპორტის ამ სახეობის დიდი გულშემატკივარი მირაბ ჰუსაშვილი გახლავთ.

იგი პირველი ჯგუფის ინვალიდია და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, მაგრამ მეგობრების დახმარებით და უფლის შეწევნით, თითქმის არც ერთი ამხანაგური თუ ოფიციალური მატჩი არა აქვს გამოტოვებული. შეიძლება ითქვას, რომ მას ერთგულება დაუფასა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა — ნოდარ ახალკაცმა იგი ფანკლუბში გააანერა, ფულადი ვილდოც გადასცა და ტრანსპორტირების პრობლემის მოგვარებასაც უზპოხდა.

მერაბიც ერთ დროს სპორტსმენი იყო, მაგრამ ყველაფერი ერთ დღეს, ერთი შემთხვევის შედეგად დასრულდა...

თამუნა კებრიაშვილი

— დიდი ხანია, რაც სპორტით ხარ დაინტერესებული?

— ამ სფეროთი 8-9 წლის ასაკიდან დავინტერესდი და ძალები არაერთ სპორტულ სახეობაში მოვისინჯე: კარატეში, ჭიდაობაში... მაგრამ საბოლოო ჯამში, არჩევანი კალათბურთზე შევჩერე — 14 წლამდე ვთამაშობდი და საკმაოდ კარგი შედეგებიც მქონდა, დიდ მომავალს მინიშნასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთ დღეს, ჩემს კარიერას წერტილი დაესვა. ახლა პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. ამ მდგომარეობამ ვერ გამტეხა სულიერად; არ მინდა, ვინმეს ვეცოდებოდე. იყო პერიოდი, როდესაც შებოჭილი ვიყავი და ქუჩაში გასვლა არ მინდოდა, მაგრამ მაშინ ბავშვი ვიყავი, გაცნობიერებული არ მქონდა — რა ხდებოდა ჩემს თავს. ადრე, როდესაც ადამიანს ინვალიდის ეტილით ვხედავდი, გული მწყდებოდა და არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე შეიძლებოდა, მეც მის დღეში აღმოვჩენილიყავი.

— როგორც ვიცი, დღესაც ვარჯიშობ, არა?

— ვამაყობ იმით, რომ ვცხოვრობ ჯანსაღი ცხოვრების წესით — სიგარეტს არ ვენევი, არ ვსვამ და როგორც ბევრი ჩემი თანატოლი, წამალს არ ვიკეთებ. დავდივარ სპორტდარბაზში და რამდენიმე საათი ვვარჯიშობ; ფიზიკური სიძლიერე სულიერი ძალებს მმატებს. ბევრი ინვალიდი მი-



ნახავს დაჩანჩაკებული, ცხოვრების ხალის-დაკარგული. მინდა, მათ ვუთხრა, რომ ოთახში ჩაკეცილი პრობლემები არ მოგვარდება.

— სახელმწიფოსგან თუ გაქვს ხელშეწყობა? რაიმე ფულად ან ასხვა სახის დახმარებას თუ იღებ?

— ერთადერთი, რითიც სახელმწიფო მეხმარება, ეს არის სავარძელი, რომელსაც უფასოდ მაძლევენ. იცი, რა მაინტერესებს?! ნუთუ, არ შეიძლება, რომ ყოველწლიურად ჩატარდეს ჩემპიონატი, რომელშიც ჩემნაირი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას? მერწმუნე, ეს თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებს... ნორმალურ ქვეყანაში ინვალიდებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ, აქ კი...

— ინვალიდებთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— ადრე, ინვალიდთა ლიგის წევრი ვიყავი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, იქიდან წამოვედი, რადგან ურთიერთობა მიძნელებოდა. იქ სალაპარაკო თემა ყოველთვის ჩვენი მძიმე მდგომარეობა იყო, მე კი ვცდილობ, ამ ფიქრებს გავუქცეო, თუმცა, რეალობას ვერსად გავუქცევით, ყველას ერთი უბედურება გვაერთიანებს.


— ალბათ შენთვის ძალზე მტკივნეული იქნება ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ იქნებ გვიამბო იმ შემთხვევის შესახებ, რომელმაც რადიკალურად შეცვალა შენი ცხოვრება?

— კალათბურთში აქტიურად ვვარჯიშობდი, ასევე, ვცეკვავდი და როგორც ჩანს, ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებდი... 1996-97 წლებში ხერხემლის ოპერაცია გამიკეთეს. მომზადების ჩათვლით, ოპერაცია სულ ერთ საათს გრძელდებოდა. წარმოგიდგინია? ურთულესი ოპერაცია ჩვენმა მამინდელმა „გამოცდილმა“ ექიმებმა ასეთ მოკლე დროში „შესანიშნავად“ ჩაატარეს და „განაჩენიც გამომიტანეს“ — მათ ჩემს მშობლებს უთხრეს, რომ ერთ ან მაქსიმუმ ორ თვეს ვიცოცხლებდი. მაგრამ ღმერთის წყალობით, დღემდე ცოცხალი ვარ. დედამინის ზურგზე უცოდველი არავინ არის. მგონია, რომ ჩემი ან ჩემი წინაპრების ცოდვების გამო დავისაჯე, ღმერთმა გამომიგზავნა განსაცდელი, რომელსაც უნდა გაეუძლო, გამოცდა, რომელიც უნდა ჩავაბარო...

— ექიმებმა რა დიაგნოზი დაგიბრუნეს?

— რა უნდა გითხრა, რაც თვითონაც არ ვიცი?! მითხრეს, რომ ხერხემლის ტვინის დაუქვილობა მაქვს და კიდევ — კისტა, ხერხემლის მალეებს შორის. სხვა ექიმები, რომლებიც ჩემს დიაგნოზს გაეცნენ, გაკვირვებულები დარჩნენ — მათ ასეთი რამ არასოდეს გაუგონიათ... ჩემი მომავალი იმ ადამიანების ხელშია, რომელთაც

ნუთუ არ შეიძლება, რომ ყოველწლიურად ჩაგარდეს ჩემიონაგო, რომელშიც ჩემნაირი ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას?



ჯიბეში, მტვრის გარდა, საკმარისზე მეტი ფული აქვთ, რადგან ჩემი განკურნება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

— მერაბ, როგორც ინტერვიუს დანებებამდე გვითხარი, შენ ფეხბურთის დიდი გულშემბატონარი ხარ.

— შემძლია ვთქვა — თითქმის არც ერთი თამაში არ გამომიტოვებია. არა მართო ფეხბურთი, არამედ სპორტის ყველა სახეობა მაინტერესებს. ვოცნებობდი — საქართველოს ნაკრების ფანკლუბის წევრი გავმხდარიყავი. 16 აგვისტოს, როდესაც საქართველო ფარერებს ეთამაშებოდა, სხვა გულშემბატონებულთან ერთად, რესპუბლიკის მოედანზე ვიყავი და თამაშს თვალყურს ვადევნებდი, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი თამთა დოღნაძეს მთელი მოვიდა და პატარა ინტერვიუ ჩაიწერა, სადაც ჩემი სურვილი გამოვთქვი და ისიც, რომ გადაადგილების პრობლემა მქონდა.

— როგორც ვიცი, ფანკლუბშიც გაგანერვს და საჩუქრებიც გამოგცეს. ასეა?

— სიუჟეტის გასვლის შემდგომ, ბატონ ნოდარ ახალკაცს დაურეკავს ტელევიზიაში, სადაც ჩემი კოორდინატები მისცეს; შემდგომ, სახლში მეწვია, ნაკრების ფანკლუბში გამაწვევს, გადმომცა მაისურები წარწერით — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, ფულადი ჯილდო და დამპირდა, რომ ტრანსპორტირების პრობლემას მომიგვარებდა.

— თუ საიდუმლო არ არის, რა თანხა გამოგცეს?

— 100 ლარი, მატერი-ალური მხარე არსებითი არ არის, მე ფული არსებობისთვის მჭირდება. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

— ტრანსპორტირების პრობლემა მოგიგვარეს?

— არა. იმედი მაქვს, მომავალში მოგვარდება.


— ნაკრების წევრების გაცნობა თუ მოახერხებ?

— ჯერ, ვერა. მათი გაცნობის ძალიან დიდი სურვილი მაქვს და იმედიც, ამასაც მოვახერხებ...

ჩანანერი მერაბ დუკაშვილის დღიურიდან:

„მასხოს, გრძელე, დამლელი რიგი. ღამეა, უამრავი ადამიანი ირევა და პასუხს ელის ექიმისაგან, რომელიც ზედა სართულზე მოკალათებული. ველოდებით ჩვენც. ფუსფუსია და საშინელი სუნი, ამას მხოლოდ მე ვგრძნობ, ნერვიულობასთან ერთად...“


ოთახი, მაგიდა, ექიმი, თარჯიმანი, მე და მამაჩემი განაჩენის ზღურბლზე. ცივი თვალებით შეხედეს ჩემს სურათებს. აი, რას ვხედავ, მესმის მამაჩემის მძიმე სუნთქვა, მოუთმენელი ინტერესი — რას იტყვის, ნეტავ?! კბილი-კბილს მიბჯენილი ემოცია, მე რატომღაც არ ვნერვიულობ... და ბოლოს, გულისამრევი ხმა — ყველანაირი შესავლის გარეშე, — თქვენ ვერასოდეს გაივლით... ექიმის მზერა მომწყვდა და შემოუხვია მამაჩემს. თქვენი შვილი ვერასდროს გაივლის, ის ინვალიდია, ინვალიდი. დავინახე, როგორ განითქვდა და სახიდან სიცხე გამოაფრქვია, ძლივის გადაყლაპა ნერწყვი, თავი დაბლა დახარა და გაშეშდა, მომუშტული ხელით მაგიდას დაეყრდნო. ეს არ ჩანდა, მაგრამ მისი სული ტირილი, მგონი, ადგომაც უნდოდა, მაგრამ მუხლები არ ემორჩილებოდა, იგი უყურებდა მათ და ცდილობდა ძალის მოკრებას.



ჩემს მშობლებს უთხრეს, რომ ერთ ან მაქსიმუმ ორ თვეს ვიცოცხლებდი

ჩვენ იმ დღეს გამოცდა ჩავაბარეთ ცხოვების წინაშე და ნამიერად მოვკვდი. მამაჩემს მუხლებზე ხელები ისე დაენყო, თითქოს ჩვილს მიყურებდა, ცოტაც და დამარწევდა. ბოლოს, ავკანკალდი, ოდნავ, მაგრამ შესამჩნევად, ყელში რაღაც გამეჩხირა, გულის ცემას ვეღარ ვგრძნობდი, ტვინის უჯრედები კი სკდებოდა ერთიმეორის მიყოლებით. თვალები დაეხუჭე, მესმის „სპიციების“ ხმა, ბორბლების ჭრიალი.

ლიფტი. ვშორდები იმ საშინელ ადგილს, მამაჩემი კი კვლავ კუთხეში დგას დასჯილი ბავშვივით, გამომეტყველებადაკარგული. იმ დღეს, ჩვენი იმედი იქ დარჩა, „ბოროტების ოთახში“. ის არ წამოსულა ჩვენთან ერთად, მან უარი განაცხადა და დაგვტოვა მე და მამაჩემი.“



იმ დღეს გამოცდა ჩავაბარეთ ცხოვების წინაშე და წამიერად მოვკვდი

დოდი — დაიანასთვის მხოლოდ სხვისთვის დაგებული ხათვანგი იყო



ლედი დაიანას გარდაცვალებიდან 9 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ყველაფერი, რაც მის ცხოვრებასა და დაღუპვას შეეხება, დღესაც პუბლიკის ცხოველ ინტერესს იწვევს. ამ ხნის მანძილზე, გამომძიებლები გულდასმით იძიებდნენ პარიზის გვირაბში მომხდარი ავტოკატასტროფის გარემოებებს. ისინი საზოგადოებას ჰპირდებიან, რომ თავიანთ დასკვნებს ამ დღეებში გამოაქვეყნებენ, მაგრამ ოფიციალური ვერსია ვერ გააქარწყლებს იმ უამრავ ჭორსა და ვარაუდს, რომელიც მეოცე საუკუნის ყველაზე პოპულარული პრინცესის სახელს უკავშირდება. მით უმეტეს, რომ პრინცესა დაიანას სახელის გამოყენებით, ბევრი ადამიანი დღემდე დიდ ფულს შოულობს. ამ ასპარეზზე სხვებზე მეტად ბუკინგემის სასახლის ყოფილმა მსახურთუხუცესმა, პოლ ბარელმა „გამოიჩინა“ თავი. ამ დღეებში, ექსმსახურმა, რომელიც 10 წელი პრინცესის გვერდით იმყოფებოდა და მისი უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა, მორიგი მემუარები გამოაქვეყნა, რომელიც ძირითადად, ლედი დის სასიყვარულო თავგადასავლებს ეძღვნება. წიგნს საკმაოდ პრეტენზიული სათაური აქვს: „როგორები ვიყავით ჩვენ: დაიანას გახსენებისას“. მემუარებში ბარელი ირწმუნება, რომ დაიანასა და დოდი ალ-ფაედის საქვეყნოდ გახმაურებული რომანი მხოლოდ ფანდი იყო, რომლის მეშვეობითაც პრინცესას, მისი ჭეშმარიტი სიყვარულის, პაკისტანური წარმოშობის ლონდონელი ექიმის — ჰასნათ ხანის ეჭვიანობის გამოწვევა სურდა. ბარელი მეტყველ ფერებში აღწერს, თუ როგორ უყოყმანოდ ასრულებდა იგი დაიანას ნებისმიერ თხოვნას, რომელიც მსახურს შუალაშისას საყვარელთან გზავნიდა. ბარელი ექიმს „იტიაცებდა“, რათა მანქანის საბარგულში დამალული ჰასნათ ხანი ბუკინგემის სასახლეში მალულად შეეყვანა. „ჰასნათი უილიამსა

და ჰარის ხშირად ხვდებოდა, ყოველნაირად ცდილობდა, ოჯახში მიღებული კაცი ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი დედის ჭეშმარიტი სიყვარული დოდი კი არა, ჰასნათი იყო“. ამ სიყვარულის გამო პრინცესას ნებისმიერი სიგიჟის ჩადენა შეეძლო, გამორიცხული არ იყო, სახლიდან მოულოდნელად გამქრალიყო და ჰასნათის ერთოთახიან ბინაში მისულიყო. „ამ იდუმალი ვიზიტების შესახებ იმ დროს მიყვებოდა, როდესაც სტაფილოს წვეს მიირთმევდა ხოლმე“, — ჰყვება მაჟორდომი.

დაიანას, კარდიოლოგზე დაქორწინება სურდა (რომელიც, თავის მხრივ, დარწმუნებული სულაც არ იყო, რომ დაიანას ცოლად შერთვა უნდოდა) და ბარელს საიდუმლო ქორწინების მოწყობას სთხოვდა. პოლ ბარელმა დახმარებისათვის უინძორთა ოჯახის მოძღვარს, ტონი პარსონს მიმართა. მოძღვარმა უარი განუცხადა, მაგრამ დაიანას ფარ-ხმალი არ დაუყრია და შეეცადა, რომ მათი ურთიერთობისთვის ოფიციალური ხასიათი მიეცა. ამისთვის კი ჟურნალისტი რიჩარდ კეი და რამდენიმე „მოპარული“ ფოტოსურათი გამოიყენა, მაგრამ ჰასნათს ეს დადგმული სპექტაკლი თვალში არ მოუვიდა და დაიანასთან ურთიერთობის განწყვეტა განიზრახა. ეს ამბები 1997 წელს ხდებოდა.

მაჟორდომი იხსენებს, რომ იმ დღიდან გაუთავებული პანიკა, ცრემლები და განცდები დაიწყო. დაიანა შიშობდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. პრინცესამ უკიდურესი ნაბიჯი გადადგა: დოდი ალ-ფაედის შემოთავაზებას დათანხმდა და არდადეგების მის იახტაზე გატარება გადაწყვიტა. პაპარაცებს საშუალება მისცა, რომ მისთვის და დოდისთვის ფოტოსურათები გადაეღოთ — რათა ამით ჰასნათის ეჭვიანობა გამოენვია და დაეტანჯა იგი, მაგრამ...

„მე მისი გადარჩენა შემიძლო“, — წამოიძახა ექიმმა, როდესაც პრინცესის დაღუპვის ამბავი შეიტყო. დაკრძალვამდე ორი დღით ადრე, მაჟორდომი ჰასნათ ხანს ოტელ Royal Garden-ში შეხვდა და საჩუქარი გადასცა. ცისფერი ცხვირსახოცი დაიანას საყვარელი სუნამოთი — 24 Haubourg — იყო გაჟღენთილი. „ჰასნათმა მისთვის კარგად ნაცნობი ცხვირსახოცი უმალ იცნო. სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, თვალებში დიდხანს მიყურა და ბოლოს, აქვითინდა“, — იხსენებს პოლ ბარელი.

ნიკოლ კიდმანი მაშვს ელტყმა

კინოვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი გაზაფხულზე პირველ ღვიძლ შვილს ელოდება. წარმოშობით ავსტრალიელი მსახიობი ქანთრი-მომღერალს, კიტ ურბანს ცოლად 6 თვის წინ გაჰყვა და ნამოზრდილ მუცელს უკვე აღარც მალავს. წყვილი სულ მალე ოფიციალურად განაცხადებს, რომ ნიკოლი ორსულადაა. „მის კიდმანი საკუთარ ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებს აღარ მალავს. როგორც



ჩანს, ორსულობა მას არანაირ პრობლემას არ უქმნის. შეუძლებელია, ვერ შეამჩნიო, რომ ნიკოლი ორსულადაა“, — განუცხადა გაზეთის — The Mirror კორესპონდენტს საქმის არსში გაცნობიერებულმა ინფორმატორმა. 39 წლის ნიკოლ კიდმანი 10 წელი მსახიობ ტომ კრუზის მეუღლე იყო. მას შემდგომ, რაც ცოლ-ქმარს შვილის გაჩენის იმედი გადაეწურა, მათ ორი ბავშვი იშვილეს. ამჟამად ტომ კრუზი ახალგაზრდა მეუღლესთან, კეიტ ჰოლმსთან და 6 თვის ქალიშვილთან, სურისთან ერთად, თაფლობის თვით ტკბება, ნიკოლ კიდმანი კი ახალი ფილმის — The Golden Compass გადაღებებზე ლონდონში გაემგზავრა. ნიკოლის 39 წლის მეუღლე, მომღერალი კიტ ურბანი, ამჟამად ავსტრალიაში, ნარკოლოგიური მკურნალობის კურსს გადის. ურბანმა ნარკოკლინიკაში ადრე უკვე ორჯერ იმკურნალა. ამჯერად მეუღლეს შეჰფიცა, რომ ალკოჰოლს და ნარკოტიკებს აღარასოდეს გაეკარება. ურბანმა და კიდმანმა ერთმანეთი 2005 წელს გაიცნეს და 2006 წლის ივნისში, სიდნეიში იქორწინეს.

ერე მუბთი „მუკვბლი ბილგს“ უბრბნრემა

სერიალის — „ბევერლიჰილზელი პოლიციელის“ მეოთხე ნაწილში, დეტექტივე ექსელ ფოულის როლს ისევე ედი მერფი განასახიერებს. გამოცემა Variety იუნყება, რომ პროექტი სცე-



ნარის შექმნის ეტაპზე. სერიალის პროდიუსერი ლორენცო დი ბონავენტურა იქნება. ამ კომედიური სერიალის პირველმა ორმა ნაწილმა, თავის დროზე გაქირავების რეკორდი დაამყარა. მისმა შემოსავალმა მთელ მსოფლიოში 614 მლნ (315 და 299 მლნ დოლარი) დოლარს გადააჭარბა, მაგრამ 1994 წელს გამოსული მესამე ნაწილი ნარუმატებელი აღმოჩნდა და აშშ-ში სურათის შემოსავალმა მხოლოდ 44 მლნ დოლარი შეადგინა.

სნუპ დოგი ახალ ამბლუაში!



ამერიკელმა რეჟერმა სნუპ დოგმა საკუთარი ვარსკვლავური სახელის მეშვეობით ფულის შოვნის ახალი გზა გამონახა. მან ძალღებისათვის ტანსაცმლისა და სათამაშოების ახალი კოლექცია მოამზადა! მუსიკოსმა ოთხფეხა მეგობრებისთვის ტანსაცმლის ხაზი შექმნა, რომელიც ხელით ნაქსოვი სვიტერების, სმოკინგების, კალათბურთის მატჩზე დასასწრები კოსტიუმებისა და სხვა მრავალი საინტერესო სამოსისგან შედგება. სანამ ძაღლების მდიდარი პატრონები მნიშვნელოვანი საქმეებით იქნებიან დაკავებულნი, მათი საყვარელი ცხოველები სპეციალურად მათთვის შექმნილი სათამაშოების არსენალით გაერთობიან. კოლექცია გაყიდვაში წინასაშობო დღეებში გამოვა.



თინა კანდელაკი ქსენია სტრჩაკის გზას დაადგა

ამ ზამთარს ტელემეყურებელი პოპულარული ტელენამყვანის, თინა კანდელაკის მონაწილეობით ახალ პროექტს იხილავს. თინა ახალი რელითი-შოუს — „საქორწინო ალიაქოთი“ წამყვანი გახდება. ახალი პროექტის იდეა ძალზე წააგავს სკანდალურ შოუს „სახლი 2“, რომლის ვარსკვლავიც ქსენია სობჩაკია. თინა კანდელაკის საქორწინო პროგრამის მონაწილეები ახალგაზრდა შეყვარებული წყვილები იქნებიან, რომელთაც დაქორწინება სურთ. ქსენია სობჩაკი „სახლი 2“-ის მონაწილეებს რჩევებით ეხმარება, „საქორწინო ალიაქოთის“ წამყვანი კი წყვილებს საქმით დაეხმარება. თინამ ახალგაზრდების ნათესავეები უნდა მოძებნოს, რომლებიც წყვილს მატერიალურად დაეხმარებიან, მათთვის საქორწინო სამოსი შეარჩიოს და ქორწინლის სამზადისის დროს წამოჭრილი პრობლემები მოაგვაროს. შოუს დასრულების შემდგომ, თინა ახალგაზრდებს ძვირფასი საჩუქრებით: საქორწინო მოგზაურობით, ავტომობილითა და ძვირფასეულობით დაასაჩუქრებს.

კრეტინ ზეცა-ჯონსი თთიციანტად მუშაობს

ჰოლივუდის ვარსკვლავი კეტრინ ზეცა-ჯონსი ახალი როლისთვის ემზადება. ამ ეტაპზე როლისთვის მომზადება იმაში გამოიხატება, რომ მსახიობმა ნიუ-იორკის ერთ პატარა რესტორანში შეთავსებით ოფიციალურად დაიწყო მუშაობა. ეს უცნაური ნაბიჯი ვარსკვლავმა სკოტ ჰიქსის ახალ სურათში, შეფ-მზარეულის როლის მიღების შემდეგ გადადგა. ზეცა-ჯონსმა განაცხადა, რომ შექმნილი გამოცდილება რესტორნების ბიზნესის შიდა სამზარეულოს კანონების არსში გასარკვევად გამოადგება. მსახიობმა ჟურნალისტებს გაუზიჰილა, რომ ერთხელ, როდესაც მეუღლეს ვახშამს უმზადებდა, კინალამ სამზარეულო გადაწვა. „ერთადერთი რამ, რისი მომზადებაც დღესდღეობით შემიძლია, კვერცხის მოხარშვაა. მაიკლი ამბობს, რომ შეფ-მზარეულის როლის თამაში, ჩემთვის უდიდესი გამოცდა იქნება“. ამერიკული გაზეთისათვის USA Today მიცემულ ინტერვიუში კეტრინ ზეცა-ჯონსი ამბობს: „ჩემი ამჟამინდელი საქმიანობის მთავარი სირთულე, კლიენტებთან ურთიერთობაა, მგონი, ისინი რესტორანში პირდაპირ ჯოჯოხეთიდან მოდიან“. რესტორნის ზოგიერთი სტუმარი მშვენიერ ოფიციალტსა და „ოსკაროსან“ მსახიობს შორის მსგავსებას ამჩნევს. „ასეთ დროს იძულებული ვხდები განვაცხადო, რომ რესტორნის მეპატრონემ სამსახურში სწორედ ამიტომ მიმიღო“, — იცინის კეტრინი. სკოტ ჰიქსის ახლი ფილმის — „ცხოვრების გემო“ — რელიზი 2007 წლისთვისა დაგეგმილი.



კრეტ უინსლუცის სხეულის თბბმუმმა დიზაინერს „იაგუაძის“ ახალი მბრელის შუქმნა შთააგბნა

ცნობილი კინოვარსკვლავის კეიტ უინსლუცის სხეულის ფორმებმა დიზაინერ აიან კალუმს ახალი მოდელის — Jaguar-Jaguar XK შექმნა შთააგონა. ჯეი ლინოს შოუში გამოსვლისას თავად მსახიობმაც აღიარა: „ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, აიან კალუმი ფიქრობს, რომ იდეალური ქალი ვარ. ვფიქრობ, მისი შთაგონების წყარო ჩემი სხეულის ფორმები უნდა იყოს, რაც ცოტა არ იყოს, მსიამოვნებს... ჩემი აზრით, ფარები უფრო დიდი უნდა იყოს. მანქანას ნეონის ვარდისფერი და ცისფერი ნათურებით განათებული ბარი, ანანასები და ქოლგები აკლია“, — სუმრობს მსახიობი. კალუმმა, რომელმაც Aston Martin DB7-ის დიზაინი შექმნა, პირადად დაადასტურა, რომ უინსლუცი — მისი მუზაა. „ჩემთვის კეიტ უინსლუცი — ქალის იდეალია. ის ბუნებამ ულამაზესი სხეულით დაასაჩუქრა. კეიტს, როგორც ყველა ბრიტანელს, პირდაპირობა და გულწრფელობა ახასიათებს. მანქანის მსგავსად, მასაც აქვს შინაგანი არსი, შინაარსი. უინსლუცი — უბრალოდ ლამაზი სახე როდია. როდესაც XK-ს ვქმნიდი, მასზე ვფიქრობდი“, — განაცხადა დიზაინერმა.





დემი მურმა გარისკა და ერთ-ერთი ურთულესი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა. სამაგიეროდ, ახლა, მაღალი სამოგადოების თავყრილობებზე სპეციალურად არჩევს ისეთ კაბებს, რომლებიც სამოგადოებას მისი ქალწულებრივი მუხლების ხილვის საშუალებით დააგებოს

90-იან წლებში, როდესაც დემი ჯერ კიდევ ბრიუს უილისის მეუღლე იყო, მან თეძოების, მუცლისა და წელის არეში ლიპოსაქცია ჩაიტარა, სახის კანი გადაიჭიმა და მკერდში იმპლანტანტები გადაინერგა, მაგრამ მუხლები მუდამ დემის „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა. 43 წლის კინოვარსკვლავს ექიმები სერიოზულად აფრთხილებდნენ, რომ მუხლების გაახალგაზრდავება ურთულესი ოპერაციაა, რადგან ფეხებზე იარების შენიღბვა საკმაოდ რთულია, მაგრამ დემი მურმა მაინც გარისკა. 10.000 დოლარად ღირებული ოპერაციის შედეგით, დემი კმაყოფილი დარჩა. მსახიობს მუხლებზე კანი გადაუწერეს და ახლა იგი ქალწულებრივი მუხლების გამოჩენას ყველგან ცდილობს. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღვნიშნოთ, რომ დემის საოპერაციო მაგიდისკენ ახალგაზრდა ქმარმა როდი უბიძგა — ამის მიზეზი მისი პროფესია გახდა. ახალგაზრდა ვარსკვლავებთან კონკურენციაში გამამარჯვებლად, უზაღო გარეგნობა ხომ აუცილებელი პირობა გახლავთ. ეშტონ კატჩერი მუდამ ამბობდა და ახლაც დაუღალავად იმეორებს, რომ მას დემი ისეთი მოსწონს, როგორც არის. რომ მისთვის ცოლის ასაკ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, მასზე 15 წლით უფროს ცოლთან ქორწინების 1 წლისთავზე მსახიობი დარწმუნებულია, რომ ამგვარ კავშირს უამრავი უპირატესობა აქვს და რომ მან ახლა ოჯახური ბედნიერების საიდუმლოს ამოიცინობა შეძლო. კატჩერმა

პოლიფუდის ვარსკვლავმა, უკვე მერამდენედ, საკუთარი ბედი პლასტიკური ქირურგიის დასტაქრებს მიანდო და საოპერაციო მაგიდაზე ავიდა, რათა მასზე 15 წლით უმცროსი მეუღლის, ეშტონ კატჩერის გვერდით ღირსეულად გამოიყურებოდეს!

დემი მურის „ახალი“ მუხლები

იმ სერიალის პროდიუსირებაც კი იკისრა, რომლის მთავარი გმირები ახალდაქორწინებული 30 წლის ბარის მეპატრონე, 50 წლის ბიზნესმენი ქალი და წინა ქორწინებებში შექმნილი მათი 2 შვილია. ეს სერიალი მის საკუთარ ბედს საკმაოდ არაორაზროვნად მოგვაგონებს. ბოლო ინტერვიუებში ეშტონი ირწმუნება, რომ მას ბედნიერი ოჯახი აქვს და საკუთარ გამოცდილებას სხვებსაც სიამოვნებით უზიარებს. „მთავარია, ნაკლებად იკამათო. ერთხელ დემიმ მკითხა: კამათი რა საჭიროა? თუ მართალი ხარ, ღირსება შეინარჩუნე. ჯერ ჩხუბი, შემდეგ შერიგება — სისულელეაო; და იცით, რა მოხდა? ამ სიტყვებმა დამარწმუნა, რომ დემი მართალი იყო“.

ცოლ-ქმარი ყველა სადავო საკითხს მანამდე აგვარებს, სანამ სერიოზულ პრობლემად გარდაიქმნება და კონფლიქტის მიზეზი გახდება. ამიტომ, მათი ცხოვრება სერიოზული სკანდალების გარეშე, ბედნიერად მიედინება — ამყად ამბობს ეშტონ კატჩერი. „კარგი ქმრობის განევა სულაც არ მიჭირს. დემი ფანტასტიკური ქალია. ასე რომ, პრაქტიკულად, არაფრის გაკეთება არ მჭირდება“. კატჩერი ფიქრობს, რომ ასაკობრივი სხვაობა მათი კავშირის დადებითი მხარეა. საკუთარ თავს, ხუმრობით, გამოცდილი, ბრძენი ქალის ხელჩანთას უწოდებს. რას გულისხმობს? მხოლოდ იმას, რომ სამოსის შერჩევისას დემის არასდროს ეკამათება. მაღალი სამოგადოების თავყრილობებზე ამ წყვილს ფერთა შეხამების ეტალონად მიიჩნევენ. ეს კი ეშტონის დამსახურება გახლავთ: კატჩერი უსიტყვოდ იცვლის ტანსაცმელს, თუ აღმოჩენს, რომ ცოლს სხვა ფერის კაბა აცვია.

ეშტონს ცოლის გულის მოგების საკუთარი რეცეპტი აქვს. ყველა მამაკაცი ღიზიანდება, როდესაც ქალი ჩაცმას დიდ დროს ანდომებს. კატჩერს კი ამგვარი პრობლემა არ აწუხებს. „როდესაც ქალი კითხულობს: როგორ გამოვიყურები? მიხდებაო? ძნელია ამ შეკითხვას სწორად უპასუხო. თუ სწრაფად პასუხობ, ქალი ფიქრობს, რომ ნესიერად არც კი შეგიხედავს და სწყინს, თუ პასუხის გაცემას აგვიანებ, რადგან ეჭვობს, რომ არ მოგწონს“, — ამ რთული სიტუაციიდან კატჩერი მინიბარმა იხსნა... რომელიც მან მათ საერთო საგარდერობო ოთახში მოაწყო. ვიდრე დემი სარკის წინ იკაზმება, მისი სილამაზით აღფრთოვანებული ქმარი ცოლს ქათინაურებით ავსებს და თან სასმელს

მიირთმევს, ამის წყალობით, ლოდინიც ასატანი ხდება. იმას კი არ ფიქრობს, რომ ამგვარმა ტრადიციამ, შესაძლოა, ალკოპოლიზმის მორევში ჩაითრიოს. „ჩვენ ერთმანეთისთვის არასდროს გვიღალტია“, — ამყად ამბობს კმაყოფილი ეშტონი. აი, თავად დემის კი ცხოვრების თავიდან დაწყდება სურს, რადგან ახალგაზრდა ქმრის გვერდით იძულებულია, იდეალური ფორმის შენარჩუნებაზე განუწყვეტლივ იზრუნოს. პირადი დიეტოლოგი, კოსმეტოლოგი, კიკბოქსინგისა და იოგის მწვრთნელები — ეს ყველაფერი საყვარელი მეუღლისთვის უნდა. მსახიობი არც იმას გამორიცხავს, რომ მუხლების გაახალგაზრდავება მის ცხოვრებაში უკანასკნელი პლასტიკური ოპერაცია სულაც არ არის...



15 წლით უმცროსი მეუღლის გვერდით 43 წლის დემი ვალდებულია, ჩინებული ფორმა შეინარჩუნოს



დასაწყისი ის. „გზა“, №34-49

გონა მანველიძე

თათრი სიკვდილი

— უპასუხა ნანამ.

— რით განსხვავდება კარცერი „სპეცისგან“?

— კარცერში განსაზღვრული ვადით სვამენ: იქ ორ კვირაზე მეტხანს გიორგის ვერ გააჩერებდნენ. „სპეცი“ კი, ჩვეულებრივ საკანად ითვლება და იქ შეიძლება, განუსაზღვრელი ვადით ამყოფონ პატიმარი.

— რამდენიმე თვე? — მოიღრუბლა რეზო.

— რამდენიმე წელი..

— წელი?! — რეზომ გაოცებული მზერა ესროლა ადვოკატს.

— ჰო, წელი. ეს საქმე ასე სწრაფად არ დამთავრდება. სხირტლაძე ყოველწინადად შეეცდება ძიების გაჭინაურებას.

— რისთვის?

— ახლა დრო მასზე მუშაობს. ციხეში გატარებული ყოველი დღე, უფრო და უფრო მოტეხს გიორგის. ამას მოჰყვება სასამართლო, რომელიც იმავე პრინციპით იმოქმედებს. შემდეგ — საპულაციო, საკასაციო სასამართლოები. საერთო ჯამში, ეს შეიძლება, 3 წელამდე გაგრძელდეს.

— და მთელი ეს დრო გიო იმ ჯურღმულში იჯდება?!

— იჯდება და წარმოიდგინე, რისი გადატანა მოუწევს. მე არ ვაჭარბებ, რეზო. ფაქტია, რომ ხანგრძლივი მარტოობა და მუდმივი სიბნელე უარყოფითად მოქმედებს ფსიქიკაზე. ახლა ამას დაუმატეს ეს ამბრუნები საქმე და წარმოიდგინე, როგორი იქნება შენი ძმა „სპეცში“ გატარებული რამდენიმე თვის შემდეგ... ადვილი არც ჩვეულებრივ საკანში ყოფნაა, მაგრამ იქ — ხალხმრავლობაა. ყოველთვის გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც საფიქრალის განიარებაა შესაძლებელი, ასევე — რჩევის მიღებაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია... საკანში ტელევიზორია, მობილური ტელეფონი... „სპეცში“ კი ეს ყველაფერი დაუშვებელია. იქ მხოლოდ ოთხი კედელი, რკინის „ნარი“, საპირფარეო და მღრღნელებით დაფარული იატაკია. ახლა ხომ ხვდები, რა პირობებშიც იმყოფება შენი ძმა და რატომაც გთხოვს დახმარებას!..

— მესმის. მაგრამ მე არც კი ვიცი, როგორ შევხვედ კანკავას და რა შევთავაზო, — ჩაილაპარაკა რეზომ, — თანაც, ერთი რამ მაფიქრებს...

— რა?

— ჩვენი შეხვედრა თავისთავად მიხვედრებს კანკავას, რომ გიომ ჩემთან დასაკავშირებელი გზა გამოიხატა. მეშინია, კიდევ უფრო არ გაფურთხოვ ვითარება.

— ამაზე შეგიძლია, არ ინერვიულო. კანკავამ შენზე ადრე ნახა ეს წერილი.

— როგორ თუ ნახა?! — დაიბნა რეზო.

— როგორ გგონია, გაბედავდა შედამხედველი ციხიდან პატიმრის წერილის ჩუმად გამოტანას?!

— არ ვიცი, — მხრები აჩქჩა.

— მე ვიცი, — სწრაფად თქვა ნანამ. — კანკავა რეჟიმის უფროსია და ყველა წერილი, რომლის ციხიდან გატანასაც პატიმრები შედამხედველებს სთხოვენ, პირველ რიგში, მასთან ხვდება. ასე რომ, მან იცის ამ წერილის შინაარსი და შეიძლება, შენს სტუმრობასაც ელოდება.

— შენ მე მაშინვე, ნანა... — ჩამქრალი მზერა ესროლა რეზომ.

— რით?

— მე არ შემიძლია ასეთი ურთიერთობა. თავიდან ვიფიქრე, რომ შეხვედრები კანკავას, ავუსხნიდი, თუ როგორი ბიჭია გიო და როგორ მოხვდა ციხეში. შემდეგ, საკანში მის დაბრუნებას ვთხოვდი. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ამ შეხვედრას აზრი არა აქვს: კანკავასთან ადამიანთან საერთო ენას ვერ გამოვინახავ...

— გაგაჭირდება ასე ცხოვრება, — ამოიოხრა ნანამ. — ადამიანს ვითარებასთან შეგუება უნდა შეეძლოს.

— ვერ შეგძლებ, — თავი გააქნია რეზომ, — იქნებ შენ მოელაპარაკო?

— გამოირიცხულია! მე მხოლოდ ოფიციალური მიმართვა შემიძლია. თავის მხრივ, კანკავაც ოფიციალური უარით გამომისტუმრებს. სხვათა შორის, მას მართლაც აქვს საამისო საფუძველი: გიორგი თავს დაესხა პატიმარს და კინალამ გაგუდა. ამის შემდეგ, კანკავა ნებისმიერ მიმართვაზე გვიპასუხებს, რომ გიორგი გაუნონასწორებელი და აგრესიული ადამიანია და მისი საერთო საკანში ყოფნა საშიშია.

— მაშინ, რა ვქნა?

— სხვა გზა უნდა გამოვინახოთ.

— მაინც რომელი?

— გიორგის ძველ საკანში დაბრუნება სხვასაც შეუძლია.

— ვის? — სწრაფად ჰკითხა რეზომ. — ციხის ხელმძღვანელობას?

— არა. ამ შემთხვევაში, მათ რომ მივმართოთ, სისულელე იქნება: ადმინისტრაცია არ გააუქმებს რეჟიმის უფროსის განკარგულებას.

— მაშინ, ვის მივმართო?

— სხირტლაძეს...

— გამომიძიებელს?! — გაუკვირდა რეზოს. — მე კი მგონია, რომ სწორედ ისაა დაინტერესებული, გიოს ცუდ მდგომარეობაში ყოფნით.

— გეთანხმები. მაგრამ სხირტლაძეს სხვა ინტერესებიც აქვს. ის ხვდება, რომ „სპეცში“ გიორგის ყოფნას სასამართლოზე შენოლის მექანიზმად წარმოვაჩენ. თანაც, მას ურჩევნია პატიმრის საერთო საკანში ყოფნა, სადაც მასთან ოპერატიული მუშაობის საშუალება ექნება, — უპასუხა ნანამ.

— რას ნიშნავს, ოპერატიული მუშაობა?

— გიორგისთვის ინფორმაციის მიჩენას.

— ეს საკმარისი იქნება მის მოსამხრობად? — ჰკითხა რეზომ.

— არ ვიცი, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. პირადად მე, კანკავასთან შეხვედრას, სხირტლაძესთან დალაპარაკება მირჩევნია.

— მიმიღებს?

— შენ შეიძლება, მართლაც, უარი



გითხრას შეხვედრაზე, მე კი — ვერა. მიმიღებს.

— მაშინ, ნუღარ გადავდებთ, ნანა. ეს საკითხი დღევანდელ უნდა გაირკვეს. და თუ სხირტლაძე უარით გამოგისტუმრებს, კანკავასთან მისადგომ გზას გამოვნახავ, — უთხრა რეზომ.

— ვნახოთ, რას გვიპასუხებს ბატონი გამომძიებელი, — უპასუხა ნანამ და ტელეფონს გადასწვდა.

მომდევნო დღეს ნიკამ შეიტყო, რომ მცხეთის პოლიციამ ვერაფერი გარკვევა თავდამსხმელების შესახებ. ამაში ვერც რესტორნის მცველები დაეხმარნენ პოლიციას და ვერც შემთხვევის რამდენიმე თვითმხილველი. ამას ნიკა არც გაუკვირვებია. თავდამსხმელები ყველაზე ახლოს მასთან იმყოფებოდნენ და მანაც ვერ შეძლო მათი ზუსტად აღწერა.

— როგორ?.. — გაუკვირდა მცხეთის პოლიციის გამომძიებელს. — მათი აღწერა არ შეგიძლია?

— არ შემიძლია, — დაუდასტურა ნიკამ, — ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ის ბიჭები ავტოსადგომზე იმალებოდნენ და როგორც კი მანქანის კარი დაგვებტე...

— დაკეტე? — შეანყევტინა გამომძიებელმა.

— ჰო, დაკეტე, — დაუდასტურა ნიკამ.

— უცნაურად ჟღერს. განა, უფრო ადვილი არ იქნებოდა თავდასხმა, როდესაც მანქანაში იყავი?

— მანქანაში არ ჩავმჯდარვარ. კარი გავალე, რალაც ამოვიღე და ისევ დაკეტე.

— ისინი კი ამ დროს, ზურგიდან მოგიახლოვდნენ, — ივარაუდა გამომძიებელმა.

— ჰო... ვფიქრობ, რომ მათ რეაგირება ვერ მოახსრეს. ისინი იმალებოდნენ და შესაფერისი მსხვერპლის გამოჩენას ელოდნენ, სავარაუდოდ — მარტო მყოფ ადამიანს. სანამ ისინი მომიახლოვდებოდნენ, მე მანქანის დაკეტვა მოვასწარი, — უპასუხა ნიკამ.

— მოდი, ჩვენი ვარაუდები გვერდზე გადავდოთ და დაველოდოთ, სანამ დეტალებს თვითონ ის ბიჭები არ გაგვიმხელენ. დავუბრუნდეთ მათ აღწერილობას. რამე ხელჩასაჭიდი მაინც მომეცი, — განაგრძო გამომძიებელმა.

— როგორ გგონია, არ მინდა, ამაში დაგეხმარო?! — იწყინა ნიკამ.

— მაშინ, დამეხმარე.

— არ შემიძლია. ავტოსადგომზე ბნელოდა. ისინი კი ტყუპივით გამოიყურებოდნენ. ერთნაირი აღნაგობა ჰქონდათ და ერთნაირადაც ეცვათ — მუქი ფერის შარვლები და ქურთუკები. ჩვენ ერთმანეთის პირისპირ მხოლოდ ორიოდ წამი თუ

ვიდექით. შემდეგ, სროლა დაიწყო და ისინი გაიქცნენ. მესხსა და რესტორნის მცველებს უკეთ შეეძლოთ მათი შეთვლიერება. ამ დროს მე მანქანის უკან ვინეკი და საერთოდ ვერ ვხედავდი იმ ბიჭებს, — უპასუხა ნიკამ.

— მაშინ, მოვრჩეთ. რამეს ახალს თუ შევიტყობ, დაგიკავშირდები. — გამომძიებელმა სწრაფად დაასრულა საუბარი, საქალაქო ჩანთაში შეინახა, ნიკას დაემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

გამომძიებლის წასვლისთანავე კაბინეტში რომანი და მესხი შემოვიდნენ.



— რაო იმ ბედოვლობაზე? — მცხეთელი კოლეგის მისამართით ირონიული ტონით იკითხა მერაბმა.

— ისეთი არაფერი, — ხელი ჩაიქინა ნიკამ.

— რამდენმა უსაქმურმა მოიყარა თავი პოლიციაში! — უემპაფილო ტონით განაგრძო მერაბმა. — ისიც კი არ იციან, თუ რა „სასტავები“ ჩალიჩობენ რაიონში. ჩვენ დაგვდევენ: როგორმე საქმე გაგვასწავნიეთო. არ მცალია, თორემ, იმ ახვრებს სამ დღეში ავყრიდი!..

— რაც იყო — იყო. მომხდარს აღარაფერი ეშველება. შენი კი, დიდი მადლობელი ვარ. არ ვაჭარბებ: შენ რომ არა, არ ვიცი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი. ან მანქანას დაგვარგავდი და შეიძლება, საერთოდ დავლუპულიყავი, — უთხრა მერაბს ნიკამ.

— არა გცხვენია, ბიჭო? მაშ, რისი ძმები ვართ?!

ნიკას ეხამუშა პასუხი. ნაცნობობის მიუხედავად, მერაბთან არასოდეს ჰქონია ახლო ურთიერთობა. ისინი რამდენჯერმე

თუ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ისიც, მხოლოდ ნიკას ოჯახში. მას მამის მეგობრად უფრო თვლიდა და ამიტომაც, უადგილოდ მოეჩვენა მისი ძმად მოსწენება...

— კაი, — მერაბმა საათს დახედა, — თქვენთან ყოფნას არაფერი სჯობია, მაგრამ — საქმე, საქმე და... საქმე...

— სად მიდიხარ? — ფიქრს მოსწყდა ნიკა.

— სად უნდა მივდიოდე?.. თერთმეტი გაუხსნელი საქმე მკიდა კისერზე!..

— ესე იგი, სამმართველოში?

— სამმართველოში, — დაუდასტურა მერაბმა.

— მაშინ, ერთი გზა გვექონია. მეც შენთან ერთად წამოვალ.

— რისთვის?

— არ გახსოვს, რაზე ვილაპარაკეთ გუშინ? — ჰკითხა ნიკამ. — სხირტლაძეს უნდა შევხვედე.

— ისევ ჭელიძე?.. — დაუფარავი უკმაყოფილებით ჩაილაპარაკა მესხმა.

— რატომ — ისევ? — მზერა გაუსწორა ნიკამ.

— მე ხომ აგისენი, რომ ჭელიძესთან შეხვედრას აზრი არა აქვს... შენ მაინც აუხსენი, — რომანს გახედა მესხმა.

— ჰო, მაგრამ... — ფროთხილად წამოიწყო რომანმა.

— რატომ არ გინდა, რომ ჭელიძეს შევხვედე? — პირდაპირ იკითხა ნიკამ.

— არ მინდა?.. — გაიცინა მერაბმა. — რას ამბობ, ბიჭო?! უბრალოდ, არ მინდა, რომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდე. ეს შენი პირველი სერიოზული საქმეა და თვითონ უნდა იყო დაინტერესებული მისი გახსნით... ერთ რჩევას

მოგცემ: მოუსმინე მეგობრებს და წვრილმანზე დროს ნუ დაკარგავ. დამიჯერე, ნიკა — ჭელიძესთან შეხვედრა არაფერს მოგცემს, გარდა ერთისა: ჭელიძემ შეიძლება შეცდომაში შეგიყვანოს და მცდარ კვალზე დაგაყენოს!..

ნიკა რამდენიმე წამს დუმდა.

— კარგი, — თქვა ბოლოს, — ჯერ-ჯერობით, ჭელიძის გარეშე გავაგრძელოთ ძიება. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

— ჰოდა, ძალიან კარგი. სამუშაო ისედაც ბევრი გაქვთ. ჩემი იმედი კი, ყოველთვის გქონდეთ. თუ რამე გაგიჭირდათ, დამიკავშირდით... — ამ სიტყვებთან ერთად, მესხი ადგა, ნიკასა და რომანს დაემშვიდობა და კაბინეტი დატოვა.

— რა ხდება? — ოთახიდან მესხის გავლისთანავე ჰკითხა ნიკამ რომანს.

— რა უნდა ხდებოდეს?

— რატომ ზრუნავს მესხი ჩემზე?.. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ის უძღვება ამ საქმეს და არა — შენი!..

— ახალგაზრდული „ნიკებია“, — უდარდელი გამომეტყველებით თქვა რო-

მანმა, — დროთა განმავლობაში გაგივლის.
— ეთანხმები მერაბს?.. შენც ფიქრობ, რომ ქელიძესთან შეხვედრა არ ღირს?

— პრინციპში, ვეთანხმები.
— მე კი, არ ვეთანხმები!..
— ეს მერაბისთვის უნდა გეთქვა, — შენიშნა რომანმა.

— მერაბს არაფერი აკავშირებს ამ საქმესთან და ჩემი ხელმძღვანელიც არ არის. აი, შენ კი, გეუბნები.. — უპასუხა ნიკამ.

— არ ღირს ამის გაკეთება, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩაიღმაპარაკა რომანმა. — საქმეს სხირტლაძე იძიებს და ოფიციალურად, მან უნდა მოგცეს ქელიძესთან შეხვედრის ნებართვა. მაგრამ ის მერაბის გარეშე მაინც ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს.

— მერე, რა?.. შენ ფიქრობ, რომ სხირტლაძე უარით გამოიმისტუმრებს?

— არა. უარს არ გეტყვის, არ აქვს საამისო საფუძველი. უბრალოდ, მეცოდება. შენი მიმართვა ყველას უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვყენებს და მერაბიც განაწყენდება.

— მაკვირვებს, რომან... პირველ რიგში, ვერ ვხვდები ვინმეს განაწყენებისა და ვინმეს უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების მიზეზს, მეორე კი... თუნდაც ასე იყოს. რაა შენთვის უფრო მნიშვნელოვანი — მკვლევების ბანდის აყვანა თუ ვინმეს განაწყენება?..

— თუ ძმა ხარ, ნუ აბუქებ!.. ისე ლაპარაკობ, თითქოს ქელიძის დაკითხვა ყველაფერს „გააიასნებს“ ამ საქმეში. არადა, ვგრძნობ, რომ მერაბი ასპროცენტინას ბაზრობს.

— მე ჩემი სათქმელი ვთქვი!.. — ფიცხად ისროლა ნიკამ.

— მეც!.. — არ დაუთმო რომანმა.

— როგორ შევთანხმდეთ? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ. — თუ შენთვის მერაბის აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩემსას?

— რა გინდა, ნიკა?..
— ქელიძის დაკითხვა.

— ჰოდა, დაჰკითხე. მაგრამ გაფრთხილებ — ეს შენი ბოლო ხუმტურია, მომავალში ამის საშუალებას არ მოგცემ. გააკეთებ იმას, რასაც მე დაგავალე!.. — ოფიციალური ტონით თქვა რომანმა.

— გასაგებია, — გაელიმა ნიკას, — შემოიძლია ნავიდე?

— სადაც გინდა, იქ წადი, ოღონდ, თავი გამაწყებ!.. — ბრაზით ისროლა რომანმა და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

სხირტლაძის სამუშაო კაბინეტში მერაბს უცნაური სურათი დახვდა: გამომძიე-

ბელი დაბნეული იჯდა სკამზე, ქელიძის ადვოკატი კი, მას გამმაგებით უტევდა. მერაბი კარგად იცნობდა ადვოკატს, მაგრამ ეს მაინც არ გაუმუყავნებია.

— მაპატიეთ... ხელს არ შეგიშლით, — მოიბოდიშა თავაზიანად და კარის სახელური მოზიდა, მაგრამ ნანამ წასვლის საშუალება აღარ მისცა.

— არ შეგფერით არტისტობა, ბატონო მერაბ!.. — ცივად დაადევნა ადვოკატმა.

მერაბი შედგა. აუჩქარებლად შეათვალიერა ნანა და შემდეგ ჰკითხა.

— ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ?

— არა. მაგრამ მე კარგად ვიცი, ვინც ბრძანდებით.

— მაშინ, თქვენი ვინაობაც გამიხილეთ, — თავაზიანად განაგრძო მერაბმა.

— ეს ქელიძის ადვოკატია, ნანა ბაქრაძე, — ფრთხილად ჩაუერთო სხირტლაძემ.

— აა... გასაგებია. რით შემოიძლია გემ-



სახუროთ, ქალბატონო ნანა? — თქვა მერაბმა.

— იქნებ, თქვენ მაინც შეაგნებინოთ თქვენს გამომძიებელს, რომ არ ღირს ძიების ინტერესების საზიანოდ მოქმედება?!

— საინტერესოა. მაინც, რატომ უყენებთ გამომძიებელს ასეთ ბრალდებას?

— იცით, სად არის ახლა ქელიძე?

— რა თქმა უნდა, ვიცი: ქელიძე ციხეშია, — უპასუხა მერაბმა.

— დიახ და ამასთან ერთად, სპეცგანყოფილებაში!

— ეს კი მართლაც, არ ვიცოდი, — სხირტლაძეს გახვდა მერაბმა. — როგორ მოხვდა ქელიძე „სპეცში“?

— ადმინისტრაციამ გორგაძეზე თავდასხმის შემდეგ გადაიყვანა სპეცსაკანში, — უპასუხა გამომძიებელმა.

— რას ხედავთ ამაში უცნაურს? — ისევ

ნანას მიუბრუნდა მერაბი. — ქელიძე სამიში მკვლელია, რაც ციხეშიც დაამტკიცა.

— გამომძიებელიც იმავე აზრისაა, — ცივად შენიშნა ნანამ.

— და ამას უთვლით, ძიების ინტერესების საზიანოდ მოქმედებად? — გაუკვირდა მერაბს.

— დიახ და ამასთან ერთად, გთხოვთ, ქელიძე ჩვეულებრივ საკანში დააბრუნოთ.

— მე მთხოვთ?!

— სხვა გზა არა მაქვს: გამომძიებელი თქვენი ნებართვის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს!

— მისამართი შეგეშალათ, ქალბატონო ნანა, — დამცინავად უპასუხა მერაბმა, — მე არ ვავინრობ გამომძიებელს... მაგრამ ამასაც არ არის საქმე: ციხეს თავისი ადმინისტრაცია ჰყავს და მხოლოდ ის წყვეტს, რომელ საკანში უნდა იჯდეს ქელიძე.

— ქელიძის „სპეცში“ ყოფნა ძიებას ხელს შეუშლის!

— თუ ასე ფიქრობთ, ციხის ადმინისტრაციას მიმართეთ, — ცივად მოჭრა მესხმა.

— ესე იგი, უარს მეუბნებით დახმარებაზე?!

— ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება.

— ბატონო მერაბ, მე კარგად ვიცნობ თქვენს მუშაობის მეთოდებს. ოპერატიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ პატიმრის ძველ საკანში დაბრუნება.

— შემიძლია. მაგრამ ქელიძისთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად, ჩემს კოლეგებს არ მოვატყუებ. თანაც, ქელიძის მიმართ რაიმე ოპერატიული ინტერესები არ გაგვაჩნია. ამ პიროვნებამ უკვე ყველაფერი თქვა. ასე რომ... — მერაბმა ხელები გაშალა, რითიც ადვოკატს აგრძნობინა: საუბარი დასრულებულიაო.

— ეს საკითხი პირადად თქვენ მართლაც, არ გეხებათ. მაგრამ ამ საუბარს სასამართლოზე შეგახსენებთ... — ნანამ განმგმირავი მზერა ესროლა სხირტლაძეს და სწრაფი ნაბიჯით კარს მიაშურა.

— ამის თქმა შენც შეგეძლო. რა არის, ქალმა დაგამინა?.. — ბრაზით ესროლა მერაბმა სხირტლაძეს, როგორც კი კაბინეტში მარტონი დარჩნენ.

— ვითარების გამწვავება არ მინდოდა. მშვიდი საუბრით ვაპირებდი მის დაყოლიებას, — უპასუხა გამომძიებელმა.

— სხვა დროს ასეთი რამ აღარ გამეორდეს. უჩემოდ თუ ვერ უძღვევი საქმეს, შეგიძლია, კაბინეტი გაათავისუფლო! გასაგებია?..

— გასაგებია, — ამოიკნავლა სხირტლაძემ.

— როგორ მიდის ძიება? — სასაუბრო თემა შეცვალა მერაბმა. — რა არის ახალი?

— გორგაძე ციხიდან გაათავისუფლეს. კიდევ ერთი ჩვენება უნდა ჩამოვართვა.

— როდის?

— ბიჭები რამდენიმე წუთში მოიყვანენ. შეიძლება, უკვე აქ არიან, — უპასუხა სხირტლაძემ.

— იდიოტო, სხვა დრო ვერ შეარჩიე მის დასაკითხად?! — მოულოდნელად იფეთქა მერაბმა და კარისკენ გაქანდა. მაგრამ ვიდრე ის კაბინეტიდან გავიდოდა, დერეფანში ხმაური ატყდა.

ხმაურის მიზეზი სამმართველოს შემოსასვლელში მომხდარი შეხლა-შემოხლა აღმოჩნდა. გიორგი ჭელიძის უფროსი ძმა, რეზო გაშმაგებული იგიწებოდა და ოთხ პოლიციელს შორის მოქცეული, ვახო გორგაძისკენ მიიწვედა... ბოლოს, ისევ მისმა მეგობრებმა და ადვოკატმა იმარჯვეს, რეზო შებოკეს და შენობიდან გაიყვანეს.

— ჩემს კაბინეტში შეიყვანეთ!.. — ვახოს გვერდით მყოფ პოლიციელებს უბრძანა მერაბმა, შემდეგ კი თვითონაც გავიდა შენობიდან და რეზოს მძვინვარე მზერა მიაბჯინა.

— რას მიყურებ?! — არ შეეპუა რეზო და მისკენ გაიწია. მაგრამ მეგობრებმა ისევ შეაჩერეს. იმნამსვე, საქმეში ნანაც ჩაერია — რეზოს მკლავში ჩააფრინდა და სწრაფად ალაპარაკდა:

— რას აკეთებ?! შენ ხომ პირობა მომეცით!

— გამიშვით!.. — ბრძოლას განაგრძობდა რეზო და ამავე დროს, მზერით მერაბს ბურღავდა. მისმა თავხედობამ იმდენად გააღიზიანა მესხი, რომ ადვოკატსაც აღარ მოერიდა, სწრაფი ნაბიჯით მიიჭრა რეზოსთან, საყელოში სწვდა, შეანჯღრია და მისი მეგობრების გასაგონად, ავად გამოცრა:

— ნაიყვანეთ აქედან, თორემ, კაცობას ვფიცავ, ცოცხალი ვერ გადავირჩება!..

— უხ, შენი!.. — იფეთქა რეზომ და ისევ გაიბრძოლა.

— შენი დედაც!.. — შეიგინა მერაბმა, მუშტი შემართა და სწორედ ამ დროს, თვალში მოჰკრა ნიკას, რომელიც მოლუშული სახით ადევნებდა ამ სცენას თვალყურს. მისმა მზერამ უცნაურად იმოქმედა. მერაბმა მუშტი დაუშვა, უკან გადაგა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ახლა მოგცემ ნასვლის საშუალებას, მაგრამ გაფრთხილებ: ძალიან მწარედ შეგახსენებ ამ დღეს!..

— რას მიზამ?.. მკვლელებს მომიგზავნი, ნამალს ჩამიგდებ თუ?.. — ნამოიწყო რეზომ, მაგრამ მეგობრებმა არ დაასრულებინეს — სასწრაფოდ გაიყვანეს ეზოდან და მანქანაში ჩასვეს.

სანამ იქაურობას გაცლებოდნენ, მერაბი ნიკას არ აშორებდა მზერას. დაჟინებული აკვირდებოდა და ფიქრობდა: „რისთვის მოვიდა აქ?.. რა აინტერესებს?..“

ის იმედოვნებდა, რომ ამას დავის ჩაცხრობის შემდეგ მაინც გაარკვევდა. მაგრამ ნიკამ იმედი გაუცრუა. ის ნანას მიანუხლოვდა, რალაცაზე დაელაპარაკა და შემდეგ, მერაბისდა გასაოცრად, ადვოკატთა ვის „ბეემეში“ ჩასვა და უკან მიჰყვა

მანქანას, რომლითაც რეზო და მისი მეგობრები წავიდნენ.

ჯიბო უკმაყოფილო სახით დაბრუნდა საკანში. „ნარზე“ ჩამოჯდა და როგორც კი ზედამხედველმა კარი დაკეტა, „ბარაშის“ მიმართულებით გაიქინა მარჯვენა. ხელის მოქნევას სუსტი წკარუნი მოჰყვა. მცირე ზომის ქილა, რომელიც გიომ აქამდე ვერ შეამჩნია, კედელს მიენარცხა, იატაკზე კი, ათამდე თეთრი აბი დავარდა.

— რა მოხდა? — „ნარიდან“ ნამოიწია გიომ.

— ნამალი არ მომცეს იმ ნაბიჭვრებმა!.. — კბილები გაახრჭიალა ჯიბომ.

ნამლის ხსენებამ გიოს წინა დღე-ღამე გაახსენა: ჯიბოს მთელი დღე აწუხებდა დამწვარი მარჯვენა. ღამით კი ტკივილმა უფრო უმატა. მთელი ღამის განმავლობაში ვერ შეძლო ჩაძინება. საკანში ბოლთას სცემდა და ტკივილს კბილების ხრჭილით ებრძოდა. რამდენჯერმე ზედამხედველსაც შეუხმინა და ექიმის გამოძახება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მისთვის მხოლოდ დილით მოიცალეს და ექიმთან, ლაზარეთში წაიყვანეს.

— მაშ, ეს რა არის? — იატაკზე მიმოფანტულ აბებს გახედა გიომ.

— მაგათი დედაც!.. — ისევ შეიგინა ჯიბომ. — ხელზე აქოთებული „მაზი“ ნამისვა და ანალგინი შემოიტენა. გასაგებად ვუთხარი — ანალგინი შენთვის დაიტოვე და რამე ნესიერი ტკივილგამაყუჩებელი მომეცი, ეგ სირობა ტკივილს არ გამიყუჩებს-მეთქი!.. იმ ნაბიჭვარმა არც მომისმინა. ასე მითხრა: ამაზე მეტს ვერაფერს მიიღებო, — და უკან გამომისტუმრა!

— დამპალი!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა გიომ. — რა უნდა ქნა ახლა? ტკივილი არ მოგეშვება.

— რამე უნდა ვიჩაღირო.

— რა?

— გარედან შემოვაგზავნიან ტკივილგამაყუჩებელს... ბარალგინს ან ტრამალს.

— შეიძლება?

— ბარალგინზე პრობლემა არ იქნება. ტრამალს არ შემოუშვებენ, მაგრამ მაინც ტრამალი მიიჩვენია. უფრო ძლიერია და ნალადი მომისხნის ტკივილს, — ჯიბომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — შენი დახმარება დამჭირდება.

— რით დაგეხმარო?

— მე „ქსივას“ ვერ დავწერ, — სახვევზე დაიხედა ჯიბომ, — შენ უნდა დანერო.

— რა პრობლემაა?! — სწრაფად უპასუხა გიომ, შემდეგ, ფურცელი და კალამი მოიმარჯვა და ნერისთვის მოეშადა.

ჯიბო ადგა, ფრთხილად გაიხედა სამზერიდან. დარწმუნდა, რომ ზედამხედველი საკანის სიახლოვეს არ იმყოფებოდა და კარნახს შეუდგა:

— ძმაო, რეზო... —

— რეზო?.. — გაოცებული მზერა ესროლა გიომ.

— ჰო, რა გაგიკვირდა? ჩემს ძმას რეზო ჰქვია.

— მაგარია: ჩემს ძმასაც... კარგი, გააგრძელე, — ბარათს მიუბრუნდა გიომ.

— ძმაო, რეზო... — კარნახი განაგრძო ჯიბომ. — რასაც გწერ, ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მიჭირს ნამლის გარეშე „ქსივასი“ არაფერს მოგწერ. შენ თვითონ მიხვდები, რა და რამდენი უნდა შემომიგზავნო. გზა იცი. გამოუშვი, როგორც ადრე. შენ იცი. შენი იმედი მაქვს. ორი დღის შემდეგ ველი ნამალს...

— მორჩა? — ჰკითხა გიომ, როდესაც ჯიბომ კარნახი შეწყვიტა.

— გადაიკითხე...

გიომ სწრაფად შეასრულა თხოვნა.

— პრინციპში, საკმარისია.

— ნამლის სახელი ხომ არ ჩავამატო? — ჰკითხა გიომ.

— არ არის საჭირო. ყოველთვის უნდა გაითვალისწინო, რომ „ქსივა“ შეიძლება „დაინვას“. აქ ტრამალი რომ ვახსენო, დიდი ამბავი ატყდება და რეზოსაც პრობლემები შეექმნება. ჩემს ძმას არ ესწავლება, თვითონაც კარგად იცის, რა უნდა შემომიგზავნოს... მიდი, შეფუთე, — უთხრა ჯიბომ.

გიომ უკვე იცოდა, როგორ უნდა შეეფუთა ციხიდან გასაგზავნი „ქსივა“. ბარათი რამდენჯერმე გაკეცა, შემდეგ, პოლიეთილენში შეფუთა, კიდევბი სანთბეულით გაადნო, შეანება და საბოლოოდ, ხელში მჭიდროდ შეფუთული, სიგარეტის ღერის ზომის თითისტარი დარჩა.

— ჯიგარი ხარ!.. ახლა გაგზავნაზე უნდა ვიჩაღირო, — ჯიბომ „ქსივა“ ჯიბეში ჩაიღო და ზედამხედველს შეეხმინა.

ზედამხედველი უჩვეულოდ სწრაფად გამოჩნდა.

— მურმანის ნახვა მინდა, — სამზერიდან ჩასჩურჩულა ჯიბომ.

გიოსდა გასაოცრად, ზედამხედველმა უმალ შეასრულა თხოვნა. საკანის კარი გააღო და ჯიბოს უბრძანა — გამოდიო.

— არ მოიწყინო, მალე დავბრუნდები, — ჯიბომ თვალი ჩაუკრა გიოს და საკნიდან გავიდა.

დერეფნის ბოლოს, პატიმარს ციხის რეჟიმის ხელმძღვანელი, კანკავა შეეგება.

— ბიჭია? — მოუთმენლად იკითხა მან.

ჯიბომ უსიტყვოდ გადასცა „ქსივა“. კანკავამ სწრაფად გააცალა ბარათს პოლიეთილენის ფენა, გადაიკითხა და ჯიბო შეაქო:

— კარგია... ნამდვილი სატანა ხარ, დამპალი. ნებისმიერს შევაცდენ!

— რასაც დაგპირდი, გვაკეთე. ახლა შენი ჯერია... — უპასუხა ჯიბომ.

— რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა?! — დაიძაბა ჯიბო. — როდემდე ვიჯდე იმ სალორეში? ხომ დამპირდი: „ქსივა“ იჩაღიჩე და კორპუსზე დაგაბრუნებო!..

— ვიდრე „ქსივა“ თავის საქმეს არ გააკეთებს, აქ დარჩები, — უპასუხა კანკავამ და ნასასველად შებრუნდა.

— მოიცადე! — უკმაყოფილოდ შესძახა ჯიბომ, მაგრამ კანკავას მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

— საკანში დაბარუნე! — უბრძანა ზედამხედველს და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა დერეფანს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სპეტაკი სამოსით დაფარული სიშიშვლე, გამრთელბული ხელი და ლობიანების დაცხობის ტრადიცია

17 დეკემბერს მართლმადიდებელი სამყარო ბარბარობას დღესასწაულს, რომელიც წმინდა დიდმონაშემ ბარბარეს ნამების მოსახსენიებლად და განსაზღვრულადაა დანესებული. წმინდა ბარბარე დაიბადა მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში. ქრისტეს სარწმუნოებისთვის ნამებული წმინდანი უამრავ ხილულ სასწაულს ახდენდა სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, რაც დღემდე გრძელდება. ამჟერად წმინდა ბარბარეს სახელთან დაკავშირებული რამდენიმე სასწაულის შესახებ მოგიტყვობთ.

შორენა მერკვილაძე

ერთხელ წმინდა ბარბარე ბაღში სერირობდა, სადაც მამამისი — დიოსკორეს ბრძანებით აბანო შენდებოდა. აბანოს საცურაოს გვერდით აშენებდნენ, რომელიც თლილი მარმარილოს ქვებით იყო შემოღობილი. ჭეშმარიტ ღმერთზე ფიქრში გართული ბარბარე ქვეშ მიუახლოვდა და თავისდა უნებურად, ერთ-ერთ ქვაზე ჯვარი გამოასახა; მოხდა სასწაული — წმინდანის მიერ თითოთ გამოასახული ჯვარი ისე ღრმად ამოიკვეთა მარმარილოზე, რომ რკინით საგანგებოდ ამოჭრილი გვეგონებოდა. იმ ადგილას კი, სადაც ქალწული იდგა, მისი ნატერფალები აღიბეჭდა. მოგვიანებით, ამ ადგილას მაკურნებელი წყარო აღმოცენდა, რომლის წყლის ხმევის შემდეგ, მრავალი ადამიანი განიკურნა სნეულებისგან.

როდესაც ბარბარეს მამამ შეიტყო, რომ მისი ქალიშვილი წარმართთა ღმერთებს აძაგებდა და ქრისტეს აღიარებდა, ძალზე განრისხდა. დაივიწყა ერთადერთი ქალიშვილის სიყვარული და მის მოსაკლავად მახვილი აღმართა. ბარბარემ მოახერხა, გაქცეოდა გამძვინვარებულ მამას. დიოსკორე დაეფეხა. ქალწული ლოცვით შესთხოვა უფალს შემწეობას. მოულოდნელად მის წინ აღმართული მთა ორად გაიყო და ბარბარეს გასვლის საშუალება მიეცა. შემდეგ მთა კვლავ შეერთდა და წინანდელი სახე მიიღო.

წმინდა ბარბარეს ნამებისას, ხალხი არაერთი სასწაულის თვითმხილველი შეიქმნა: ქალაქის ურჯულო მმართველის, მარკიანეს ბრძანებით, ბარბარე სასტიკად სცემეს ტყავის შოლტებით. მონაშის ჭრილობებიდან სისხლი მოჩქეფდა. მმართველმა შეაჩერა ჯალათები და უბრძანა, მონაშე ქალწულისთვის ჭრილობები ხაოიანი ჩვრებით და ბასრი ნამსხვრევებით მოეწმინდათ, კიდევ ათასგვარი სატანჯველით ცდილობდნენ ბარბარეს გადმოხრებებს, მაგრამ მტკიცე და ურყევი იყო მისი რწმენა ჯვარცმული უფლისადმი. მაშინ მარკიანემ ბრძანება გასცა, ბარბარე საპყრობილეში ჩაეგდოთ, ვიდრე უფრო სასტიკ სასჯელს მოიფიქრებდა: „ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეორებები ჩემგან. მიხილე შენვენად ჩემდა ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“, — შესთხოვდა მონაშე უფალს. შუალამისას საკანი საოცარმა ნათელმა გაასხივოსნა. ბარბარეს თავად უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და გამხსნევა წმინდა მონაშე. შემდეგ მის იარებს

შეეხო და მისი ნაგვემი სხეული წყლულებიდან განკურნა. როდესაც ურჯულო მარკიანემ მეორე დილით ქალწული სრულიად ტანმრთელი და ჯანმრთელი იხილა, ბრძანა, კვლავ ენამებინათ. მისივე ბრძანებით, ახალი ნამებისთვის გამზადებული ბარბარე გააშიშვლეს, რათა ასე ეტარებინათ ქალაქში, თან სასტიკად უნდა ეგვემთ: „შენ, რომელიც ზეცას და დედამიწას ღრუბლებით ფარავ, როგორც საბურველით, დაფარე ჩემი სიშიშვლე, რათა ვერ იხილონ ის უწმინდურმა თვალებმა“, — შესთხოვა ბარბარემ ჭეშმარიტ უფალს. მართლაც, მოავლინა უფალმა ნათლის ანგელოზი; რომელმაც ქალწულის სხეული სპეტაკი სამოსით დაფარა და მისი სიშიშვლე ვერავინ იხილა. ხოლო, როდესაც ბარბარე ქალაქგარეთ გაიყვანეს თავის მოსაკვეთად და მას საკუთარმა მამამ წარკვეთა თავი, საკუთარი სურვილით, იმავე წამს ცაზე მუხი გავარდა, შვილის მკვლელ დიოსკორეს დაეცა და ერთიანად დანვა, ფერფლი კი უეცრად ამოვარდნილმა ცხელმა ქარმა გაფანტა.

დიდმონაშემ ბარბარეს წმინდა ნაწილები ამჟამად სხვადასხვა მართლმადიდებლურ ტაძარშია გაბნეული. მარცხენა ხელი ერთხანს საბერძენთში ინახებოდა, შემდეგ — პოლონეთში გადაიტანეს და ქალაქ ლუცკის ქმთა ეკლესიაში დააბრძანეს. ერთხელ ეკლესია გაძარცვეს. მძარცველებმა ის საწინილეს ნაიღეს, რომელშიც წმინდა ბარბარეს ხელი ინახებოდა, მაგრამ რადგან მასში ხელის გარდა ვერაფერი აღმოაჩინეს, აგიზგიზებულ ლუმელში შეაგდეს. ხელი უვნებელი გადარჩა, მაშინ ურწმუნო მძარცველებმა წმინდანის ხელი რკინის ჩაქუჩით დაამტკრიეს და კვლავ ცეცხლში შეაგდეს. მორწმუნეებმა მალევე გაიგეს წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილის გატაცების შესახებ. მიაკვლიეს მძარცველების კვალსაც, თუმცა ისინი სიმართლის დამალვას შეეცადნენ. ერთ-ერთ მორწმუნეს აზრი დაეზადა, რომ ღუმლიდან ნაცარი გამოეხვევით და გაეცრათ. ასეც მოიქცნენ. გაცრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ წმინდანის ხელი მთელი და უვნებელი იყო.

წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილები კიევში, ზღატიკურხის წმინდა მიქაელის სახელობის მონასტერშიც ინახება. ერთხელ, კიევის ერთი ღვთისმოსავი მოქალაქე მძიმედ დასნეულდა. მას გაახსენდა იმ მრავლარიცხოვანი კურნების შესახებ, რომლებიც წმინდა ბარბარესადმი ლოცვით აღსრულებულა. სნეულმა წმინდა მიქაელის ტაძარში წასვლა გადაწყვიტა, რათა

წმინდა ბარბარეს ნაწილებს მიახლოებოდა, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო. მაშინ ახლობელს სთხოვა, ეკლესიაში წასულიყო და იქიდან ის წყალი მოეტანა, რომელიც წმინდა ბარბარეს ნაწილებს ესხმებოდა. ახლობელმა თხოვნა შეუსრულა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ, სნეულის მდგომარეობა გაუარესდა. სნეულს წყალი მოუტანეს და იხმია. იმწამსვე იგრძნო შვება და მიიძინა — მაშინ, როდესაც რამდენიმე დღის განმავლობაში, საერთოდ არ მიჰკარებია თვალებზე რული. ძილში თავად წმინდა ბარბარე გამოეცხადა და განკურნა. მართლაც, მან გაღვიძებისთანავე სრულიად ჯანმრთელად იგრძნო თავი.

ქრისტესშობის მარხვისას, წმინდა დიდმონაშემ ბარბარეს ხსენების დღეს, ორი ჯარისკაცი — ანდრია და თევდორე წმინდა მიქაელის ეკლესიაში მივიდნენ. მათ სანაწილეზე, სადაც წმინდა ბარბარეს ნაწილები ინახებოდა, ძვირფასეულობა და მდიდრული სამკაულები შენიშნეს და მათი მოპარვა გადაწყვიტეს. ღამით ეკლესიასთან მიიპარნენ, სამხრეთის კარის გაღება მოახერხეს და წმინდა ნაწილებისკენ გაეშურნენ. მოულოდნელად საშინელი ხმაური ატყდა და მძარცველებს წმინდა ნაწილების განსასვენებელიდან მომავალი ნაპერწკლები დააცვივდათ თავზე. ერთ-ერთი ბოროტმოქმედი შიშისგან დაყრუვდა, მეორე კი ჭკუიდან შეიშალა. დაყრუვებული ბოროტმოქმედი მალევე მოეგო გონს და შემოიღილი მეგობარი ეკლესიიდან გაიყვანა. მეორე დღეს ტაძრის ღვთისმსახურთან, მღვდელმონაზონ სიმონთან მივიდნენ. მოძღვარმა აღსარება ჩაიბარა და ურჩია, ხშირად ელოცათ დიდმონაშის ნაწილებთან და შემწეობა ეთხოვათ მისთვის. გულწრფელი სინანულის სანაცვლოდ, მართლაც მიიღეს შემწეობა წმინდა ბარბარესგან და განიკურნენ. ეს ამბავი 1668 წელს მოხდა.

წმინდა ბარბარეს სახელს კიდევ მრავალი სასწაული უკავშირდება. წმინდანს ძირითადად, ავადმყოფებს ავედრებდნენ. მას ერთ-ერთი ხატზე სითხით სავსე ზარძიმი უპყრია ხელი, რაც იმას მიანიშნებს, რომ წმინდანს მძიმე სნეულებათაგან განკურნების ძალა შესწევს. არსებობს ხატი, სადაც წმინდანი ხელში რტოთია გამოასახული. რტო სიმბოლურად ახალ სიცოცხლეზე, ახალშობილზე მიანიშნებს. წმინდა ბარბარე ხომ ჩვილთა მფარველ და მეოხე წმინდანად ითვლება. მისი მფარველობითა და მეოხებით, არაერთი ბავშვი განრიდება განსაცდელს, განსაცდელში მყოფნი კი უხსნია.

ბარბარობის დღესასწაულზე მიღებულია ლობიანების გამოცხობა. გადმოცემის თანახმად, წმინდა ბარბარე მარხვის დროს მხოლოდ ლობიოთი იკვებებოდა, სწორედ ეს გახდა საფუძველი ამგვარი ტრადიციის დამკვიდრებისა, რადგან წმინდა ბარბარეს ხსენების დღე, ყოველთვის ქრისტესშობის მარხვას ემთხვევა.



დასაწყისი იხ. „გზა“ №49

მოღვიანი ნიჭითა და შავნული გამომგონებლობის პნაჩით შავკული...

ბის უბედურებანი“. ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, ეს ნაწარმოები უნდა შესულიყო კრებულში „XVIII საუკუნის ნოველები და ფაბლიო“.

1790 წლის აპრილში ნაციონალურმა კრებამ გამოსცა დეკრეტი Lettre de cachette-ის გაუქმების შესახებ და დე სადი გაათავისუფლეს. ამ პერიოდში მარკიზამ იურიდიულად გააფორმა ქმართან განქორწინება და დე სადი პრაქტიკულად, უსახსროდ დარჩა. მისი სახელი, საბედისწერო დაუდევრობის წყალობით, ემიგრანტთა სიაში აღმოჩნდა შეტანილი, რამაც საშუალება მოუსპო, ესარგებლა ოჯახის ქონების დარჩენილი ნაწილით. დე სადმა ვერსალის თეატრში სუფელირად დაიწყო მუშაობა, რაშიც დღეში ორ სუს უხდიდნენ. ეს ფული პურის შესაძენად ძლივს ჰყოფნიდა. მწერალი თანდათან უბრუნდებოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, რითიც ცდილობდა, როგორმე გაენელებინა დანაკარგის სიმწარე: ბასტილიდან შარანტონში გადაყვანის დროს, დაიკარგა „სოდომის 120 დღის“ ხელნაწერი. ამ რომანის აღდგენას დე სადი შეეცადა ნაწარმოებში „ჟიულიეტა ანუ მანკიერების მაღლი“.

„მე ვთავაყვანები მეფეს, მაგრამ ვერ ვიტან ძველი წყობის ბოროტად გამოყენებას“, — წერდა მარკიზი დე სადი. მოქალაქე სადი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოვლენებში. მართლაც, ის პირველ რევოლუციონერთა რიგს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ წელიწადზე მეტხანს იმყოფებოდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პოსტებზე. 1792 წელს მსახურობდა ეროვნული გვარდიის რიგებში, პირადად აწარმოებდა პარიზის საავადმყოფოების ინსპექტირებას და ყოველნაირად ცდილობდა მიეღწია იმი-სთვის, რომ თითოეულ ავადმყოფს ცალკე საწოლი ჰქონოდა. მის მერ შედგენილი „მოსაზრებები კანონების მიღების წესების შესახებ“ სასარგებლოდ და ორიგინალურად ცნეს, დაბეჭდეს და პარიზის ყველა უბანში გაგზავნეს. დე სადი წერდა: „თუ კანონების შესადგენად აუცილებელია საგანგებოდ შერჩეული ადამიანები, მაშინ აუცილებელი არ არის მივიჩნიოთ, რომ მათვე უნდა დაამტკიცონ ისინი. მხოლოდ ხალხს და სხვას არავის აქვს უფლება, დაამტკიცოს კანონი, რომლის შესაბამისად, კანონმდებლები უხელმძღვანელებენ ამ ხალხს“.

იმდროინდელი სულისკვეთების შესაბამისად, დე სადმა შეიტანა წინადადება, სახელები გადაერქვათ პარიზის ქუჩებისთვის. მაგალითად, სენტ-ონორეს ქუჩას კონვენტის უნდა დარქმეოდა, ნე-დე-მატიურენის ქუჩა კატონის ქუჩად უნდა ქცეულიყო, ხოლო სენ-ნიკოლას ქუჩა — თავისუფალი ადამიანის ქუჩად.

დე სადი კონვენტში თავისი სექციის (დღევანდელი ერთი — პარტიის. — მთარგმნ.) დეპუტაციას ედგა სათავეში და ბევრი

საინტერესო ინიციატივის ავტორად ევლინებოდა დამსწრეთ. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც 1793 წლის 17 სექტემბერს მიიღეს „კანონი საეჭვოთა შესახებ“, რომელიც პირველ რიგში, ყოფილი თავადების, ემიგრანტებისა და მათი ოჯახებისკენ იყო მიმართული. დე სადს, რომლის გვარიც კვლავ ფიგურირებდა ემიგრანტთა სიაში, ისევ დაემუქრა საფრთხე. მით უმეტეს, რომ დაწყებული ტერორის პირობებში, დე სადმა თავი გამოიჩინა, როგორც სიკვდილით დასჯის სასტიკმა მონინალმდებელმა. 1793 წლის დეკემბერში დე სადი ოვლაჟ დააპატიმრეს. ამჯერად მას ზომიერებაში სდებდნენ პრალს. ის ხშირად გადაწყვედათ პარიზის ერთი ციხიდან მეორეში და 1794 წლის ზაფხულში, პიკუუსის მონასტრის ტუსალიც აღმოჩნდა. მონასტერი რევოლუციამ სახელმწიფო დამინაშვეთა სატუსალოდ აქცია. სხვა პატიმართა შორის, იქ იმყოფებოდა დე ლაკლო. მონასტერთან ახლოს იყო გილიოტინა და დასჯილთა ცხედრებს მონასტრის ბაღში მარხავდნენ. გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ, დე სადი ასე აღწერდა თავის შთაბეჭდილებებს რევოლუციის დროინდელ ციხეებზე: „ჩემმა დაპატიმრებამ ხალხის სახელით, ჩემს თავზე დაკიდულმა გილიოტინამ მეტი ვნება მომაყენა, ვიდრე ყველა ბასტილიამ, ერთად აღებული“.

იგი გილიოტინაზე 26 ივლისს 20 სხვა ტუსალთან ერთად უნდა გაეყვანათ. ბედნიერმა შემთხვევამ დე სადი გილიოტინისგან იხსნა: გაურკვევლობის გამო, რომელიც გადაჭედული ციხეებში ბატონობდა, ის უბრალოდ, დაეკარგათ. 27 ივლისის შემდეგ კი იაკობინელთა ხელისუფლების ბრძანებები შეაჩერეს და 1794 წლის ოქტომბერში, დეპუტატ როვერის შუამდგომლობით დე სადი გაათავისუფლეს.

მაგრამ 1801 წელს, ნაპოლეონის ცენზორმა მის წინააღმდეგ სასამართლო საქმე აღძრა. ამის საბაზად იქცა დე სადის მორიგი ეროტიკული რომანის გამოქვეყნება, თუმცა ამ სასამართლო საქმის ქვეშარტი მიზეზი გახლდათ მისი პაფლეტის დაბეჭდვა, რომელშიც დე სადი ბოროტად დასცინოდა ნაპოლეონსა და მის ცოლს — ჟოზეფინას. დონასიენ ალფონსი გიჟად და საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად გამოაცხადეს და შარანტონში, ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოამწყვდიეს. მარკიზმა დე სადმა თავისი უკანასკნელი დღეები სწორედ იქ გაატარა. კლინიკის დირექტორმა ნება დართო დე სადს, ადგილობრივ თეატრში თავისი დრამები დაედგა. მარკიზი თავადაც მონაწილეობდა საკუთარ სპექტაკლებში, როგორც მსახიობი და უმეტესად, ავკაცთა როლებს თამაშობდა.

ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, ის ახალგაზრდა მსახიობ მარი-კონსტანს რენელთან ერთად ცხოვრობდა, რომლის შესახებაც შემდგომში

რენე-პელაჟი ქმრის ერთგული იყო მისი თორმეტწლიანი პატიმრობის პერიოდში, მაგრამ მაშინვე გაეყარა, როგორც კი მარკიზი ციხიდან გათავისუფლდა. მანამდე კი მან დე სადს გაქცევაც მოუწყო. მაგრამ პროვანსის პარლამენტის გადაწყვეტილება ძალაში რჩებოდა. ამიტომ, როცა 5 წლის შემდეგ, მარკიზი კვლავ გამოჩნდა პარიზში, ისევ დააპაფეს. კიდევ ერთი გაქცევა და — კიდევ ერთი დაჭერა. ამ შემთხვევაში, პატიმრობამ 10 წელზე მეტხანს გასტანა... „დაიხ, მე გარყვნილი ვარ — სწერდა ის რენე-პელაჟის, — და ვალიარებ კიდევ ამას; მე ყველაფერს ჩავენდი, რისი შეცნობაც შეიძლება ამ სფეროში, მაგრამ რა თქმა უნდა, არ გამოიკეთებია ყველაფერი, რაც შეეძინა, და, რა თქმა უნდა, არც არასოდეს გავაკეთებ. მე გარყვნილი ვარ, მაგრამ არც დამნაშავე ვარ და არც მკვლეელი“.

1784 წელს იგი ბასტილიაში გადაიყვანეს, სადაც პირობები გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ვენსენის ციხეში. 2 ივლისს, როცა დე სადი მოულოდნელად უარი უთხრეს გასეირნებაზე, მან ყვირილი ატეხა ფანჯრიდან, რომ „ამ ციხეში პატიმრებს ხოცავენ“, და შესაძლოა, ამით თავისი ნეკილი შეიტანა ბასტილიის განადგურებაში. 3 ივლისს სკანდალური პატიმარი, კომენდანტის თხოვნით, გადაიყვანეს შარანტონში, რომელიც იმ დროისთვის ერთდროულად ციხეც იყო და გიჟების თავშესაფარიც.

ბასტილიაში მარკიზი ბევრს კითხულობდა და თვითონაც წერდა. სწორედ იქ დაიწერა მისი პირველი ნიგნები: ათეისტური „დილოგი მღვდელსა და მომაკვდავს შორის“, პროგრამული თხზულება „სოდომის 120 დღე“, რომელშიც გადმოცემულია სადიზმის მთავარი პოსტულატები, ეპისტოლური ჟანრის რომანი „ალინა და ვალკური“. როგორც წესი, ამ ნაწარმოებებს ეპოქის არანაკლებ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლებად ასახელებენ, ვიდრე დიდროს „ჟაკ-ფატალისტს“ და დე ლაკლოს „სახიფათო კავშირებს“. საინტერესოა, რომ დე ლაკლოს რომანი შედიოდა იმ სიაში, რომელიც პატიმარმა თავად შეადგინა, რათა ბასტილიის კამერაში მიეტანათ მისთვის. იქვე, ბასტილიაში, სულ რაღაც ორ კვირაში შეიქმნა კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელიც მოგვიანებით ძალზე ცნობილი გახდა. ესაა, „ჟიუსტინა ანუ სათნოე-

დანერა: „ეს ქალი ანგელოზია, რომელიც ღმერთმა მომივლინა“. ისინი სათივეში ცხოვრობდნენ და მარკიზი რენელის პატარა შვილს უვლიდა, საცხოვრებლად საჭირო ფულს კი იმით შოულობდა, რომ ადგილობრივ თეატრში სცენის მუშად მუშაობდა.

ქალი, შვილთან ერთად, დე სადის სანახავად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაეშურა და როგორც ჩანს, დიდად არ დასწყვეტია გული, როცა შეიტყო, რომ ამ გასუქებულ, რევმატიულ და ნახევრად ბრმა მოხუცს ახალგაზრდა საყვარელი — მრეცხავი გოგო გაუჩენია... ფსიქიატრიულ კლინიკაში დე სადმა, დირექტორის ნებართვით, მის სანახავად მისული მარი-კონსტანს რენელი თავის უკანონო ქალიშვილად გაასაღა. მარკიზის უკანასკნელ საყვარელზე — მაღლენზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის სულ 15 წლის იყო, როცა 72 წლის დე სადს დაუახლოვდა. ასევე ცნობილია, დედამისი იმედოვნებდა, რომ მარკიზი დაეხმარებოდა მაღლენს, მასხიობი გამხდარიყო.

დე სადი უეჭველია, ისეთი ადამიანი იყო, რომელშიც რამდენიმე პიროვნება ერთიანდებოდა. ის ძლიერი ინტელექტითა და ჭეშმარიტი ლიტერატურული ნიჭიერებით იყო დაჯილდოებული. რადგან წარსულში, კავალერიის ოფიცერი იყო, უეჭველია, „ცხენით ჯირითიც“ უყვარდა და ყველაფრის განკვეპლაც, რაც რაიმეით ცხენს ახსენებდა. ამას გარდა, დე სადი, როგორც ჩანს, თვითონვე ისე იყო შემინებული თავისი მიდრეკილებებითა და ემოციებით, რასაც მასში ქალები იწვევდნენ, რომ ის ყოველთვის ცდილობდა, თავისი ნებისთვის დაემორჩილებინა ისინი, რათა ამათ საკუთარი თავი დაემორჩილებინა და საკუთარი მიდრეკილებები და ემოციები ჩაეხშო.

დე სადი 1814 წლის 2 დეკემბერს გარდაიცვალა. მამინ 75 წლის იყო. ანდერძში მარკიზი ითხოვდა, არ გაცვეთათ მისი გვამი და დაეკრძალათ, წარსულში მის საკუთრებაში არსებულ მამულში — მალმეზონში, რომელიც ტყის პირას მდებარეობდა. ანდერძში მან დანერა: „როცა მიწას მომყარებ, ზემოდან რკოები დამყარონ, რათა ახალგაზრდა ამონაყარმა დაფაროს ჩემი საფლავი და მისი კვალი საშუალოდ გაქრეს ისევე, როგორც ვიმედოვნებ, მე თვითონ გავქრები ხალხის მესხიერებიდან“...

აი, ამაში კი ნამდვილად „არ გაუმართლა“ მარკიზ დე სადს: მისი სახელი დავიწყებას არ მისცემია, მით უმეტეს, რომ კაცობრიობას ახლი სიტყვა და ცნებაც (თუ მიძიმე სენი?) დაუტოვა, რომელიც მისი გვარიდან წარმოდგება — „სადიზმი“. ეს სიტყვა შემდეგნაირად განმარტებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“: „1. სქესობრივი უკუღმართობა; გამოიხატება მისწრაფებით, ტკივილი მიყენოს პარტნიორს, ანამოს იგი თავისი სქესობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; 2. (გადატ.) სხვისი ნვალებით, ტანჯვით სიამოვნების მიღება (ფრანგი მწერლის, მარკიზ დე სადის სახელის მიხედვით, რომელმაც თავის რომანებში აღწერა ასეთი (იხ. მნიშვნ. 1) სქესობრივი უკუღმართობა). ლექსიკონი, საიდ-

ანაც ეს განმარტება ამოვიწერეთ, 1989 წელს გამოსცა გამოცემლობა „განათლება“ და იგი 1973 წლის გამოცემის შესწორებული და შევსებული გამოცემაა. ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დე სადი სიტყვის განმარტების მხოლოდ მეორე მნიშვნელობაში მოიხსენიება, როგორც სადიზმის მხოლოდ ალმწერი თავის რომანებში. მისი ცხოვრების გაცნობის შემდეგ კი, მკითხველს სრულიად სხვა შთაბეჭდილება შეექმნება.

მის არდავინწყებას მოწმობს აგრეთვე ისიც, რომ დე სადის ლიტერატურული შემოქმედება არათუ დაკარგულია, არამედ მრავალენაზე ითარგმნა. 1998 წელს, რუსეთში მისი ანთომეულის გამოცემა დაიწყო. და უმაღლესი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში: „მარკიზ დე სადის გამოჩენას ისტორიისა და კულტურის კონტექსტში ბედნიერ შემთხვევას ვერაფრით უწოდებ. რას იზამ: არსებობს პიტლერი, არსებობს ნერონი, არსებობს სტალინი და არსებობს დე სადი. იძულებული ვართ, მასზე ვილაპარაკოთ: ადამიანს, რომლის სახელთანაც მიძიმე ფსიქიკური დაავადება — „სადიზმი“ დაკავშირებული სამწუხაროდ, ლიტერატურული ნიჭი აღმოაჩნდა, ტალანტს ამას ვერ უწოდებ, მაგრამ ათი ტომი მანაც დაახვავა.

მის ლიტერატურულ დიდებას ნაპოლეონმაც შეუწყო ხელი, რომელმაც ფსიქიკურად დაავადებული მარკიზი ციხეში დაამწყვდია. საფრანგეთში კი, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ადამიანი, რომელიც ციხეში მოხვდება, საზოგადოების თვალში წმინდანად იქცევა ხოლმე, თუნდაც ის სერიული მკვლეელი იყოს. მარკიზს კი არავინ მოუკლავს, მაგრამ კარგი ანაზღაურების საფასურად, უყვარდა, როსკო ქალებთან მათრახითა და ნკუპლით ნებივრობა.

მაგრამ იმასთან შედარებით, რასაც ის თავის ნაწერებში „სწადიოდა“, მისი ცხოვრებისეული სექსუალური თამაშები უცოდველ გართობად გამოიყურება. რა თქმა უნდა, სადისტები მარკიზამდეც არსებობდნენ და მის შემდეგაც. მისი ლიტერატურული დიდება იმითაა განპირობებული, რომ ის აღვირახსნილი პოლიტიკური სადიზმის პიკზე გამოჩნდა, რომელიც თან ახლავს ყველა რევოლუციას, მათ შორის, დიდ ფრანგულ რევოლუციასაც.

სიმხეცე, რომელიც მარკიზ დე სადის ბუდუარში ხდებოდა, პარიზის მოედანსაც არ მოჰკლებია. განათლებულმა XVIII საუკუნემ, თავისი ბარბაროსობით, განათლებული ეპოქები დაჩრდილა.

მარკიზის გულახდილობა საკვებით შეფუერებოდა მარატისა და რობესპიერის სისხლიან გულახდილობას, რომლებმაც სიკვდილით საჯაროდ დასჯა ყველა პარიზელისათვის მუდმივ სისხლიან სანახაობად აქციეს.

მაგრამ სიტყვას მეტი ძალა აქვს, ვიდრე სახელმწიფოსა და ხელისუფლებას. დე სადმა აიძულა, მისი აზრობრივი გარყვნილებით მთელი საფრანგეთი, მოგვიანებით კი — წერა-კითხვის მცოდნე მთელი მსოფლიო „დამტკბარიყო“.

სიტყვის თავისუფლებას ორი პოლუსი აქვს: თუ მის ერთ მხარეს — ვოლტერია

(სხვათა შორის, ასევე ნახევრად აკრძალული რუსეთში), მაშინ მეორეზე — დე სადია, თუმცა — მინუს-ნიშნით.

გვინდა, კიდევ ერთი ციტატა მოვიხმოთ, გაზეთში — *Новые Известия* გამოქვეყნებული სტატიიდან მარკიზ დე სადის ანთომეულის პირველი წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით:

„რუსი მკითხველისათვის, რომელსაც ადრე არ ჰქონდა უბედურება, გასცნობოდა გარყვნილი მეფის შრომებს, დიდი აღმოჩენა იქნება, რომ ნაყოფიერი მარკიზი მხოლოდ გრაფომანი იყო და არა ფილოსოფოსი და მწერალი, როგორც ამის შესახებ ხმა იყო გავრდნილი. აკრძალული ხილი ყოველთვის ტკბილი ჩანს. ამ შემთხვევაში კი, ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ყველა მკითხველს უბრალოდ კბილი მოეკვეთება. თვითონ მარკიზი საკუთარ თავს მოაზროვნედ და თავისუფლების მქადაგებლად მიიჩნევდა. ღვლარჩნილი სახელწოდება — „ფილოსოფია ბუდუარში“ — რა თქმა უნდა, იზიდავს მკითხველს, მაგრამ არავითარი ფილოსოფია არაა ამ ნაწერებში. არის ავადმყოფობა და ზნეობრივი აღვირახსნილობა. ავტორის ფატაზია ძალზე უსიცოცხლოა, ფურცლიდან ფურცელზე მომთაბარებენ ეპისკოპოსები ფეკალური სინდრომით, რომლებიც ძაფებით კრავენ ნამუსახილ ქაღალტებს, მოსაწყენია ორალურ-ანალური და ჰომოსექსუალური აქტები, რომლებიც მორიგი მხეცური მკვლელობის პრელუდიას წარმოადგენს...“

ბევრს მიდრეკილება აქვს, დე სადში ფროიდის — ქვეცნობიერის მხეცური სიღრმეების აღმოჩენის წინამორბედი დაინახოს.


სინამდვილეში კი, სწორედ სიღრმეები არ ჩანს არსად, სიმხეცე არსებობს, მაგრამ ისევ და ისევ — ავადმყოფური სიმხეცე. ცხოველური სამყაროც გარკვეულ კანონებს ემორჩილება და სისასტიკე სულაც არაა ყოველგვარი ცოცხალის მთავარი მომპარებელი ძალა.

პიტლერი თავის ხილვებში ოცნებობდა გიგანტურ მოედანზე, რომელიც გაჭედული იქნებოდა ჩამომხრჩვალ ადამიანებით საცხე სახრჩობელებით. არავინ იცის, უნახავს თუ არა ამ უიღბლო დამწყებ მხატვარს ფრანგი გრაფიკოსის — ჟაკ კალოს ნახატები (ორი სურია „ომის უბედურებაში“), მაგრამ თავისი ავადმყოფური ოცნებების რეალიზება მან ქალაქდზე კი არა, რეალურ ისტორიაში მოახდინა. მარკიზ დე სადი ბელეტრისტიკის ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ მისი ბედის მეორე ვარიანტის წარმოდგენაც საკვებით შესაძლებელია: მას შეეძლო, ძალაუფლებისათვის მიეღწია და დაჩრდილა ნერონი და სტალინი. ნაპოლეონი ბრძნულად მოიქცა, როცა ციხეში ჩაამწყვდია ეს მანიაკი, თავისი შორსმომავალი ამბიციებით.

მიუხედავად საკმაოდ უბადრუკი ფანტაზიისა და სულის აშკარა დაავადებისა, დე სადმა უდიდესი გავლენა მოახდინა ფრანგულ და მსოფლიო ლიტერატურაზე. „შავი რომანის“ გამოჩენა XX საუკუნეში უცილობლად, მისი შრომებითაცაა პროვოცირებული.

საჩივრებო ბავშვები „კოვჩის საქო“, ვეზვის ნახაზი ჩატონი ხედი და „ბაკუნა“ ქველი ზივი

„ყველაზე მეტად, სიცოცხლე ამ ასაკში გინარია. როცა თინიჯერი ვიყავი, ძალიან მზილავედა ქუჩური ცხოვრება და თავი ძველი ბიჭი მეგონა“, — მითხრა მომღერალმა და მსახიობმა დიტო ძისიშვილმა, რომელიც „ვეოსტარიდან“ გახდა ცნობილი. ის დღეს საკმაოდ პოპულარულია და როგორც თვითონ ამბობს, შეეცდებოდა, ხალხს იმედები არ გაუცრუოს. მისთვის პროექტში გამარჯვებაზე უმთავრესი ის სიბო იყო, რომელსაც გარშემო მყოფებისგან გრძნობდა.



ლიპა ქაჩია

— ქუჩამ რთი მოგზობა?

— ალბათ, „რაზობრკებით“. ის აზრტულია. ბიჭებს ძალიან მოგვწონს იარალი, რაც ქუჩისკენ უფრო მეტად გვიბიძგებს ხოლმე. მქონდა თოფი და ამით ვამაყობდი... როცა ქუჩაზე „ბაზრობ“, აუცილებლად სუფთა უნდა იყო, თორემ, „დაგერხვა“... როცა უკვე ასაკში შედიხარ, ყალიბდები და გინეგს მომავალზე ფიქრი — თუ ვინ ან რა უნდა იყო მომავალში, მერე ქუჩის რაღაც დოზით შორდები.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— პირველ კლასში ფრიადოსანი ბიჭი ვიყავი, მეშვიდეში კი, უკვე „კარგი ბიჭი“ გახლდით.

— ეს რას ნიშნავს?

— გაკვეთილებს ვაცდენდი, სკოლის ეზოში „ვაბირჩავებდი“, სიგარეტს ვწენოდი და თავი მაგარი ტიპი მეგონა. მაშინ „ცეკვი“ იყო სიგარეტი „მორე“ — შავი და ძალიან გრძელი. თანაკლასელ ბიჭებს რაღაც შტაბი გვქონდა გაკვეთებული ვორონცოვზე, „კუტოკი“ ჩქ ვიკრიბებოდი და ვაბოლებდით. ვკაცობდით, რა.

— როგორც ვიცი, „მორე“ ქალის სიგარეტი...

— შეიძლება, მაგრამ მაშინ შავი სიგარეტის მონეგას თავისებური ეზი ჰქონდა... მერე, ამ სიგარეტებმა გამიარა და დავფიქრდი ჩემს მომავალ პროფესიაზე. გადავწყვიტე, რომ მომღერალი და მსახიობი უნდა გამოვსულიყავი.

— და დღეს მომღერალი ხარ თუ მსახიობი?

— ალბათ, უფრო მომღერალი, რადგან მწელი ვსწავლობდი კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ახლა ვდგავართ (დიტო კონსერვატორიასთან შემხვდა და ინტერვიუ იქვე ჩაენერეთ. — ავტ.) რაც

დე სადის შემდეგ გაჩნდა ცდუნება, პოლუსები შეეცვალათ: პლუსი, სადაც ადრე სილამაზე და ჰარმონია იყო გამეფებული, დემონსტრაციულად, მინუსად იქცა, ხოლო მწვერვალზე „ლეში“ მოექცა. უმსგავსობასა და სიმბინჯეს ფრთხილად უვლიან, უმღერენ, ნერგავენ. ეს უმაღლესი თავისუფლების გამოხატულებად მიიჩნევა. და შესაძლოა, მხოლოდ ახლა, მესამე ათასწლეულის დასაწყისში, როცა მშვენიერებისაგან მხოლოდ ნამსხვრევებია დარჩა, ბუნდოვნად ვინცები იმის გაცნობიერებას, რომ არანაკლებ დავამახინჯეთ და დავაბინძურეთ სულიერი სამყარო, ვიდრე ჩვენი საკუთარი ბუნება და გარე სამყარო.

რა თქმა უნდა, კულტურასა და ცივილიზაციას არ ახასიათებს უკუსვლა. როგორც შეუძლებელია ატომური ელექტროსადგურებისა და შავი მეტალურგიის კომპლექსების მოსობა, ასევე შეუძლებელია, ზურგი აქციო „შავი რომანის“ ტიტულოვან ფუქტებელს. მისი პროზა სამინელი გამოწვევაა ქრისტიანული ცივილიზაციისათვის. ეს კულტურის განადგურების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და ყველაზე მძვინვარე ცდაა, მთელი კაცობრიობისთვის სადიზმისა და სისასტიკის, როგორც ცხოვრების ნორმის თავს მოხვევა.

ჩვენი ქვეყნისათვის (რუსეთისთვის) აქ არავითარი გულახდილობა არაა. სისასტიკე და დაუნდობლობა ჩვენთან სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე ინერგებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ, ცხოვრების ყაიდაზე, რომელიც მუდამ ესოდენ განსხვავდებოდა ეროვნული ნორმებისგან. თავისუფლებამ ანაზღადა მოგვისწრო XX საუკუნის ბოლოს, ისევე, როგორც ანაზღადა დაეცათ თავს ფრანგებს XIX სასწლეულის დასაწყისში.

ირონია და თვითირონია მომგებიანად განასხვავებს მარკიზის თანამედროვე მიმდევრებს ლიტერატურული სადიზმის ფუქტებლისგან.

და კიდევ ერთი ციტატა ზემოსენებულ სტატიიდან: „მართალი გითხრათ, მეეჭვება, რომ პირველი ტომის შემდეგ ყველა დანარჩენი ტომიც გამოვიდეს. ასეთი სახის ლიტერატურაზე მოთხოვნილება აშკარად იკლებს. ცივილიზაცია ჯანმრთელდება. და მაღლობა ღმერთს! დე სადთან გამოთხოვება ისედაც გაჭიანურდა — რუსეთისთვისაც და მთელი კაცობრიობისთვისაც. მისი მოსვლის ერთადერთი დადებითი ეფექტი, მისი სასწრაფო ნასვლა ახალი საუკუნის ზღურბლზე დროა, დავემშვიდობოთ განუკითხაობას“.

რა თქმა უნდა, ჩვენ თვალი არ მიგვიდევნება, რამდენად პირნათლად შეასრულეს რუსებმა თავიანთი დანაბირები და გამოსცეს თუ არა მარკიზ დე სადის ლიტერატურული მემკვიდრეობის ათივე ტომი (თუ ინტერნეტის მონაცემებით ვიმსჯელებთ, ჯერ მხოლოდ სამი ტომი უნდა იყოს გამოსული), მაგრამ ჩვენდა საამაყოდ კი უნდა ითქვას, რომ დე სადის გადმოსაქართულეზლად არც ერთ ქართველ მთარგმნელს არ გამოუდგია თავი, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ძალიან სასიამოვნოა, როცა აღმოაჩენ — ქართველი მთარგმნელები რუსებზე გემოვნებიანები არიან...

შეეხება მსახიობობას, სულ 2 წელია, თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობ.

— მეშვიდე კლასის მერე სწავლაზე იმიტომ აიღე ხელი, რომ ეს „ტეხავი“ პონტი იყო?

— არა, გაკვეთილების მომზადება კი არ „ტეხავდა“, უბრალოდ, ამისთვის დრო არ მრჩებოდა... ერთი ისტორიის მასწავლებელი მყავდა — ლადო ხაინდრაგა. იცით, როგორი იყო? — მაღალი, უხვი...

— და მდაბალი?

— არა, თავმდაბალი. 25 წლის გახლდათ, ძალიან მაგარი კაცი იყო. კლასიდან ვინმეს გასვლა თუ უნდოდა, იმიზეზებდნენ: მასწავლებელი გავიდა, თუ ვინმე ამ ცრუმიზეზით გარეთ გავიდოდა, კლასში შემოსულს, ორი ბიჭი კართან ხვდებოდა და „ტისკავდა“. მაგარი კაცი იყო. მერე, როცა ჩვენი სკოლიდან წავიდა, ვგოგონები ტიროდნენ, ბიჭები კი, ცხვირჩამოშვებულები ვიყავით... ამის შემდეგ, გვყავდა ისტორიის მასწავლებელი, ქალბატონი ეთერ ჯავახიშვილი, რომელმაც საკლასო ჟურნალი თავში ჩამართვა, ძირს დამაგლო და „გამტყუნა“.

— რატომ?

— გაკვეთილს გვიტარებდა. მე ბოლო მერხზე ვიჯექი და რაღაცაზე ვფიქრობდი. ამ ქალის ყვირილმა გამომაფხიზლა და დავინახე, რომ მთელი კლასი გარეთ გარბოდა. მეც ნამოვხტი, მაგრამ გაქცევა ვერ მოვასწარი, ქალბატონი ეთერი კარში ჩადგა და არ მიშვებდა. მინდოდა მეთქვა, თუ შეიძლება, მეც გამიშვით-მეთქი, მაგრამ სხვანაირად გამოვივიდა და ვუთხარი: ქალ-

ბატონო ეთერ თუ შეიძლება, თავი შემაყოფინეთ-მეთქი და დავიხარე. ის გასათხოვარი ანუ ქალიშვილი იყო. გაგიჟდა, ეს რა მაკადრეო და ყურნალი თავში ჩამცხო. მასში თურმე, სანერი კალამი ედო და თავი იმდენად მეტყინა, რომ დღემდე არ გამიარა. მანუხებს, კაცო, ეს ტვივილი, მანუხებს... ჰოდა, გავიქეცი. გამომევიდა. მერე, ფეხი რალაცას ნამოკვარი, წაფიქეცი, თუმცა გონება არ დამიკარგავს — მომიხსლოვდა თუ არა, შიშისგან ნამოვხტი და გავიქეცი...

— სოცელქს გამო აღბათ, დორექტორს კაბინეტში სმირად გიბარებდნენ, არა?

— მართალია, ცელქი ვიყავი, მაგრამ ასხნა-განმარტებას არავინ მთხოვდა, რატომღაც ყველას ვუყვარდი.

— არ გყოლია ისეთი პედაგოგი, რომლისაც გერიდებოდა?

— ქართულ ენას და ლიტერატურას მასწავლიდა ჟუჟუნა გოგოჭური. ნარმოშობით მთიულეთიდან იყო, მე კი, ყოველ ზაფხულს მთაში ვისვენებდი და რომ ჩამოვდიოდი, მუუბნებოდა: დანერე, როგორ და სად დაისვენეო. ჩემს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდი და ამის გამო, მთელი წელი მაქებდა ხოლმე... იყო კიდევ ერთი, ჯიგარი ქალბატონი — მაგული იმნაძე, ქალი — ვაჟკაცი, ქულკანი, სიცოცხლე და რაც მთავარია, ჟალი მათემამცა.

— „მატალოზე“ არ მიდიოდი?

— აუფ, როგორ არა. მთელი კლასი „ავებუტებოდით“ და „ნავებუტებოდით“ ხან სად და ხან — სად. ერთხელ, როცა მორიგ „მატალოს“ ვანყობდით, ინგლისურის პედაგოგი, ნათელა ბიბილური შეგვცვდა, რომელმაც „გაკვეთილი“ ქუჩაში ჩაგვიტარა, „მიგვანმორა“... ერთხელ, სკოლიდან მართო სამი ბიჭი გავიპარეთ. ტროლეიბუსი „გაიჩითა“. მეც ავდექი და თოკს ჩავეჭიდე. უკნიდან ვილაც „პაპკიანი“, ღიპიანი კაცი მომიახლოვდა და იმას ვთხოვე: ძია, აკუმულატორი „დაჯდა“ და თუ შეიძლება, 1 წამით თოკი დაიჭირეთ, მძლოლს რალაც უნდა ვუთხრა-მეთქი. დაიჭირა და „დავანექი“, შორიდან ვუყურებდით მის საცოდაობას. მძლოლი გადმოვიდა და იმ კაცს ჩხუბი დაუწყო: ხომ არ გაგიჟდი, რას შერებო?! ღიპიანმა „მასტმა“ თავის მართლებას დაინ-

ყო, ჩვენ კი ბევრი ვიცინეთ.

— როგორც ვიცი, პლენანოველი ხარ ქუჩა ამ უბანმა შეგაყვარა, არა?

— არა, სვანეთის უბნელი გახლავართ.

— მით უმეტეს...

— (იციინის). ჰო, იცი, არა, როგორი უბანიცაა?.. პატარა რომ ვიყავი, მიყვარდა სიმღერა — „ასეთია ქურდი კაცის ბედი“, თან გიტარაზე ვუკრავდი (6 წლის ვიყავი) და ჩემი თავი მაგარი კაცი მეგონა. უფროსი თაობის ბიჭები ანუ „ვზროსლი“ ძმები დამიძახებდნენ ხოლმე და მამლერებდნენ. უბანში ერთი მაგარი ტიპი იყო, სულ თეთრი კოსტიუმით „იჩითებოდა“, ვალიკო ერქვა. უბანში ჩამიყვანდა, კალთაში ჩამისვა და მუუბნებოდა: ჩემი პატარა ძმა, ერთი შენებურად, ქურდული ვუუბერეო. ეს მისწორდებოდა და მეც „ვუბერავდი“. როცა გავიზარდე, სწორედ ამ ძმებმა, მამისტოლა ძმაკაცებმა დამიძახეს და მითხრეს: ქუჩა და ძველბიჭობა არაა შენი საქმე, ასეთი ცხოვრება ჩვენ მოგვანდე, ხელი არაფერში შეგუშლება, ოლონდ, მიანეკი შენსას და იყავი მაგარი ხელოვანი, ისეთი, რომ შენით ვიამაყოთ, ეს ძალიან გაგვახარებს. ჩვენ ჩვენებურად შეგინებოთ ხელს, შენ — შენებურადო...

— ძველბიჭობის დროს არავისთან გიჩუბია ან არაფერი მოგიპარავს?

— რა სისულელეა! უმიზნოდ არავის სცემენ. ის, ვინც შარს ტყუილბურალოდ მოგდებს, არის ხულიგანი, იგივე, „ბეზპრიდელშიკი“, რომელსაც პატივს არავინ სცემს... რაც შეეხება მოპარვას, არ მოგატყუებ და გეტყვი, რომ მომიპარავს ვაშლი, მსხალი, ატამი და ა.შ.

— უფრო სერიოზული, არაფერი?

— კი. მაშაქმს მოვპარე „სონის“ მაგნიტოფონი.

— და გაყიდე?

— არა, მოვპარე იმიტომ, რომ ის მანქანას ყიდდა და არ მიწოდდა, მაგნიტოფონიც გაყიდა. ამიტომაც, მოვიპარე და დავბალე. როცა მეორე მანქანა იყიდა, მაშინ დავუბრუნე.

— როცა ქუჩაში „ძველებთან“ ერთად იდგეს, მშობლები არ აპროტესტებდნენ?

— არა, რადგან იცოდნენ, როგორი შვილიც ჰყავდათ, რისი გამკეთებელიც ვიყავი. უსამართლოს არაფერს მოვიმოქმედებდი. ყველა ჩემს ძმაკაცს იცნობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ვქველბიჭობდი და „რაზბორკებზე“ დავდიოდი, არაფერს მიკრძალავდნენ.

— რალაც დოზით მაინც არ გაკონტროლებდნენ?

— არა, რადგან დაუმორჩილებელი ბავშვი არ ვიყავი... მაგრამ ისე არ გამოიგოთ, თითქოს „დედიკოს ბიჭი“ ვყოფილიყავი.

— როგორ ფიქრობ, ვინ არიან „დედიკოს ბიჭები“?

— ისინი არიან ის ადამიანები, რომლებსაც „სახლის კატებს“ ვძახდით, რადგან მათ მილიონიც რომ დაუდო, სახლიდან ვერ გამოიყვან. არსებობენ ისეთი ბიჭებიც, რომლებიც შენთან ძმაკაცობენ, კატიპობას აწვებიან, მაგრამ ცოლს მოიყვანენ თუ არა, მაშინვე არა მართო დედიკოს, არამედ „ცოლის“ ბიჭებიც ხდებიან. მაგალითად, თბილისში არის ერთი ძალიან

დიდი უბანი, სადაც საკმაოდ შეძლებული ხალხი ცხოვრობს (უბანს არ დავასახელებ) და მას „მონების უბანს“ ვძახით, რადგან იქ, ყველა ცოლი ქმარს „აწმორებს“.

— მიგაჩნია, რომ როცა ცოლს მოიყვან, მერეც სულ ქუჩაში უნდა იყო და ოჯახს არ უნდა მიხედო?

— არა, მე ამას არ ვგულისხმობ, მაგრამ ცოლის გამო, ძმაკაცები არ უნდა დაკარგო. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

— თინეჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. ასე რომ, მყავდა, მაგრამ არც მყავდა...

— შენი გული დღესდღეობით დაკავებულია?

— ახლა მხოლოდ ერთ გოგონზე ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი, მიყვარს თუ არა. არ მიწდება, სიყვარული აფუხსნა, მერე კი მიტყვედ, რომ თურმე, არ მიყვარებია და მოვატყუო, გული ვატყინო. ჩემთვის სიყვარულს სხვა დატყვითვა აქვს. მიმანია, თუ შეყვარებული ხარ და ეს სიყვარული ორმხრივია, მაშინ ის გოგო ცოლად უნდა შეირთო. როცა ვილაცასთან ერთობი, ის შენი შეყვარებული არ არის და ასეთმა გოგონებმა ყოველთვის იციან, რომ მათდამი სიყვარული კი არა, რალაც სხვა მამოძრავებს.

— ბიჭისთვის „ტყვავი“ პონტი რა არის?

— არ უნდა იყო „ბოზი“ (პირით ბოზი), მლიქვნელი, გოთვერანი.

— ლექსების კითხვა თუ მოგწონს?

— ძალიან მიყვარს პოეზია და პროზაც. საპირფარეოში ყოფნისას (სადაც ზოგიერთი ადამიანი ლექსს ან მესიჯს წერს), წიგნის კითხვა მევალება და იქ ჩაუფუდები ხოლმე.

— რამდენი ხანი ზიხარ?

— წიგნის კითხვის სათრით, დაახლოებით, 45 წუთი მაინც მიწევს იქ ყოფნა.

— ვი. ოჯახის წევრები ძალიან ცუდ დღეში გყავს, არა?

— არა, რადგან ოჯახში 3 საპირფარეო გვაქვს — რომელშიც გინდა, იმაში შედი... სააბაზანოში კი, სოლო კონცერტს ვმართავ. მრავალფეროვანი რეპერტუარი მაქვს — ვინც კლასიკური ნაწარმოებებით და ძალიან რომ დამარტყავს თავში, „პარულალოს“ შემოქმადებ ხოლმე და სააბაზანოდანაც გამოვიდვარ...

— სიმღერის დროს, ცეკვა კოდვ?

— არა, ცეკვას ქუჩაში ვახერხებ. მოკლედ, თავიდან ბოლომდე ხელოვანი ადამიანი ვარ... ამ ზაფხულს ქობულეთში, მეგობართან — ოთარ გრძელიშვილთან ერთად ვიყავი. ნასვამები მივაბიჯებდით თამარ მეფის ქუჩაზე. როცა ვფეხისა და მოყმის ძეგლი დავინახეთ, ერთმანეთს გადავხედეთ და კვილი დავინწყეთ: გააშველიყვეთ, ჩხუბობენ, უშველიყვეთ!.. — და ადგილს მოვწყდით, გიჟებივით გავრბოდით. ძეგლს რომ მივუახლოვდით, ვფეხს შევახტი და ხელი ხახაში ჩაუტყენე, ოთარი კი, მას მხარზე შეახტა... ხალხის რეაქცია უნდა გენახათ, „დაიშოკენ“.

— დიტო, თბილისელი ხარ?

— არა თქმა უნდა. „თბილისელი ვარ, თბილისში გაწნდი, მეაყვება, ვარ ბედნიერი“...

— მაშინ, „ჯეოსტარში“ ხევსურეთის სახელით რატომ გამოხვედი? როგორც ამბობენ, ეს იმიჯისთვის გააკეთა?

— სისულელეა. როცა კასტინგზე მივედი, ჩემი წარმოშობა იკითხეს. რომ გაიგეს, დედა



თბილისელი ვარ, თბილისში გაწნდი, მეაყვება, ვარ ბედნიერი...

ხევისური მყავს და თან, გარმონზე დაკვრა შემოდ-
ლია, მითხრეს: ხევისურეთის სახელით გამო-
დიო.

როგორც ვიცი, და გყავს...

— ჰო, ჩემი მათხოვარი, სალომე, რომელიც
18 წლისაა და სახელმწიფო უნივერსიტეტში,
ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავ-
ლობს. სხვათა შორის, სანამ იქ ჩააბარებდა,
ვეუბნებოდი: ამ ფაკულტეტზე რა გინდა, როცა
სახლში თვით ხელოვნება გყავს-მეთქი?!

**დას მათხოვარს რატომ ეძ-
ხნ? ფულს გთხოვს ხოლმე?**

— პირიქით. სალომეს ყოველთვის აქვს
რალაც თანხა და წელიწადში ერთხელ თუ
გამიტებს ხოლმე ჩემთვის ხურდას. რად-
გან ფულს არ მადლევს, მათხოვარს ვეძახი...

**როგორი უნდა იყოს ქალი,
რომ შენი მოახვალა შეძლოს?**

— კეთილი, გულწრფელი, უღალატო,
სათნო. ღალატი ისეთი რამეა, რასაც ქალს
ვერაფრით ვაპატიებ, ეს ამბავი შეიძლება,
სიკვდილით დამთავრდეს, რადგან ადვილი
მოსალოდნელია, „გადაამეკეტოს“.

**მაგრამ მამაკაცს ხომ ეპატიე-
ბა ღალატი?**

— (იცინის) გინდა, მაგარი რალაც გითხრა?
— აბა, გისმენ.

— იცი, რომ ძმაკაცს ფესაცმელი არ
უნდა ათხოვო?... ხშირად მაცვია ჩემი მე-
გობრის ტანსამოსი, მასაც აცვია ჩემი,
მაგრამ სხვებისას, არაფერს ჩავიცვამ. როცა
ძმაკაცი ფესაცმელს გთხოვს და მისცემ,
მას სხვა სთხოვს, იმას კიდევ — სხვა და
ა.შ. ბოლოს კი დაგიბრუნებენ, მაგრამ იმ
ტუფელში ფესს არ ჩაყვოფ.

**მაგრამ შენ ხომ არ იცი, რომ
შენმა ძმაკაცმა ფესაცმელი სხვას
ათხოვა, იმან კიდევ — სხვას და ა.შ.**

— აი, სწორედ ეგ არის ღალატი. თუ
ადამიანი გიყვარს, არ უნდა უღალატო. მე
ჩემს ცოლს არასოდეს, არასოდეს ვუღალ-
ატებ. ფუ, შორს ჩემგან ღალატი...

„ჯეოსტარში“ როგორ მოხვდი?

— ეს ჩემი ძმაკაცების წყალობით მოხ-
და, რომლებმაც ჩემში სიმღერის ნიჭი აღ-
მოაჩინეს. მაგარი პროექტია. „ჯეოსტარში“
პასუხისმგებლობის გრძობა კიდევ უფრო
გამიმძაფრა, კიდევ უფრო მეტად მასწავლა
მეგობრობა, ადამიანებთან ურთიერთობა...

**და რაც მთავარია, პოპუ-
ლარული გაგხდა, არა?**

— თუ ქუჩაში მცნობენ, ეს მართლაც
„ჯეოსტარის“ დამსახურებაა და ძალიან
ვამაყობ, რომ ამ პროექტში ვმონაწილეობ-
დი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონ-
და, გავიმარჯვებდი თუ არა, რადგან ხალხ-
ისგან დიდი სითბო ვიგრძენი და ეს ბედ-
ნიერებისთვის სრულიად საკმარისია.

როგორია პოპულარობა?

— კარგია, თუ ცუდი პიარით არ მიაღ-
ნიე ამას. თან, პოპულარობის მიღწევა
ადვილია, მისი შენარჩუნებაა ძნელი. ის
თავში არ უნდა აგივარდეს, უნდა დარჩე
ისეთივე კარგი, როგორიც მანამდე იყავი.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია
მოგვეწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავ-
ალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას
დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ
გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და
რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო,
დაგვიმისიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.

გააღსაფრთხილა

ნიკა, 27 წლის:

„თიკა, ძალიან მაგარი ხარ, პოლიუდი
მოგიხდებოდა და გათხოვილი რომ არ იყო,
ცოლად მოგიყვანდი (რა თქმა უნდა, თუ
გამომყვებოდი). ისე, მაინტერესებს, პატიმრე-
ბზე რა აზრის ხარ?“

თიკა ფაცაცია:

— აფსუს... პატიმრებზე რა უნდა ვი-
ფიქრო?... არ ვიცი, რა გითხრა...

ნიკა, 16 წლის:

„გამარჯობათ. ძალიან მინდა, რაიმე მირ-
ჩიოთ. ტელეფონის მეშვეობით ერთი ბიჭი
გავიცანი. მგონი, შემიყვარდა. ის კი მესიჯებს
ალარ მწერს. მთელი 8 თვე ვკონტაქტობოდი
ერთმანეთს. რას მირჩევთ, კიდევ მივწერო
რაიმე თუ მის მესიჯს დაველოდო? თუ ვაინ-
ტერესებ, მომწერს, არა?“

თიკა ფაცაცია:

— ერთმანეთს თუ 8 თვის განმავლობაში
ვკონტაქტობოდი, მაშინ იმის უფლება ნამდ-
ვილად გაქვს, რომ დაურეკო და მიზეზი
მინც გაიგო, რატომ აღარ გიმესიჯებს. იქნებ,
შენ დაუშვი შეცდომა ან იმ ბიჭის ცხოვრება-
ში რაიმე სიახლე, როცა მიზეზს გაიგებ, უფრო
დამშვიდდები. დამიჯერე, გაურკვევლობაში
ცხოვრება ძალიან რთულია.

ნიკა, 19 წლის:

„ლიკა, გთხოვ, დამიბეჭდე. ძალიან მიყ-
ვარს ერთი გოგო — ნათია, რომელიც სილ-
ნალის უნივერსიტეტში სწავლობს. ის ჩემმა
ძმაკაცმა გამაცნო. ნათიას ტყუპისცალი ჰყავს
— თათა, ისიც საყვარელი გოგოა, ერთმა-
ნეთს ძალიან ჰგვანან, მაგრამ რატომღაც, ნა-
თია ვარჩიე. ის ერთი ნახვით შემიყვარდა.
მეგონა, დრო რომ გავიდოდა, დამეინყდე-
ბოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, სიგაჟმდე
მიყვარს, მაგრამ რომ ფურეკავ, ხმას არ მცემს.
როგორ მოვიქცე?“

თიკა ფაცაცია:

— გააჩნია, როგორი ხასიათი აქვს შენს
რჩეულს. ზოგს ზედმეტი ყურადღება ალიაზი-
ანებებს, ზოგს — პირიქით, პასიური ბიჭები
არ მოსწონს. მაინც ჯობს, მის გვერდით
იტრიალო, თავი შეაყვარო. ხელის ჩაქნევა და
ყურების ჩამოყრა არაფერს მოგიტანს. ბო-
ლოს და ბოლოს, ტელეფონით თუ არ გელა-
პარაკება, სილნალში ჩადი, უნივერსიტეტთან
მიდი და სადაც ის გეგულება, იმ ფანჯრის
ქვეშ დადექი და უმღერე. დამიჯერე, გოგონებს
სიყვარულის აფიშირება ძალიან მოსწონთ.

უცნობი, 13 წლის:


„ერთი ბიჭი შემიყვარდა, ის 18 წლის
არის. მას მხოლოდ მოვწონვარ და ესეც, მისი
ძმაკაცისგან გავიგე, თვითონ არაფერს მიმხ-
ელს. მითხარით, რატომ იქცევა ასე?... არადა,
ისე თბილად მიღიმის ხოლმეე...“

თიკა ფაცაცია:

— მართალია, ალბათ შენ თავი დიდი გოგო
გგონია, მაგრამ სიმართლეს თვალში უნდა
შეხედო, ასე იმიტომ იქცევა, რომ ჯერ პატარა,
მხოლოდ 13 წლის ხარ. ვფიქრობ, მას შენი
ასაკი აფრთხობს. ეტყობა, იმ დროს ელოდება,
როცა ცრტაით მაინც ნამოიზრდები.

უცნობი, 20 წლის:

„თიკა, „პრირეჯტ“. მგონი, შენ შეძლებ ჩემს
დახმარებას. ტელეფონით ერთი გოგო გავ-
იცანი, რალაც დროის განმავლობაში, ერთმა-
ნეთს ვმესიჯებოდი. მან თავი შემეყვარა,



მაგრამ ახლა, თვითონ არ მიტყდება სიყ-
ვარულში. მეუბნება: შენს შეყვარებას მანამ
ვერ შევძლებ, სანამ პირისპირ არ განახვო,
მაგრამ იცის, რომ ეს შეუძლებელია, რადგან
„დაკვტილი“ ვარ.“

თიკა ფაცაცია:

— ე.ი. ციხეში ზიხარ, არა? მესიჯებით
ურთიერთობის დაწყება კარგია, ასე ადამი-
ანის ხასიათს ეცნობი, მაგრამ ვიზუალურ
მონაცემებსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.
მარტო პლატონური სიყვარული არაფერს
მოგიტანთ, იმიტომ იმ გოგოს ნუ მოსთხოვ,
გინდა თუ არა მითხარი, რომ გიყვარვარო.
გაგარძეულ მასთან SMS ურთიერთობა და როცა
„გაიხსნები“, მაშინ შეხვდები. იმედია, ყველაფერი
კარგად იქნება, მოეწონები. ახლა კი ნუ ცდილ-
ობ, მას სიტყვები პირიდან ამოგლიჯო, როცა
საჭიროდ ჩათვლის, ეს მაშინ უნდა გითხრას.

უცნობი, 17 წლის:

„ლიკა, ძალიან მაგარი რუბრიკა გაქვს.
მინდა, მივმართო „გზის“ ყველა მკითხველს,
გავიცნობდი ლესბოსელ გოგონას, რომელიც
გულახდილად მომიყვებოდა თავის ამბავს.
საინტერესოა, რას გრძნობენ ისინი ქალების
მიმართ. ისე, თიკა, საინტერესოა, შენ რას
ფიქრობ ასეთ „გადახრილ“ ადამიანებზე?“

თიკა ფაცაცია:

— ადამიანი თვითონ ირჩევს თავისი ცხ-
ოვრების წესს და ჩემს თავს ვილაცის გაკრი-
ტიკების უფლებას ვერ მივცემ. შესაბამისად,
ვერაფერს ვიტყვი ორიენტაციარეულ ბი-
ჭებსა და გოგონებზე, რადგან მათ ის გზა
აირჩიეს, რომელიც მოსწონდათ. მე მხოლოდ
ჩემს თავზე ვარ პასუხისმგებელი და ჭორაო-
ბა არ მიზიდავს.

ნიკა, 18 წლის:

„თქვენი რჩევა მჭირდება და იქნებ, დამეხ-
მაროთ. მყავს შეყვარებული. მან ოჯახის წევრე-
ბიც გამაცნო, მაგრამ ამ ბოლო დროს, ნაკ-
ლებს ყურადღებას მითმობს. აქამდე ყოველ-
დღე მირეკავდა, ახლა კი, ზოგჯერ, მთელი 2
დღე აღარ მეხმიალება. რა ვქნა?“

თიკა ფაცაცია:

— რა უნდა გირჩიო, როცა არ ვიცი, ის
ბიჭი რას საქმიანობს, იქნებ, ოჯახის შექმ-
ნისთვის ფულს აგროვებს ან რალაც ამდაგ-
ვარი? იმიტომ ჯობს, შენს საქმრის ამ საკ-
ითზე გულახდილად დაელაპარაკო და ის
გაგცემს პასუხს. წარმატებებს გისურვებ!

ნიკი, 16 წლის:

„თიკა, ძალიან მიყვარხარ. შენს შემოქმედება-
ში რა ხდება, სიმღერის ჩანერას ხომ არ აპირებ?“

თიკა ფაცაცია:

— ვაპირებ კი არა, აუცილებლად ჩაენერ.
ასე რომ, მე ისევ მოვგელანდებით..

ლალი შაბია

ლამის კლუბური ცხოვრება ჩვენს ქალაქში შედარებით ახალი ხელია. ის ნელ-ნელა იდგამს ფეხს. იმ ლამის კლუბების რაოდენობის ჩამოსათვლელად ხელის თითებიც გვეყოფა, სადაც შევა ადამიანი და საიმოვნებას მიიღებს ავლბარში არის ერთი ასეთი ადგილი, რომელსაც „თაკოს კლუბს“ ეძახიან, ვინაიდან იქ მენეჯერი თაკო დოლაბერიძე გახლავთ. არტ-მენეჯერების ფუნქციას მისი მეგობრები — ნინა ანდრონიკაშვილი და ნარსულში ტელენამცვანი, ამასთან, დიპლომატი მენეჯერი, გია გუმბერიძე ითავსებენ. ამ ადამიანებს ძირითადად, ლამით უწევთ მუშაობა. მათთან ელიტარული თბილისელები და ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები იკრებიან. 10-11 საათზე დაწყებული კონცერტი გვიან ღამემდე, ზოგჯერ — გათენებამდეც კი გრძელდება. იქ თინეიჯერებს ნაკლებად შეხვდებით, რადგან კლუბის ფორმატი ელექტრონულ მუსიკას ან რეპს დიდად არ „წყალობს“. ორგანიზატორების მიზანია, თანამედროვე ქართულ საესტრადო ხელოვნებას გაუჩინონ პოპულარიზაცია. „თაკოს კლუბში“ მღერიან: მერაბ სეფაშვილი, გიო ხუციშვილი, ნატო გულაშვილი, ლელა ნურნუშია, დათო გომართელი, ნუცა შანშიაშვილი — როცა თბილისში იმყოფება. თაკომ, ნინამ და გიამ იქ ისეთი „ამინდი“ და ატმოსფერო შექმნეს, რომ ელიტარ თბილისელებს კლუბში მისვლა საიმოვნებას ანიჭებთ.

ჩვენს რუბრიკაში სწორედ თაკო, ნინა და გია შეხვდნენ ერთმანეთს.

ერთი უარჯანი და ორი კახა



ახე რახოე ვარ უქაუს გია გუმბერიძე ორი გაუიოვნაზუც ქალს

საიმოვნება მივანიჭო, დასვენებისა და გართობისთვის შესაფერისი სიტუაცია შევუქმნა. ისე, ბედნიერი ვიქნები, თუ ტელევიზიას ისევ დაუბრუნდები. მაქვს რაღაც იდეები და შემოთავაზებები. ვნახოთ. ბოლო დროს, პიარის ხელოვნებასაც დავეუფლე — ინსტიტუტში ჩავაბარე და თეორიულადაც ავითვისე ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების ნიუანსები.

თბაკო:

— როგორ უძლებ ჩვენთან მუშაობას — ორ სხვადასხვა ხასიათის ქალს, რომლებიც არასდროს გემორჩილებიან?..

— ეს თქვენ გგონიათ, რომ არ მემორჩილებით, სინამდვილეში, ვერც კი გრძნობთ, ისე ხართ ჩემ მიერ დამორჩილებულები (იციან). ხუმრობა იქით იყოს და თქვენთან თავს კომფორტულად ვგრძნობ, ადამიანებთან ურთიერთობა ორივეს შესანიშნავად გამოგდით და ამიტომაც ხართ ჩემი მეგობრები. ისე, ძალიან მძიმე ხალხი ხართ. ახლა მინდა, ჩემი დახმარების ფონდი შევექმნა, მკითხველს მივმართო თხოვნით — იქნებ, ნინა და დებებო, რჩევებით, სურვილებით რალაცნაირად მისხნან, რადგან ველარ ვუმკვლავდები ამ ორ უმძიმეს ქალს. რამდენჯერმე დათო ოქიტაშვილსაც დავურეკე (ის ხომ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს) და ვთხოვე — მიშველე და ჩემი უფლებები დაიცავი, რადგან თაკო დოლაბერიძე და ნინა ანდრონიკაშვილი ჩემს შემოქმედებით თავისუფლებას ზღუდავენ-მეთქი. დათომ მიპასუხა: ამის შესახებ ნერილობით მომახსენეო...

თბაკო:

— ჰო, მართლაც ხშირად ვჩხუბობთ და ვსოცავთ ერთმანეთს... ისე, მე გამშველბლის ფუნქციას უფრო ვასრულებ — შენ და ნინას გაშველბთ. თუ შეიძლება იყავი გულახდილი და თქვი — ეს ჩხუბი რის გამო იმართება ხოლმე?

— ჩხუბი ძირითადად, იმის გამო ხდება, რომ ორივე ნელ-ნელა, თანამედროვე ქალბატონების ჩაცმულობაზე გადახედით და ჩემმა ორმა კდემამოსილმა მეგობარმა, გახდა დაინწყეთ, კლუბში თითქმის სრულიად შიშვლები დადისხართ. თქვენი ჩაცმის სტილს შევარქვი: „რაღა დაგიმალთ!...“ ბოლო დროს შენ, თაკო, ცოტათი გამოსწორდი, ჩაცმა დაინწყე, ალბათ, შეგცივდა... უბედურება ის არის, რომ ნინას არასდროს სცივა.

თბაკო:

— გასათხოვარი ქალი ვარ, არავინ მაკონტროლებს. რატომ განუბნებს ჩემი ჩაცმის საკითხი?! რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, როგორ ჩავიცვამ?

— როგორ, ჩემი უახლოესი მეგობრების მდგომარეობამ არ უნდა შემაწუხოს?!

თბაკო:

— კარგი. ჩვენი ჩხუბის ერთი მიზეზის შესახებ ვთქვიო. მეორე რა არის?

ნინა:

— ისიც კარგად მახსოვს, ერთხელ კედელთან რომ მიგვაყენე, გვიყვიროდი და ნოტაციებს გვიკითხავდი...

— იქნებ, ჩახედოთ სარკეში — რა დღეში ხართ, რას ლაპარაკობთ?! ამ კლუბში ძირითადად, თქვენი „პაკლონიკები“ დადიან, არადა, კაცი ორ ჭიქას რომ დალევს და გახდილ ქალს დაინახავს, რა დამეართება?

თბაკო:

— იმის თქმაც გინდა, რომ უწნოები ვართ და მამაკაცმა თუ არ დალია, ისე ვერც შეგვაშინებს?! კარგი, ახლა ასეთ კითხვაზეც მიპასუხე: ჩვენ ძირითადად, ლამით ვმუშაობთ. ზოგჯერ, ლამისთვის დღევ გადაგვიბამს. როგორ ახერხებ, ოჯახსაც მოუარო და უამრავი სხვა საქმეც მოაგვარო?

ქართული ჟურნალი — თბაკო ფოლაპარიძე
და ნინა ანდრონიკაშვილი
რასკონაწენში — გია გუმბერიძე

ნინა:

— ნლების განმავლობაში ტელევიზიაში მუშაობდი, პარალელურად, შოუბიზნესშიც საქმიანობდი, არაერთი ცნობილი ქართველი მომღერლის პროდიუსერობასაც კისრულობ. არჩევანის ნინაზე რომ დადგე, რომელს სფეროს აირჩევდი — ტელევიზიას თუ შოუბიზნესს?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან ნლების განმავლობაში, თითქმის პარალელურად, ტელევიზიაშიც ვმუშაობდი და შოუბიზნესშიც. ძალიან მიყვარს ორივე სფეროში საქმიანობა და მათ ერთმანეთს კარგად ვუთავსებდი. ასევე, მიყვარს საკლუბო მუშაობაც, რომელიც თავიდან, ნლების წინ „ელიტ-კლუბში“ დავიწყე და დღეს, თქვენთან ერთად ვაგრძელებ.

ჩემს საქმიანობაში ყველაზე მეტად ის მიზიდავს, რომ შემიძლია, ადამიანებს

— 24 საათი ვმუშაობ, თეთრს თეთრზე ვანებებ, ოჯახსაც ვუვლი და უამრავ სხვა საქმესაც ვაგვარებ... ინტრიგანული შეკითხვა დამისვი, არა?.. იცი, რომ დღისით გაღვიძება მიჭირს. აბა, ღამეს რომ ვათენებ, ძილი არ მინდა?! დატვირთული ღამის შემდეგ, ძალები არ მოვიკრიბო?! ახლა მკითხველს მოვუყვები, თუ რა გააკეთე ერთხელ პირადად შენ: ღამის 4 საათზე, ჩემთან სახლში რომ მოხვედი და თავზე დოღგარმონიანი მუსიკოსები დამაყენე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთან ყველას ეძინა, სახლში დღიამდე ტაშ-ფანდური გამიმართე.

თბაკო:

— ხუმრობ, ხომ?! ახლა რასაც ამბობ, ეს შენი ოცნებაა — რომ ერთხელაც ასე მოგადგვ. შენ მშვიდი ადამიანი ხარ, მე — ხმაურიანი; ამიტომ გთავაზობ, ცოლად მომიყვანო; მშვენიერი ტანდები გამოგვივა და გადასარფი ოჯახიც გვექნება. ეს ადრეც გითხარი, მაგრამ რატომღაც, თავს იკავებ. რატომ?

— კარგი, რა! ასეთი ძალადობა არ გამიგია.

თბაკო:

— რა ძალადობა. შენ არ იყავი, ვაკის პარკთან, სარეკლამო მონიტორზე რომ გააშვებინე ასეთი ტექსტი: „თაკო დოლაბერიძე, მიყვარხარ. შენი გოუნა“? ვაკეში მიგდიოდი და შემთხვევით მოვკარი თვალი ამ ტექსტს. ისე, რომ იცოდებ, ბევრ გიუნას ვუყვარვარ!

ნინა:

— ამ ორ ადამიანს რომ ვუყურებ, მგონია, მათ შორის რაღაც ხდება, ფარული გრძნობები, ფარული გრძნობები...

— მიმაჩნია, რომ ორივე, წარმატებული ადამიანები ხართ. რაში მდგომარეობს თქვენი წარმატების საიდუმლო?

თბაკო:

— ყველაფერი მინც ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებიდან მოდის, ამას ეყრება. ეს კარგად გამომდის, საქმეს მიაღვილებს. თავიდანვე ისეთ ადამიანთან მომიწინა მუშაობამ, რომლის გვერდით მიღებულმა გამოცდილებამ ბევრი რამ შემიძინა.

ვის გულისხმობ?

— გოგი თოფაძეს. მისი კომპანიის თანამშრომელი სრულიად ახალგაზრდა გავხდი და ბევრი რამის სწავლა მომიხდა... კიდევ ვიმეორებ, ადვილად შევდივარ კონტაქტში და უპრობლემოდ ვუმეგობრდები ადამიანებს.

ნინა, შენ რას იტყვი?

— არც მე მაქვს პრობლემები ადამიანებთან. ნებისმიერ პიროვნებასთან კონტაქტს ადვილად ვუღებ ალღოს. მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. არ მიყვარს საქმის მიმართ ზერეულ დამოკიდებულება.

ნებისმიერისგან რაღაცას ვსწავლობ, თუნდაც, ის ახალგაზრდა იყოს, მყავს უამრავი უმცროსი მეგობარი. ჩემგანაც სწავლობენ რაღაც-რაღაცებს, ალბათ, ეს ყველაფერი ერთად განაპირობებს ჩემს წარმატებულობას.

— ვიცი, რომ ორივე კარგი ოჯახიდან ხართ და თითოეული თქვენგანისთვის ოჯახს დიდი მნიშვნელობა აქვს. რას ფიქრობთ — როგორ უნდა იყოს იდეალური ოჯახი?

ნინა:

— ოჯახური იდილია საუცხოო რამ არის. რა სჯობია, როდესაც ოჯახის წევრები, ყველანი ერთად იკრიბებიან, სუფრას მიუსხდებიან და სადილობენ?! ცოლი სახლში, სამზარეულოში ფუს-ფუსებს, ქმარი, სამსახურიდან დაბრუნებული, ტელევიზორთან ზის და გაზეთს კითხულობს... მე ასეთი ოჯახი ვერ შევექმენი, თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს ურიგო დედა და დიასახლისი ვიყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტი შეიძლებოდა. არა, არც არაფერს ვნანობ...

თბაკო:

— ვისურვებდი, ისეთი ოჯახი შექმენოდა, როგორიც ჩემს მშობლებს ჰქონდათ. ჩვენს ოჯახში ჩხუბი, აყალმყალი და ხმამაღალი სიტყვა-პასუხი არ ყოფილა. ყოველთვის წყნარი და მშვიდი გარემო იყო.

— ამის გარდა, რასაც დღეს საქმიანობთ, კიდევ

რას გააკეთებდით?

ნინა:

— მხატვარ-კერამიკოსი ვარ. სიამოვნებით მივუბრუნდებოდი და გავისვენებდი ჩემს ძველ პროფესიას. გავაკეთებდი ღამაზე კერამიკულ ლარნაკს ან მინაზე ვიშუავევდი.

თბაკო:

— სურვილი მაქვს, მქონდეს ფეშენბელური საბავშვო ბაღი, რომელსაც ვიცი, რომ კარგად გავუძლებოდი. ბავშვებთან ურთიერთობა მსიამოვნებს, ამ დროს ვისვენებ ხოლმე.

— სისტემატურად ღამის გატეხა ძნელი არ არის თქვენთვის? და საერთოდ, ღამეს რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში?

ნინა:

— ღამე რელაქსაციისთვის საუკეთესო დროა. ჩემთვის ცხოვრება ღამით იწყება, ენერჯია მემატება, როდესაც ბინდდება. სხვათა შორის, დიდხანს ძილი არ მიყვარს და ალიონსაც სიამოვნებით ვეგებები ხოლმე.



თქვენმა დაუშრეტელმა ენერჯიამ ჩემი გულის ძარღვები „შეჭამა“...

თბაკო:

— ძნელია ღამით მუშაობა, დაძაბული რეჟიმი გვაქვს, რადგან კლუბში მოსულ ადამიანებს, ყველას მინდა, რომ კარგად მოვემსახურო. ეს ყველაფერი დამლულელია, მაგრამ ჯერჯერობით, არ მიჭირს — ალბათ, ახალგაზრდული ენერჯია მაკეთებინებს ამას.

— კი, უზღვავე ენერჯია რომ გაქვთ ორივეს, ეს მეც ვიცი. თქვენმა დაუშრეტელმა ენერჯიამ ჩემი გულის ძარღვები „შეჭამა“... რა გეგმები გაქვთ თითოეულს, ესეც მითხარით?

თბაკო:

— მინდა, ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ვოცნებობ იმაზე, რომ ყველა კარგად იყოს, გვიყვარდეს ერთმანეთი და ქვეყნად მშვიდობა სუფევდეს.

ნინა:

— თაკოს ვეთანხმები. — ძალიან მიყვარხართ. ორივე სიკეთით სავსეები ხართ და აი, ეს არის, რაც თქვენთან მაჩერებს. წინსვლას გისურვებთ!

ქართლისტილი — ზია ბუბაბერიძე
სამსიონიანი — თბაკო ლოლაბერიძე და ნინა ანდრონიკაშვილი

— თაკო, როდის ხარ ბედნიერი?

— როდესაც ირგვლივ ყველა კარგად მყავს, როდესაც ჩემს ახლობლებს პრობლემები არა აქვთ. ასეთი დღე, სამწუხაროდ, იშვიათად მაქვს.



ორივეს ჩაემის სტილს შევარქვი: „რაღა დაგიმალეთ!“ (ნინა, გია, თაკო)

შემზარავი ტრაგედია მღვდლის ოჯახში

31 წლის მოძღვარი, მისი მეუღლე და 3 მცირეწლოვანი შვილი საკუთარ სახლში გამოწვეს

დასაწყისი იხ. გვ. 15

„ცეცხლი ყოველნაშს ძლიერდება. სამინელი ხმაური ისმოდა, ყველაფერი გრუხუნებდა...“

იმ კვირა ღამეს, როგორც კი გავიგეთ, რომ მამა ანდრეის სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა, მაშინვე „სახანძროს“ დაურეკეთ და სასწრაფოდ მოსვლა ვთხოვეთ. სახანძრო სამსახური კი, ჩვენს სოფლიდან მთელი 40 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ამიტომაც ვერ მოვიდნენ დროულად. რას მიუხსნებდნენ? სახლი სულ უფრო და უფრო ეხვეოდა ცეცხლში. გვერდით გახედვასაც ვერ ვასწრებდით, ცეცხლი ყოველნაშს ძლიერდებოდა. სამინელი ხმაური ისმოდა, ყველაფერი გრუხუნებდა... ვიცოდით, რომ მღვდელი და ბავშვები შიგნით იყვნენ, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვაკეთებდით, ვიდექით, ამ უბედურებას ვუყურებდით და საცოდაობით ვტიროდით, მესხანძრეების მოლოდინში. ხანძარი ისე მძვინვარებდა, რომ არათუ სახლს, ეზოს ახლოსაც ვერ ვეკარებოდით. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო... „სახანძრო“ ნაშუალამევეს გამოჩნდა, უკვე 4 საათი იქნებოდა დაწყებული. ძალიან გვიანი იყო... ყველა ვხედებოდით, რომ ცოცხალი ვეღარავინ გადაარჩებოდა, სახლში ყველა გამოინვა... ცეცხლი გამოთენისას ჩააქრეს. ამასობაში მილიციამ და „სასწრაფო დახმარება“ მოაღწია და ნაშუაგებში დაიწყეს დაღუპულთა სხეულების ძებნა. ჯვარი, რომელიც მღვდელს გულზე ეკიდა, ცეცხლს გადაურჩა თურმე და სწორედ ამ ჯვრით ამოუცნიათ მილიციელებს მამა ანდრეის ცხედარი...

ჩვენს სოფელში მამა ანდრეი თავისი ოჯახით სულ ერთი წელია, რაც ცხოვრობდა. ისინი მეზობელი სოფლიდან — ლოპატინოდან გადმოვიდნენ. ამბობენ, რომ იმ სოფელში უკვე სცადეს მათი საცხოვრებელი სახლის გადანვა. იქ აღარ დაეგოთებოდათ და ამის გამო გადმოვიდნენ ჩვენთან. ეს ოჯახი ძალზე კარნაგეტილად ცხოვრობდა. თავად მამა ანდრეის ხშირად უწევდა გამგზავრება, მისი მეუღლე და შვილები შინ მარტო რჩებოდნენ ხოლმე, მაგრამ ამის მიუხედავად, დედა ოქსანა არ ცდილობდა, მეზობლებს დაკონტაქტებოდა. საოჯახო და სამეურნეო საქმიანობას ძირითადად, მღვდლის მეუღლე უძღვებოდა. მინათმოქმედებას ეწეოდა და ამის გამო, ძალზე დაკავებული იყო. როცა სამუშაოდ გადიოდა, შვილებს სახლში მარტო ტოვებდა. ბავშვები პატარები იყვნენ, მაგრამ ძალიან ჭკვიანები და მშობლების მორჩილები. მარტო თუ დარჩებოდნენ, ერთმანეთს უვლიდნენ. ამის შესახებ თავად დედა ოქსანა აღნიშნავდა. მეზობლები მას მალაზიაში გვადებოდით ხოლმე. დედა ოქსანა იქ პროდუქტების საყიდლად ხშირად დადიოდა. სხვათა შორის, ერთხელ გამყიდველმა მითხრა, ყოველთვის მინიმალურ პროდუქტს — პურს, მარილს და ბურღულეულს ყიდულობს და არასდროს შეუძენია რაიმე ნუგბარ-

იო. ამბობენ, რომ გემრიელ საკვებსა და ტკბილეულობას მამა ანდრეი და მისი ოჯახი სულსთვის მაგნე ფუფუნებდა მიიჩნევდა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ფული არ ჰქონდათ და საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდნენ... ვიცი იმის შესახებ, რომ დედა ოქსანას გული ანუხებდა. ამ უბედურებამდე ერთი კვირით ადრე ის საავადმყოფოშიც იწვა, მაგრამ ოთხშაბათს, რადგან უკეთ გრძნობდა თავს, გამოუწერა. ბოლოს ის სწორედ კვირას — იმ საშინელ დღეს ვნახე. სოფლის გზაზე შეხვდით ერთმანეთს, შემთხვევით და მითხრა, დღეს ან ხვალ, ქმარ-შვილთან ერთად, დედამითლთან — სოფელ ნოვამი ვაპირებთ გამგზავრებასო. დედა ოქსანას შინ დაბრუნების შესახებ სოფელში ბევრმა არც იცოდა, შემთხვევის დღეს ის ჯერ კიდევ საავადმყოფოში ეგულბობდა და ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ ხანძრის დროს შინ არ იქნებოდა“.

ვერსიები

რუსმა სამართალდამცველებმა შემთხვევის პირველსავე დღეებიდან, მკვლელობის სამ ვერსიად დაიწყეს მუშაობა. ამის შესახებ გენერალ-მაიორმა ალექსანდრ კულიკოვმა განაცხადა. მისი თქმით, გამოძიება, სხვა ვერსიებთან ერთად, არც ნინასნარ განზრახულ მკვლელობას გამოირიცხავს. ვარაუდობენ იმასაც, რომ ბოროტმოქმედებმა, რომელთაც მღვდლის ოჯახის ამონევეტა ნინასნარ ჰქონდათ დაგეგმილი, ცოლ-ქმარი და უმწიუ, უდანაშაულო ბავშვები ჯერ იარადით, რიგრიგობით მოკლეს, შემდეგ კი, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდეს... გამოძიების მეორე ვერსია ეხება უბედურ შემთხვევას, რომელიც სახლში დამონტაჟებულ ელექტროხელსაწყობთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგი უნდა იყოს. არ გამოირიცხავენ არც მესამე ვერსიას — ოჯახში ცოლ-ქმარს შორის მომხდარ ჩხუბს, ამ დროს ცოლის ან ქმრის მიერ ჩადენილ დანაშაულს, შემდეგ კი, ოჯახის დანარჩენი წევრების მოკვლისა და თვითმკვლელობის ფაქტს...

მკვლელობის ვერსიის პარალელურად, სამართალდამცველებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უბედურ შემთხვევაში ეჭვი არ ეპარებოდათ და ამის შესახებ განცხადე-

ბებს მთელი კატეგორიულობით აკეთებდნენ. მაგალითად, რუსეთის გენპროკურატურის ტვერის რაიონის საგამოძიებო განყოფილების უფროსი მიხაილ სოკოლოვი შემთხვევის პირველსავე დღეებში დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ტრაგედიის მიზეზი, ოჯახის წევრების დაუდევრობის გამო გაჩენილი ხანძარი იყო. „ხანძრის მიზეზი ჯერ-ჯერობით დადგენილი არ გახლავთ, მაგრამ ამ ეტაპზე არსებული მასალებიდან გამომდინარე, განზრახ მკვლელობას ან რაიმე ძალადობაზე ლაპარაკი ყოველად უსაფუძვლოა“, — განაცხადა **სოკოლოვმა**.

ბევრმა მიიჩნია, რომ გამოძიების ასეთ ადრეულ ეტაპზე მსგავსი კატეგორიულობა, მით უმეტეს, საგამოძიებო უწყებების წარმომადგენელთათვის, შეუფერებელი იყო. ამიტომაც, რიგ სამართალდამცველთა მხრიდან ასეთ განცხადებებს ახალი ეჭვები მოჰყვა. საგაზეთო უბოლიკაციებში უკვე აღინიშნა, რომ დანაშაულებს მფარველები შესაძლოა, სამართალდამცველთა შორისაც ჰყავდნენ...

ნიკოლაევის ოჯახის მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, გავრცელდა განსხვავებული ინფორმაციაც. რამდენიმე მონმე ირწმუნება, რომ მღვდლის ოჯახი სიღარიბეში სულაც არ ცხოვრობდა. მათი ჩვენებების მიხედვით, მამა ანდრეი „აუღის“ მარკის ავტომანქანით დადიოდა და საკუთარი ბიზნესიც ჰქონდა. რამდენად უტყუარ ცნობებს იძლევიან აღნიშნული მოწმეები, ამას გამოძიება გაარკვევს, მაგრამ მომხდართან დაკავშირებით ახალი ვერსია — ფინანსური დაპირისპირებით გამოწვეული შურისძიება, — ამ დღეებში აშკარად გამოიკვეთა...

ფაქტია, რომ მამა ანდრეის ზედიზედ ორჯერ მოუხდა ცხოვრების თავიდან დაწყება, ამას თავი შესანიშნავად გაართვა და წელშიც მალე გაიმართა. სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ ფული მას ბანკიდან არ აუღია, არ არსებობს არანაირი მონაცემი კრედიტის თაობაზე. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, მან ფული სესხად, კერძო პირებს გამოართვა. არსებობს ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაცია ენ. მოსკოველების თაობაზე: ამ ინფორმაციის თანახმად, ვილაც მოსკოველებმა მამა ანდრეის ახალი სახლის მშენებლობისთვის 10 ათასი დოლარი ასესხეს. მამა ანდრეი აღნიშნული თანხა დროულად ვერ დააბრუნა, რის გამოც, მევალებთან ურთიერთობა დაეძაბა. მღვდელს ვალი არაერთხელ შეასენეს, მაგრამ ამით შედეგს რომ ვერ ვივალდინეს, მუქარაზე გადავიდნენ. არსებობენ მონმეები, რომელთა თქმით, მამა ანდრეი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, ხშირად მიმართავდა სამართალდამცველებს თხოვნით, დაეცვათ ტანად და მისი ოჯახი მოსალოდნელი საფრთხისგან...

ვერსიებზე გამოძიება აშკარად მუშაობს. ჯერჯერობით, სავარაუდო ეჭვმიტანილები გამოვლენილი არ გახლავან, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ ვრცელდება. საგამოძიებო ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ ძიება ყველა კუთხით მიმდინარეობს და ამიტომაც, როგორც თავად აღნიშნავენ, ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე კომენტარის ისინი თავს არიდებენ. ■



ანდრეი ნიკოლაევი ოჯახთან ერთად

„დაზარალებული ტყუის...“

ბრალდებული ადამიანის დაჭრასა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს

ბრალდების მხარემ წარსულში ნასამართლევი პირი, ამჯერად ორი ადამიანის მიმართ გამოჩენილ სასტიკ ძალადობაში დაადანაშაულა. დანაშაული, რომელიც გამოძიების მასალების მიხედვით, შურისძიების მოტივით იქნა ჩადენილი, სისხლის სამართლის კოდექსის ორი — 120-ე და 108-ე მუხლებით დაკვალიფიცირდა. ბრალდება საქმის სასამართლო განხილვის შედეგადაც დადასტურდა, მაგრამ განაჩენს, რომლის მიხედვითაც მსჯავრდადებულს მკაცრი რეჟიმის საპრობილემი 11 წელი უნდა გაეტარებინა, საჩივარი მოჰყვა. მსჯავრდადებულის მხარე განაჩენს უსამართლოს უწოდებდა და არათუ მკაცრი სასჯელის შემსუბუქებას, არამედ საერთოდ, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას მოითხოვდა.

დანაშაულის ფაქტი 2004 წლის იანვარში მოხდა. იმ დღეს სერგო გორგოძე (გვარები შეცვლილია), დაახლოებით, საღამოს 10 საათზე, ქალაქ ოზურგეთში, ტაქსების გაჩერებასთან მთვრალი იდგა. გორგოძემ ტაქსის დაქირავება გადაწყვიტა და სწორედ ამის გამო მოუხდა კამათი, ასევე მთვრალ ოთარ სადილიანსა და ვლადიმერ პოპოვთან. მათ ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა, სალაყენეს, მაგრამ იმ მომენტში, კონფლიქტი მეტად აღარ გამწვავებულა. ისედაც დაძაბული სიტუაციის კიდევ უფრო გართულების თავიდან ასაცილებლად, სადილიანი და პოპოვი იქურობას გაცალკენ და საოფელ დვაბაშუს მიმართულებით გასაფრთხენ. რაც შეეხება გორგოძეს, მას სიტუაციის განმუხტვაზე არც უფიქრია. პირიქით, ზემოთ აღნიშნულ პიროვნებებზე განაწყენებულმა, საქმის გარჩევა მოინდომა და მათ დაედევნა. დაახლოებით 200 მეტრის გავლის შემდეგ, სადილიანსა და პოპოვს გორგოძე დაენია და მიაძახა, — რატომ შემაგინეთო? პირველად პოპოვს მიუახლოვდა. როგორც გამოძიების მასალებში წერია, ქურთუკიდან დასაკეცი დანა ამოიღო, გაშალა და პოპოვს მოუქნია. ჭრილობა პოპოვმა მარცხენა წინამხრის არეში მიიღო. დანით მიყენებული დაზიანება, ექსპერტების დასკვნის თანახმად, მსუბუქი ხარისხის იყო.

პოპოვის დაჭრის შემდეგ, გორგოძე იქვე მდგარი სადილიანსკენ მიტრიალდა, რომელიც იმ მომენტში, დაჭრილი პოპოვის გამოსარჩლებას ცდილობდა. ბრალდების თანახმად, მისი საქციელით გაღიზიანებულმა გორგოძემ, შურისძიების მოტივით, დანა სიცოცხლისთვის სახიფათო ადგილას, გულმკერდის არე-

ში, ზედიზედ ორჯერ ჩაარტყა და დაინახა, სასიკვდილოდ დაჭრილი სადილიანი როგორ დაეცა თოვლზე. გორგოძე დარწმუნდა რა იმაში, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, სისხლიანი დანაკვლავ უბეში ჩაიღო და იქაურობას გამოორდა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად, ოთარ სადილიანი გარდაიცვალა. ჭრილობებმა მუცლის ღრუში მწვავე ფარული სისხლდენა გამოიწვია და სიკვდილის უშუალო მიზეზიც ეს გახდა. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ჩადენილი დანაშაულის გამო დაკავებულმა გორგოძემ სამართალდამცველებს ჩვენება მისცა. როგორც ის ამბობს, მკვლელობა წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია და თავად გახდა მთავარი მამაკაცების მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი, რა დროსაც იძულებული იყო, თავი დაეცვა და ამ მიზნით, იარაღი გამოეყენებინა. მისი ინტერვიუს დაამცველმა ადვოკატებმა კი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესზე აღნიშნეს, რომ თავდაცვის მომენტში, გორგოძემ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილა. ამის გამო, მათ ბრალდების მიერ წაყენებული 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) 113-ე მუხლზე (აუცილებელი მოგერიება ფარგლების გადაცილებით) გადაკვალიფიცირება მოითხოვეს. ადვოკატების თქმით, გორგოძეს სასჯელის ზომაც სწორედ ამ მუხლის შესაბამისად უნდა განსაზღვროდა.

„განაჩენი, რომლის მიხედვითაც სერგო გორგოძე განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს, მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის — ვლადიმერ პოპოვის ჩვენებებს ემყარება. ეს ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც თავის თავად მეტყველებს იმაზე, რომ დაზარალებული ტყუის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოპოვმა თავდაპირველად ამ დანაშაულში სულ სხვა პიროვნება — გოგი მისიურაძე ამხილა. ამ ჩვენების საფუძველზე, გამოძიებამ შესაბამისი ზომები მიიღო და პოპოვის მისიურაძეს დაუპირისპირა. საქმის მასალებში არსებობს დაპირისპირების ოქმი, სადაც დაფიქსირებულია, რომ დაზარალებულმა მისიურაძეს, როგორც მკვლელს, კიდევ ერთხელ დაადო ხელი. ამის შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რადგან სამართალდამცველების წინაშე, გორგოძემ სადილიანის მკვლელობის ფაქტი აღიარა და ჩადენილ დანაშაულში თავი დამნაშავედ ცნო კიდევაც, მა-

გრამ არა — განზრახ მკვლელობაში, არამედ თავდაცვის ფარგლების გადამეტებაში. გორგოძეს ძიებისთვის თავი არ აურიდებია, პირიქით, თავისი ალიარეობითი ჩვენებით დაეხმარა სამართალდამცველებს, ობიექტური გამოძიება ჩატარებინათ და ჭეშმარიტება დაედგინათ. სამწუხაროდ, ამის ნაცვლად, გამოძიებამ სულ სხვა კურსით დაიწყო სვლა, გეზი რატომღაც გორგოძის ბრალის დამძიმებისკენ აიღო და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ყოველივე ეს პრიველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რადგან ამასთან დაკავშირებით, რეალურ სურათს თავად საქმის მასალები იძლეოდა“, — აღნიშნა საჩივარში მსჯავრდადებულის ადვოკატმა. მისივე თქმით, გორგოძე წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ, როგორც ამას საქმეში ბრალდების მხარე აფიქსირებს. ადვოკატი ირწმუნება, რომ გამოძიებას გორგოძის ნასამართლობის დამადასტურებელი ცნობა არა აქვს და შესაბამისად, არც საქმეში დევს მსგავსი საბუთი. ამის პასუხად, ბრალდების მხარემ კომპიუტერიდან ამონაბეჭდზე მიუთითა, რაც მსჯავრდადებულის ადვოკატის თქმით, მტკიცებულებად არ უნდა მიჩნეულყოფილიყო. მისი თქმით, საქმეში ოფიციალური ცნობის ასლი უნდა იდოს. სასამართლომ კი გორგოძის ნასამართლობის ფაქტი ბრალის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა.


მსჯავრდადებულის ინტერესების დამცველ ადვოკატს ამ საკითხში პალატის მოსამართლეები დეუთანხმენ. მათი განმარტებით, საქმის მასალებში მართლაც არ მოიპოვება ნასამართლობის შესახებ ოფიციალური ცნობა, მხოლოდ კომპიუტერულ ამონაწერს კი საბუთის ძალა არ გააჩნია. ყოველივე ამის საფუძველზე მათ ბრალიდან მითითება გორგოძის ნასამართლობის შესახებ ამორიცხეს.

თუმცა, მოსამართლეებმა არ გაეთვალისწინეს ადვოკატის არგუმენტი განზრახ მკვლელობის ნაწილში. „...საქმის მასალებში მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადილიანი თავს ესხმოდა გორგოძეს, არ მოიპოვება. მოცემულ შემთხვევაში მოხდა ურთიერთშელაპარაკება, ჩხუბი, რასაც გორგოძის მხრიდან განზრახ დანაშაული მოჰყვა. სასამართლომ ჩადენილი ქმედება ამ ნაწილში სასამართლიანად შეაფასა“, — აღნიშნულია განჩინებაში. მოსამართლეებმა მსჯავრდადებულს შეფარდებული სასჯელიდან მხოლოდ ორი წელი დაუკლეს და საბოლოოდ, მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მსჯავრდადებული, რომელიც მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში საკუთარ უდანაშაულობას ირწმუნებოდა, მორიგი პრეტენზიებით ვერავის მიმართავდა, რადგან პალატის განჩინება საბოლოო გახლავთ და ის არ საჩივრდება. ■

„ამ ქალაქში ვინ არ არის ჩამოსული?..“

ის გორის რაიონის სოფელ ვარიაში დაიბადა, სკოლაც იქ დაამთავრა და უმაღლესი განათლებაც თავის კუთხეში მიიღო. გიორგი კანდელაკი პროფესიონალი მოკრივეა, თუმცა აქტიურ სპორტს უკვე რამდენიმე წელია, ჩამოსცილდა. მის წარმატებაში მამამისს — ან გარდაცვლილ თარაშ კანდელაკს დიდი წვლილი მიუძღვის. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გიორგი სპორტსმენი გამხდარიყო. პატარა მოკრივე ყოველდღე დაჰყავდა სავარჯიშოდ — ვარიანიდან გორში. მომავალ სპორტსმენს თავიდანვე ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა და თავისი წარმატებებით უამრავი ადამიანის გული გაუხარებდა. პროფესიონალურ რინგზე ჩატარებული 11 ბრძოლიდან, 11-ივე მოგებული აქვს.

— მსოფლიო მაქვს მოვლილი. უამრავი დიდი თუ პატარა ქალაქი მინახავს და მიუხედავად იმისა, რომ დღეს დედაქალაქში ვცხოვრობ, ვარიანსა და გორს არც ერთი არ მიჩვენებია. არსადაც არ ჩამოვსულვარ — დღესაც ჩემს ვარიან-



ში ვარ, შაბათ-კვირას ჩემს კუთხეს ვაკითხავ სოლმე.

— **თბილისი არ გიყვარს?**
— როგორ არა?! მაგრამ ხომ ვამბობ — შაბათ-კვირას ვარიანში მივდივარ. რომ არ წავიდე, ვავიწყდები. იქ არიან ჩემი საყვარელი ადამიანები, მეგობრები, ახლობლები.

— **ამიტომაც ამბობ — ვარიანიდან თბილისში არ ჩამოვსულვარო?**

— თბილისში ერთადერთი, სოხობი ცხოვრობდა და მგონი, ისიც ჩამოსული იყო. ერთი მითხარი, ამ ქალაქში ვინ არ არის ჩამოსული? ყველა საიდანაც გადმოვიდა აქ საცხოვრებლად... კარგად მახსოვს ის წლები, როცა ნახევრად აქეთ ვიყავი, ნახევრად — რუსეთში, უცხოეთის ქვეყნებში, იმის გამო, რომ გორში არსებული პირობები ჩემი კარიერისთვის საკმარისი არ იყო. მაგრამ გორს არ გავორგულებივარ. პირველად 8 წლის ასაკში მოვხვდი საზღვარგარეთ. 12-13 წლის ასაკში, ამერიკაში, 2 თვით ვიყავი წასული. ვნახე ეგვიპტე, ევროპა... მაგრამ იქ ვერასდროს ვიცხოვრებ, ჩემი კუთხე, ქვეყანა მიჩვენია.

— **რას უსურვებ გორელებს?**

— იქ წესიერი და პატიოსანი ხალხი ცხოვრობს. მომავალ თაობას ვუსურვებ, რომ ასეთებად დაზრდილიყვნენ. ■

„პუპსიკებთან“ ახალი წელი უკვე მოვიდა

ტელესერიალ „ასას“ წელს ახალი პერსონაჟები შეემატა. ცოლ-ქმარ „პუპსიკებს“ პარტნიორები გამოუჩნდნენ. „პუპსიკების“ როლებს მსახიობები მალხაზ ქვრივიშვილი და გოგოლა კალანდაძე ასრულებენ. მათი ოჯახის ხშირი სტუმარია ცოლის დაქალი — მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი. ეკა კახიანი — მამაკაცი „პუპსიკას“ სიდედრია. სერიალში მონაწილეობს რუსთაველის თეატრის მსახიობი დათუნა გოცირიძე, ის გოგოლას ძმის როლს ასრულებს. არის კიდევ ერთი პერსონაჟი — პაატა გულიაშვილი. აგრეთვე რუსთაველის თეატრის მსახ-



იობი, რომელიც ორ პერსონაჟს განასახიერებს — ოჯახის კახელი ნათესავისა და გოგოლას სტილისტის. ასე რომ, დიდად მხიარულობენ „ასას“ პერსონაჟები. ამ დღეებში ისინი ძირითადად, წინასაახალწლო გადაღებებით არიან დაკავებული. მათ ოჯახში ახალმა წელმა უკვე შემოაბიჯა.

მადონა მასაძე (პროდიუსერი):

— ინერება და ინერება სცენარი, საახალწლო განწყობილებას რომ შეეფერება, ისეთი. გვინდა, სიურპრიზები შევთავაზოთ მაყურებელს და გავახაროთ. თუმცა, წელს პერსონაჟების სიმრავლის წყალობით, „ასას“ რეიტინგმა საგრძნობლად აიწია. პირობას ვდებთ, რომ მაყურებელს შესაბამის საახალწლო განწყობილებას შევუქმნით. ■

აუთანდილის ჩვენება თბილისში ოთხწლიანი პაუზის შემდეგ

დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ უკვე დიდი ხანია, „ფანჯარა გაჭრა“ დასავლეთისკენ, იქაური მოდის სამყაროში თავისი სათქმელიც ჯერჯერობით მოკრძალებულად თქვა, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, მომავალში მეტის გაკეთებას აპირებს. ამისთვის კი თავდაუზოგავად შრომობს. ისე მოხდა, რომ ევროპის პოდიუმებზე გამოსვლის შემდეგ (მილანი, პარიზი, ათენი, მოსკოვი, კიევი), სამშობლოში მოდელუბის ჩვენება უკვე ოთხი წელია, არ გაუმართავს და ახლა სწორედ ამისთვის ემზადება.

წინასაახალწლოდ, 23 დეკემბერს, იგი ახალი კოლექციით მოდის მოყვარულთა წინაშე წარდგება.

ავთანდილი:

— ჩვენთან არაერთი დიზაინერი აწყობს ჩვენებას, თითოეულს იმის სურვილი აქვს, რომ რალაც ახალი და განსხვავებული აჩვენოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მათ არ იციან, ნებისმიერ სივრცეში როგორ წარმოადგინონ კოლექცია. 23-ში მათ ამის მაგალითს ვუჩვენებ. ზუსტად ისე მოვანყობ ყველაფერს, როგორც ევროპაში. „პაკაზი“ „ნაით-ოფისში“ მეჩვენბა... ■



გიო ხუციშვილი დღისით ბიზნესითაა დაკავებული, ღამით კი — სიმღერით

მომღერალი, ბიზნესმენი, მსახიობი გიო ხუციშვილი იმდენად პოპულარულია, რომ შეუძლებელია, დღეს თბილისში რაიმე ღონისძიება ჩატარდეს და გიო არ მიიწვიონ. გასულ კვირას ის მეგობრებთან ერთად „სითი ქლაბში“ მღეროდა. სწორედ იმ წუთებში კი, მასზე სიუჟეტს გადაცემა „დროება“ ამზადებდა. მის ტელეპორტრეტზე ჟურნალისტი გიორგი ახვლედიანი მუშაობდა. გიომ თითქმის ყველა ცნობილი ჰიტი შეასრულა. საღამო ჩატარდა სახელწოდებით — „მეგობრებთან ერთად“. მის გვერდით სცენაზე იდგნენ: ლელა ნურნუშია და

თათია გორგობიანი: „ჩემი საეიზიტო ზარათი თმა და სიცილია...“

— **თათია, რას საქმიანობ?**
 — ამჟამად ორ ახალ სიმღერაზე ვმუშაობ. ერთი კომპოზიტორ გია მაჭარაშვილს ეკუთვნის, მეორე — ლილიკო ნემსაძეს. ალბათ, ჩემი ახალი ნამუშევრები დღის სინათლეს მალე იხილავს.

— **რაც ტელეკარიერას ეხება, ამ კუთხით რას აკეთებ?**
 — ჯერჯერობით, მხოლოდ სამომავლო პროექტებზე ვლაპარაკი.

— **ახლა სად ხარ და რას აკეთებ?**
 — სახლში გახლავართ და პატარა ნიტუკასთან ერთად ვერთობით მე და მისი მამიკო; ნიტუკას ჩემი ტელეფონი უჭირავს ხელში და მე მიირეკავს (იციინის).

— **რამხელაა ბავშვი?**
 — წლის და ორი თვის.

— **რა ამის პასუხია და გიყვარს მასაჟი?**
 — ძალიან. ჩემი პირადი მასაჟისტიც მყავს. გასულ ზაფხულს დავედიოდი მასთან. ხანდახან ახლაც ვაკითხავ, რადგან ეს პროცედურა სხეულისთვის სასარგებლოცა და სასიამოვნოც.

— **სოლარუმშიც დადინარ?**
 — იშვიათად. გასულ ზაფხულს რამდენჯერმე ვიყავი. ზომიერად, სოლარიუმის სხივების მიღება ცუდი სულაც არ არის. ისე, ბუნებრივი მზის სხივებით უფრო ვირუჯები ხოლმე.

— **რა არის სიზმარი?**
 — ჩემთვის მოსახდენი ამბების წინმსწრები საინფორმაციო საშუალება: ყველაფერი ვიცი ხოლმე, რაც უნდა მოხდეს.



— **ცრურწმენების, მაგალითად შავი კატის და ასეთი რალაცების გჯერა?**
 — შავი კატისა და რალაც მსგავსი არ მჯერა. უბრალოდ ვიცი, რომ იქ, სადაც არის კარგი, აუცილებლად ცუდიც იქნება და — პირიქით.

— **აზარტულ თამაშში წაგება რა განწყობილებაზე გაყენებს?**
 — ცხოვრებაში ხან მოიგებ, ხან — წააგებ. ეს ცხოვრების წესია. წაგებას ჩვეულებრივად ვხედე და ვეგუებ.

— **აზარტული ხარ?**
 — ზომიერად. ვიცი, სად უნდა გავჩერდე, ზღვარი სად არის.

— **რა არის ტელევიზორი?**
 — ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წყარო.

— **ტელევიზიით გამოსული პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ კომენტარებს ეთანხმები, თუ მათ აზრები გალიზიანებს?**
 — ვცდილობ, მათ ნაკლებად მოვუსმინო. თუ რაიმე მოვლენა აქტუალურია ან იძაბება სიტუაცია, მაშინ რა თქმა უნდა, ვილაცის აზრებს ყურადღებას ვაქცევ ხოლმე.

— **მათხოვარს ფულს აძლევ?**
 — როცა ამის საშუალებაა, კი.

— **ვინმეს თუ დამუქრებინარ?**

— რა სისულელეა! თუმცა, ვილაც-ვილაცებისგან წყენა მახსოვს.

— **ერთი ნახვით შეყვარების გჯერა?**
 — არ მჯერა. ერთი ნახვით მონონება არსებობს, რომელიც მერე შეიძლება, გარკვეულ გრძობაში გადაიზარდოს. „შენ ერთი გყავს და გეყოფა“ (ეს სიტყვები ბოლოს, გვერდით მყოფმა მეუღლემ — ლუკა ხოჯავამ „დაანია“, რაზეც ყველას სიცილი აგვიტყდა).

— **სად მუშაობს ახლა ლუკა?**
 — ლუკა „მზემია“, „ვაკაჭი“-ისა და „თბილისური საგას“ რეჟისორია.

— **ძველი ფოტოსურათები რას გეუბნება?**
 — იმას, წარსულში რა იყო, რა ლამაზი იყო და რა ლამაზად გრძელდება...

— **ახლა რომელი ზღაპარი გასენდება?**
 — „ბრემენელი მუსიკოსები“. გუშინ სწორედ ჩემს ბიძაშვილს ვუკითხავდი. ათჯერ მაინც გადავიკითხე.

— **ლორის წელიწადი მოდის. გჯერა ასტროლოგიური პროგნოზების?**
 — კი, მჯერა, მაინტერესებს, რალაცები ემთხვევა ხოლმე. მე თხის წელში ვარ დაბადებული („AX, TBI, KOZOHKA TBI MOH“ კვლავ „დაანია“ ლუკამ, თათიას ნათქვამს).

— **რა არის შენი საეიზიტო ბარათი?**
 — სიცილი, თმა, კარგი გუნება-განწყობილება.

— **ბოლოს, ლექსით დაგვემშობლო.**
 — ძალიან მიყვარს სტრიქონი ლექსიდან: „ქალი, რომელიც გაზაფხულს არ თმობს“...

ნატო გელაშვილი. გიომ უფროს შვილ ნოდარიკოსთან ერთადაც იმღერა. საღამო, როგორც მის კონცერტებს ახასიათებს ხოლმე, თბილი და უშუალო იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა.

მეორე დღეს, გიომ „ჯეოსტარშიც“ მონაწილეობდა და შემდეგ — მაცაცო სები-სკვერადის კონცერტზეც, რომელიც ფილარმონიასთან კომპოზიტორის ვარსკვლავის გახსნას მიეძღვნა. ასე და ამგვარად, ის დღისით ბიზნესით არის დაკავებული, საღამოს კი ყველგან მღერის.



„ჯეობარელებმა“ კოქტილები „დაამხეტეს“

სტუშაბათობით „ჯეობარელებს“ „ნოა-ნოაში“ განსაკუთრებული საღამოს მონაწილეობა უნებთ ხოლმე. იმ დღეს, შოუპროგრამის პარალელურად, „შავი არყის“ გამოყენებით უჩვეულო კოქტილების დაზადება დაგეგმეს. ამ საქმეში მათ, წინა „ჯეობარის“ აქტიურმა მონაწილემ, კოტიკო თოლორაიამ და ერთ-ერთმა ბარმენმა, დათომ გაუზიარეს გამოცდილება, ასწავლეს კოქტილების მომზადების წესი (კოტიკო ხომ რამდენიმე პრესტიჟულ ბარშია ნამუშევარი). თითქმის ყველა „ჯეობარელებმა“ მოამზადა საკუთარი საფირმო კოქტილი და შესაბამისად, აუქციონზეც გაყიდა. ყველაზე ძვირად ვლას ვანაძის ნახელავი შეფასდა. საღამოზე, ცეკვადა შოუბალეტი „ვერნისაჟი“, იყო მინიფიერვერკებიც. სულ 10 ახალი კოქტილი



დამზადდა და შესაბამისად, დააგემოვნეს კიდევ. საღამოზე საგანგებოდ იყვნენ მინჯულები ცნობილი სახეები: კობა ხაბაზი, ხათუნა ჟორდანიანი და ზურა ხაჩიძე. მამულიჩა, ხატია სიჭინავა მამუკა ონაშვილი, ნატო დუმბაძე, ქეთი გომარათელი. ისინი „ჯეობარელებს“ გულშემოტკივრობდნენ, მაგრამ ახალბედა ბარმენების მიერ მომზადებული კოქტილები არ დაუგემოვნებიათ. სულ ბოლოს დამსწრეებმა, დიჯეი კენზოს მუსიკალური მიქსითაც ისიამოვნეს.

kviris astrologiuri prognozi

(2 - 8 noemberi)

პირი 21.03-20.04

ნოემბრის პირველი დღეები თქვენთვის არასახარბიელო იქნება, თავს მოთენილად იგრძნობთ. გირჩევთ, კონფლიქტურ სიტუაციებს თავი აარიდოთ, თორემ შეიძლება, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.

კურო 21.04-20.05

დროის ეს მონაკვეთი ხელსაყრელი იქნება საქმიანი და რომანტიკული შეხვედრებისთვის. თუმცა, იმავდროულად, ფინანსური უთანხმოებების მოგვარება მოგიწევთ იმ პირებსა თუ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქამდე მორალურ თუ მატერიალურ დახმარებას გინევენენ.

ტყუი 21.05-21.06

დაბრკოლებები, რომელთა გადალახვა ამ პერიოდში მოგიწევთ, თქვენს ოპტიმიზმს და მიზანდასახულობას საგრძნობლად შეასუსტებს, რის გამოც, ხშირად დალილობა მოგეძალებათ. უქმე დღეები მყუდრო ოჯახურ გარემოში გაატარეთ.

კიპო 22.06-22.07

ამ კვირას, თქვენ დაგროვილი პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. წინსვლას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეძლებთ, ამიტომ ნუ გექნებათ მფარველობისა თუ პროტექციის იმედი.

ლოი 23.07-23.08

ამ დღეებში უმჯობესია, თავი აარიდოთ საქმიან შეხვედრებს, მეტი დრო გაატაროთ ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების წრეში და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს მიჰყოთ ხელი.

ძალწული 24.08-23.09

ეს პერიოდი ქალწულის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის საკმაოდ ხელსაყრელია. თქვენ ერთდროულად რამდენიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელს და სასვებით წარმატებულადც გაართმევთ თავს. შაბათ-კვირა აქტიურ დასვენებას დაუთმეთ.

სასწოი 24.09-23.10

თქვენი მატერიალური მდგომარეობა თქვენსავე გეგმების განსახორციელებლად საკმარისი არ იქნება, რის გამოც, გარშემო მყოფთა მხარდაჭერა გახდება საჭირო. გირჩევთ, გაუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, რათა მსუბუქი გაცივება სერიოზულ დაავადებაში არ გადაგზარდოთ.

მორიელი 24.10-22.11

ამ კვირას, თქვენს ძალებს ლიდერის ამბლუაშიც მოსინჯავთ და შეეცდებით, რაიმე მნიშვნელოვანი მოიმოქმედოთ. ყოველგვარი სიახლის დანერგვისას თამამი და მტკიცე იქნებით, ხოლო წარმოქმნილ პრობლემებს არატრადიციული ხერხებით შეექიდებით.

მზილღოსანი 23.11-21.12

სასიცოცხლო ძალების ნაკლებობის გამო, მაღალი იქნება დაავადების ალბათობა. ამას ისიც ერთვის, რომ მეტოქეები არაერთ უსიამოვნებას მოგიტანენ. სიფრთხილე გმართებთ მეგობრებთან ურთიერთობაშიც. ამიტომ კარგი იქნება, თუ მთელ კვირას დასვენებას დაუთმობთ.

თხის რაბ 22.12-20.01

ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა მოგიწევთ. თქვენი პრობლემების უმთავრესი მიზეზი თქვენს დაბნეულობა იქნება. ინტელექტუალური და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროა, საკუთარი შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები ობიექტურად შეაფასოთ.

მირწული 21.01-19.02

პროფესიულ სფეროში ცვლილებები მოსალოდნელი. მთავარია, სხვადასხვა უსიამოვნების მიუხედავად, ავტორიტეტი და სამსახური შეინარჩუნოთ. ამასთანავე, აუცილებელია მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობას, თორემ მომავალ კვირას, შეიძლება სამსახურში საერთოდ ვერ წახვიდეთ.

თავზავი 20.02-20.03

ამ დღეებში თქვენი ენთუზიაზმისა და ენერგიულობის მიუხედავად, მიღწეულ წარმატებებს მარცხი მოჰყვება, რაც თქვენი გუნება-განწყობილების სწრაფი ცვალებადობით იქნება განპირობებული. შეეცადეთ, ამ არამდგრად ვითარებაში საკუთარი პოზიცია არ დათმოთ.

უკვე იმედასა ნოემბრის ნოემერი



თქვენ სოც გამოვნებიანი
აკითხველი გრკანდავით...

გთქვამს კვყვანას. საიღვარეო...



„აქაური არ გეგონოთ, გაღმეღი ვარ...“

ყოველგვარი შესავლის გარეშე გთავაზობთ ფასიანი მესიჯების გამოგზავნის წესს. მობილური ტელეფონის „ესემეს“ ფუნქციაში აკრებთ სიტყვა „გზა“, გამოტოვებთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრებთ სასურველი ტექსტი და გამოგზავნებთ ნომერზე: 8884. შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება ორშაბათამდე მოსული მესიჯები. დაგვიანებით მოსული გზავნილები მის მომღვეწო ნომერში გადავა.

„დამალა მარტობამ. ვეხმაურები „აბრუნას“. ხუჭუჭაც ვარ და ძალიან საყვარელიც. თუ სურვილი გექნება, ჩემი ნომერი მარის გამოართვი: ზაზუნა“.

„სამეგობროდ ვეძებ 20-დან 27 წლამდე ბიჭს. ქეთი-19“.

„ვეხმაურები. ნეტავ, მარის კარგი ფეხი აქვს? თუ აქვს, მაშინ გავიცნობთ ერთმანეთს“.

„ხალხო, კარგით, რაა... „დაგვხიეთ“, „გზის“ სერიოზული ფანები ვართო, მარის ძეგლი უნდა დაუდგათო და 50 თეთრს დახამდით? გვირილა-გოგო“.

„ვეხმაურები გიჟოვებ ბაჩოს. მე თამუნა ვარ. თუ დაგინტერესებს, ჩემს ნომერს მარი მოგცემს. კახეთი“.

„მინდა, 36 წლის ზურას ვუთხრა, რომ ცხოვრება წინ არის და იმედს ნუ დაკარგავს. თუ სურვილი ექნება, გამომეხმაუროს. ლალკა-28“.

„ჩემს ძმას, გიორგი გელაშვილს ვულოცავ გაბედნიერებას და უღვევ სიყვარულს ვუსურვებ. ლია“.

„ვეხმაურები 23 წლის გიოს. დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებ მასთან. მარი, მიეცი ჩემი ნომერი. ია, 19 წლის“.

„რუსთაველო თემო ბარამიძე, მიყვარხარ!“

„მარი, როგორ ხარ? „რეალისა“ და რაულის გადარეულ ფანს არავის იცნობ? გამოაქვეყნე, იქნებ, ვინმე გამოჩნდეს. მისის რაული“.

„ვარ 33/172/78. გარეგნობით სიმპათიური, ბუნებით — თბილი, მხიარული, მოსიყვარულე. ვისაც სურს, შექმნას სიყვარულით საესე ოჯახი, გამომეხმაუროს (მხოლოდ 23-დან 33 წლამდე მანდილოსნები). დარეკეთ, მახო“.

„მინდა, გრძნობა, წრფელი გრძნობა/ მინდა, გული, საესე გული/ მინდა სიყვარული, დიდი სიყვარული. ნ“.

„თუ გზა ამებნა შენკენ სავალი/ სიზმარში მაინც უთუოდ გნახავ/ მე დაგიტოვებ ლოყაზე ამბორს/ და ფეხაკრეფით, უჩუმრად წავალ...“

„მაგრამ მე რა ვენა? მე, ვისაც სული/ მაქვს განწილი მწარე ქარებით/ ვინც ალტაცება არ ვიცი სრული/ არც სიყვარულით, არც მწუხარებით... მაკო“.

„ვეხმაურები გიჟოვებ. ძალიან მომწონს მისი ლექსები. ისე, მართლა გიჟოვებ, ღამეების გათენება რამ შეეყვარა? კარგი ადამიანი ჩანს. დავმეგობრდეთ? ნათი“.

„შენს სიხალოვეს გული რად ითხოვს?/ ან განშორებას რატომ განვიცდი?/ რომ შემევიტხო, ვერ გიპასუხებ/ რად მენატრები, მართლა არ ვიცი. მ.დ“.

„გიჟოვებ სალამი... ისე, ლექსების წერა და ცრემლიანი თვალებით ღამის თენება მეც მჩვევია. თუმცა, მე მხოლოდ სევდიან სიყვარულზე ვწერ. მათა! მეტიჩარა“.

„მარი, გთხოვ! გთხოვ! გთხოვ! გამოიქვეყნე, რა? ვეხმაურები 27 წლის დათოს. მასთან მეგობრობის სურვილი მაქვს. ვარ 22 წლის“.

„სიყვარული ბრმა ყოფილა/ არც კი არჩევს ის ღამეებს/ სხეული ხომ ნიღაბია/ მხოლოდ სული გვაღამაზებს. „სტიქია“.

„ფუჭია ფხიზლად ცხოვრება/ ვერ აშუღამებ სამყაროს/ ჯობია, თოვლის ბაბუამ/ თავზე პლანები გვაყაროს. „სტიქია“.

„ვარ 15 წლის და ვეძებ სიყვარულს. მაპოვნინეთ! თამთა“.

„ვარ 30 წლის მამაკაცი. მხიარული, იუმორის მოყვარული. სამეგობროდ გავიცნობ მხიარულ გოგონას“.

„სულს ენატრები, შენს ნახვას მთხოვს/ შენ რომ ვერ გხედავ, ჩემს გულში თოვს/ სადა ხარ, მოდი, რატომ ხარ შორს/ შენი ლოდინით ნუ

მომკლავ, გთხოვ. ეძღვნება ჩვეულებრივ გოგოს“.

„იცით, ძალიან უცნაური გემოვნება მაქვს. ყოველთვის ჩემზე დიდი ბიჭები მომწონს. ასე, 25-32 წლამდე. უნდა მუშაობდეს, აუცილებლად. უმეტესად, ქერა და ცისფერთვალება“.

„მივმართავ პრინცესას. ღმერთი გადამიხდის სამაგიეროს, მეც გამამწარებს ვინმე, როგორც შენ გამწარდი ჩემით და ღირსიც ვიქნები. ნეტავი, მოვკვდე! არაადამიანი“.

„ჭკვიანებთან გაჯიბრება რომ მოგინდა „სტიქია“/ მჯობნის მჯობი არ ილევა, ნუთუ, არ გაგიგია? შენ თვითონ რომ ჭკუა გქონდეს/ ასე თავს არ იქებდი...“

„გავიცნობ 27-33 წლამდე უცოლო მამაკაცს. მინდა, გვერდით ისეთი ადამიანი მყავდეს, რომელიც ჩემს სიტბოსა და სიყვარულს გაიზიარებს. პუსკა“.

„პრივეტ, მარი. მე ახალი „მეჩატე“ შემოგიერთდით. თუ თქვენს წრეში მიიღებთ, გაასწორებს. მიმავალ ბილიკებს ვეძებ ჩვენ, რომ დაგვანახვოს ცხოვრების გზა. ბაჩ-ესემესკა“.

„გზავნილების“ გადამიდე/ მეც დავიწყე ლექსის წერა/ „გზავნილებმა“ გამაგიჟა/ მეც გამხადა გიჟოვებ/ „გზის ფურცლებზე „გზავნილებს“ იცი, როგორ ველი?/ მარი, შენ გაიხარე/ გლოცავ, როგორც ბერი. მონასტრის ბიჭს მე გავეჯიბრები ლექსების წერაში. ბერი“.

„მე შენ დაგიკრეფ ყვავილებს/ რომელსაც ასდის სურნელი პლანის/ და დაგიტკიცებ, რომ შენს უბანში/ შენზე მახინჯი არავინ დადის. ჯიგარი გოგო“.

„აქაური არ გეგონოთ/ გაღმეღი ვარ, ქალიშვილი/ ექიმმა გამომიწერა/ 17 წლის ვაჟიშვილი. ჯიგარი გოგო“.

„გიჟოვებ, გიჟოვებ/ როგორი ხარ, ბიჭო, ნეტავ? ბაჩო, მე 16 წლის ვარ. „ესემეს“-მეგობარი მჭირდება. თუ თანახმა ხარ, გამომეხმაურე. თუ არადა, ჩავთვლი, რომ ესეც ჩემი უიღბლობაა“.

„ჰაი! როგორ მყავხართ? სიამოვნებით გავიცნობ 21 წლამდე, მაღალ, დაკუნთულ, შავგვრემან ბიჭს. მე „პრინცესა“ ვარ. გაუმარჯოს „პრინცესას“!

„გიჟოვებ, მეც ვათენებ ღამეებს ლექსების წერაში და მუსიკის მოსმენაში. თან, გრძელთმიანი ბიჭები მომწონს. თუ გინდა, ვიმეგობროთ. ალბათ გაუგებთ ერთმანეთს. ნუკა“.

„ირაკლი ჯაფარიძე, მიყვარხარ, დამიბრუნდი, რა! ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შენთან ვიყო. უშენოდ ცუდად ვარ. მიყვარხარ! მუდამ შენი ანუშვი“.

„ხალხო, რჩევა მჭირდება. ირაკლი ძალიან მომწონს. რა გავაკეთო, რომ შევუყვარდე? ისე, ლამაზი გოგოც ვარ და უამრავი თაყვანისმცემელიც მყავს, მაგრამ ეს არ კმარა“.

„გიჟპოეტა გაგიყდა/ პოეტობას დაშინდა/ ერთი მითხარ, პოეტავ/ გავიცნოთ ერთმანეთი? ჯიგარი გოგო“.

„გიჟპოეტა გაგიყდა/ გადაკეტა გზები/ ეჯიბრება „სტიქიას“/ ქუხილი გვეწვია/ ეს მართალი არ გეგონოთ/ კაიფი და ხუმრობაა. ჯიგრები ხართ! ჯიგარი გოგო“.

„მოგესალმებით, მე ვარ 15 წლის, საყვარელი პუბლიკა. ვერ ვიტან სიბინძურესა და მარტოობას. გიჟპოეტა, მგონი, ვგავართ ერთმანეთს. გკოცნით, თქვენი საყვარელი პუბლიკა“.

„ლევანიკო, სიამოვნებით გავიცნობ, მაგრამ არა მგონია, უნებლიეთ კი არა, დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო ჩემი მორჯულება. ჩემს ნომერს მარი მოგცემს. ნატუშკები“.

„როცა ჩემი ქმარი საზღვარგარეთ იყო ნაბრძანებული, ერთი ადამიანი გავიცანი. მასთან თავს კარგად ვგრძნობდი. კიდევ ვხალისობდით, კიდევ ვხუმრობდით და ერთმანეთის სევდა-ნალველსაც ვიზიარებდით. ეს ყველაფერი მესიჯებით ხდებოდა. ერთმანეთის ხმაც კი არ გავგვიგია არასოდეს. ახლაც არ ვიცი მისი ასაკი, მაგრამ ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის იყო, რომ ამ ადამიანთან თავისუფალი და გულახდილი ვიყავი. ფსიქოლოგს მეძახდა. არადა, პირიქით იყო. მე ვიცი, რომ ის ამას ნაიკითხავს. პუბლიკ, გახსოვს, რომ მითხარი, ასე ნუ მეძახიო? დიდ ბედნიერებას გისურვებ, ცხოვრების ბოლომდე. შენი ტოროლა“.

„თავს უბედურს რად უწოდებთ/ რად არა გაქვთ, სიხარული?/ ქისო, ქაჯა, გაილიმეთ/ თქვენც გენვევათ სიყვარული. „სტიქია““.

„ციდან ვშვება თეთრი ფიქრები/ გპირდები, მუდამ შენთან ვიქნები/ მინდა, გახსოვდეს ჩემი სი-“

ტყვეები/ მე არასოდეს დამავინწყდები. შოკოლადა, ჩემი ნომერი მარის აქვს. ნინუცა, 22“.

„ტყიბულელო გია ჯოხაძე, რამდენი წელია, გექებ და გიპოვე. „გზამ“ მოგვცა ერთმანეთის პოვნის შანსი. იქნებ, დამირეკო, მარი ვარ. ტყიბული. ჩემი ნომერი მარის აქვს“.

„მეტს ვერას გეტყვი, ჩემი სატყმელი/ მუზას მივანდე, ლექსში გაგანდე/ კიდევ ერთს გეტყვი, რომ სიყვარული/ გულწრფელი მარტო შენთან გავხადე“.

„მე ზურა ვარ, 36 წლის. იცით, მოხდა სასწაული და ვიპოვე ის, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი. არ მჯერა, მაგრამ ფაქტია. მადლობა „გზას“ და მარის. „პაკა“!

„ვეხმაურები მარტოხელას. თუ გინდა, გავიცნოთ ერთმანეთი. ტელეფონის ნომერი მარის გამოართვი. მიაა“.

„მარი, ძალიან გთხოვ, ბაჩის ნომერი მომეცი, რა! ეკა-15“.

„მინდა, მყავდეს მეგობარი გოგო. ვცხოვრობ ქვემო ალვანში“.

„რომ წერენ, გავიცნობ ვინმეს სამეგობროდო, შევიყვარებ ლამაზ გოგოს ან ბიჭსო, იცით, ნამდვილი მეგობრობა ან სიყვარული რა არის?“

„ვარ 18 წლის ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ კარგ გოგოს. ტანჯულა“.

„ისე მომენატრე, ისე მომენატრე/ როგორც არასოდეს, არვინ მომნატრია/ ისე სასწაულად, ისე სასწაულად/ ნუთუ, მარტო მოცდა კიდევ შემძლია? მენატრები და გელოდები, მახო!“

„გავიცნობ ჩავსკვნილ, სქელკისერა, გადაბმულწარბებიან ვაჟს, 25-დან 30 წლამდე. „კარელია სლიმს“.

„გვანცა კანდელაკი მაპოვინინეთ, ხალხო, რა იქნება? ჩემი ანგელოზია. მარტო ის ვიცი, რომ გოთუაზე ცხოვრობს, მეტი — არაფერი. ძალიან მიყვარს“.

„ღმერთმა ათასი მახინჯი შექმნა/ თქვენი შექმნისთვის ეპატიება. ეძღვნება ჰაიპუსის ოთხეულს“.

„ქუთაისელო გოგიტა გოდუაძე, ძალიან მიყვარხარ. თიკო“.

„ჩემო სიხარულო, ჩემო სიყვარულო/ ჩემო ოცნებავ და სევდავ/ შენ რომ იცოდე, როგორ მენატრები/ დღესვე გაჩნდები ჩემთან. ეძღვნება გოგიტა გოდუაძეს. თიკო“.

„რამ გადარია ეს ხალხი, ვერ გავიგე. რალა დროს ზურა-36 ან ეს საიდანღაც „გამოჩევილი“, გაურკვეველი საქმიანობის ლევანი-32-ია? ეს გიჟპოეტა თავის ასაკს არ გაგვიმხელს?“

„მარი, პირველად გიმესიჯებ და იმედია, დაბეჭდავ. მინდა, „მსიჯოვანიდან“ ვინმე მეგობარი მყავდეს. თუ ვინმე თანახმაა, ვიმესიჯოთ. ტელეფონის ნომერი მარისთანაა“.

„ლექსი, რომელიც ამწუთას მოდის/ სევდიან ლამეს მაგონებს/ სევდა, რომელიც არასდროს ქრება/ შენს ლამაზ თვალებს მაგონებს. მარი, ეს ლექსი შენ. შოკო“.

„გამარჯობა, მარი. თქვენთან პირველად ვამესიჯებ. სიამოვნებით გავიცნობ 27 წლის დათოს. მე 22 წლის ვარ და სიამოვნებით გავუწევ მეგობრობას“.

„ვექებ ზვიადს. ის არის 27-30 წლის და მუშაობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. იქნებ, ნაიკითხოს და გამოემხმაროს? მომენატრე ძალიან, ძვირფასო! თიკო“.

„ახლა შუალამეა, მე კი ვზივარ და ვფიქრობ იმ ტვინის უჯრედზე, რომელმაც მესიჯი გამოიგონა. ვისაც ერთხელ მაინც მოსვლია თავში ასეთი ფიქრები, შეუძლია, გამოემხმაროს“.

„ბაბუკა, გილოცავ დაბადების დღეს. დღეს შენ ბედნიერი დიმილით ისდი სამადლობელს სუფრასთან. მე კი ძალიან შორს ვარ და უფლის ლოცვასა და ჩემს სიყვარულს გიგზავნი. ნატალი“.

„ჩვენი ცხოვრება სავესა/ გრძნობების ფართო ჭიდილით/ სიყვარულსა და სიძულვილს/ აშორებს მკვახე ღიმილი/ მე ჩემდა თავად, სულ ვფიქრობ/ ფართედ ვაჩინო კიჭია/ სიძულვილს ღმერთმა მაშოროს/ სიყვარულს გიხსნი, „სტიქია“!“

„ვაუ, რა მაგარია, 24 წლის, სპორტული აღნაგობის ბიჭი? აქ იმდენი 35 წლამდე მანდილოსანი ვართ, რიგი დადგა. გაგვაცანი, რაა, ეზ „შუმახერაა“?

„მარი, გთხოვ, დამეხმარო. შენს მოგვარეს ვეძებ, 33 წლის გიორგი ჯაფარიძეს. ის საბურთალოზე ცხოვრობს, საშუალო სიმაღლისაა, შევერცხლილი თმა და ღია ფერის თვალები აქვს. მარი, თუ მაპოვინინებ, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნები“.

როგორც ჩანს, ჩვენმა ახალმა ნამონყებამ შედეგი უკვე გამოიღო და სამადლობელი მესიჯებიც მივიღეთ. წარმატებებს გისურვებთ! ნახვამდის.

ნომბის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები
☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაეხმარება უსაქლოვანო ტელეფონ-ბარათებითაც

სპორტული სედანი Fisker Coachbuild-ისაგან



კომპანია Fisker Coachbuild, რომელიც სერიული მოდელების ბაზაზე წარმოებული, უნიკალური ძარას მქონე ავტომობილების შექმნაშია დახელოვნებული, სპორტული სედანის გამოშვებას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი მანქანის ბაზაზე აიწყობა სიახლე და როდის გამოვა სარეალიზაციო ქსელში. დღეს Fisker 2 მოდელს უშვებს — BMW-ს ბაზაზე შექმნილ კუპე Latigo-ს და Mercedes SL-ის ბაზაზე აწყობილ კუპე-კაბრიოლეტ Tramonto-ს. სერიული მანქანებისგან ეს ავტომობილები ძარას სრულიად ახალი დიზაინით გამოირჩევიან, რომელიც ერთიან სტილ-

შია შესრულებული. გარდა ამისა, მოდერნიზებულია სალონიც. ეს მოდელები მხოლოდ ინდივიდუალური შეკვეთებით იწარმოება და მათი ფასი თითქმის ორჯერ აღემატება საბაზო ავტომანქანებისას. Fisker Coachbuild-ის მფლობელი და დამაარსებელი, Aston Martin-ის ყოფილი თავკაცი, ჰენრიკ ფისკერია. კომპანიის შტაბბინა კალიფორნიაში მდებარეობს. ■

კომპანია Peugeot-მ ახალი „ცხელი“ ჰენრიკის — Peugeot 207 GTI-ს ძრავასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ამ ავტომანქანამ ძლიერ Renault Clio Sport-ს უნდა გაუწიოს კონკურენცია. მას ტურბოსისტემით აღჭურვილი 1,6 ლ მოცულობის მობოტორი ექნება. ასეთივე ძრავითი აღიჭურვება ახალი Mini Cooper S.

Peugeot 207 GTI-სთვის ძრავა შეაჩივს



მანძილს 28 წმ-ში ფარავს, ხოლო Clio Sport — 27,5 წმ-ში. გარდა ამისა, 207 GTI თავის კონკურენტს ელასტიკურობითაც ჯაბნის: 80-იდან 120 კმ/სთ-მდე აჩქარებას 7 წმ-ში ასწრებს (Clio-ს საამისოდ 9,4 წმ ესაჭიროება). ზოგიერთი მონაცემის თანახმად, ამ ავტომობილების ფასებიც თითქმის ერთნაირი იქნება: Peugeot GTI საფრანგეთში 21.950 ევრო ელირება, ხოლო Clio Sport ამჟამად 23.000 ევროდ იყიდება. Peugeot 207 GTI-ის პრემიერა 2007 წლის გაზაფხულზე უენეციის საერთაშორისო ავტოსალონზე გაიმართება. ■

მცირე სიჩქარის მიუხედავად, ახალი Peugeot 207 GTI თავისი დინამიკური მაჩვენებლებით არაფრით ჩამორჩება Clio Sport-ს. ნულიდან 100 კმ/სთ-მდე სიჩქარეს ის 7,1 წმ-ში განავითარებს, რაც 0,2 წმ-ით ნაკლებია Clio Sport-ისაზე.

სამაგიეროდ, მისი მაქსიმალური სიჩქარე 220 კმ/სთ-ია, ხოლო Clio Sport-ისა — 215 კმ/სთ. Peugeot ადგილიდან ერთ კმ

Mitsubishi Lancer-ის ახალი თაობა



დებიუტი 2007 წლის დასაწყისში დეტროიტის ავტო-შოუზე შედგება. სწორედ მაშინ აპირებენ იაპონური კომპანიის წარმომადგენლები ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. როგორც ვარაუდობენ, აშშ-ში Lancer-ის საბაზო ვერსია 152 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ორლიტრიანი ბენზინის მობოტორით იქნება აღჭურვილი. სავარაუდოდ, ასეთი აგრეგატი ხუთსაფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით დაკომპლექტდება. Mitsubishi Lancer-ის საფუძველს Krossover Outlander-ისგან „ნასესხები“ პლატფორმა წარმოადგენს. სიახლე თავის წინამორბედზე უფრო გრძელი, განიერი და მაღალია. მას ძარას სრულიად ახალი დიზაინი აქვს. ამჯერად Lancer უფრო აგრესიულად გამოიყურება. ■

Mitsubishi Motors-მა სედან Mitsubishi Lancer-ის ახალი თაობის პირველი ფოტოები გაავრცელა. სიახლის მსოფლიო

Emespiba-ს კონსტრუქციებს „გაზ-51“-ის ნოსტალგია მოეძაღო

მოსკოვის სტუდია Pemespiba-ს სპეციალისტები ე.წ. ჰოტროუდისთვის გათვალისწინებული ახალი უნიკალური ავტომობილის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც საბჭოთა სატვირთო „გაზ-51“-ის ბაზაზე აიწყობა. გასული შემოდგომის დასაწყისში, ამავე სტუდიამ კაბრიოლტ BMW 650i-ის ბაზაზე, „ვოლგა გაზ-21“-ის სტილში შექმნილი რეტრომობილი წარმოადგინა. ჰოტროუდი შასის, Cadillac Escalade EXT-ს დაესესხა. 35 სმ-ით დამოკლებულ მანქანას „გაზ-51“-ის მოდერნიზებული კაბინა, აგრეთვე ლაქირებული ხისგან დამზადებული ძარა ექნება. ავტომანქანის გამოშვების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ სახელდება. ■



გიყვარებო თუ არა სიცილი?

- 1) გიყვართ თუ არა სიცილი?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 2) შეგიძლიათ თუ არა შექმნილი უხერხული სიტუაციიდან იუმორის მეშვეობით გამოსვლა?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 3) იზიარებთ თუ არა გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ამ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო რამ, სწორედ ქორწინებაა?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 4) იცინით თუ არა მარტო ყოფნისას, როცა მხიარულ რამეს კითხულობთ ან ტელევიზიით რაიმე სასაცილო გადაცემას ადევნებთ თვალს?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 5) შეგიძლიათ თუ არა არაფერი შეიმჩნიოთ ისეთ სიტუაციაში, როცა გრძნობთ, რომ გატყუებენ?
 ა) დიას — 1;

- ბ) არა — 0.
- 6) თქვენი ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები თუ ჰყვებიან ანეკდოტებსა და სასაცილო ამბებს?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 7) წვეულებაზე ყოფნისას ცდილობთ თუ არა ყურადღების ცენტრში მოქცევას და ირგვლივ მყოფებზე ყველაზე მასვეილგონიერი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენას?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 8) გაღიზიანებთ თუ არა ირგვლივ მყოფთა სიცილი, მაშინ, როცა თქვენ თავად ცუდ ხასიათზე ხართ?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 9) ამქვეყნად არსე-

ბულ უამრავ ჟანრს შორის უპირატესობას კომედიას ხომ არ ანიჭებთ?

- ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.
- 10) მიაკუთვნებთ თუ არა საკუთარ თავს კარგი იუმორის გრძნობის მქონე ადამიანთა რიგს?
 ა) დიას — 1;
 ბ) არა — 0.



ტესტის შედეგები:

6-10 ქულა: ძალზე მხიარული ადამიანი ხართ. თავდაც გიყვართ სიცილი და სხვა ადამიანების გამხიარულებასაც გამუდმებით ცდილობთ. საკმაოდ კარგი იუმორის გრძნობითაც გამოირჩევით, ამის მეშვეობით კი, ცხოვრების უმძიმეს მომენტებს არა მარტო საკუთარ თავს უმსუბუქებთ, არამედ ირგვლივ მყოფებსაც.

5-0 ქულა: იუმორის გრძნობით დიდად არ გამოირჩევით. გირჩევთ გაითვალისწინოთ, რომ ღიმილი და სიცილი ადამიანის ჯანმრთელობაზე, სტაბილურობასა და

ცხოვრებაში მოპოვებულ წარმატებაზე მეტყველებს. იუმორის, ღიმილისა და სიცილის მეშვეობით ხომ ბევრად იოლია ყოველგვარი უსიამოვნების დაძლევა. თქვენ კი, ყველაფერს ძალზე სერიოზულად აღიქვამთ. ჩვენი კეთილი რჩევაა, შედარებით მსუბუქად შეხედოთ მოვლენებს, მაშინ აუცილებლად აღმოაჩნთ, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფერს სერიოზულად აღქმა არ გამოგადგებათ. შეეცადეთ, უფრო მხიარული კუთხიდან მიუდგეთ ცხოვრებას და მასში უამრავ სასაცილო რამეს აღმოაჩნთ.

იაკონური სენსაცია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	4	2	9	8	7	3	6	5
5	7	8	1	3	6	2	9	4
6	3	9	5	4	2	1	8	7
3	8	1	7	9	5	6	4	2
9	5	7	6	2	4	8	3	1
4	2	6	3	1	8	7	5	9
2	6	3	4	7	9	5	1	8
8	9	5	2	6	1	4	7	3
7	1	4	8	5	3	9	2	6
3	1	4	2	8	9	5	6	7
7	6	8	3	4	5	9	1	2
5	9	2	1	7	6	4	3	8
8	7	9	6	2	1	3	5	4
6	2	3	9	5	4	8	7	1
4	5	1	8	3	7	6	2	9
9	4	7	5	1	3	2	8	6
1	8	5	4	6	2	7	9	3
2	3	6	7	9	8	1	4	5
8	7	9	1	2	4	3	6	5
4	1	5	6	3	9	8	2	7
2	3	6	5	7	8	9	1	4
1	4	2	9	5	3	6	7	8
7	6	3	8	1	2	4	5	9
5	9	8	4	6	7	1	3	2
6	5	4	7	9	1	2	8	3
3	8	7	2	4	6	5	9	1
9	2	1	3	8	5	7	4	6

* მარტივი

4		9	7	5				6
	7			8			9	4
	2		9					7
	8		6	3			5	
5	3			9			1	8
	4		1					7
2					8			6
	5	3		2				9
1				4	9	7		3

** საშუალო

	2		8			1		
	1				4	3		
	7		5				8	4
	8		4				5	
		2			6	8		
	3			2	8		4	
9	6				7		1	
		8	1				9	
		1			9		6	

*** რთული

			8			7		
		9			4		7	
5								6
2							6	
6					3			5
		1			8			2
1								8
		2		7				6
			1				4	



სკანოკრილი



9 ევიპტის მეფეთა ტიტული

12 ფევა რაც ძროხა

19 კათხა

23 ქოქისის კაკლის გული

25 მეღვინე

29 შენობის ჩონჩხი

30 2006 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი

36 სას-ელმწიფოში შესვლის ნებართვა

42 სისხლ-მარღვი

1 სოციალურად უთანასწორო პირთა ქორწინება

8 სახელმწიფო მეთაურის აფილსამყოფელი

13 წყალსაცავი რაჭაში

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

2 წელი უსიციველო მოძრაობა

14 შუახილი კორიდაზე

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

40 ხეებით დაფარული ფართობი

3 დღი და სქელი მალი

14 შუახილი კორიდაზე

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

40 ხეებით დაფარული ფართობი

4 ილიას მიერ დაარსებული გაზეთი

10 წინასწარ-მეტყველი ქალი ტერომში

14 შუახილი კორიდაზე

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

11 ფევა რაც გაზი

15 სამეცლისო (პპპა)

17 თითი

21 ბრანდილი გრძელბოლიანი თუთიყუშები

26 მარლის ლენტისეზური ნაჭური

28 ვენეციური ნავი

31 აზური ქვეყანა

37 მჭურმეჭველი ადამიანი

43 ინდონეზიის კუნძული

5 ფინური აბახი

10 წინასწარ-მეტყველი ქალი ტერომში

14 შუახილი კორიდაზე

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

40 ხეებით დაფარული ფართობი

6 კერი

15 სამეცლისო (პპპა)

17 თითი

21 ბრანდილი გრძელბოლიანი თუთიყუშები

26 მარლის ლენტისეზური ნაჭური

28 ვენეციური ნავი

31 აზური ქვეყანა

37 მჭურმეჭველი ადამიანი

43 ინდონეზიის კუნძული

7 ტატუირება

10 წინასწარ-მეტყველი ქალი ტერომში

14 შუახილი კორიდაზე

20 ბრანდილი ფეხბურთელი

24 ინდიელთა ნავი

33 ზღაპრული არსება

39 მრადმწებნე სუბტროპიკული მცენარე

40 ხეებით დაფარული ფართობი

16 თანრიგი კარატემი

18 უწერული ეროვნული კერძი

21 ბრანდილი გრძელბოლიანი თუთიყუშები

26 მარლის ლენტისეზური ნაჭური

28 ვენეციური ნავი

31 აზური ქვეყანა

37 მჭურმეჭველი ადამიანი

43 ინდონეზიის კუნძული

11 ფევა რაც გაზი

15 სამეცლისო (პპპა)

17 თითი

21 ბრანდილი გრძელბოლიანი თუთიყუშები

26 მარლის ლენტისეზური ნაჭური

28 ვენეციური ნავი

31 აზური ქვეყანა

37 მჭურმეჭველი ადამიანი

43 ინდონეზიის კუნძული

18 უწერული ეროვნული კერძი

21 ბრანდილი გრძელბოლიანი თუთიყუშები

26 მარლის ლენტისეზური ნაჭური

28 ვენეციური ნავი

31 აზური ქვეყანა

37 მჭურმეჭველი ადამიანი

43 ინდონეზიის კუნძული

44 სამკურნალო ნივთიერების ნაყენი

წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები

1. გველი; 2. ქედანი; 3. ლენა; 4. კოკი; 5. კაპელანი; 6. კილერი; 7. იუანი; 8. ნეპალი; 9. ნაბოლარა; 10. ასკერი; 11. რაბინი; 12. აფროდიტე; 13. კრონა; 14. იჯარა; 15. ბაგირი; 16. ფლოტი; 17. ოდა; 18. ფოსფორი; 19. ქორო; 20. ქაჯანა; 21. ქვა; 22. ცედრა; 23. პანო; 24. ბლერი; 25. რადიკალი; 26. ლაციო; 27. ნაურუ; 28. ფედერაცია; 29. ტროსი; 30. ესკიმო; 31. კუპე; 32. ტუნიკა; 33. ბატი; 34. ლიმა; 35. ფერია; 36. ამოკი; 37. იუტა; 38. პალზაკი; 39. ატესტატი; 40. ბაია; 41. ბუკი; 42. არვე; 43. კროლი; 44. იმიჯი; 45. ავიაცია.

სურათზე: გვინეტ პელტროუ; ბენ ეფლექი.



უსინათლო მძღოლი და უგონოდ მთვრალი „პტურბანი“


პოლიციამ უსინათლო ახალზელანდიელი მამაკაცი დააკავა, რომელიც ავტომობილს მთვრალი მძღოლის დახმარებით მართავდა. 29 წლის ჰამილტონელი ტე აუტე მატუაკორე კოლიერი უგონოდ მთვრალი მძღოლისა და კიდევ ერთი მგზავრის რჩევებს გულმოდგინედ ასრულებდა, მაგრამ კედელს მინც შეასკდა. კოლიერი, რომელსაც მხოლოდ 5%-იანი მხედველობა აქვს, მანქანის სახიფათო მართვის ბრალდებით სასამართლოს წინაშე წარდგა. პროცესზე დადგინდა, რომ თავდაპირველად, ბრალდებული სალონის უკანა სავარძელზე იჯდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, საჭესთან გადამჯდარიყო, რადგან მძღოლი და მეორე მგზავრი უგონოდ მთვრალეები იყვნენ. უსინათლო მძღოლმა მანქანის ავტოსადგომზე შეყვანა სცადა, მაგრამ მოსახვევში კედელს შეასკდა. სასამართლომ ტე აუტე მატუაკორე კოლიერს მანქანის მართვა სამუდამოდ აუკრძალა და ჯარიმის გადახდა დააკისრა.



პირველად, ბრალდებული სალონის უკანა სავარძელზე იჯდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, საჭესთან გადამჯდარიყო, რადგან მძღოლი და მეორე მგზავრი უგონოდ მთვრალეები იყვნენ. უსინათლო მძღოლმა მანქანის ავტოსადგომზე შეყვანა სცადა, მაგრამ მოსახვევში კედელს შეასკდა. სასამართლომ ტე აუტე მატუაკორე კოლიერს მანქანის მართვა სამუდამოდ აუკრძალა და ჯარიმის გადახდა დააკისრა.

უქციონის უჩვეულო ლოტი – დინოზავრის ბუდე

ლოს-ანჯელესის აუქციონზე უჩვეულო ლოტი — 65 მლნ წლის წინანდელი დინოზავრის ბუდე და 20-მდე გაქვავებული კვერცხი 420.000 დოლარად გაიყიდა. ბუდეში წრიულად განლაგებულ უნიკალურ კვერცხთა უმრავლესობაში ემბრიონის ნარჩენებია შენარჩუნებული. სავაჭრო სახლის — „ბონემს ენდ ბატერფილდის“ წარმომადგენლები უნიკალური ლოტის 180-220 ათას დოლარად გაყიდვას ვარაუდობდნენ. დინოზავრის ბუდე ცარცის პერიოდს (65-149 მლ წლის წინ) მიეკუთვნება. 1984 წელს, ჩინეთში ნაპოვნი ბუდე კერძო კოლექციონერმა შეიძინა. მორიგი ყიდვა-გაყიდვის შემდგომ, 2003 წლის უქველესი ექსპონატის აშშ-ში, უნიკალური ლოტის აუქციონზე აღმოჩენამ სამეცნიერო წრეების აღშფოთება გამოიწვია. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი ექსპონატი კერძო კოლექციონერში მოგზაურობის ნაცვლად, ჩინეთის მუზეუმში უნდა ინახებოდა. ჩინელმა მეცნიერებმა სააუქციონერო სახლს დინოზავრის ბუდისა და კვერცხების დაბრუნება მოსთხოვეს. გამორიცხული არ არის, რომ ბუდე ჩინეთიდან კონტრაბანდული გზით იყოს გატანილი.



აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი ლოტი აუქციონზე გამოტანილი ერთადერთი სამეცნიერო ფასეულობა როდია. ერთი წლის წინ, გარემოს დამცველმა ავსტრალიელმა სპეციალისტებმა Sotheby's აუქციონზე ნამარხი ვოლემის ფიჭვის ნერგები გაყიდეს, რომელსაც „დინოზავრთა“ ხესაც უწოდებენ. თითოეული ნერგის ფასმა 791.000 დოლარი შეადგინა.

ამერიკის უსინათლოთა საბჭო დოლარის ახალ დიზაინს მოითხოვს

აშშ-ის მთავრობას უსინათლოთა დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკული ვალუტის ფორმა უსინათლოთა მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. საოლქო მოსამართლე ჯეიმს რობერტსონის მიერ გამოტანილი განაჩენის თანახმად, ხელისუფლებამ ბანკოტეტის ახალი დიზაინი და მათი გავრცელების გზები უნდა შეიმუშაოს. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი ამერიკის უსინათლოთა საბჭომ აღძრა.






საბჭო სამინისტროს, ამერიკის კონგრესის მიერ შემუშავებული „რეაბილიტაციის შესახებ კანონის“ დებულების დარღვევაში ადანაშაულებს, კერძოდ, კანონი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნარშეზღუდულ ადამიანთა მონაწილეობას და მათ მასივულ დამოუკიდებლობას ითვალისწინებს. „თუ ადამიანს კუპიურის ნომინალის დადგენა სხვათა დახმარების გარეშე არ შეუძლია, ვალუტის „სრულ ხელმისაწვდომობაზე“ ლაპარაკი კი ზედმეტია“ — ნათქვამია ბატონი რობერტსონის 26-გვერდიან დადგენილებაში. იმ 180 სახელმწიფოს შორის, რომლებიც ქალაქის ფულს უშვებენ, აშშ ერთადერთია, რომელიც მხოლოდ ერთი ფერისა და ზომის ყველანაირი ნომინალის ფულს ბეჭდავს. უსინათლოთა საბჭომ, მთავრობას დოლარის ახალი დიზაინის რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა. მათ შორის, რელიეფური ბეჭდვა და სხვადასხვა ნომინალისთვის განსხვავებული ზომის კუპიურა. თავის მხრივ, აშშ-ის მთავრობა ირწმუნება, რომ ეს ცვლილებები ქვეყანას ძალზე ძვირი დაუჯდება, ყალბ ფულისმჭრელებს საქმეს გაუადვილებს და ამერიკული ვალუტის სხვა ქვეყნებში მიმოქცევაზე უარყოფითად აისახება. მთავრობის არგუმენტებს მოსამართლემ „ანჰარად აბსურდული“ უწოდა, სარჩელის შეჩერების მოთხოვნაზე უარი განუცხადა და ერთ თვეში, სადავო საკითხის გადაჭრის შესაძლო ვარიანტების წარდგენა მოითხოვა.

პატივმეულო კბითხელო!

როგორც თქვენ მიერ შევსებულმა გამოკითხვის ანკეტებმა ცხადყო, დიდი უმრავლესობა, რომანისა და დეტექტივის აქტიური მკითხველები ბრძანდებით, რაც გვახარებს. მაგრამ გვსურს, ამ სფეროში თქვენს შეხედულებებს უფრო ახლოს გავეცნოთ, ამიტომ გთხოვთ, გვიპასუხოთ: რომელ ნაწარმოებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ. არ დაიზაროთ, აკრიბეთ ტელეფონის ნომერი — 37-50-03 ან 37-75-33 და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ზაზა ვაჩნაძის „ველური წაბლის ხეივანისა“ და გოჩა მანველიძის „თეთრი სიკვდილის“ შესახებ. თქვენს მოსაზრებებსა და შენიშვნებს ჩვენი ავტორები ამ ნაწარმოებებშიც გაითვალისწინებენ და „გზის“ ფურცლებზე მომავალში დასაბეჭდად მზადების დროსაც მიიღებენ მხედველობაში.

წინასწარ გიხდით ვაღლოვას.

ფოტოკუჩიოსები



ბ107/46

საშობაო აქცია 15 დეკემბიდან 15 იანვრამდე



Premier

by Dead Sea Premier

მხვდელი ზღვის ყოველდღიური და საბუნებრივი ჯოხბატი

1 + 1

იყიდა ერთი სასურველი და მიიღა საჩუქრად განსხვავებული



Il Premier - თქვენი ჯანს მომხიბვლელი

www.il-premier.ge

GTC ვაკუას ქ. №3 II სართული
სახალხო ავთიბაქი
მარჯანიშვილის ქ. №16



ვარნავა მეფის გამზირი №1